

ათაბაგნი
გექა და აღგულა

და
მათი სამართალი

ნ. ურბნელისა.

ტფილისი. 1892 წ.

მაქსიმე შარაძის სტამბა.



Handwritten red signature or stamp at the top of the page.

ათაბაგნი გეგა და ალგულა

და

მათი სამართალი.

3750

ბიბლიოთეკის ნომერი 1890

ნ. ურბნელისა.



ტფილისი

სტამბოლიტოგრაფია მეხსიევისა და პოლტავეისა.

1890 წ.

Доз. Ценз. Тиф. 21 Сентября 1890 г.

Handwritten signature or initials at the top of the page.

ბათონობის მოსპობამ დიდი გავლენა იქონია საქართველოს მდგომარეობაზედ. ცხოვრება განახლდა და წარმატებას დაადგა. საათაბაგოსაც ცვლილება უნდა დასტყობოდა. იმ დროს ეს სამთავრო საერთო სამეფოს ნაწილს შეადგენდა და ჯერ არ განდგომილიყო. რაღაც თქმა უნდა, რომ ცხოვრებამ იქაც ფერი იცვალა. თუ საქართველოში „სჯული და სამოქალაქო წესნი განაბრწყინვეს“, არც საათაბაგო დარჩა სჯულისა და წესის განუბრწყინებლად. ბეჟა მეორემ და აღბულამ ახალი სამართალი დაუდევს თავის სამთავროს. პარველი ამ ათაბაგთაგანი შოღვაწეობდა მეთოთხმეტე საუკუნის დამლევს (1361—1391 წ.), იმ ბნელსა და შავს დროს, როცა ლანკათემური შემოესია ჩვენს ქვეყანას და

რამდენჯერმე ააოხრა საქართველო. ხოლო აღბუღა, ბექას შვილის შვილი, შემდეგ ათაბაგობდა, მეთხუთმეტე საუკუნის პირველ ნახევარს (1444—1451 წ.), ბექამ ჩაჰყარა სჯულ-მდებლობის საძირკველი და თავის სამთავროს საკუთარი სამართალი გაუჩინა. თითქო მარტო საძირკველი არა კმაროდა და საჭირო იყო „სჯულისა და სამოქალაქო წესთა“ დამთავრება. ამიტომაც აღბუღა პაპის კვალს დაადგა და იმის ხელთა-ქმნილება დაასრულა: „დავიდევით წინა პატრონისა პაპისა ჩემისა მანდატურთ-უხუცესის ბექას განაჩენი... და რაცა ეამითა სხვა-დასხვანი უწესონი საქმენი შემოსულიყვნენ, მათი სამართალიც ზედ დაურთეოდ“, ამბობს სჯულ-მდებელი ათაბაგი. მაშასადამე, სამცხე-საათაბაგოს სჯული, რომელიც ცნობილია „აღბუღას სამართლად“, მარტო აღბუღას არ ეკუთვნის და შეცდომით უწოდებენ ასეთს სახელს.

სამართალსაც ცხადად ეტყობა, რომ

იგი სხვა-და-სხვა დროს დაწერილია. მისი შინაარსი და ორი წინა-სიტყვაობა (მუხ. ა. და ხზ) პირდაპირ ამტკიცებს ამ აზრს და აგრეთვე გვიჩვენებს, რომ იგი სამართალი ორ ნაწილად გაიყოფება. პირველი ნაწილი ბექას შეუდგენია და იმის შვილის შვილს საჭიროდ უცენია პაპის განაჩენი უცვლელად დაეტოვებინა — „სრულებით და უკლებრად, დაეწერეთო“. მაშ რაღად სწერა და აღბუღამ მეორე ნაწილი? როგორც სჩანს, იმის დროს ავ-კა-ცობა და ბოროტ-მოქმედება გამრავლებულა და ათაბაგს „სწყენია“ „საპარო საუნჯოთა“ და მეკობრობა. ამიტომაც... „საპატიოთა კაცთა სხდომითა და ბჭობითა საპარო საუნჯოთა და მეკობრის საპატიეოსა განაჩენი ძველსავე მივაყოლეთ და ესრედ გავაჩინეთო“, — ქურდობისა და მეკობრობის განაჩენს ეს ახალი სამართალი დავურთევითო. მართლაც და, აღბუღას სჯულ-მდებლობას სხვახასიათი სდევს, იმისი საკუთარი სა-

მართალი სხვა მიმართულებებისა. „სა-
უნჯოთა საპაროს“ და მეკობრობას
რომ თავი დაეანებოთ, თუმცა აღ-
ბულამ „ესეც იწყინა“, სხვა ახალი
უწესოებაც გამრავლებულა მაშინდელს.
დროს. სამართლიდამ სჩანს, მაგალი-
თად, რომ ყმისა და ბატონის დამო-
კიდებულობა გამწვავებულა. საკირო
იყო ყურადღება მიექციათ „ქამთა სია-
ვისათვის“ და აღბულამ სწორედ ამ
განზრახვით დაუტოო პაპის განაჩენს
„სხვა-და სხვა უწესოთა საქმეთა“ სა-
მართალი. სჯულ-მდებლობა დროების
საკიროებასა და მოთხოვნილებას მის-
დევს და ემოჩილება. აღბულაც ამ
გზას დაადგა.

ბექას და აღბულას სამართალი 1)
ჩვენის ძველის ცხოვრების ღირს შე-

1) ქართული ხელთ-ნაწერი შეიცავს 176
მუხლს. ჰროსსე-კი ამბობს, რომ პარიუის წიგნთ-
საცავის ხელთ-ნაწერში აღბულას სამართალი
178 შესდგება და თვით სამართალი „ძრიელ
ძველი გასაგებიაო“, Hist. de la G. I, p.
684, n. 3.

სანიშნავი ნაშთია და ნათელს ჰყენს იმ დროინდელ საქართველოს ყოფაცხოვრებას. გარდა ამისა, საათაბაგოს სამართალმა გაელენა იქონია მთელს ქართულს სჯულ-მდებლობაზედ. ვახტანგ მეფემ, მაგალითებზე, ბევრი რამე ამოიღო ამ სამართლიდან და დაურთო თავის საკუთარს სჯულსა. მაგრამ მაინც აღბუღას სამართალი ადგილობრივი სჯულია და საქართველოს დამოუკიდებლობის დროს სავალდებულო იყო მხოლოდ სამცხე-საათაბაგოსათვის. ამ სამთავროს იმ დროს დიდი დავრცელი ადგილი ეჭირა, მთლად ეგრედ წოდებული ზემო ქართლი ტრაპიზონისა და დიდ სომხეთის მიდგამად²⁾. თუმცა ასე ვრცელი იყო საათაბაგო, მაგრამ

²⁾ Wakhoucht, Descr. géogr., p. 77. იმ დროს სამცხე-საათაბაგოს შეადგენდა აწინდელი ახალციხისა და ახალქალაქის მაზრა, არტაანის ოლქი და ჭოროხის ხეობა თავისი მიდამოთი, Сб. Зап. Бахт. Стр. 95, სხოლიო.

მანც XIV და XV საუკუნეში, როცა სამართალი დაუდეს ამ სამთავროს, ათაბაგნი საქართველოს მეფეს ემორჩილებოდნენ და მაშასადამე სამართლის დებაც მეფის ნება-რთვით უნდა მომხდარიყო. აღბუღამ „აღწერილი სამართლის წიგნი დაუდვა მესხთა ბრძანებითა მეფისათაო“, გვაუწყებს ვახუშტი.³⁾ ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენის საგნისათვის და ამიტომ უნდა განვმარტოთ მეფისა და ათაბაგის დამოკიდებულება და თვით ათაბაგობის მნიშვნელობა. ძველ დროდამ საქართველოში ჩვეულება ჰქონდათ, დიდისა და წარჩინებულის ოჯახის შვილი სხვის სახლში აღეზარდათ. ასეთს ჩვეულებას მისდევდნენ თვით მეფენიც, რომელნიც სეფე-წულს აღსაზრდელად აბარებდნენ რომელსამე დიდებულსა და მაღალს ხელის-უფალს. ვახტანგ გორგასლანი,

³⁾ საქართველოს ისტორია, დ. ბაქრაძის გამოცემული, გვ. 302.

მაგ., საურმაგ სპასპეტმა აღზარდა, იმისი და მირანდუხტ კასპის სპასპეტმა, „რამეთუ წესი იყო მეფეთა ძეთა აღზრდიდნენ დიდებულნიო“, ამბობს ვახუშტი⁴). ხსენებულს ჩვეულებას ეხლა ც მისდევენ კავკასიის მკვიდრნი და ჩვენი მეზობლები ათაღიქობას უწოდებენ⁵). საქართველოში ამ ჩვეულებას მამა-მძუძეობა ერქვა⁶). შემდეგში, თუმცა მამა-მძუძეობა ისევ დარჩა, მაგრამ სახელი-კი გამოეცვალა. მამა-მძუძეობის მაგიერად ათაბაგობა შემოიღეს. ათაბაგობა პირველ დროს იმასვე ნიშნავდა, რასაც ქართული მამა-მძუძეობა, ე. ი. ბატონისა და მთავრის აღზრდას (ატტა-გამდელი, ბეგა-ბატონი, მთავარი. ათაბაგი აღმზრდელი მთავრის შეილისა⁷).

⁴) ვახუშტი, გვ. 87, 88.

⁵) Проф. Леонтовичъ, Адагы Кавказ. Горцевъ, I, стр. 363—364.

⁶) „მოკვდა საურმაგ სპასპეტი, მამა მძუძე ვახტანგისი“, ქ.-ცხოვ. I, გვ. 112.

⁷) ნახე ამ სიტყვის განმარტება, ვახუშტი,

საღმრთეების დროს, როცა საქართველო ძლიერ სამეფოდ მთვლებოდა, სხვა ახალს წესებს გარდა, ათაბაგობაც შემოიღეს და მაშინ ათაბაგობა ნიშნავდა უმაღლეს ხელის-უფლებას, რომელიც ებოძებოდა ხოლმე მხოლოდ დიდად დამსახურებულს და წარჩინებულს მოღვაწეს. ამ გვარად, საღმრთეების მიზაძვით, ძველი ჩვეულება სახელისუფლო დაწესებულად გარდაიქცა და პირვანდელი თავისი მნიშვნელობა დაჰკარგა. ვამბობთ დაჰკარგაო, რადგანაც არა სჩანს, რომ ჩვენში ათაბაგნი მეფის აღმზრდელი უფილიყვენენ.

თუმცა ვახუშტი ამბობს, რომ „არა ღარა იწოდებოდა სპასალარი სპასალარად, არამედ ათაბაგად“⁸⁾, მაგრამ, როგორც სამართლიანად შენიშნავს

გვ. 191, სხოლო, სადაც ნაჩვენებია, რომ ქართველებს ათაბგობა მიუღწიათ ადერბეიჯანის ათაბგოთგან. თვით ათაბგობა შემოუღიათ საღმრთეებს.

⁸⁾ ვახუშტი, გვ. 12.

დ. ბაქრაძე, ეს აზრი უსაფუძვლოა: ათაბაგობას და სპასალარობას საერთო არა ჰქონიათ რა და ერთი-ერთ-მანეთისაგან განირჩეოდნენ⁹⁾.) თუ საქართველოს შინაგანს წყობილებას მივმართავთ, უცილობლად იმის თქმა შეიძლება, რომ ერთსა და იმავე დროს რომელიმე უმაღლესი მოხელე ათაბაგიც იყო და ჯარის უფროსიც, ამირ-სპასალარიც; მაგალითებრ, მეფე გიორგი ბრწყინვალემ „მიუბოძა სარგისს ჯაყელსა ათაბაგობა და ამირ-სპასალარობა“¹⁰⁾.) მაშასადამე, ათაბაგობა სხვა იყო და ამირ-სპასალარობა კიდევ სხვა. ამასთანავე ისიც სჩანს, რომ ათაბაგობა მალლა იდგა თვით ამირ-სპასალარობაზედაც: ქ. - ცხის სიტყვით, „იყო ათაბაგობა უმეტეს სხვათა ერისთავთა განდიდებული“ „ავაგ, რომელი ამირ-სპასალარობისაგან ათაბაგ იქმნა“¹¹⁾)... რა მოხელეობა იყო

⁹⁾ ibid. სხოლო 3.

¹⁰⁾ ქ. ცხოვ. I, გვ. 448.

¹¹⁾ ibid, გვ. 339, 365.

ათაბაგობა?— როგორც სალჩუკებში, ისე საქართველოში ათაბაგობით იხსენიებდნენ პირველს მინისტრს, დიდს ვეზირს, უმაღლეს გამგებელს. გამოჩენილს სარდალს იოანე მხარგძელს თამარ მეფემ მიანიჭა ათაბაგობა და ლაშა გიორგის დროს მოხსენებულა, რომ ეს „უმეტეს სხვათა ერისთავთა განდიდებულნი“ ათაბაგი „იყო ვეზირი კარსა მეფისასაო“¹²⁾. თუ ასეა, მაშ ათაბაგობა წიშნავდა დიდსა და პირველს ვეზირობასა.

მართალია, მატეანის ერთს აღაგას იოანე მხარგძელი მოხსენებულა პირველ ათაბაკად¹³⁾, მაგრამ ნამეილაძე კვლევაზედ უწინ ათაბაგობა ებოძა იოანე ახალციხელს, გამოჩენილს.

¹²⁾ ibid. გვ. 339.

¹³⁾... და უბოძა ათაბაგობა, რომელ არა ყოფილიყო ქართველთა მეფისა წინაშე და არცა ვის ბობოდა, ქ.-ცხოვ. გვ. 332. ეს იოანე ძმა იყო ზაქარია მხარგძელისა და თითონვე უარი სთქვა ამირსპასალარობაზე— ღირსი არა ვარ და ათაბაგობა მიბოძეთო.

სარდალს, რომელიც თავის ქველურის მკლავით შიშის ზარს სცემდა გალაღებულს თურქებს, და რომელმაც შემუსრა ყარსი და დაამარცხა მძლავრი მტერი როკნ-ედ-ილინი ¹⁴). შემდეგ ათაბაგობა იოანე ახალციხელის გვარის სამკვიდრო ხელის უფლებად გადაიქცა და თვით სამცხეს საათაბაგო ეწოდა. ვახუშტი პირველ ათაბაგად იოანე ახალციხელს იხსენიებს ¹⁵), მაგრამ თავის სხვა თხზულებაში თითქო უარჰყოფს ამ აზრსა და ვადაკრით ამბობს, რომ საათაბაგო დაარსდა მეფე გიორგი ბრწყინვალეს დროსაო. ¹⁶) აქ ერთისა და იმისავე საგნის შესახებ ორი სხვა-და-სხვა აზრი

¹⁴) ქ.-ცხოვ. გვ. 318. პირდაპირ სჩანს, რომ იოანე ახალციხელს ებოძა ათაბაგობა ჯერ ისევ ზაქარია მხარგრძელის დროს. იოანე მხარგრძელს-კი ათაბაგობა მისცეს ზაქარიას სიკვდილის შემდეგ, Hist. de la G. I. p. 474, n. 2.

¹⁵) საქართველოს ისტორია, გვ. 211.

¹⁶) Descr. géogr. p. 77.

ადვილად მისახვედრია. საქმე იმაშია, რომ იოანე ახალციხელს სამკვიდროდ არ უბოძეს ათაბაგობა, მხოლოდ პირადად მიანიჭეს დიდის ღვაწლისათვის. ამ სახელოვანის სარდლის შემდეგ, თუმცა საცხე განდიდდა და განძლიერდა, მაგრამ მაინც საკმაოდ დრომ განულო, ვიდრე ათაბაგობას საშვილი-შვილოდ სამცხის მთაერებს უბოძებდნენ. საშვილი-შვილოდ ათაბაგობა სამცხის მთაერებს მიანიჭა მეფე გიორგი ბრწყინვალემ. იგი მეფე, დედის მხრით, ნათესავი იყო ამ მთაერებისა და კიდევ სწყალობდა. როცა ყვარყვარე პირველს გიორგი ბრწყინვალემ ათაბაგობა დაუმკვიდრა, ბედნიერებს და მძლავრს ათაბაგს მიეცნენ კლაჯეთის, არტანუჯის და სხვებისათვის. მოწყალე მეფეს ეს დამორჩილება სრულიადაც არ სწყინდა, პირიქით კიდევ ესამოვნებოდა... თვით ყვარყვარეს გავლენა, რიხი და გამკრიხობა ხელს უწყობდა იმის განდიდებას. სწორედ ამ დროიან დაარს-

და „საათაბაგო“ და ათაბაგობაც სამკვიდრო ხელის უფლება შეიქმნა.

როგორც შეენიშნეთ, პირველად სალჩუკებმა შემოიღეს ათაბაგობა. რადგანაც მკლავის მეზობლებს გავლენა ჰქონდათ საქართველოზე და ჩვენს სახელმწიფოს წესი და რიგი უცხოეთიდგანაც შემოჰქონდა, ათაბაგობაც სალჩუკების მიბაძვით გადმონერგეს სამშობლო ნიადაგზედ. ადერბეიჯანის ათაბაგნი მეზობლობდნენ საქართველოს და მით უფრო ადვილი იყო ახალის მოხელეობის დაწესება. მაგრამ როგორც პოლიტიკური ისტორია ამჟამად, უცხოელებს არასოდეს მსწრაფი ზედ-მოქმედება არა ჰქონიათ ჩვენს შინაურს ცხოვრებაზედ. იმათ გავლენას მხოლოდ ნელ-ნელა და დიდის ხნის განმავლობაში მოუკიდნია ფეხი საქართველოს მიწა-წყალზედ. რომელიმე უცხო ხელის უფლება და წესიც საქართველოში დროთა მსვლელობით იკვალავდა გზას. ათაბაგობასაც ასე მოუვიდა.

სალჩუკნი გამოვიდნენ ასპარეზზედ X საუკუნის დამდეგს. ათაბაგს ვხედავთ ჯერ ისევ დავით აღმაშენებელის დროს, მაგ., განძელი ათაბაგი, ათაბაგი რანისა¹⁷⁾, მაგრამ თვით საქართველოში ათაბაგობა შემოიღეს მხოლოდ თამარ მეფის დროს.

დროთა და ქამთა ვერთარების გამო ათაბაგობამ დიდი ძალა და გავლენა შესძინა სამცხის მთავრებს და ბოლოს, XV საუკუნის დამდეგს, პირველად საათაბაგო განდგა, სახელმწიფოს ერთობა და ტახტი უარჰყო. მაგრამ სანამდე განდგომა მოხდებოდა, ძლიერნი ათაბაგნი მაინც მეფეს ემორჩილებოდნენ, იმის ხელისუფალნი იყვნენ, მეფის გამგებლად და ვეზირად ითვლებოდნენ. უმაღლესი მპყრობელობა და ბატონობა, უზენაესი ძალა და უფლება საათაბაგოში ისევ მეფის ხელთ იყო. თუმცა ქამითი-ქამად ათაბაგანი, ლალნი და ქედ-

¹⁷⁾ ვახუშტის ისტორია, გვ. 176, 182.

მაღალნი“, დამოუკიდებლობას სცდი-
ლობდნენ, მაგრამ მაინც გვირგვინო-
სანი ბაგრატიონი ბრძანებლობდა. აქ
არის მიზეზი, რომ სამართლის წიგნი
აღიწერა „ბრძანებითა მეფისათა“...

ძველადვე ათაბაგების გვარი წო-
დებულია ჯაყელად და ჯაყელი კი-
დედ მოხსენებულია ძველთა მთავარ-
თა სიაში¹⁸⁾. სახელ-წოდება ჯაყელი
წარმოსდგა ჯაყისაგან, რომელიც ცი-
ხე-სიმაგრე იყო და მდებარეობდა
სამცხეში, ჩრდილოეთად, ჯაყის
წყლის პირად.¹⁹⁾ მართალია, გეოგრა-
ფი და „მეცნიერი ისტორიკოსი“—ასე
უწოდებს ბროსსე ვახუშტსა—არ იხ-
სენიებს ჯაყის ციხეს, მაგრამ ეს მო-
უხსენებლობა არაფერია. საქართველოს
ისტორია გვიჩვენებს არა ერთსა და
ორს მაგალითს, რომ მთავრები რომ-
ლისამე აღგილის, მაგ., დაბის,
ციხის სახელს ირქმევდნენ გვარად.

¹⁸⁾ *ibid.* გვ. 13.

¹⁹⁾ Wakhoucht, *Descr. géogr.* p. 89.

ჯაყელებმაც გვარად ჯაყის ციხის სახელი დაირქვეს. ეგონებთ, ჩვენი არხეოლოგი სცდება, როცა ამბობს, ვითომ ძველი ჯაყი (აწინდელი ჯაყისმანი) ფოცხოვის წყალზედ მდებარეობდაო. ²⁰⁾ არა, ფოცხოვის წყალი სულ სხვა მდინარეა და ჯაყის წყალს ერთვის, როგორც ეს ცხადად ხჩანს რუკაზედ. ²¹⁾ ყოველ შემთხვევაში თუ აწინდელი ჯაყისმანი ფოცხოვის წყალზეა, ეს კიდევ იმას არ ამტკიცებს, რომ ძველი ჯაყიც ამ მდინარის პირად მდებარეობდა. შესაძლებელია, შემდეგში ჯაყს ჯაყისმანის

²⁰⁾ დ. ბაქრაძის „Археологическое путешествие“, стр. 67, прим. 4. მისივე რუდაქტორობით გამოცემული Сб. Зак. Вахт. стр. 95, прим.

²¹⁾ იხ. ბროსესეგან ჩართული „Descr. géogr.“-ში carte № 1. საყურადღებოა, რომ ჩვენს მატრიანეში სულ პირველად იხსენიება ბეშენ ჯაყელი, რომელიც წოდებულია თუნარის მთავრად, Hist. de la G. p. 318, n. 7.

სახელი უწოდეს, ჯაყმა აღგილი იც-
ვალა და ფოცხოვის წყლის პირად
მოექცა. ასეთი ამბავი საქართველო-
ში იშვიათი არა ყოფილა.

ჯაყელნი ციხის-ჯვარჯლებსაც იწო-
დებოდნენ. არც „ციხის ჯვარია“ მო-
ხსენებული ვახუშტის გეოგრაფიაში,
ნაჩვენებია მხოლოდ დიდი და მაგარი
ციხე „ჯვარის ციხე“, მთაში აშენე-
ბული, მშვენიერ მონასტრის კვინტას
მახლობლად ²²). იქმნება ეს ორი სა-
ხელი ერთსა და იმავე ციხეს ერქვა.
ჟკ სიტყვის წინ და უკან დასმა არა-
ფერს შუაში უნდა იყოს და ამიტომ
შეიძლება, „ციხის ჯვარი“ იგივე
„ჯვარის ციხეც“ იყო. ყოველ შემ-
თხვევაში, მთავარი ციხის-ჯვარჯლი
ძველადვე გამოდის სახელმწიფო სარ-
ბიელზედ, სწორედ იმ მღელვარე და
შფოთიანს დროს, როცა ბაგრატ IV
ეომებოდა თავის მძლავრს ქვეშევრ-
დომს ლიპარიტს, მოხსენებულია მაგ.,

²²) Descr. géogr. p. 85 et carte № 1.

ხიხა ციხის-ჯვარელი, რომელიც ბა-
გრატს მიემხრო და ებრძოდა ურჩსა
და ლალს ფეოდალს. იმიტომაც გა-
მარჯვებულმა ლიპარიტმა პატიმრად
შეიპყრა მეფის ერთგული ხიხა. თუმ-
ცა პირველად ციხის-ჯვარელების მო-
ღვაწეობა მოარჩილებით აღიბეჭდა, მა-
გრამ შემდეგში იგივე ციხის-ჯვარელნი
მეფის იარ-გულნი შეიქმნენ და საფ-
ლავი გაუთხარეს ერის ერთობას, ამ
უზენაესს კანონიერებას!.. ცოტა მერე
ციხის-ჯვარელნი ჯაყელის სახელით
იხსენიებიან, რადგანაც ორივე ციხე—
ჯაყი და ციხის-ჯვარი იმათ გვარს
ეკუთვნოდა. ბეშკენ ჯაყელს, რომე-
ლიც მოღვაწეობდა დავით აღმაშე-
ნებელის დროს, თან მოსდევს ბოცო
ჯაყელი, თამარ მეფის გამოჩენილი
სპასალარი ²³). თამარ მეფისავე დროს,

²³) ბოცო ჯაყელი უფრო ადრეა მოხსენე-
ბული, სახელდობრ 1053 წ. ერთს წარწე-
რაში იგი წოდებულია მარზაპანადანო.
(მარზაპანი—სამზღვრის მცველი), ამბობს
ბროსსე, ვანუშტი, გვ. 107, სხოლოო. თუ

როგორც ვიცით, იოანე ახალციხელმა პირველად მიიღო ათაბაგობა. ხოლო ახალციხელი იგივე ჯაყელი და ციხის-ჯვარელი იყო. ალბად თამარ მეფემ ჯაყელ-ციხის-ჯვარელებს ახალციხე უბოძა და ამიტომ იოანეს ახალციხელი უწოდეს. როგორც უნდა ყოფილიყო, მაინც ახალციხელი ჯაყელებსა და ციხის-ჯვარელებს ერქვათ და სხვას არაფის. სულ ბოლოს, გიორგი ბრწყინვალეს დროდამ, ჯაყელ—ციხის-ჯვარელ—ახალციხელებს მხოლოდ ათაბაგობით იხსენიებდნენ და სიტყვა „ათაბაგი“ იმათ გვარის სახელად გარდაიქცა ²⁴).

რაც დრო და ქამი გადიოდა, გარემოება უფრო ხელს უწყობდა ათა-

შართლა ასეა, წარწერის ბოლო ჯაყელი სხვა უნდა იყოს, ან არა-და, წარწერის ქორონიკონი საეჭვოა.

²⁴) ბროსსე, Hist. de la G. II, liv. I, 205. n. I. გვარის „ათაბაგი“ დამაარსებლად სარგისს სთვლის. ეს სარგისი სცხოვრებდა დავით მე-V დროს.

ბაგების განდიდებას. ამ მოვლენის უმთავრეს მიზეზად მონგოლთა ბატონობა შეიქმნა, მაგრამ ათაბაგების ზნე-ხასიათმაც თავისი გავლენა იქონია. ათაბაგ სარგის პირველიდამ დაწყებული ყველა სამცხის მთავარი შემკობილი იყო სხვა-და-სხვა მალაღის თვისებითა და პირადის ღირსებით. ბედთან ერთად თითქმის ბუნებაც სწყალობდა ათაბაგებსაო და თითქმის თითოეული ათაბაგი აღემატებოდა სხვა მთავრებს სულისა ძალით და გულისა სიმტკიცით. გარეშე მტერნი და შინაური მოკეთენი კრძაღვითა და მოწიწებით შესცქეროდნენ ათაბაგებს. ასე გასინჯეთ, შეფუებიც-კი ხათრითა და ბევრჯელ იქნება რიღითაც ეპყრობოდნენ თავის ძლიერს ქვეშევრდომებს, მაგრამ საათაბაგომ თავისი არ დაიშალა და მეფობას განუდგა. დიდად საინტერესოა ეს ამბავი და ის დრო, როცა სამეფო საბოლოოდ ირღვეოდა და ნაწილ-ნაწილად იშლებოდა. სწორედ იმ დროს სცხოვრებდნენ ბექა და აღბუღა.

II

ბექა მეორე ყვარყვარე ათაბაგის შვილი იყო და სცხოვრობდა მეფე ბაგრატ V დროს. საათაბაგოს მთავარნი ჯერ ისევ მეფეს ემორჩილებოდნენ, იმის ქვეშევრდომნი იყვნენ და ბაგრატმაც ბექას ათაბაგობა უბოძა. ათაბაგობას გარდა, ბექას სხვა უმაღლესი ხელის-უფლებაც ჩააბარეს, სახელდობრ მანდატურთ-უხუცესობა. ათაბაგობა ხომ სამკვიდროდ ეკუთვნოდა და, რასაკვირველია, მარტო იგი ღირსება არა ჰკმაროდა წარჩინებულის მთავრობისათვის. არა ხიანს, როგორ ასრულებდა ბექა თავის მოვალეობას, რა გვარად ათაბაგობდა და მანდატურთ-უხუცესობდა. არავითარიმე ცნობა არ დარჩენილა იმის სახელმწიფო მოღვაწეობის შესახებ. მხოლოდ ის ვიცით, რომ სამართალი დასწერა. სამწუხაროდ, არც არაფერი იმის ყმაწვილობისა და აღზრდისა ვიცით-რა. ის-კი შეიძლება ვსთქვათ, რომ ჯა-

ყელები „სამართლის მოქმედებას“ მის-
დედნენ და ოჯახში სამხედრო და
ხალმთო სწავლას საფუძვლიანად იძენ-
დნენ. ამის მაგალითი არა ერთი და
ორია. ვახუშტიმ მხოლოდ მცირედი
რამე დაგვიტოვა ბექას ცხოვრებისა²⁵).
ეს ცნობები ბროსსემ „შემატებად“
ჩაურთო თავის შრომას და ამბობს,
არ ვიცი ვახუშტიმ საიღამ შეჰკრიბა
იგინიო²⁶). ჩვენც ცოტას უნდა დავ-
ჯერდეთ და რაც დარჩენილა, ის ვიკ-
მაროთ. საჭირო-კია იმ დროინდელ
ისტორიულს გარემოებას მივმართოთ.
იქნება ამით ცოტაოდენი ნათელი
მაინც მოეფინოს ათაბაგის ცხოვრე-
ბისა და მოღვაწეობის წყვილადს.

თითქო ეს მოღვაწეობა კარგის ნიშ-
ნითდაიწყო და როგორც მთლად სა-
ქართველოს, ისე სამცხეს გამარჯვებას
უქადდა. საქმე აი რაშია: 1361 წელს
სათაბაგოს ახალი განსაცდელი მო-

²⁵) საქართველოს ისტორია, გვ. 282.

²⁶) Hist. de la G. I p. 662—663. n 4.

ველინა. თურქნი ²⁷⁾ თორმეტის ათასის მხედრით დაეცნენ ამ სამთავროს. იმ დროს სამეფო ჯერ ისევ ძლიერი იყო, ლანგ-თემურს თავისი ბასრი მახვილი არ ამოეღო. საქართველოზედ და ბაგრატი მებრძოლს ხომ არ შეუდრკებოდა ისეთს მცირედს ძალას, როგორც თორმეტი ათასი მხედარია. საშიშიც მაგრე რიგად არა იყო-რა, რადგანაც გულ-დიდი მეფე „ორასითა მხედარითა არა ჰრიდებდა ათასთა და უმეტესთაცა და მოსწყვეტდა სრულიად“... ბაგრატიმ შეჰკრიბა ჯარი და მტრისაკენ წაემართა. სისწრაფით გაიარა სამცხე და არეზს იქით მოეწია ალაფითა და ტყვეებით დატვირთულს თურქებს. გამარჯვება მეფეს დარჩა. თურქნი საშინლად დამარცხდნენ. ამ გამარჯვების შემდეგ, იმავე

²⁷⁾ აქ მოხსენებულნი თურქნი ქ.-ცხოვ. ცნობილნი არიან საღრუგებად. საღრუგი მხედართმთავარი იყო თურქესტანში. იხ. საღრუგებზედ ცნობა, ვახუშტი, გვ. 157, სადაც დ. ბაქრაძეს მოჰყავს ლელოს სიტყვები.

წელს, ყვარყვარე გარდაიცვალა და ათაბაგად იმისი შვილი ბექა ავიდა.

სოტა ხანმა განელო და საქართველოს ნამდვილად შავი და ბნელი დრო დაუდგა. «ზვაფი და ამპარტავენი» ლანგ-თემური „წარმოემართა ქართლსა ზედა, ვითარცა ღელვანი ზღვისანი“ ... „სპითა ურიცხვითა, რომელი ჰფარვიდა ყოველთა ველთა ქვეყნისათა“²⁸⁾. საშინელებასა და ნამდვილს ქვეყნიურს ჯოჯოხეთს მოასწავებდა ეს შემოსევა, რადგანაც ულმობელსა და გულ-ქეავს მტერს ჰსურდა, სრულიად აღმოეფხვრა საქართველო და ქრისტიანობა²⁹⁾. ქართველო-

²⁸⁾ ქ.-ცხოვ. I. გვ. 453.

²⁹⁾ როგორც მაჰმადიანთა ისტორიკოსი შერიფ-ედ-დინი ჰმოწმობს, ლანგ-თემურის აღმხედრებას საბაზად უფრო მაჰმადიანობის გავრცელება ჰქონდა, ბროსსეს *Addit. et éclaircis.* p. 386, 387, 390. ამიტომ ანგრევდა ეკლესიებს და მონასტრებსა და ქართველებს მშვიდობიანობას ჰპირდებოდა, თუ სჯულს დაუტევებთო.

ბა ყოველთვის მოწინავე რაზმი ყოფილა ქრისტეს სარწმუნოებისა, და მაშინაც მზად იყო მტრისათვის თავი შეეკლა. სამწუხაროდ, მხოლოდ საათაბაგომ უღალატა მამა-პაპათა ანდერძს და თითქო ქრისტეს მცნება უარ-ჰყო... უბრძოლველად მტერს ქედი მოუხარა და შემოსევის უმაღვე მორჩილების სალაში მიხრთვა. ეს მით უფრო შესანიშნავია, რომ იქ, საათაბაგოში ყველა სამთავროზედ მეტად ჰბრწყინავდა ქრისტიანობა. როცა თემურმა გაანადგურა სომხეთი, ყარსი აიღო და სამცხეს მოადგა, მაშინ „წარვიდა ათაბაგი და მორჩილ ექმნა მას (თემურს), რამეთუ ვერ ძალედვა წინა-აღდგომა მისი“³⁰). რა-

³⁰) ქ.-ცხოვ. I. გვ. 453. თუმცა ბექა დასახელებული არ არის, მაგრამ იმ დროს იგი ათაბაგობდა. პირველად თემურს შემოესია საქართველოს 1386 წ. ქ.-ცხოვ. ჩვენებით, პირველი შემოსევა მოხდა 1393 წ. ჩაჭიანის სიტყვით, 1388 წელს, ერთსაცა და მეორესაც ბროსსე უარ-ჰყოფს, Hist. de la G. I. p. 652, n. 2.

საკვირველია, დაბეჯითებით ძველია
ვსთქვათ, ამ შემთხვევაში რამ აიძუ-
ლა ბექა—მტრის შიშმა, თუ სიფრ-
თხილემ და პოლიტიკურმა საზრისმა.
უცილობლად მხოლოდ იმის თქმა
შეიძლება, რომ ჯაყელებს ჩვეულებად
ჰქონდათ—სადაც არა ღირს, გაცლა
სჯობს კარგისა ვაჟკაცისათვისაო. არც
ბექამ უღალატა მამა-პაპეულს ჩვეუ-
ლებას. მაგრამ, როგორც უნდა იყოს,
იმის საქციელს მაინც ლალატის მეტი
სხვა სახელი არ ეთქმოდა. სანუგე-
შოდ, მთელი საათაბაგო არ ექმნა
მორჩილი „ზვავსა და ამპარტავანს“
მტერს. ზოგნი მეფესაც მიემხრნენ
და როცა ბაგრატი მტრის დასახვე-
დრად დაშქარს ჰკრებდა, „მესხ-
ნიც რომელნიმე შემოიკრიბაო“, ამ-
ბობს ვახუშტი³¹⁾). რაღა თქმა უნ-
და, რომ მეფეს ძლიერ ეწყინა ბექას
განდგომა. საწყენიც იყო. მაგრამ წყე-
ნით საქმეს ვერა ეშველებოდა-რა და

³¹⁾ გვ. 284.

საქიროება თხოულობდა, სხვებს მაინც არ მიეხატათ მოლაღატე ათაბაგისათვის. ბაგრატს კარგად ესმოდა მაშინდელი გარემოება, იცოდა, რა საფრთხილო და საეჭვო იყო მთაწრობის ერთგულობა და უმაღლვე გაგზავნა თავისი შვილი გიორგი იმერეთში — იქაც არ განდგნენო³²). თითქო გულმა შეფეს მართლა უგრძნო. ათაბაგის საქციელი ბევრს მოეწონა და, როგორც მათიანე ჰმოწმობს, თემურს დაემორჩილნენ „სხვანიცა მრავალნი“³³). მოხსენებულისკი არ არის, მტრისადმი დამორჩილებით რომელნი მთავარნი გაბედნიერდნენ.

ბაგრატ დიდი — ასე უწოდებს ქ. ცუბა ბაგრატ მეხუთეს — მაინც სასოწარკვეთილებას არ მიუცა. იგი გულადად და უშიშრად დაუხვდა მრის-

³²) *ibid.* ეს ამბავი სხვა ნაირად არის მოხსენებული მათიანეში: „აღიყარა მეფე გიორგი ღირთ-იმერეთითა... გვ. 453.

³³) ქ. ცხოვ. I. გვ. 453.

ზანე მტერს, იმ მძევინვარე ბარბაროსს, რომელმაც სისხლით მოარწყო მთელი მცირე აზია და ველსა და მინდორზე კაცის თავების მაღალნი კოშკნი აღმართა. ასეთს მტერთან პირდაპირ გამკლავება არ გამოდგებოდა. მეფე ტფილისში გამაგრდა. მთელის ექვსის თთვის განმავლობაში არც ერთი დღე არ შეწყვეტილა სისხლის ღვრა და იარაღის ტრიალი. სატახტო ქალაქი ბურჯივით მაგრად იდგა და ბოლომდ მხოლოდ მანქანებამ სძლია: თემურმა რკინის ლასტებით³⁴⁾ შეაიარაღა თავი-

³⁴⁾ „ქმნეს ჩ ე ლ ტ ე ბ ი რკინითა შემზადებული; ეს აღიფარეს და მიუტევნეს ციხესა მას ტფილისისასა“, ქ.-ცხოვ. გვ. 454. ს. ს. ორბელიანის განმარტებით, ჩ ე ლ ტ ი ლასტს ნიშნავს. საკვირველია, რომ ბროსსენს და დ. ბაქრაძეს ლასტის მაგიერ ლახტი ამოუკითხნიათ, თუმცა ლახტი სატყევარი იარაღია და გულზედ იმის აფარება არ შეიძლება. რაკი ლახტი ლახტად წაუკითხავთ, ვერც იეროს და ვერც მეორეს ვერ გაუგია შემოდ მოყვანილი ადგილი, Hist. de la G. I. p. n. 2. საქ. ისტორია ვახუშტისა, გვ.

სი ლაშქარი და ტფილისზედ იერიში მიიტანა. მაშინ-კი შველა არსაიდგან იყო. ტფილისი გასტეხეს. დაატყვევეს მეფე და დედოფალი ანნა. ტყვედ მოჰყვა მეფის შვილი დავითიც³⁵). არ ვიცით, მტრის გამარჯვებაში ბექასაც წილი ედვა, თუ არა, ეს პირდაპირ არა სჩანს. ის-კია, რომ ლანგ თემურის ცალიერს დამორჩილებას არასოდეს არა ჰყაბულობდა და დამორჩილებულს დაადებდა თუ არა ხარჯს, მაშინვე ამასაც უბძანებდა—აბა, ჩქარა, ჯარიცაო. ლანგ - თემურის გამარჯვებამ დიდი უბედურება მიაყენა საქართველოს. მთელი შიდა ქართლი დასწვეს და დასდაგეს. ხალხი ტყესა და გამო-

284, შენიშვნა I, სადაც დ. ბაქრაძე ბროსსესა და ლიტრეს იშველიებს თავის აზრის განსამარტებლად.

³⁵) ეს მოხდა 1387 წ. Hist. de la G. p. 653, n. 3. შერიფ-ედ-დინი, რომელიც ბაგრატს უწოდებს შალექიპოკრატიად, ამბობს, რომ დატყვევება მეფისა იყო 1386 წელსაო, Addit. et éclaircis, p. 387.

ქვაბულს კლდეებში იმალებოდა, მაგრამ იქაც არ ასვენებდნენ. თითონ მაჰმადიანთა მწერალი ჰმოწმობს, რომ წვეროდამ გოდრებით ჯარი ქვემოდ ჩაჰყვანდათ და ისე ჟღეჭდნენ გამოქვაბულს კლდეებში ქართველებსაო³⁶). გაშმაგებულნი ბარბაროსნი არაფერს ჰზოგავდნენ, ძირიანად ჰგლეჯდნენ ხეხილს, ვაზებს, სწვავდნენ და ახდენდნენ ნათესსა და ნამუშაევარს³⁷). ტაძრებსა და მონასტრებს ხომ უფრო შავი დრო დაუდგათ. ტრაგიკულს სურათს წარმოადგენს, მაგ., ქვაბთა-ხევის მონასტრის დაწვა და გული უნებლიედ სთრთის და ჰგმინავს, როცა იგი სურათი თვალ-წინ გიდგებათ. ბერებსა და მონაზნებს ჯერ ეფენები შეაბეს და სამასხაროდ ათამაშეს და მერე ცოცხლები ცეცხლში დასწვეს. ეხლაც ჰლალადებს მათი უმანკო სისხლიო, გულ-ამოსკენით ამბობს მემატიანე³⁸).

³⁶) Addit. et éclaircis. p. 391.

³⁷) ibid p. 392.

³⁸) Hist. de la G. I. p. 656. ბრო-

ამ ვაებასა და ვაგლახს ზედ
სხეაც დაერთო. მეფეს დატყვევებამ
სრულიად ასწევს-დასწევსა სახელმწიფო
და შინაური შფოთი და არეულობა
დაჰბადა. თუმცა კეთილ-გონიერი და
გამჭრიახე ბაგრატის შვილი გიორგი
დიდს სიმბნეს იჩინდა და ჰქადაგებდა,
ძლიერი მტერი შემოგვესია, უნდა შე-
ვერთდეთო, თორემ „შეუერთებელნი

სსეს გამოანგარიშებით, შვიდის წლის გან-
მავლობაში 1386—1403 წწ. ლანგთენური
ექვსდღერ შემოესია საქართველოს და ხანდა-
ხან თითო შემოსევაზედ ორ-გზით ააოხრა ეს
ქვეყანა, *ib. p. 675, n. 4.* მატიანე ამბობს,
„შვიდ გზის იავარ-ჰყო საქართველო“,
გვ. 471. ამ შემოსევის დროს, ქალაქებსა
და ციხეების გარდა, შვიდასი სოფელი მი-
რიანად აღმოფხვრეს და ამოაგდეს, *Addit.*
et éclaircis. p. 386, 397. ასე გასინჯეთ,
თემურმა იალბუზიც-კი გადაიარა და ჩრდი-
ლო-კავკასია დაიპყრა. შერიფ-ედ-დინი მთლად
კავკასიას საქართველოს უწოდებს. მაჰმადიან-
ებიც მთლად კავკასიას საქართველოდ სოფლი-
დნებ და ეს ამტკიცებს იმ დროინდელს სა-
ქართველოს პოლიტიკურს ძლიერებასაო, *ibid.*
p. 389, n. 3.

მოვისვრით ყოველნიო“³⁹⁾, მაგრამ იმერეთს თითქო სშენა და გაგება დაეკარგა: იქაური ერისთავი ალექსანდრე განდგა და იმერეთის მეფედ ეკურთხა. ბექამ ხომ მეფე წინაღვე უარჰყო. ბაგრატიის შვილმა გიორგიმ მოინდომა კიდევ ვალაშქრება მოლალატე ათაბაგზე, შეჰკრიბა ჯარი, მაგრამ წადილს ისევ თავი დაანება: მამა ტყვედ ჰყავდა და ეშინოდა, იქნება თემურმა ჩემი ჯავრი იმაზედ ამოიყაროსო...

მთავრების განდგომას ვილა სჩივის. სავალალო უფრო ის იყო, რომ განდგომილნი სხვებსაც აქეზებდნენ და უკუღმართობის გზაზედ აყენებდნენ. იმერეთის მეფის ალექსანდრეს ძმა გიორგი, რომელმაც ძმასაფეთ ძალად მიიღო მეფობა, სამეგრელოს თავს დაესხა მარტო იმიტომ რომ მეფე ბაგრატიის ერთგულნი რადა ხართ და რატომ მე არ მიწამებთ მეფედაო. კიდევ კარგი, რომ მეგრელებს მხარი

³⁹⁾ ვახუშტი, გვ. 287.

მისცეს აფხაზებმა და შფოთის მოყვარე უკანონო მეფე ბრძოლაში მოჰკლეს (1392 წ.)⁴⁰). როგორც ჰხედავთ, საქართველო მეტად უნუგეშო ყოფაში ჩავარდა. აღმოსავლეთი მტერს ეჭირა, სადაც იგი დაუცხრომლად მძვინვარებდა, იმერეთი შფოთავდა და იმ გაჭირებულს დროს ძმობასა და ერთობას ძირს უთხრიდა. აი სწორედ ამ დროს ათაბაგობდა ბექა მეორე.

⁴⁰) იბ გვ. 288. Hist. de la G. I. p. 677, n. 4. 1258 წელს, მონღოლების ბატონობის დროს, დაარსდა ორ-მეფობა და იმერეთის მეფედ დაედა დავით-ნარინი, რუსუდანის შვილი. შემდეგ მეფე გიორგი ბრწყინვალემ შეაერთა სამეფო და დავით-ნარინის შთამომავლობას იმერეთის მთავრობა მისცა. რაკი მეფის შთამომავალისა იყვნენ, იმერეთის მთავრები ასე ადვილად იმიტომ ადიოდნენ მეფის ტახტზედ, უფლება გვაქვსო. ორ-მეფობა შეიქმნა მიზეზი ცალკე იმერეთის სამეფოს დაარსებისა. ბაგრატიის დროს და შემდეგ შიაც, ვიდრე საქართველო საბოლოოდ გაიყოფებოდა სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ.

თუმცა ბეჭა განდგა და იმერეთმა კანონიერს მეფეს უღალატა, მაინც სამეფო ტახტს ჯერ კიდევ ღირსება და პატივი არა ჰქონდა დაკარგული. გარდაიცვალა თუ არა განდგომილი მთავარი, „ნებიანა მეფის ძის გიორგისითა დაჯდა ათაბაგად ძე ბეჭასი იოანე“ (ვახუშტი, გვ. 288). მაშასადამე ათაბაგად ისევ მეფე ანუ იმის მოადგილე ამტკიცებდა. ეს კიდევ არაფერი. საყურადღებო უფრო ისაა, რომ სამცხემ მალე შეიგნო თავისი შეცდომა და თითქო შეინანა დანაშაულობა. აი როგორ. ტყვეობაში ბაგრატი მეფემ სიტყვით იწამა მაჰმადი. იმას აზრად ჰქონდა, იქნება როგორმე თავი დავახწიო მტერს და საქართველოს ვუშველოვო. ლანგ თემურს ძლიერ ესიამოვნა ბაგრატის გამაჰმადიანება და თორმეტი ათასი საუკეთესო ჯარი მისცა—წადი და, როგორც მპირდები, მთლად საქართველოს დაატოვებინე ქრისტიანობაო. მეფემაც აღთქმა მისცა, მაგრამ იმავე

დროს თავის შვილს გიორგის ჩუმაღ
შემოუთვალა—მზად იყავი და მტრის
ლაშქარი გაეწყვიტოთო. გიორგი
ჯარის შეკრებას შეუდგა. ამ შეთქ-
მულობაში საათაბაგომაც მონაწილე-
ობა მიიღო და ათაბაგმა იოანემ თავ-
ისი მხედრობა გიორგის ლაშქარს
შეუერთა. მართლაც-და, თორმეტი
ათასი თემურის ჯარი ღალატით სრუ-
ლიად ამოსწყვიტეს მდინარე ბერდუ-
ჯის ნაპირას. ამ საქმეში, მეფე ბაგ-
რატიისა და იმის შვილის გიორგის
გარდა, ათაბაგიც ერია ⁴¹). ეს ამბავი
ცხადად ამტკიცებს, რომ ბექა განდ-
გა თავის სურვილისამებრ და არა
იმიტომ, რომ საათაბაგოს ჰსურდა
მეფისათვის ეღალატა და მტერს მიმხ-

⁴¹) ათაბაგ იოანეს ღალატი იყო მიზეზი,
რომ თემური სამცხესაც შეესია და ააოხრა
ქვეყანა აივანესი (იოანესი), რომელიც იყო ერ-
თი ძლიერთაგანი ზატონი საქართველოსიო,
ამბობს შერიფ-ედ-დინი, Addit. et éclaircis.
p. 396 აქ, n. 3. ბროსსე სცდება, ვითომ
ათაბაგი იოანე ბექა პირველის შვილი იყო,
უნდა იყოს ბექა მუორესი.

რობოდა. ადვილად შეეძლო ბექას მე-
ფის ერთგულობა დაეცვა და გაქირ-
ვების დროს ცოტად მაინც დაჰხმარებო-
და სამშობლოს. და მერე ვინ იცის,
რა ნაყოფს მოიტანდა ათაბაგის შეე-
ლა, რა ნაირად დატრიალდებოდა
საქართველოს ბედი! არ უნდა დავი-
ვიწყოთ ბაგრატ მეფისა და იმის შეი-
ლის გიორგის იშვიათი ვაჟკაცობა და
მრავალი სხვა ღირსება. ბაგრატ მეფე
საოცარი ენერგიული კაცი იყო და
ამასთანავე მოხერხებული, გამჭრიახი.
მან სრულიად მოჰხიბლა, დაიმონა
თემური. არც გიორგის ეთქმის შუა-
თანა კაცი. იმის რაინდობას თვით მტე-
რიც-კი განცვიფრებაში მოჰყაედა. პირ-
ველს შეტაკებაზედ ცოტას გაწყდა
არ აჯობა თემურს და თუ იძლია,
მარტო იმიტომ, რომ მტერი ბევრად
მეტი იყო ქართველების ჯარზედ ⁴²).

⁴²) თემურმა, როცა პირველად გიორგი
მეფეზედ გაილაშქრა, მიზეზად ის დაიხვია,
რომ ჩემს დაუკითხავად მეფედ რად ეკურთ-
ხეო. მეფემ პასუხად შეუთვალა, თუ სეფე-ქა-

ასეთის მამისა და შვილის წყალობით
შეიძლება სამეფოს ის რისხვა აღარ
მოეღწეოდა, რაც მოეწვინა, მაგრამ
სავალალოც ის არის, რომ პირვე-
ლადვე ლალატმა იჩინა თავი და მო-
ლალატე ბეჭა შეიქმნა.

III

აღბუღას ცხოვრებაც ბნელ ით მო-
ცულია. იმაზედაც ორიოდ ცნობა
თუ დაგვიჩა და ისიც უფრო უც-
ხოვლ-მწერლებისაგან. ამ შესანიშნა-
ვის ათაბაგის კერძო ცხოვრებისა არა
ვიციტ-რა. მოხსენებულია მხოლოდ,
რომ იმ შფოტსა და მღელვარე დროს,
როცა აღბუღა სცხოვრობდა, იგი ყო-
ფილა „კაცი მშვიდი და უშფოთველი
და სამართლის მოქმედი“ 43). ასეთი-
თვისება ბრწყინვალე შარავანდედს

ლი და დიაცი არა ხარ, ახა მოდიო, Hist.
de la G. I. p. 664—665. ერთხელ მე-
ფემ გაიმარჯვა კიდევ და აღინჯა წაართვა
მონგოლებს. ამას თვით შერიფ-ედ-დანი ამ-
ბობს, Addit. et éclaircis. p. 390.

43) ვახუშტი, გვ. 302.

ჰუენს ათაბაგის ხასიათს, მით უმეტეს, რომ იმის დრო თითქო სრულიად ხელს არ უწყობდა კაცის ზნეობრივს განვითარებას. სავალალო და სავაგლანოა ის დრო როგორც საქართველოსათვის, ისე კერძოდ საათაბაგოსათვის. ლანგ-თემური დაუცხრომლად მძვინვარებდა და სწადდა, სრულიად შთაენთქა ჩვენი სამშობლო. გულოვანი და რაინდი მეფე გიორგი მეშვიდე (ბაგრატ მეფის შვილი) პარველ ხანს არას ეპუებოდა ძღვევა მოსილს მტერს. ათაბაგი იოანეც, აღბუღას მამა, მხარს უჭერდა მეფეს, „მტკაცედ იღვა მეფისადმი“⁴⁴) და ამის გამო თემური უფრო მრისხანებდა. როგორც ზემოდაც მოვიხსენიეთ, თემურმა ხელზედ დაიხვია იოანეს ერთგულობა მეფისა და სამშობლოსადმი და ააოხრა სამცხე, ეს ოდესმე აყვავებული სამ-

⁴⁴) ib. გვ. 292. „ახლდა სპითა რჩეულითა პირველ ომში და იყო მორჩილ მისა“ მეფისა, ქ.-ცხოვ. გვ. 466.

თავრო, დაანგრია ტურთა ტაძარ-მონასტრები და მრავალი მკვიდრი დაატყვევა. ქართლ-კახეთი ხომ წინაღ მოსწვეს და მოსდაგეს. უწყალო ბარბაროსს მთაც-კი არ გადაარჩა აუოხრებელი. ფშავ-ხევსურეთ-გუდამაყარიც ცეცხლისა და მახვილის მსხვერპლი შეიქმნა. იქნება მთა გადაარჩენოდა საერთო ჭირს, მაგრამ მეფე გიორგი იქ იმალებოდა და თემურმა იმის შეპყრობა მოინდომა. მართალია, მეფე ვერ შეიპყრო, მაგრამ მთას-კი დიდი ზიანი და უბედურება დააყენეს ⁴⁵). მეფე შევლასა და სასოებას არსაიდგან ელოდა და იმედ-მიხდილმა გამარჯვებულს მტერს ზავი მოსთხოვა. თემური მაშინ მანგლისში იდგა ბანაკად. იქ იახლნენ გიორგი მეფის ძმა კონსტანტინე, სომხეთის თავადნი და, რასაკვირველია, საკადრისი ძღვენი და

⁴⁵) მთაში შესვლას და იმის აოხრებას შერიგ-ედ-დინიც იხსენიებს. პროსსეს სიტყვით ეს ამბავი მოხდა 1394 წელს, Addit. et éclaircis p. 388, n. 2.

საჩუქარი მიართვეს. ძლიერლმა სამ-
ცხემაც მუხლი მოიდრიკა, და ან მეტი
რა ღონე ჰქონდა. იოანე ათაბაგმა
თემურს თავისი შვილი აღბულა აახ-
ლა. პირველად ამ დროს ვხედავთ აღ-
ბულას. შემატიანესა და შერიფ ედ-დინ-
ის კი შეცდომით აქეთ ნაამბობი თე-
მურთან აღბულას წასვლა ზავის სათ-
ხოვრად. ქ.-ც-ბა იხსენიებს, რომ
„კვალად წარვიდა აღბულას ძე ივანე“
46), მაგრამ ასე არა ყოფილა. იოანე

46) ქ.-ცხოვ. I. გვ. 468. შერიფ ედ-დინ-
იც შეცდომით იხსენიებს ამ ამბავს და მა-
მას შვილად ჰხადის, — იოანე აღბულას
შვილი წავიდაო. ჩვენს მატიანეს ეს შეც-
დომა გაურკვევლად გადმოუღია შერიფ-ედ-
დინის ისტორიიდან, *Addit. et éclaircis. p.*
395. საკვირველია, ბროსეს ეს შეცდომა ვერ
გაუგია, თუმცა იმას-კი დასძენს, რომ მატია-
ნეს ცნობები მოჰყავს შერიფ-ედ-დინის მიბა-
ძეითაო, *ibid. 393, n. 7.* აღბულა მოხსე-
ნებულია მთავრად, რომელიც იმყოფებოდა
თემურის ლაშქარში ერინჯანგის ციხის აღე-
ბის დროს, 1401 წ. *Hist. de la G. E.*
p. 670, n. 3. მაშინ სამცხე ახლად დაჭე-

აღბუღას ძე-კი არა, ბეჟა მეორეს
შვილი იყო, და არცა სჩანს, რომ
აღბუღას შვილი ჰყოლოდეს და იმის
შვილს იოანე ჰრქმეოდეს. გარდა ამი-
სა, მთელს ათაბაგებში მხოლოდ ერ-
თი აღბუღა იყო, სახელდობრ იოანე
ათაბაგის ძე 47). უძღვნოდ და უსაჩუ-
ქროდ ვერც აღბუღა იახლებოდა დიდე-
ბის მოყვარე ბატონსა და აღბუღამ, რო-
გორც შერიფ-ედ-დინი გადმოგვცემს,
მშვენიერი ცხენები მიართვა თემურ-
საო 48). იმავე ისტორიკოსის სიტყვით,
ეს ამბავი მომხდარა 1402 წელს, და
იმ დროს-კი აღბუღა ვაჟაკი უნდა
ყოფილიყო.

ვერც ძვირფასის ძღვნით მოინა-
დირეს მტრის გული. თემურს ჰსურ-

რილი ჰქონდა თემურს და იქმნება ეს მო-
ლაშქრე აღბუღა მთავარი ჩვენი სჯულ-მდე-
ბელი აღბუღა იყოს. თუ ასეა, მაშ აღბუღას
ასპარეზზედ გამოსვლა ამ ამბით უნდა და-
იწყოს.

47) Hist. de la G. II, liv. I, p. 206.

48) Addit. et éclaircis. p. 395.

და, საქართველო უეჭველად გამაჰმადიანებულ იყო და პირად მეფე გიორგი ჰხლებოდა, — ოლონდაც-კი მნახე და დიდის საჩუქრით გაგისტუმრებო. მეფემაც კარგად იცოდა, რა საჩუქარსაც უბოძებდნენ და უარზედ იყო. ურჩობა გულს უსივებდა „ზვავსა და ამჰართანს“ თემურს და იგი თავის ჯავრს საქართველოზედ ჰყრილობდა. კიდევ აიკლეს უიმისოდაც მრავალ-ტანჯული ქართველობა. იმერეთი ისევე გულ-გრილიად შესცქეროდა ქართლის წვასა და დაკვას და შემწეობის მაგიერად, „ამჟამად განდგა ძე ბაგრატიისავე (იმერეთის მთავარ-ერისთვისა) კონსტანტინე, დაიპყრა იმერეთი და იწოდა მეფედ“⁴⁹). მეფე გიორგის მხოლოდ ათაბაგ იოანეს ერთგულობა ანუგეშებდა. მაგრამ თემურის მძვინვარებასაც ბოლო მოეღო, რადგანაც 1405 წელს „ბოროტი იგი ბოროტად წარ-

⁴⁹) ვახუშტი, გვ. 291.

წყმდა“, ანუ, სომეხთა მწერლის მე-
ძობის თქმისამებრ, „ჩაძალდა“ ⁵⁰).

მაშინ-კი ეშველა საქართველოს.
თემურის შეილები ერთი-ერთმანეთს
მტრობდნენ და აირიე-დაირიენენ. იმათ
უზარმაზარს საბრძანებელში განხეთ-
ქილება ასტყდა ⁵¹). მცირე აზიაშიც
სხვა - და - სხვა მოდგმის მაჰმადიანები
ერთი-ერთმანეთს ებრძოდნენ. თურქ-
ნი, სპარსნი, სარკინოზნი მიესივნენ
თვით მაჰმადიანობას. ქრისტიანობამ
მოისვენა. რასაკვირველია, მეფე გი-
ორგიმ მარჯვე დრო კარგად გამოიყუ-
ნა. ჯერ შემოიერთა იმერეთი, სადაც
ძალად მეფე კონსტანტინე თვით მკვი-

⁵⁰) Hist. de la G. I. p. 676, n. 4 ქ.-
ცხოვ. გვ. 472.

⁵¹) Addit. et éclaircis. p. 399.— „იყო
შური და ხდომა ქეთა შორის ლანგ თემური-
სათა, რამეთუ ფრიად მოშურნე იყვნეს იგი
ურთიერთარს შორის და უამსა ამას განთავი-
სუფლებულ იყვნეს მკვიდრნი საქართველოსა-
ნი და იყვნენ მშვიდობით, განსვენებასა შე-
ნა“, ქ.-ცხოვ. გვ. 475.

დრთა მოჰკლეს. მერე ხელი მიჰყო სამეფოს აღშენებასა. და თუ რამდენად საჭიროებდა სამეფო კეთილად განწყობას, ამას მატრიანე მოგვითხრობს — „იყო მაშინ ყოველი ესე საქრთველო უსჯულოსა თემურისაგან უნუგეშინის-ცემოდ განსრული და სრულიად აღხრებული. დედა-ქალაქი მცხეთა, დიდი წმიდაჲ კათოლიკე ეკლესია, და ეგრეთვე ყოველნივე ეკლესიანი, საყდარნი და ციხენი ყოველნივე სრულიად საფუძველითურთ დაექცია და მოეოხრებინა, და ყოველნი სულნი ქრისტიანენი დედა-წულითურთ ტყვე ექმნა“, „ძალი ქართლისა შემცირებულიყო მრავლის ტყვენვისა და რბენისაგან“... ხალხი ისე გალატაკდა და გაღარიბდა, რამ მეფესაც-კი შემოსავალი არსაიდგან ჰქონდა და ქ.-ც-ბა აღექსანდრე მეორეზედ ამბობს, „შემოსავალი არსაით იყო სახლისა მისისათვისო“ 52).

52) ქ.-ცხოვ. გვ. 473—474 აღექსანდრე მეფობდა 1413—1442 წ.

მტრებმა მაინც დიდ-ხანს არ დაასვენეს საქართველო. მეტადრე საშიშარნი შეიქმნენ თურქნი, (აწინდელნი ოსმალნი) რომელნიც აღმატებულნი სხვა მაჰმადიანებს სიმხნითა და ძლიერებით. თუმცა იმათზედაც მრავალ-გზის გაიმარჯვა მეფე გიორგიმ, მაგრამ მაინც თურქთაგან მოიკლა, რადგანაც, ვახუშტას სიტყვით, „სისწრაფითა არღარა მოიცადნა სხვანი სპანი თვისნი, გარნა რაოდენნი ესწრნენ თვისთაჲსა, მიეგება წინა“. თურქნი საათაბაგოსაც შიშის ზარზა სცემდნენ. ერთგულმა იოანე ათაბაგმა აღექსანდრე მეფის კურთხევაზედ მისვლაც-კი ვერ გაჰბედა, „ვინაიდგან მიზნობდა ძალ-ყოფასა თურქთაგან“.

ამ საერთო შიშის დროს აღბულა ახალციხეში იმყოფებოდა და თუ სომხების მწერალს მეძობის დავუჯერეთ, იმისი იქ ყოფნა უბედურებად გარდაქცევია სამშობლოს. მეძობი იხსენიებს, რომ აღბულა მოსახლე სპარსელებს უფრო პატივსა სცემდა, ვიდრე ქრის-

ტიანებსა და ვითომ იმისმა ასეთმა
საქციელმა დიდი ვნება მოუტანა სა-
თაბაგოს. ერთმა გაქრისტიანებულმა
სპარსელმა თავისი უწინდელის რჯუ-
ლის შეურაცხება მოინდომა. შეჭ-
კრიბა რამდენიმე ახალგაზდა ქართვე-
ლი და სომეხი. ღორი მოჰკლეს,
ხორცი თითონ შესჭამეს და ძეღე-
ბი მეჩითში დაჰყარესო. ამ ამბავმა
სპარსელები ააღელვა და იმათ, რად-
განაც აღბუღაც ჰქომაგობდა, ქრის-
ტიანებს უჩივლეს ყარა - უსუფთან,
რომელმაც თავისი ჯარით ააოხრა
სამთაერო 58). მეძობის სიტყვით,
„უგუნურების“ გამო აღბუღა სპარ-
სელებს უფრო დიდს პატივსა სცემ-
და, ვიდრე ქრისტიანებს. მაგრამ ძნე-
ლად დასაჯერებელია „კაცს მშვიდს-
და უშფოთველს და სამართლის
მომკმედს“ ის ჩაედინოს, რასაც სწა-
მებენ. სხვა რომ არ იყოს-რა, მა-

⁵³⁾ Addit. et éclaircis. p. 399. n. 2.
ამ ამბავი მოხდა 1413 წ.

რტო სამართალი საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ათაბაგს ღრმად სწამდა ქრისტიანობა და გულ-მხურვალედ ეპყრობოდა მართლ-მადიდებლობას. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ მეძობი მძულვარებით იხსენიებს ქართველებს და ბევრჯელ უსამართლოდ ჰკიცხავს მეზობელს ერსა⁵⁴).

თურქთა გაძლიერებამ ძირიანად შეარყია საქართველოს სამეფო. გარეშე მტერს გარდა, მავნებელი გავლენა ჰქონდა იმერეთის განდგომასაც. სხვა სამთავროებმა იმერეთს მიჰბაძეს და ხშირად ერთმანეთს ებრძოდნენ და ექიშვებოდნენ. დღითი დღე მატულობდა შინაური უწყესობა და აღ-

⁵⁴) სსვათა შორის, მეძობი ქართველებს შინაშრობასა და ტრაბახობას სწამებს. როცა ჯაან-შაჰი შემოესია საქართველოს, იოანე ათაბაგის დროს, და იძობდნენ ხალხს გაყლიტა, რომ ქალაქის წინ 1664 მოკლულ კაცის თავის კოშკი ააშენა. ქართველებმა ერთი მტერიც ვერ მოკლესო (!?) Addit. et éclaircis p. 402—403.

რევა. ცხადი იყო, რომ მხოლოდ
აზრდილი და დარჩა ძველის ერთობი-
სა და თითოეული სამთავრო სცდი-
ლობდა სრულიად დამოუკიდებელი
შექმნილიყო. მართალია, ყველა სა-
მთავროში მეფეს ერთგულნიც ჰყავდა,
მაგრამ უმრავლესობა მაინც სამეფო
ტახტს პირს არიდებდა. წინადასამთავრო
სამთავროს ებრძოდა. მაგრამ ახლა ამ
პირს სხვა ზედ დაერთო. თვით ერთ-
სა და იმავე სამთავროში ასტყდა და
აღორძინდა შუღლი და მტრობა.
თითოეული სამთავრო ერისთავების
საქიშპო ასპარეზად გარდაიქცა. ერთ-
ნი მოსარჩლენი იყვნენ მეფისა, მეო-
რენი მთავრისა. მაგრამ ამ საპოლი-
ტიკო დასს გარდა ერისთავებს ერთ-
ურთობაშიაც შური და მტრობა არ
აკლდათ. ერისთავებს თან მიჰყვნენ სხვა
შვიდრნიც და სხვა-და-სხვა ავ-კაცო-
ბა, მეტადრე ლალატი, თითქო გა-
დამღები ავადმყოფობაო, ყველა წო-
ლებას მოედო. ასეთი უნიუგეშო ცვლი-
ლება უფრო საათაბაგოს დაეტყო და

პირველად იქ გაძლიერდა როგორც შინაური უწყობა, ისრე გარეგანი ურჩობა. მაგრამ ურჩობა იქამდე მივიდა, რომ თავისთავად ერთგული იოანე ათაბაგიც-კი ალექსანდრე მეფეს განუდგა, რაისა გამო მათი მოუხდათ. ათაბაგი ტყვედ წაიყვანეს და დააპატიმრეს. მეფემ საათაბაგო მოვლო, „ურჩინ“ ერისთავნი განდევნა და მათ აღგილას თავისი მომხრენი დააყენა. შემდეგში „ურჩი“ იოანე გაანთავისუფლა და ისევ უბოძა ათაბაგობა. მაგრამ ეს ყოველივე უკანასკნელი გამარჯვება. რამდენსამე წელს შემდეგ მეფის ძალა და პატივი იქამდე დამცირდა, რომ იმისათვისაც სახიფათო და საფათერაკო შეიქმნა ათაბაგის განრისხება და ხელის შეხება.

როგორც ბეჭა, ისე აღბულა ციმ დროს ავადა ათაბაგად, როცა სამცხე ეხალს განსაცდელს გადარჩა. აი რა განსაცდელს. სპარსეთის ყენი ჯაან-შაჰ-ჯერ სამშვილდეს შემოესია, დასწვა იგი სამთავრო, და დაატყვევა მრავალი

ხალხი და მერე, როცა ტფილისი აი-
ლო, 1444 წელს საათაბაგოსაც დაე-
ცა. ⁵⁵⁾ იმ დროს მეფედ ვახტანგ
მეოთხე იჯდა. მან დიდ-ძალი ლაშ-
ქარი შეკრიბა და მსწრაფლად წავიდა
სამცხეს ძტრის განსადევნად. შაჰი და
მეფე პირდაპირ შეიყარნენ და თუმ-
ცა მთელი დღე სულ იბრძოდნენ,
მანც გამარჯვება არც ერთს არ დარ-
ჩა. ჯაან-შაჰმა გაცლა აჩია და ლამე
გაიპარა. ვახტანგ მეფეს სწადდა, მტერს
უკან გამოსდგომოდა, მაგრამ დიდე-
ბულებმა არ ურჩიეს ⁵⁶⁾. ამავე წელს

⁵⁵⁾ თომა მეზობი ამბობს, ჯაან-შაჰს
საქართველოს შემოესია 1440 წ. და სამც-
ხეზე-კი ცნობას არ გადმოგვცემს. ქართვე-
ლები შიშისაგან დაიძაღნენ და ერთი მტე-
რიც ვერ მოკლესო... შემოსევის მიზეზი ხარ-
ჯის მიუცემლობა ყოფილა, Addit. et à cla-
ircis. 402—403. ბროსსეს აზრით, ჯაან-
შაჰს შემოსევა უფრო გვიან უნდა ყოფილი-
ყო, სხვა მეფის დროს და არა ვახტანგის
მეფობაში, Hist. de la G. I. 683, n. 3.

⁵⁶⁾ ვახუშტი, გვ. 302. ეს ამბავი მატია-
ნეს ორიოდე სიტყვით აქვს მოხსენებული:
“ჯაან-შაჰი ენი ახალციხეს მოუხდაო”. გვ. 475.

მოკლედ ათაბაგი იოანე და მეფე ვახტანგმა „პატრესა ათაბაგობისასა“ აიყვანა ძე მისი აღბულა. უბოძა ამირსპასალარობაც.

ცნობა არ დავერჩენია, როგორ ათაბაგობდა აღბულა მხოლოდ ვიცით, რომ იგი მტკიცედ აღდა პოლიტიკურს ერთობას და ტანტის მორჩილებას არ ჰღალატობდა. ზემოდ უკვე მოვიხსენიეთ, რომ თითოეულს სამთავროში ურჩობა დაიბადა და ერთისთავნი სამეფოს ერთობას უარჰყოფდნენო. საათაბაგოში ბევრნი არ თანაუგრძნობდნენ აღბულას მოქმედებასა და მიმართულებას და ერისთავნი მზად იყვნენ ურჩობის დროშა აღემართათ. მხოლოდ მედროშე იყო საჭირო. იგიც მალე გამოჩნდა. ათაბაგის ბიძამ ყვარყვარემ ითავა ამბოხება. ბიძა შურის თვალით უცქეროდა თავის ძმის წულს და „ინბლა რა აღბულას მოქმედებანი, იწყო გარდაბირვად მესხთაო“, ამბოღს ვახუშტი. უმთავრეს საწყენ „მოქმედე-

ბად⁵⁷ მიზინდათ აღბუღას მტკიცე მორ-
ჩილება მეფისადმი: სხვა გვარი წყენა არ
შეეძლო „მშვიდს, უშფოთველს და
სამართლის მომქმედს“ ათაბაგსა. ყვარ-
ყვარე კი ურჩობისა და განდგომის გზას
აღვა. აი ეს იყო მიზენი, რომ ძმის
წულს და ბიძას ომი მოუხდათ. აღ-
ბუღას ჰსურდა ყვარყვარე შეეპყრა,
მაგრამ ბიძამ აჯობა და ათაბაგობა
ჩამოართვა 1447 წ. რასაკვირველია,
მეფე ვერ მოითმენდა თავისი ერთგუ-
ლის ათაბაგის დაჩაგვრას. მეფე გიორ-
გი მერვე აღბუღას წაესარჩლა. მივი-
და ჯარით სამცხეს, შეიპყრა ყვარყვა-
რე და ათაბაგობა ისევ აღბუღას და-
უბრუნა⁵⁷). რა მოხდა ამას შემდეგ
საათაბაგოში, არა სჩანს. მხოლოდ
შეგვიძლიან ესთქვათ, რომ თუ აღ-
ბუღას მამა იოანე ათაბაგი „მიზენ-
ზობდა ძალყოფასა თურქთაგან“, იმისი

⁵⁷) ამ ამბავსაც ქ.-ცხოვ. ორის სიტყვით
იხსენიებს: „აღბუღა და ყვარყვარე შეიპყრეს
1447 წელსა, გვ. 475, მაგრამ რად შეიპ-
ყნ და რით გათავდა შეპყრა, არა სწერია.

შვილი ასეთს „ძალ ყოფას“ უმეტე-
სად „ამიზეზებდა“, რადგანაც, რაც
დრო და ჟამი გადიოდა, თურქ-
ნი უფრო და უფრო ძლიერდებოდნენ
და მაშასადამე საბაბაგოსაც ავიწ-
როებდნენ. აღბუღას დროს თურქებ-
მა თითქმის სრულიად დაიპყრეს ბი-
ზანტია, მხოლოდ სატახტო ქალაქი თა-
ვისი მიდამოთი ჯერ ისევ თავისუფ-
ლად იყო, თუმცა სასოწარკვეთილე-
ბით შესცქეროდა ოსმალთა ამოღე-
ბულის მახვილს. არც დასავლეთი სა-
ქართველო იყო მშვიდობიანს მდგო-
მარეობაში. 1451 წელს თურქნი ორ-
მოკდა-ათის კატაღლით (საბრძოლველი
ნაღი) დაეცნენ აფხაზეთს და სამეფოს
სხვა ზღვის ნაპირებსა და დიდი ზარალი
მისცეს. მეფე გიორგი VIII, გაიგო
თუ არა ეს ამბავი, მტრის მოსაგე-
რებლად წავიდა, მაგრამ დაუგვიანდა
და თურქებმა გაასწრეს. მეფემ მო-
ლოდ წესი და მშვიდობიანობა აღად-
გინა აოხრებულს ადგილებშიო. ამ
წელს მიიცვალა ათაბაგი აღბუღა და

იმავე დროს მეფემან“ მიუბოძა ბი-
ძანსა მისსა ყუარყუარეს მობირებითა
ვეზირთათა ათაბაგობა⁵⁸). იგი ყუარ-
ყუარე ათაბაგი უკანასკნელია, რომ-
მელმაც მეფის ხელით მიიღო ათა-
ბაგობა.

ჩვენს საგანს არ შეეხება, თუ რომ-
გორ და რისათვის დაირღვა ერთ-
მეფობა და დაარსდა დამოუკიდებელი
სამთავროები⁵⁹). შევნიშნავთ მხო-
ლოდ, რომ გიორგი VIII დროს
მეფობამ სრულიად დაჰკარგა პატივი და

⁵⁸) ვახუშტი, გვ. 303.

⁵⁹) ჯერ ბეჭითად გამორკვეული არაა, სა-
ხელდობრ როდის განიყო საქართველო სამ-
სამეფოდ და ხუთ სამთავროდ. ქ-ცნოვ. სიტყ-
ყვით ეს მოხდა ალექსანდრე მეფის დროს
(1413—1442 წ.), გვ. 474. ვახუშტი-კი
ამბობს მეფე გიორგი VIII დროსაო (1445—
1469 წ.), გვ. 302 და საბუთებსაც უჩვენ-
ებს. საზოგადოდ, ბაგრატ V შემდეგ ჩვენი
მატიანე არეულია და განუკვეცილი. ზოგი-
ერთს მეფეს არც იხსენიებს. ვახუშტი კადევ
სსვაფრივ აღწერს მეფეთა შტოსა იხ.
Hist. de la G. I. 689.

მნიშვნელობა. 1465 წ. ყვარყვარე ათაბაგმა, თანავარის ტბის პირად ომში სძლია მეფე, იგი დაატყვევა და თან წაიყვანა სამცხეში. საათაბაგოც საბოლოოდ მაშინ განდგა.

IV

პირველადვე ვსთქვი, რომ სამართლის დება მოთხოვნილებასა და საჭიროებაზედ არის დამოკიდებული. აღბუღას დროს გახშირებულა, „შემოსულა სხვანი უწესონი საქმენი“ და ათაბაგს სასტაკი ყურადღება მიუქცევია ბოროტებისათვის, — ძველს სისხლს არა დავაკელით რაო, მსუბუქი სასჯელი რომ გავაჩინოთ, ბოროტება გავრცელოდება: „ამად არა ჩამოვამციროვით, რომე ავი საქმე გაადვალდებისო“.

პირველს წინა-სიტყვაობაში მოხსენებულა სხვა საყურადღებო ამბავიც: აღბუღა ამბობს, ვაჰაჩემის ბექას დროს ფულად მიღებული იყო ყაზანური თეთრი⁶⁰) და ჩვენ „დიდის წარჩინე-

⁶⁰) ყაზანური თეთრი ფულია, რომ

ბულის მეფის გიორგის ქამისა თეთ-
რი გავაჩინეთო“ — ორი დანგი და სუ-
თი დანგია ⁶¹), რადგან „ამა ქამთა ში-
გან ყაზანურობა მოკლებული იყოო“.
აქ საყურადღებო ისაა, რომ „ყაზა-
ნურობის მოკლება“ მარტო კერძო
მოვლენას არ შეადგენს და საზოგა-
დო მდგომარეობასაც აღნიშნავს. „ყა-
ზანურობასთან“ ერთად მოისპო მონ-
გოლების ბატონობა და სამართალიც
ეროვნულს გზაზე დასდგა, მშობლიურს
ნიადაგზედ აღმოსცენდა. ამიტომაც ბე-
ქასა და აღბუღას სამართალს „მონ-
გოლური“ არა ამჩნევია რა ⁶²). მონ-

მელიც მოიჭრა ყაზან ყაენის დროს. ყაზან ყაე-
ნი სცხოვრებდა XIV საუკ. ამან შეავსო ჩინ-
გის ხანის სფუელი, ეგრედ წოდებული დ ი ი ა ს ა,
ვახუშტის ისტორია, გვ. 263.

⁶¹) დ ა ნ გ ი ერთი შაურია, H. de la G.
I. 385. II. 2. მაშასადამე, აღბუღას სამარ-
თლის თეთრი ორ შაურიანი და ხუთ შაუ-
რიანი ფულია. თეთრიც იგივე დანგია, ე. ი.
ერთი შაური.

⁶²) ჩინგის ხანის სამართალი „დიდი ია-
სა“ სულ უბრალო საქმისათვის სიკვდილს

გოლები ვერც იქონიებდნენ რაიმე თვალ საჩინო და ღრმა გავლენას ჩვენს იურიდიულს ცხოვრებაზედ, რადგანაც მათი საზოგადოებრივი წყობილება და ცხოვრება მეტად მდარე და დაბალის ღირსებისა იყო და შეეფერებოდა მხოლოდ უბინადრო და ველურს ერსა⁶³). მონგოლების მთელი ცხოვრება მოწყობილი იყო სწორედ ისე, როგორც

სდებდა სასჯელად ბრალდებულს: ვინც ტყუილს ილაპარაკებს, წყალში ან ნაცარში მოშარდავს, საკლავს მაკმადიანთ წესსზედ დაკლავს, სიკვდილით დაისაჯოსო. ი ა ს ა მ ის ი ც დაადგინა, რომ, თუნდ ზედ შემოგაღებთ ტანისამოსი, ნუ გაირეცხავთო, Проф. Леонтовича „Древний Монголо-Калмыцкий или Ойратский Уставъ взысканий,“ стр. 190—195.

⁶³) მონგოლების „ოირატის წესდება“ 1640 წ. შეიცავს ძველს ჩვეულებებს და სჯულსა. ეს წესდება ბინადრის ერის კულტურას არ შეეხებაო, ამბობს ბ.ნი ლეონტოვიჩი: იგი „представитель степной бродячей культуры.“ თვით ცხოვრება მონგოლებისა ძარცვა-გლეჯაზეა დაფუძნებულიო, *ibid.* стр. 15—17, 27—29.

ყველა განუვითარებელია და ველურის ხალხის ცხოვრებაა მოწყობილი: ეგრედ წოდებულს საგვარეულო წყობილბაზედ (родовой бытъ) დამყარდა მათი ცხოვრება და ამ წყობილობაზედ შეჩერდა მაშინაც-კი, როცა მონგოლების ბატონობაა თითქო საზღვარი აღარა ჰქონდა. გვარს—ამ პირვანდელს ფორმას—ვერ გასცილდა მათი ცხოვრება და ვრცელი, უზარმაზარი მონგოლია ისე დაირღვა და განჰქრა, რომ ნამდვილს სახელმწიფო წყობილებას ვერ ეღირსა. თვით მონგოლების სჯულ მდებლობა ამას ამტკიცებს: როგორც ჩინგის ხანის «დიღს იასას», ისე შემდეგ „ოირატის წესდებას“ საგნადა და აზრად ჰქონდა, მხოლოდ თემნი და გვარნი დაეკავშირებინა, გარეგანი ერთობა დაემყარნა⁶⁴). მთელს ამ სჯულ-მდებლობაში ისეთს ვერაფერს შეხვდებით, რომ განუვითარებული ცხოვრება მოგაგონოთ.

⁶⁴) Ibid. стр. 29.

მრავალი მუხლი სამართლისა მარტო გონების სილატაკესა და გრძნობის ნაილაჯობას გიხატაეთ⁶⁵). სულ სხვა იყო სამცხე-საათაბაგოს ცხოვრება მონგოლების დროს. იქ განჯთლება ჰყვოდა და ქრისტიანობა უხვად ჰფენდა თავის მადლს. შედარებით საათაბაგოსე მადლა იდგა მონგოლიაზედ, რომ მათ შორის საერთოს ვერას მოსძებნიდით. აიღეთ თუნდა სამართალი. აღბუღას უფრო აზრად ისა აქეს, რომ ცხოვრებას წინმსვლელობა მისცეს, წარმატებას გზა გაუხსნას...

ყველა ძველს სჯულს ერთ ინაკლი აქეს — შინაარსი არეულია და სხვადა-სხვა საგანი სისტემატიურად არაა დაწერილი. მაგრამ რომელი საგანიც უფრო თვალ-საჩინო და შესანიშნავია ცხოვრებაში, იმას პირველი ადგილი უჭირავს, პირველად იგია

⁶⁵) „ოირატის წესდება“ ამბობს ფრინველებსა და ქვემძრომს, მაგ. გველს, ნუ მოჰკლავთ, იმათაც ისეთი სული უდგიათ, როგორც კაცსაო, *ibid.* სტ. 132.

მოხსენებული ⁶⁶⁾. არც ალბულას სამართალია სისტემით შედგენილი და ეს, ცოტა არ იყოს, შესწავლას უძნელებს მსურველსა. ჩვენ საკუთარს სისტემას უნდა მივმართოთ და იმ საგნით დავაწყოთ, რომელიც საზოგადოებრივს წყობილებას შეეხება. იგი წყობილება ფეოდალურია.

ფეოდალობა მსოფლიო მოვლენას შეადგენს და როგორც ევროპაში, ისე აზიაში მოიპოვება. იმის არსებობათვის საჭირო როდია, მიწა და მამული მარტო საზოგადოების მკირედს ნაწილს ეკუთვნოდეს და ერის უმრავლესობა-კი ეკონომიურად დამონაწევებული იყოს. არა, ფეოდალური წესი მაშინაც შესაძლოა, როცა საერთო

⁶⁶⁾ Мэнъ, Древній Законъ и обычай гл. XI, классификація правовыхъ нормъ. შესანიშნავია, რომ როგორც სხვა ქველი სჯული, ისე ალბულას სამართალი ქურდობასა და განზღობას აქცევს პირველად ყურადღებას. შეადარე მუს. ბ და მზ მენის სიტყვებს.

მიწის მელობელობა არსებობს 67), თუმცა სრულს ფეოდალურს ფორმას საფუძველად ეკონომიური დამოკიდებულობაცა აქვს. არსებითი ხასიათი ფეოდალობისა იმითი გამოიხატება, რომ ერთი ანუ საზოგადოება გაყოფილია სხვა-და-სხვა წოდებად და წოდებანი კიდევ მალალ-დაბალნი არიან, იერარქიულად მოწყობილნი. საქართველოში და კერძოდ საათაბაგოში აღორძინდა სრულის ფორმის ფეოდალობა სწორედ ისე, როგორც ევროპაში. საათაბაგოს წყობილება დაფუძნდა „გვარსა“, „დიდს მამულსა“ და „საპატრიოხელზედ“ და სრული ფეოდალობა ხომ ამ სამის ნაწილისაგან შესდგება. თითქო სართულებად განყოფილ საათაბაგოს შენობაში „სისხლი დენაც“ გვარსა, მამულსა და საპატრიოხელს მისდევდა. მაგრამ კერძოდ ერთი განსაკუთრებული ხასიათი ცხადად ამჩნეა

67) М. Ковалевский, Современный обычай и древний законъ, I. стр. 31—33.

ვინა საათაბაგოს ფეოდალობას. ვახტანგის საკუთარი სამართალი თითოეულს წოდებას (გლებ-კაცობას გარდა) სამად ჰყოფს, სამ წყობად. მაგ., დიდებულნი, შუა თავადი, მესამე თავადი, გადიდებულნი აზნაურნი, შუა და ცალმოკვი და სხ. (მუხ. კვ. ლგ.) ამ გეგმაზეა აგებული მთელი ქართლის სოციალური შენობა. „სისხლნიცა ეგრედ სდირდათ ჩინებისა მათისაებრ. ზეილამ ქვეით ნახევრად, ანუ ქვეილამ ზეით ერთი ორად⁶⁸). სამცხე საათაბაგოში ცოტად სხვაფრივ არის მოწყობილი შენობა: აქ ერთი და იგივე მაღალი წოდება სამ ჯგუფად და ნაწილად არ განიყოფება. თვით სისხლიც პროპორციულად არა სდის და დენის ფორმულა ცოტად განსხვავებულია. ეგონებთ, ვახტანგის სოციალური გეგმა მხოლოდ ბოლოს დროს გაჩნდა და ძველს დროს მთელის საქართველოს წოდებრივი წყობილება ისეთივე იყო, როგორსაც აღბულა გვიხატავს.

⁶⁸) ვახუშტის ისტორია, გვ. 5.

შენობის თავში მეფე სუფევს, რომელსაც ემორჩილება საათაბაგოს „პატრონი“, თუმცა კი მისი მორჩილება ძალასა და მნიშვნელობას მოკლებულია. იმ დროინდელს პოლიტიკურს ვითარებას კვალი და გავლენა დაუმჩნევია საათაბაგოს სამართლისათვის. შაკუთარს საბძანებლში მეფეს ყველა სამოსამართლო საქმე ეკითხოდა, რადგანაც თვით სჯული და კანონი მისგან მომდინარეობდა⁶⁹⁾. საათაბაგო-

⁶⁹⁾ უძველეს დროს აზიასა და ევროპაში მეფე მსაჯულიც იყო და სამართალი მეფის მოვალეობას შეადგენდა. ამას ამტკიცებს ინდოელების, ბერძნებისა და სხვა ისტორია, Мэнъ, стр. 122—125. რომის სამეფოს დამშობას შემდეგ, ევროპის ეგრედ-წოდებულთ ბარბაროსებს საერო სამართალი ჰქონდათ (მაგ., Lex Salica), თვით ხალხი განაგებდა სამართლის საქმეს, მაგრამ ყოროლებმა ნელ-ნელა გამოაცლეს ხალხს სამართალი, ib. гл. VI. Король и гражданское правосудие. ჩვენში მეფე მსაჯულიც იყო და როცა სთხოვდნენ, ან თითონ ინებებდა, ყოველ გვარს საქმეს განაბჭობდა, მსაჯულების განაჩენსაც

ში კი მხოლოდ ცოტა რამე ეკითხვის. ასე გასინჯეთ, სამართლის დედაც მეფის დაუსწრებლად მოხდა და როცა ათაბაგმა სამართალი დაადგინა „საპატიო კაცთა სხლომითა და ბქობითა“ კრებაზედ მხოლოდ „პატრიონი“ ჯაყელი ბრძანებლობდა და არა მისი ბატონი... ეს კიდევ არაფერი მთელს სამართლის საქმეში მეფეს მხოლოდ „ლალატზე“ მიუწოდებოდა ხელი, — მეფეს მეუძლიან მოლალატეს თვალები დასწვასო (მუხ. რნგ.) მაგრამ ეს მხოლოდ ერის კაცის შესახებ. ხოლო რაც შეეხება ეპისკოპოსს, მისი „შეპყრობა“ არ ძალუძს, მფფე მართო ბოდიშს დასჯერდეს და შეხვეწნა იკმაროსო (მუხ. რბ). ასე იყო საათაბაგოში. სამეფოს სხვა ადგილას უზენაესი ძალა მეფეს ეპყრა და ეპისკოპოსის „ხელთა შეპყრობა“ შეუძლებელს არაფერს წარმოადგენ-

და. ძველადვე საქართველოს მეფეებ-
 მა, რომელნიც მხოლოდ ბიზანტიის
 მართლ-მადიდებლობაში ჰხედვიდნენ
 სიბრძნეს, დაადგინეს, სასულიერო წოდება-
 ც ტახტს უნდა ემორჩილებოდეს,
 რადგანაც მეფობა ღვთაური დაწესებ-
 ბულებათა 70) და თუ საათაბაგოში
 ეპისკოპოსის დასჯა მეფეს არ შეეძ-
 ლო, ამის მიზეზი მეფობის დამცირე-
 ბა იყო და სამთავროს დამოუკიდებ-
 ლობა.

მეფეს მოსდევს ათაბაგი, რომელ-
 საც სამცხის „პატრონობა“ აქვს მი-
 ნიჭებული. ეს „პატრონობა“ თით-
 ქმის სრულს დამოუკიდებლობას უდ-
 რის, რადგანაც პატრონი ჯაყელი

70) პირველ სამ საეუენის განმავლობაში ქრისტიანობა იმის ცდაში იყო, რომ სარწმუნოებრივი თვისება მიეღო მეფობასა და კონსტანტინე იმპერატორის დროს ეს მოვლენა კიდევ შესრულდაო, Гизо, Исторія цивилизаціи въ Европѣ, 1864 г. стр. 153—154. საქართველოშიც, ქრისტიანობას შემდეგ, მეფობას სარწმუნოებრივი თვისება დაეცყო.

თავისუფლად განაგებს სამთავროს. მეფესთან ათაბაგს მარტო გარეგანი კავშირი აქვს და სამთავროში ყოველგვარი გამგეობა და ქვეყნის მეურნეობა „პატრონის“ სახელით სწარმოებს. მეორე წინა-სიტყვაობაში (მუხ. 58.) აღბუღა პირდაპირ ამბობს, „პატრონმა და ამირ სპასალარმა მოვლესრული სამცხე და ესა და ეს დაეადგინეო. მაშასადამე, უმაღლესი მმართველობა და სჯულ-მღებლობა ათაბაგს ეკუთვნოდა, როგორც დამოუკიდებელს მთავარს. ამ მხრივ იგი მოგვაგონებს რუსეთის ძველს თავისუფალს მთავარს, კნაზს 71). რაკი ათაბაგი ასეთის უფლებით აღიჭურვა, თვით დიდებულნიც იმას ემორჩილებოდნენ. როცა შურის ძიება ჩამოვარდება დიდებულთა შორის და „პატრონის“

71) Калачовъ, Русская Правда, изд. 1880, стр. 124—125, 203. აღბუღა ცხენის პარკას, სასტიკად სდევნიც. საეურადღებოა, რომ „Правда“-ც ამბობდა „коневой тать выдается князю на потокъ...“

კაცნი მივადოდნენ, მტრობა უნდა მოიხპოსო (საბ. მუხ. ბ.), — ათაბაგის ნება თვით უმაღლესის წოდებისათვისაც სავალდებულო იყო. სამთავროს „პატრონს“ შეეძლო ყოველგვარი სასჯელი პირად თითონვე მიესაჯა პრალდებულისათვის: შამულის ჩამორთმევა, გარდახვეწა (მუხ. მა). ამ უფლებას უნდა დაუმატოთ ღირსებისა და სხვა რაიმე უპირატესობის ბოძება. სიგელით, „სასაქმო წიგნით“ ათაბაგს შეეძლო ყოველიფერა ეწყალობნა კაცისათვის (მუხ. მა.) აღმაღლება და დადაბლებაც იმაზედ არის დამოკიდებული, — „თუ პატრონი გასწყრომოდეს, ... ჩამოემციროსო. . . ეს ნიშნავს, რომ ათაბაგს შეუძლიან მაღალის ღირსებიდგან დაბალზედ ჩამოიყვანოსო. საყურადღებოა, რომ აღბუღას სამართალში ათაბაგის სისხლი გაჩენილი არ არის, როგორც გაჩენილი არ იყო მეფის სისხლიცა — „მეფისა არა დაგვიწერია-რაო“ ამბობს ვახტანგი (მუხ. ლგ.) მიზეზი ცხადია; ათაბაგი

თავის სამთავროში სჯულსა და სამართალზედ მალლა იდგა და იმის სისხლს ფასს ვერვინ დასდებდა. იმისი „პატრონობა“ სრულს ბატონობას ნიშნავდა; მით უფრო, რომ ათაბაგობა სამკვიდრო საკუთრება იყო და აბა თავის საბძანებელში ბატონს მისი ევეშევრდომი და მორჩილი ფასს როგორ დასდებს!.. თუ ბექა წოდებულია მან დატურთ-უხ უცვლად და აღბუღა კიდევ ამირ — სპასალარად, ეს ჩვენს აზრს არ არღვევს: უმაღლესის ხელის უფლების ბოძება უფრო პატივისცემა იყო მეფის მხრით, გარეგანს და ფორმალურს კავშირს უფრო ნიშნავდა. ვიდრე ნამდვილს დამოკიდებულებას მეფესა და ათაბაგს შორის.

V

ათაბაგს გვერდით უდგა მაწყურკელი, აწყურის მამათ-მთავარი, როგორც ქართლში მეფესა და კათალიკოზს ეპყრათ უმაღლესი ძალა და ერის გამგეობა — „ერთი ხორცის ხემწიფე იყო“

და მეორე სულისა“ (ვახ. მუხ. კ), ისრე ჯაყელსა და მაწყურელს ჰქონდათ განაწილებულნი „სახორციელო“ და „სასულიერო“ მმართველობა. საერო „პატრონობისაგან“ სასულიერო მწყობა საათაბაგოში ჩხოლოდ იმითი განსხვავდებოდა, რომ მაწყურლობა სამკვიდრო საკუთრებას არ შეჰდგენდა და ყველა ღირსეულს სულიერს მწყემსს შეეძლო მიეღო იგი საპატრიარქოსის უფლება⁷²). სხვაფრივ ათაბაგი და მაწყურელი თანასწორნი იყვნენ

⁷²) ძველს აღთქმაში მხოლოდ ლევიტელთა გვარს ეხარა მღვთის მსახურება მოციქულებმა და კერძოდ ტრუღის კრებამ დაადგინეს, ეკლესიის მსახურება ყველას შეეძლიანო, „словіе клириковъ не есть наследственное“, Курсъ общаго церковнаго права, М. Богословскаго, 1885 г. стр. 40. V—XII საუკ. ევროპაში ყველას შეეძლო საეკლესიო მოხელეობა მიეღო და ღირსეულნიც მიდიოდნენ სასულიერო კაცებადაც, Гизо, стр. 83—86. ჩვენში ძალადი ადგილი და ღირსება თითქმის ყოველთვის დიდგვარიანებს ეპოძებოდათ ჩოღმე.

და თითოეული დამოუკიდებლად განაგებდა საკუთარს უწყებას. პოლიტიკურმა გარემომებამ მაწყურელზედაც გაელენა იქონია და ძირეულად შესცვალა საათაბაგოს მამათ მთავრის და კათალიკოზის დამოკიდებულება. თუათაბაგი განშორდა მეფეს, მაწყურელიც კათალიკოზს განუდგა და მცხეთის კათედრას საათაბაგოს სამწყსოსი აღარა ეკითხოდარა. ამასთანავე ღირს-შესანიშნავია, რომ საათაბაგოში მაწყურელმა ისეთივე დიდება და უფლება მიაიხვეჭა, როგორც კათალიკოზსა ჰქონდა მცხეთის საკათედრო სამწყსოში. ესეთა ვითარებამ თითქო თანასწორად შესცვალა ათაბაგისა და მაწყურლის მდგომარეობა⁷⁸).

⁷⁸) ამის დამამტკიცებელი გურჯები დ. ბაქრაძეს მოჰყავს ვახუშტას ისტორიაში, გვერ. 286—287. ვგონებთ, დ. ბაქრაძე სცდება, როცა ერთს გუჟარზედ აფუძნებს თავის აზრს, ვითომ „ანტიოქიის საპატრიარქო კათედრა განაგებდა სამცხე-საათაბაგოს სამწყსოს, რო-

აღბულა ჰკოწმობს, რომ „ძვე-
ლადგან“ აწყურს საკუთარი წესდე-
ბა ჰკონდა და იგი დაეამტკაცეთო. იმ
წესდებას ჩვენამდე არ მოუღწევია და
მარტო აღბელას სამართალს უნდა
მივმართოთ მაწყურლობის განსამარ-
ტებლად.

როცა საქართველოში ქრისტიანო-
ბა დამკვიდრდა და საყოველთაო სარ-
წმუნოებად შეიქმნა, საეკლესიო გა-

გორც საკუთარსა და მცხეთის საკათალიკოსო
კათედრის უფლება აღარა სჩანსო.“ არა, ან-
ტიოქიის კათედრამ მხოლოდ დროებით და-
ისიც მოკლე ხანს მიითვისა სამცხე-საათაბა-
გოს სამწყსო. შემდეგში იგი სამწყსო ისევ
მცხეთის გამგეობაში იყო, Цер. гудж. стр.
107, 109. მეჩვიდმეტე საუკ. დომენტი იბ-
სენიება კათალიკოსად ქართლისა, კახეთისა,
სა შ ც ხ ს ა, ibid, стр. 112—113. მაღა-
ქია კათალიკოსის დადგენილებაში 1673 წ.
მონსვენებულია, მაწყურელიც უნდა დაეს-
წროს შირონისა და მეფის კურთხევაზე მცხე-
თაშიო, стр. 110—111. თითონ ავტო-
რი თავისსავე თხზულებაში ამბობს, XV საუკ.
სოფელი სხალტა (აჭარაშია) მცხეთის პატ-
რიარქს ეკედვნიდაო, Арх. пут. стр. 58.

მგეობაც დააწესეს. იმ დროს, ე. ი. მეოთხესა და მეხუთე საუკუნეს, ევროპაში და კერძოდ ბიზანტიაშიც ეკლესია დამთავრებულს იურიდიულს დაწესებულებას წარმოადგენდა და რაკია ასეთის დაწესებულებებისათვის საჭირო იყო, ყოველისფერი გაიჩინა სასულიერო წოდებამ. საეკლესიო უწყება იერარქიულად განაწყეს და პირველადვე იერარქიის უმაღლეს წარმომადგენლებმა — ეპისკოპოზებმა დიდი ღირსება და უფლება შეიძინეს: სასულიერო მწყობას გარდა, იმათ მთლად საქალაქო მმართველობაც ხელთ დაიჭირეს⁷⁴). რადგანაც საქართველო ბიზანტიის გავლენის ქვეშ იყო და იქიდგან შემოჰქონდა საეკლესიო წესები, სასულიერო წოდებაც ჩვენში ისე განაწყეს, როგორც ბიზანტიას ჰყავდა განწყობილი, — საქართველოშიც დაარსდა საეკლესიო იერარქია და ეპისკოპოზმა დიდი გა-

⁷⁴) Гизо, стр. 30—34, 117.

ელენა მოიპოვა. ძველადვე ეკკლესია
ჰქადაგებდა, ეპისკოპოზი ერის კაცს
აღემატება და უპირატესობა აქვს⁷⁵).
ამ მოძღვრებამ ფეროპაში სულიერი
მამა ხორციელ ბატონად გარდააქცია
და ამის გამო ძლიერი ქიშპობა და
მტრობა ასტეხა საერო და საეკკლესიო
წოდებას შორის. მთელი საშუალო
საუკუნოების განმავლობაში არ და-
მცხრალა იგი ქიშპობა და მტრობა⁷⁶).
მართალია, ბოლოს „ხორცის ხელ-
მწიფემ“ გაიმარჯვა, მაგრამ პირველს
ხანებში-კი ეკკლესია იყო ძლიერ-
მოსილი და სასულიერო წოდება თა-
ვის ნებაზედ განაგებდა მთელს ცხო-
ვრებას. ეპისკოპოზებისა და მეტადრე-
რომის პაპის უფლებას თიქოთ საზ-
ღვარი აღარა ჰქონდა.

საქართველოშიც პირველადვე სა-

⁷⁵) ძველადვე ეპისკოპოზი მამად არის წო-
დებული და ერის კაცთა შორის ისეთივე უპი-
რატესობა აქვს, როგორც სახლის უფროსს
ოჯახშიო, М. Богословский, стр. 16.

⁷⁶) Гизо, стр. 91 и др.

სულიერო წოდებამ დიდ ძალა და
გავლენა მოიპოვა და თუქცა ეკკლესიის
წარმომადგენელი მეფეს არ ეცი-
ლებოდა უპირატესობასა და მის
მორჩილი იყო, მაგრამ მაინც ბევრი
„სახარციელო საქმეც“ დაისაკუთრა.
დროთა მსვლელობაში საქართველოს
კათალიკოზი და კერძოდ ეპისკოპოზი
ისეთივე ბატონი, „სენიორი“ შეიქმნა,
როგორსაც დასავლეთი ევროპა გვა-
ჩვენებს. საქართველოს საეპისკოპო-
ზოც განსაკუთრებულს ფეოდალურს
დაწესებულებას შეადგენდა, სადაც
სულიერს მწყემსს, საეკკლესიო გამ-
გეობას გარდა, სახარციელო მმარ-
თველობაც ისე ჰქონდა მოწყობილი,
როგორც ერისთავსა და დიდებულს.
ამ მოვლენას საათაბაგოშიაც ეპო-
ვებთ. მაწყურელი მარტო სამცხის
მამათ-მთავარი და „სულის ხელმწიფე
არ არის, ხორცის საქმეც“ აბარია
და ზოგს „შემთხვევაში თავის საერო
უფლებით ათაბაგსაც კი აღემატება⁷⁷⁾.

⁷⁷⁾ მაწყურელის სამწყსოზედ ნახე Arch.

ზემოდ მოვიხსენიეთ, რომ ეპისკოპოზმა „თუ მეფესა შესცოდოს, მეფისაგან ხელად შეპყრობა არ ერგების, შეხვეწნა მართებსო“ (მუხ. რბ) მაშთუ ასეა, ათაბაგს რაღა უფლება ჰქონდა ეპისკოპოზზედ? — არაფერი, რადგანაც „ეპისკოპოზი მეფე არის და ქრისტიანეთა სჯულისა დამამტკიცებელი და რაცა მეფესა სჯულისა საქმე აქვს, აგრე შეიწყნარენო“... ათაბაგს ხომ, „მეფე“ არ ეთქმოდა, „მეფედ“ მოხსენებულია მხოლოდ ეპისკოპოზი და ეს სახელ-წოდება ცხადად ამტკიცებს მის უპირატესობას. საათაბაგოს ორთოდოქსურს მოძღვრებას მხოლოდ ერთი ნაბიჯი-ღა უკლდა იმ სამზღვრამდე, სადამღინაც მიალწია დასაელეთ ევროპაში რომის პაპის განუსაზღვრელმა უფლებამ. ერთის სიტ-

пут. стр. 83. თუმცა საეკლესიო სამართალი, რადგანაც ღვთიურის შთამოგებისა, სასჯელადაც ზნეობის ძალას უნდა ხმარობდეს, М. Богославскаго „Курсъ...“ стр. 3—6, მაგრამ მაწუერელი ამას არ სჯერდებოდა.

ევით, მაწყურელოზაც ისეთივე ძალითა და დიდებით აღიჭურვა, როგორც კათალიკოსობა, თუმცა-კრსაეკლესიო იერარქიაში სამცხის მამათმთავარს მეექვსე ადგილი ეჭირა ⁷⁸). რა საერო უფლება ჰქონდა მაწყურელს? — ზოგჯერ ისეთივე, როგორც ათაბაგსა. მაგალითებრ, თუ დიდებულნი ათაბაგს ემორჩილებოდნენ და იმათ ერთუროს შორის მტრობა უნდა მოესპოთ, როცა ეს ათაბაგს „ეპოიანების“, ეგრეთვე „რა მივიდეს ხატი და იგი კაცნი მაწყურელინა, მისუკან ვედარ ემტერების“ დიდებული დიდებულსა და „თუ ემტერა“ მაწყურ-

⁷⁸) მაღაქია კათალიკოსის სიგელი, Церк. Гудж. стр. 110—111, 3. იოსელიანის აზრით ეს სიგელი ეკუთვნის კათალიკოსს მიხეილს, რომელიც სცხოვრებდა VIII საუკ. წმ. მეფის არჩილის დროს. ამ სიგელში მაწყურელი მოხსენებული არ არის, მის მაგიერ ნაჩვენებია „მიტროპოლიტი დიდის სამცხისა“, რომელსაც შესაძლოა ადგილი უჭირავს, Описание древностей г. Тифлиса, стр. 59—63, прим. 54.

რელისა პატიჟი გარდაიხადოსო“ (მუხ. ბ. — „პატიჟი“ „უპატიურად და შეჭირვებით ჰყრობა“, იხ. ს. ს. ორბელიანის ლექსიკონი, სიტყვა „პატიჟი“.) არა სჩანს, რამდენად ძვირად უჯდებოდა ურჩს დიდებულს მაწყურლის „პატიჟი“, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ თვით უბრალო სასულიერო კაცის შეურაცხებასაც კი სასტიკად სჯიდა სამართალი. დიდებულების სისხლის საქმე აოჯბაგსა და მაწყურელს თანახმორად ეკითხოდათ და როცა ბრალდებული სისხლს ვერ დაიურვებდა, „გარდებვეწოს და მამული ექენდეს პატრონსა, ჯაყელსა და მაწყურელსა და ნახევარი კამოსავლისა მესისხლეს აკამოსო“ (მუხ. ბ.)⁷⁹ ვერც „ლალატს“ გადარჩებოდა კაცი მაწყურლის დაუსჯელად და

⁷⁹) ბრალდებულის მამულის წაღება, захватъ имущества, იგივე შურისძიება და უპველეს ჩვეულებას შეადგენს, М. Ковалевский, Современный обычай и древній законъ, 11 стр. 154—62.

როცა იგი „ღალატი“ მამათ მთაფ-
რის ყურამდე მიალწევდა, ბრალდე-
ბულს ორის დიდებულის სისხლი
უნდა დაეფრვა (მუხ. ლდ.) მაწყურ-
ლის მრისხანება ძმისა და ახლო ნა-
თესავის მკვლელსაც სდევნიდა. ამ
ბოროტებას სამართალი საშინელო
ბრალად ჰრაცხს: „ორკეცს სისხლს“
გარდა, მკვლელი სამუდამოდ უნდა
გარდაიხვეწოს და იმისი ხსენება აღ-
მოიფხვრას, ხოლო სხვა ეპისკოპოზ-
მა იცის, „რაც მართებს, მან უყო-
სო“ (მუხ. კგ.).

შურის-ძიების საქმე, ღალატი და
სხვა ამ გვარი დანაშაულობა ეპისკო-
პოზს სრულიადაც არ უნდა ეკითხე-
ბოდეს. სწორედ ასე განაწესა წმიდა
მამათა და კათოლიკე ეკლესიის მოძ-
ღვრებამ⁸⁰). თვით საეკლესიო მსჯავრს

⁸⁰) ეპისკოპოზს უფლება აქვს განაბჭოს
მხოლოდ სასულიერო წოდების საკუთარი საქ-
მეები. საერო ვაცზედ ხელი მაშინ მიუწვდება,
როცა საქმე შეეხება ქორწინებას, გრძნეუ-
ლობასა და მკითხაობას, М. БОРОСЛОВСКИЙ.
стр. 13—15.

განსაკუთრებული თვისება უნდა აქენ-
დეს და ფიზიკურს ღრნესა და საშუალებას
არ უნდა ჰხმარობდეს სასჯე-
ლად „უსისხლო კრავის“ შემწირვე-
ლი⁸¹⁾. თუმცა მართლ-მადიდებლობა
ამას ჰღალატებს, მაგრამ მაწყურელ-
მა იგი ღალატება არ შეისმინა, თა-
ვის „საკანონოს“ არ დასჯერდა, თა-
ვისი ჩვეულებრივი „კრულ“, შერევენ-
ბულ და წყეულ იყავნ“ არ იკმარა
და ხორციელს მსჯავრსაც აგებდა დამ-
ნაშავეს. აშკარაა, რომ სულიერმა
მამამ ხორციის ბატონობაც დაიჩეა და
სააქაო დიდება არ უარ ჰყო, თუმცა
ეპისკოპოზი მართლ „სულს ეხელმწი-
ფების“ ...

აღბუღას სამართალშიც სასული-
ერო წოდება იერარქიულად არის
მოწყობილი. ამ წოდების უპირა-
ტესობა იმით მტკიცდება, რომ,
ერის კაცთან შედარებით, თითოეულს
ეკკლესიის მსახურს დიდი სისხლო

⁸¹⁾ ibid. სტრ. 6.

სდის 82). რასაკვირველია, ყველა-
ზედ მეტი სისხლი ეპისკოპოზისაა: თუ
დიდებულმა აგინოს, ორმოცი ათასი
თეთრი მისცეს და დიდი ბოდიში მო-
იხადოსო, თუ აზნაურმა, ამის ნახე-
ვარი დაუურვოსო (მუხ. რზ, რც).
სწორედ ამოდნად ფასობდა დიდებუ-
ლისა და აზნაურის მოკვლა და მა-
შასადამე ეპისკოპოზის სიტყვით უბ-
რალო შეურაცხება წარჩინებულის კა-
ცის სიკვდილს უდრიდა. ეპისკოპოზს
თან მოსდევენ მოძღვარი, მღვდელი,
მონაზანი. არც ერთი ამათგანი «ხელ-
თა არავისგან შეიპყრობის», თუნდაც
მეფესა და ეპისკოპოზს შესცოდონ, —
მიზეზს უნდა გამოიხატოს და გარდახდე-
ვოს“ (მუხ. რდ). თუ ვინცობაა შე-
იპყრობდნენ, სრული სისხლი უნდა დაე-
ურვათ „გვარსა ზედა“ და კიდევ „ხუ-
თი ათასი სხვა ემატოს“ (მუხ. რე)
მღვდელნი ერთმანეთისაგან მხოლოდ
ხარისხით განირჩევიან. ასე დაადგინა

82) მონგოლების სასულიერო წოდებაც
იერარქიულად მოწყობილია და შედარებით

ლაოდისკისა და ანტიოქიის კრებამ⁸³). მაგრამ ფეოდალურს საათაბაგოში სასულიერო წოდებასაც სისხლი „გვარსა ზედა“ სდიოდა და იმიტომ სამართალი საზოგადო ფორმულას ჰხმარობა. საგვარეო სისხლსა «ხუთი ათასი სხვა ემატებოდა», როდგანაც მღვდელ-მონოზანი უპირატესია და მალლა სდგას თავის გვარის სწორს ერის კაცზედ. გვარი გვარისაგან განირჩევა და ძველს დროს მღვდელ-მონოზნად დიდის გვარისანი — „გვარიანნიც“ მიდიოდნენ. თუ „გვარიანს“ მღვდელ-მონოზანს რაიმე „საპატიო ხელი“ ებარა, „ხელის მქონებელი“ იყო, „მისსა სისხლსა ნახევარი სისხლი ემატოსო“. აქედამ ცხადად სჩანს, კაცს რა დიდს პატივსა და დიდებას ჰმატებდა მღვდელ-მონოზნობა: „გვარიანსა“ და „ხელის მქონებელს“ ნახევარ სისხლს, ხოლო უბრალო გვა-

დიდი სისხლი სდის, Леонтовичъ, стр. 78, თორატის წესდების მუხ. 21.

⁸³) М. Богословскій, стр. 23.

რისას ხუთი ათას თეთრს. რაკი მღვდელი მალლა იდგა ერის კაც-ზედ⁸⁴), მისი შეურაცხება დიდს დანაშაულსებას შეადგენდა: თუ დიდებულმა ან აზნაურმა აგინოს, სისხლის მესამედი დაუურვოს და „დიდად შეეხვეწოსო“ (მუხ. რთ.) ზოგჯერ მღვდელ-მონოზანსა და ასე გასინჯეთ დიაკონსაც-კი ორ-კეცი სისხლი ეურვებოდათ. მაგალითებრ: „მონოზანთა, ხუცესთა და დიაკონთა ნაცარცი ორკეცია“. სისხლი მაშინაც ორკეცობს, თუ იგინი „მალვით, ლალატით მოკლან და შეიპყრან“ რასაკვირველი, ამ მსჯავრს არ აჯერებდნენ ბრალდებულს და ნედ უმატებდნენ — „კრულ და წყეულ და შეჩვენებულ სული და ხორცი მისიო“ (მუხ. რკვ, რფშ.) საყურადღებოა, რომ თუმცა დიაკონი, ეკვ-

⁸⁴) ib. стр. 22. „Пресвитерь между СВѢТСКИМИ чинами имѣеть первенство чести“...

ლესის სწავლისამებრ, მცირე მო-
ხელეა ⁸⁵⁾, მაგრამ იმასაც სამარ-
თალი მეტად დიდს პატივსა სცემდა.

რადა და რისთვის შეიძინა სასულიერო
წოდებამ ასეთი პატივი? ჯერ ერ-
თი, რომ თვით საეკლესიო კანონ-
მა დიდი გავლენა იქონია აღბუღას
სამართალზედ. საათაბაგოში აღორ-
ძინდა ბიზანტიის უკიდურესი ორთოდ-
ოქსული მოძღვრება, რომელსაც სულ-
სა და საღმრთო საქმეთა გარდა სხვა
არაფერი სწამდა. ასეთმა მიმართულე-
ბამ მეტად განაღიდა სასულიერო წოდება და
მთელი ერის გონება და
გრძნობა ამ წოდებას დაუმორჩილა. სა-
ათაბაგოც ნება-უნებურად ბიზანტიის
გზა-კვალს დაადგა. მეორედ კიდევ,
დროება ხელს უწყობდა სასულიერო
წოდებას. ძლიერა მოსილი მაჰმადიანო-
ბა შემოესია საათაბაგოს და მახვილს
ულესავდა ქრისტიანობას. აქა-იქ მაჰმა-
დიანობამ კიდევ მოიკიდა ფეხი საქ-

⁸⁵⁾ ibid. სტრ. 23. 58 .II .502-6 (103

რისტიანოში. საჭირო იყო ეკლესიას
ძალა და გავლენა არ მოჰკლებოდა.
მაგრამ ვერც ამან უშველა ქრისტიან-
ობას. ბეჭა მესამის დროს, მეჩვიდმე-
ტე საუკუნის დამდეგს, საათაბაგოში
თითქმის სრულიად განჰქრა ქრისტიან-
ობა და ადგილი მაჰმადიანობას და-
უთმო ⁸⁶).

VI

აღბუღას სამართალი კაცის წოდებ-
რივს ღირსებას სისხლით ჰზომავს. სი-
სხლი ჰნიშნავს—ამოდენი და ამოდენი
თეთრი დაეურვოს კაცს, თუ ესა და
ეს დაუშავესო. სისხლის დენა ზემო-
დამ ქვემოდ მისდევს და ვისაც დიდი
სისხლი სდის, მაღალის ღირსებისაც
ის არის. ერთი წოდება სწორედ ამ
სისხლის დენით განსხვავდება მეორე-
საგან. არა თუ თითოეულს წოდებას,
ბევრჯელ ერთისა და იმისავე წოდებ-
ბის რომელსამე ნაწილსაც საკუთარი
სისხლი სდის. ასეთი სისხლის დენა

⁸⁶) ქ.-ცხოვ. II. გვ. 168.

საზოგადო კუთვნილებაა ყველა ძველი სამართლისა და სჯულ-მდებლობის ისტორია ჰმოწმობს, რომ სისხლი სდის, როგორც ველურს და საგვარეულო წესის მიმყოფს ერსა⁸⁷⁾, ისრე შედარებით განვითარებულს. გარდა ამისა, თითოეულს ერს საკუთარი ზომა აქვს სისხლის დენისა. აღბუღაც ამბობს, სისხლი ჰლირს ორმოცი ათასი, ოცი ათასი, თორმეტი ათასი თეთრი და სხვაო. (ჰუხ. კთ.) ამ სისხლზედ დაამყარა აღბუღამ საზოგადოებრივი შენობა, რომელსაც

⁸⁷⁾ მონგოლების წოდებრივი აგებულება საგვარეულო წუობილებაზედ იყო დაძყარებული. თითოეული გვარი (родъ) სხვა და-სხვა წოდებისაგან შესდგებოდა. თავადი სამის ღირსებისა ჰყავდათ—დიდი, შუა, პატარა, Леонтовичъ, стр. 153—154. ოსებში ეგრედ-წოდებული უოზდანლაგობა, რომელიც ჩვენებურს პირველის ხარისხის თავადობას უდრის, სყიდვითა და სამსახურიო არ მოიპოვება, იგი საკუთრებაა თორმეტის გვარისა, М. Ковалевскій, Сов. об. и др. зак. I. стр. 38—39.

ჩვენ ფეოდალური წყობილება ვუწოდეთ. იგი შენ ბა მრავალ სართულიანია. მოსახლენი მალლა და დაბლა სცხ-ფრობენ, სხვა და-სხვა წოდებად განიყოფებიან და თითოეულს წოდებანი საკუთარი სართული უჭირავს. ყველა სართულს თითქო კარებზედ აწერიაო: გვარი, მამული და საპატრო სელი. ამ წარწერით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მოსახლენი. შეძლება მოსახლე ერთის სართულიდგან მეორეში ავიდეს და დაბლიდამ მალლა მოექცეს. მხოლოდ ამითი იზიდავს გულს იგი ძველა შენობა. ჩვენ ენახეთ, რომ მეფე, ათაბაგი და მაწყურჭელი თითონ შენობაში არ სცხ-ფრობენ და შენობის თავს სდგანან. მაშ ეინ არიან მოსახლენი?

პირველი ადგილი დიდებულებს უჭირავთ. დიდებული „დიდი და მდიდარი“ კაციაო, აშობს საბა ორბელიანი (ხ. ლექსიკონი) და, რასაკვირველია, ასეთი განმარტება არა კმარა, რადგანაც დიდებულებს მარტო ჩვეულებრივს „სი-

დიდეს“ და „სიმდიდრეს“ არ სჯერდებოდა და სხვა რამესაც საჭიროებდა. დიდებული, მართალია, „დიდი“ და „მდიდარი“ იყო, მაგრამ რით? — გვარით, საპატიო ხელით, მამულით. ამ სიმის საგნისაგან შესდგებოდა დიდებულიობა და როცა რომელიმე მათგანი, მაგ. „დიდი მამული“, კაცს აკლდა, მაშინ არც დიდებული ეთქმოდა. სწორედ ასეთი ხასიათი და თვისება შერჩა ქართულს დიდებულებას შემდეგშიც, სჯულ-მდებელ ვახტანგის დროს. ვახტანგი გვიჩვენებს, ვინ იყვნენ დიდებულნი იგი მხოლოდ ექვს უდიდეს ფეოდალს. ჩამოსთვლის, „ვაჟყრელს“ და მაშასადამე „დიდ მამულიანს“ და დასძენს, რომ სხვა იმათ სახლის კაცებს დიდებულება არ ეთქმითო (მუხ. ლე.) ექვსნი „ვაჟყრელნი“ ფეოდალნი შეადგენდნენ უმაღლეს არისტოკრაციას, რომელსაც, დიდს გვარსა და მამულს გარდა, დიდი საპატიო-ხელის უფლებაც ნაბიძგები ჰქონდა. დიდებულს

სხვა სახელითაც იხსენიებდნენ და ვიდრე სამეფო გაიყოფებოდა, მთავაკს უწოდებდნენ. ხოლო სამეფოს განყოფას შემდეგ, მთავარნი მარტო ხუთს ადგილას დარჩნენ (გურიელი, დადიანი, ათაბაგი, შარვაშიძე და სვანეთის ბატონი) ⁸⁸), საათაბაგოს დიდებულებიც ისაა, რაც ქართლისა. საათაბაგოში ძველადვე ვპოვებთ რამდენსამე დიდებულს, წარჩინებულს გვარს. თითოეულს მათგანს დიდი მამული ეჭირა, საკუთარი სასაფლაო, მონასტერი და კარის ეკლესია ჰქონდა. გარდა ამისა ჰყვანდა აზნაურები და დიდძალი გლეხობა. ⁸⁹) იმათ

⁸⁸) ბროსსე „Introduction“, p. LXXIX—LXXX.

⁸⁹) დ. ბაქრაძის Арх. пут. стр. 79—87, სადაც მოყვანილია შესანიშნავი სიგელი. ზოგნი ამ სიგელში მოხმენებულნი დიდებულნი ქართლში გადმოსახლდნენ. ციციშვილები მაგ., ძველად საათაბაგოში სცხოვრებდნენ. ვახტანგი ციციშვილსაც დიდებულს უწოდებს, „როცა გაუყრელი ყოფილა,“ მუნ. ლექს. მხოლოდ გვარის უფროსი, „ერთი თავი“ ითვლენ.

დიდს გავლენას და ძალას ცხადად ამტკიცებს საათაბაგოს პოლიტიკური ისტორია: არა ერთხელ და ორჯელ განდგომიან ათაბაგს დიდებულნი, რომელნი იმ დროს ეკრისტავეხადაც იწოდებიან, და შფოთი აღუძრავთ სამთაეროში, როგორც შფოთაედნენ და უჩიობდნენ მეფესა ქართლის დიდებულნიც. ერთის სიტყვით, საათაბაგოს და ქართლის დიდებულება ერთგვარის თვისებისაა. მხოლოდ ბედი სხვა-და-სხვა ჰქონდათ: ქართლის დიდებულნი გაღურჩნენ დროთა ღელვა-

ბოდა დიდებულად. მას ჰქონდა „საპატიო ხელიც,“ ხელის-უფლება. სულ ძველად ხელის უფლებას მეფე „ღირსებისაებრ მიუბოძებდა.“ შემდეგში ეს ჩვეულება მოისპო და ხელის-უფლება სამკვიდრო საკუთრებად გადაიქცა, ვახუშტის ისტორია, გვ. 17. ეგრედწოდებული „служебно-родовое мѣстничество“ რუსეთში მონგოლების გავლენის შედეგია, Леонтовичъ, стр. 262—266. საყურადღებოა, რომ ჩვენშიც სამკვიდრო ხელის-უფლება მონგოლთა ბატონობის დროს აღორძინდა.

სა და ზვირთებს, საათაბაგოსი კი მიწი-
წილამ აღაგვენენ, — ოსშალეეთმა სრუ-
ლიად გაათახსირა ოდესმე ლაღნი და
„ქედ-მალაღნი“ საათაბოგოს დიდე-
ბულნი, მამული ჩამოართვა და ღირ-
სება ჩამოაცალა⁹⁰).

დიდებულს აზნაუკი მოსდევს და
აზნაუკობა სხვა-და-სხვა ღირსებასა.
საზოგადოდ აზნაურნი, „ჩანებისა მათის-
ამებრ“ სამად განიყოფებიან და
აღბულა უჩვენებს, თითოეული რიგი
რით განირჩეოდა, რა უპარატესობა
ჰქონდა და რა „ხელისა იყო“. მაგ-
რამ ერთსა და იმასავე რიგს ისეთნიც
ეკუთვნებიან, რომელნიც ერთმანეთი-
საგან განსხვავდებიან. ამას გამო სა-
ათაბაგოს აზნაურობა უფრო მრავალ-
ფროვანია, ვიდრე ქართლისა.

პარველს რიგს ეკუთვნოდნენ სა-
პატრონო (სულ ერთია, ათაბაგი იყო
პატრონი, თუ დიდებული) და ტაძკე-
ული (ტაძკის აზნაური). საპატრონო

⁹⁰) დ. ბაქრაძის Arch. пут. стр. 64.

აზნაური „კარგი უნდა იყოს“, „საპა-
ტიოდ პატრონს ჰყვეს“. მხოლოდ მა-
შინ ეთვლება პირველის ღირსების
აზნაურად და დიდებულის ნახევარი-
სისხლი სდის. პირველის ღირსებისა-
თვის არც ცალიერი ტამკეულობა
ჰკმაროდა: ტამკეული „ციხოსან-მო-
ნასტროსანი და მამულ-დიდი უნდა
იყოსო“ (მუხ. გ.). მაშასადამე, დიდის
აზნაურისათვის საჭირო იყო კარგი
გვარი („კარგი უნდა იყოს“), საპა-
ტიო ხელი („საპატიოდ პატრონს
ჰყვეს“) და დიდი მამული („მამულ-
დიდი უნდა იყოს“). ვისაც ამ სამს
ღირსებაში ერთი რომელიმე აკლდა,
მაშინ იმას პირველი აზნაური არ
ეწოდებოდა. მაგრამ სამართალი მა-
ინც «საპატიო ხელს» აქცევს უმ-
თავრესს ყურადღებას. ძველად სა-
პატიო სამსახურისაგან წარმოსდგა
აზნაურობა და შემდეგშიც ის დარჩა
ამ წოდების ცხოველ-მყოფელ და-
ლად⁹¹⁾

⁹¹⁾ აზნაურს Русская Правда ცხსენიებს,

რაკი აზნაურობის დასაბამი და არსება «საპატიო ხელზედ» დამყარდა, ამიტომაც სამართალი ეძიებს — ვის ეკუთვნის აზნაური და რა „ხელისა“, ე. ი. რომელთან რა გვარ სამსახურს ეწევა. მეფე და „პატრონი“ ათაბაგი პარველნი იყენენ და, რასაკვირველია, იმათთან სამსახურიც უფრო საპატიო იქმნებოდა. აქ არის მიზეზი, რომ „საპატიოდ პატრონის მყოფი“ და „ტადრეული“ პარველის ღირსების აზნაურს ეკუთვნოდნენ და დიდებულის ნახევარი სისხლი სდიოდათ (მუხ. გ.) თვით ეგრედ წოდებული ციხესან-მანასტრისობა („თუ აზნაური ციხოსან მონასტროსანი იყოს“) სხვას არაფერს

Калачовъ, стр. 126. მონგოლების ზანსანგები უდრიან ჩვენს აზნაურებს. ზანსანგები მეორე წოდებას შეადგენდნენ და ღირსებით ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ. იმათ ვაღად ედვათ სამსახური, „ТЯНУЛИ ТЯГЛО личное, служебное,“ Леонтовичъ, стр. 157, 161, როგორც საათაბაგოს აზნაურებსაც.

წინაშეა, გარდა „საპატიო ხელი-
სა“, — „ციხისა საქმე საპატიო არი-
სო“ (მუხ. ლდ.), ამბობს სამართა-
ლი. აღბურთა პირდაპირ არ, იხსენიებს,
„მონასტრის საქმე საპატიო არისო“,
მაგრამ მონასტროსობის ასეთი პატი-
ვი ეჭვს გარეშეა. იმ დროს სულის
საქმეს ძლიერ მისდევდნენ და ძვირად
აფასებდნენ. ისიც არ უნდა დავივიწყოთ,
რომ მონასტერი მარტო სუ-
ლის სავანეს არ შეადგენდა. იქ ხში-
რად მახვილიც ილესებოდა ურჯულო
მტრის მოსაგერებლად და მონასტერი
იგივე ციხე იყო...

საპატიო ხელთან საჭირო იყო
დიდი მამულიც. როცა კაცს ერთი
ჰქონდა, მეორეც უნდა ჰქონოდა.
მხოლოდ მაშინ სთვლიდნენ დიდ და
პირველ აზნაურად. მაგრამ შეიძლე-
ბოდა პატრონს აზნაური «ჩამოემ-
ცრო», „გასწყრომოდა მამასა თუ
შვილსა საქმესა რამესა ზედა“ და
საპატიო ხელი ჩამოერთმია, რა-
საკვირველია, ისიც მოხდებოდა, რომ

აზნაურს „ქამისაგან მამულთ დამცი-
რებოდეს, უციხო უმონასტრო იყოს“
(მუხ. დ) მაშინ აზნაურს ქვეით უნ-
და დაეწია და პარველ ადგილის მკ-
გიერად შეორეს დასჯერებოდა.
სწორედ ასეთი ჩამომცრობილი და
მამულ დამცირებული ეკუთვნოდა
„შუა“ აზნაურს. ასეთის აზნაუ-
რის სცხელი თორმეტი ათასი თეთრი
ჭლირდა, ე. ი. პარველის აზნაურის
სიხლის ნახევარზე ცოტა მეტი. „ჩა-
მომცრობა“ ამტკიცებს, რომ აზ-
ნაურს პირადი დამოკიდებულება ჰქონ-
და თავის ბატონთან. ხოლო „მამულ-
ლის მოკლება“ იმის საბუთია, რომ
აზნაურობა ეკონომიურს ნიადაგზე-
დაც დაფუძნდა. საზოგადოებრივი შრო-
მა და ქონებრივი შეძლება თითქო-
ხელის ხელ იყენენ გადაბმული და
აზნაურს მაშინ ელო დიდი ფასი, რო-
ცა თვალ-საჩინო სამსახურს უწევდა
თავის ბატონსა და ნიეთიერი სიმდიდ-
რე კიდევ ღონეს აძლევდა, სამსახური არ
მოეკლო. მაგრამ უფრო სამსახურს ჰქო-

ნდა ზირველი მნიშვნელობა და, როგორც აღბუღას სამართლიდგანა ჩანს, მსახურისაგან წარმოსდგა აზნაური და მსახური აზნაური შეიქმნა დიდისა და შუა აზნაურის დამაარსებელი და გამჩენელი. — ია სამაახური ედვა აზნაურს? აზნაურის მოვალეობას „საომარი საქმე“ შეადგენდა. იხრალი და ბრძოლა — აი უფრო რას სთხოვდა ბატონი თავის აზნაურს. ციხე, აბჯარი და კარაფი აზნაურს აკუთვნეს და თუმცა მოხსუნებულია „კარგოსნობა ყოველთა წესია აზნაურულიო“ (მუხ. ი.), მაგრამ ყოველგვარს სალაშქრო საქმეზედაც ესევე ითქმის. სალაშქრო სამსახურმა ფერი დასდო აზნაურის ღირსებასაცა და თუ აზნაური თანასწორნი არ იყვნენ, ეს, სხვათა შორის, ჩმიტომ, რომ თვით „საომარი საქმე“ განსხვავდებოდა. დიად, სალაშქრო სამსახურს გარედ აზნაურს მარტო კალიერი სახელი-და რჩებოდა. ასეთი აზნაური გლეხს უდრიდა, თუმცა ისეთს გლეხს კი, რომელსაც „პატრონი სი-

კეთესა ზედა იცნობდა“. აღბუღა გა-
დაჭრით ამბობს, თუ აზნაური კარ-
ფოსანი და ძმა, შვილი და ნათესა-
ვი „ველარა მისის წესითა მსახურებ-
დეს მისთა პატრონთა“, მისი სისხლი
ათასივე თეთრი იყოსო“, — ამოდენი
სისხლი ჰქონდა საპატიო გლეხსაც
(მუხ. ია, იბ.). აქ მეტი არ იქმნება
შევნიშნოთ, რომ შუა აზნაურად
ითვლებოდა დიდებულის „ბიჭი“,
უკანონო შვილი, რომელსაც მამისა-
გან მამული ჰქონდა ნაბოძები. „ბი-
ჭის“ სისხლიც თორმეტ ათას თეთ-
რად ფასობდა⁹²).

მესამე ლისებისა იყვნენ მსახურნი აზ-
ნაურნი. თუმცა მსახურ-აზნაურსაც მიუ-

⁹²) ოსეთში უოზდანლაგის უკანონო შვი-
ლები, ყავდა ხარდნი ცალკე წოდებას
შეადგენენ და ყმებად ითვლებიან. ყავდასა-
დარს სხვა წოდებაში გადასვლა აკრძალული
აქვს, М. Ковалевский, Совр. об. и др.
зак. I стр. 41—42. არა სჩანს, აღბუ-
ღას „ბიჭნი“ ცალკე წოდებას შეადგენენ,
თუ არა.

ცილებლივ სალაშქრო საქმე ებარა და „ქოთლოსან-აბჯროსან—კარეოს-ნობას“ ასრულებდა, მაგრამ სხვა რამე „საჩინო ხელიც“ ჰქონდა მხოლოდ მაშინ იყო მსახური-აზნაური შუა აზნაურის თანასწორი და ჩვენის აზრით სახელიც „მსახური“ უფრო ამიტომ დაერქვა. ბატონს ლაშქრობას გარდა, ბევრი სხვა საქმე მოეპოვებოდა, — საბატონოს ხომ მოვლა და მმართვეა უნდოდა და მარტო ბატონი ყველა ამას ვერ გაუძღვებოდა. ამის გამო ბატონი თავის აზნაურს „საჩინო ხელს“ აძლევდა და მაშინ მსახურს-აზნაურს პატივიც ემატებოდა როცა მსახურ-აზნაურს ციხის-აბჯრის-კარვის მეტი სხვა არაფერი ეკითხოდა, მაშინ ღირსებაც აკლდა და იმისი სისხლი მხოლოდ ექვსი ათასი თეთრი ჰქონდა — შუა აზნაურის სისხლის ნახევარი.

მალაღსა და დაბაღს წოდებას შორის ხიდი რომ არ ჩატეხილიყო, მსახური გააჩინეს. მსახური, ერთის მხრით

აზნაურზე მცირეა, მეორის— გლეხს
აღემატება. იგი იმათ შუა სდგას და
თუ აზნაური არ ეთქმის, არც გლე-
ხობა შეეფერება⁹³). მაშ მსახური
ვინ იყო? როგორც სახელწოდებაც
გვიჩვენებს, მსახური მოსამსახურე იყო,
მაგრამ ისეთი-კი, რომელსაც „არა
საჩინო ხელი“ ებარა. საბატონოს და
კერძოდ თვით ბატონს უმოსამსახუ-
როდ ყოფნა არ შეეძლო და ან რა
ბატონია ის, ვისაც სხვანი არ ემსახუ-
რებიან. მაგრამ სამსახური სხვა-და-
სხვა გვარისაა და მსახურს მხოლოდ
უბრალო სამსახური ებარა და ამით
განსხვავდება მსახურ-აზნაურისაგან,
რომელიც „საჩინოდ ხელობდა“, სა-

⁹³) ბ-ნია. ნახანაშვილი მსახურს გლე-
ხად სთვლის: „გლეხებში განიჩეოდნენ
მსახური, ნასყიდი, ნაბოძები, ვალ-გადუნ-
დელი, თავის ნებით შესული და რთული
ტიპი-ყმა“, ბატონყმობა საქართველოში, გვ.
14. ავტორს ვერ შეუმჩნევია, რომ თითონვე
არღვევს თავის აზრს, როცა 15 გვერდზე
სწინის მსახურის ვითარებასა და თვისებასა

პატიო საქმეს ასრულებდა, კიდევ ამით
ტომ მსახური ზედ მოსდევს მსახურს-
აზნაურს და, თითქო იმის საფუძვე-
ლიაო, ქვეით უდგია მართლაც და,
მსახურისაგან წარმოსდგა მსახური-აზ-
ნაური და ეს მით უფრო, რომ სწავლა-
დოდ სამსახური ანიჭებდა კაცს ყო-
ველს ღირსებასა და იგი სამსახური
იყო წოდებათა შექმნელი ძალა. მსა-
ხურნიც ცალკე წოდებას შეადგენდნენ
და საკუთარი ხელის უფალი ჰყავდათ,
ვახუშტი ასეთს ხელის-უფალს მსა-
ხურთ-უხუცესს უწოდებს⁹⁴) და მესა-
მე ხარისხის ხელის-უფლად სთელის.
თუმცა ეს კარგად იცის „ბატონ-ყმო-
ბის“ ავტორმა, მაგრამ მაინც მსახურ-
ნი საკუთარ წოდებად არ მიიჩნია და
გლახობასთან აერთებს. არ ვიცით
რად, თუ იმიტომ, რომ მსახურს გლე-

⁹⁴) საქართველოს ისტორია, გვ. 4, 7.
საყურადღებოა, რომ მსახურთ-უხუცესს
საღაშქრო საქმე ეკითხებოდა. აღბუღას სა-
მართლიდამ სჩანს, მსახურობა საომარ საქ-
მისაგან წარმოსდგა, შეადარე მებ. ი და ია.

ხებისგან ირჩევდნენ, ვერაფერი საბუ-
თია: საქართველოში წოდება კასტას
არ ნიშნავდა და გუშინდელი გლეხი
შეიძლებოდა ხვალ და ზევ აზნაური
შექმნილიყო. ასე იყო ევროპაშიც⁹⁵⁾
და ჩვენი ფეოდალური წყობილება
ხომ ბევრად მიაგავს ევროპიულსა.
საყურადღებოა, რომ სადაც-კი ცხოვ-
რება წოდებრივს კალაპოტზე მოწყო-
ბილა, იქ მსახურებს განსაკუთრებუ-
ლნი ადგილი სჭერიათ. ამას ვხედავთ,
მაგალითად, რუსეთსა და მონგო-
ლიაში⁹⁶⁾. საათაბაგოს მსახურნიც

⁹⁵⁾ Гизо, стр. 45.

⁹⁶⁾ Русская Правда-ს სხვა-და-სხვა გვარ-
ით „княжь мужь;“ Калачовъ, стр. 125.
„ხელს“ აქაც უპირატესობა ჰქონდა და
„книау мущис“ სისხლი მეტი ღირდა, стр.
180—182. მონგოლების „средние люди“
ჩვენს მსახურებს უდრიან, Леонтовичъ, стр.
161, 162. მაგრამ ისიც უნდა შევნიშნათ,
რომ მონგოლების წყობილება მთლად საგვარ-
ეულო დამოკიდებულებაზედ აშენდა, ad-
scriptio genti. იმათმა გავლენამ დაჰხადა რე-
სეთში „укрѣпление классовъ служилыхъ“

საკუთარს წოდებას შეადგენდნენ და იგი წოდება გლეხობაზედ მალლა იდგა. ამას აღბუღას სამართალი ამტკიცებს: მსახურის სისხლი ათასი თეთრი ღირს, უბრალო გლეხისა-კი დანშორებით ამაზედ ნაკლები (მუხ. ს, იბ.) სოციალურს შენობაში მსახურებს ცალკე ეჭირათ ადგილი. ვახტანგმაც საკუთარი ადგილი დაუნაშნა და დაადგინა, მსახურის სისხლი ერთი-ორად მეტია გლეხისაზედარ (მუხ. ლბ. ლგ.)

ვაჭარნიც საკუთარს წოდებას შეადგენდნენ და თავიანთი სისხლი სდიოდათ. ღირს შესანიშნავია, რომ ვაჭრობაც „ხელზედ“ არის დაფუძნებული და ამისდაგვარად ორად განიყოფება: დიდი - ვაჭარია, რომელიც „პატრონთა კარგად და საპატიოდ ჰყვეს და საქმის მქნელად“. ხოლო

И ТЯГЛЫХЪ“, idib стр. 253—257. ჩვენ-ში წოდებათა ასეთს „укрѣпление“-ს ვერა ვპოულობთ.

მცირე იგია, ვინც მხოლოდ „პატრო-
ნის ნახვისა და ძღვნისა მიღებას ღირს
იყოს“. პირველს სისხლში დანიშნუ-
ლი აქვს თორმეტი ათასი თეთრი,
მეორეს ექვსი ათასი (მუხ. ეზ.). მა-
შასადამე, დიდი ვაჭარი უდრის „საპა-
ტიოდ მყოფს“ აზნაურსა, მცირე-კი
ისეთს, რომელსაც „საჩინო ხელი“
არ აქვდა. ცხადია, რომ ვაჭრების
განსხვავებაც სამსახურისაგან წარმოს-
დგა და არა ნივთიერის შეძლებისაგან,
თუმცა სხვათრეც უნდა ყოფილიყო,
რადგანაც ვაჭრობის დედა - ძარღვს
ქონება და სიმდიდრე შეადგენს. მაგ-
რამ რა-კი საათაბაგოში წოდებრივის
ღირსების მოსაპოვებლად „საპატიო
ხელი“ აღიარეს, ვერც ვაჭრობა ას-
ცდა საზოგადო მისწრაფებასა და მი-
მართულებას. რა „საპატიო ხელს“
ასრულებდა ვაჭარი? სამართალი მხო-
ლოდ ბჭობას იხსენიებს — „კარგი,
დიდი ვაჭარი კკვიანი იქნების და კარ-
გად ეცოდინების ბჭობა და უსამარ-
თლოს არას იტყუისო“ (მუხ. რა.)

რასაკვირველია, „კვიანს“ ბკობას გარდა, სხვა „საპატოო ხელიც“ შეეძლო, თუმცა-კი არა სჩანს რომელია აღბუღა დიდს ყურადღებას აქცევს მრეწველობას და აღებ-მიცემობას სასტიკად სჯიდა სამართალი, ვინც ვაჭარს გაძარცვადა, მოჰკლადა და ან დასჭრიდა: ბრალდებულს „ორკეცად“ უნდა დაეურვა წანართმევი და სისხლი კიდევ სხვა იყო (მუხ. ეს.).

VII

ყველა წოდებაზედ დაბლა გლეხობა იდგა და გლეხს სულ უკანასკნელი ადგილი ეჭირა. მაგრამ გლეხნიც განირჩეოდნენ და მათი დამოკიდებულება ბატონთან სხვა - და - სხვა იყო. წერილმანს განსხვავებას თავი რომ დავანებოთ, დაბალი წოდება ორ ნაწილად განიყოფებოდა: პირველს ეკუთვნოდნენ გლეხნი, მეორეს — ემანი, მკვადრნი გლეხნი. ამ სიტყვებით აღნიშნავს აღბუღაც დაბალს წოდებას. რით განსხვავდებოდნენ ემა და გლეხი? — ს. ს. ორბელიანის განმარტე-

ბით, „ყმა მისს ალაგში მოსახლეა“, ხოლო „გლეხი მოსახლე მდაბიო“. ასეთს განმარტებას თავისი საბუთი აქვს. აღბუღას ყმა, მკვიდრი გლეხი „მისს ალაგში მოსახლეა“, — „მკვიდრს მამულსა ნუ ვინ ეცილებიო“... რატომ? — საქმე ისაა, რომ ყმობა სამამულლო დამოკიდებულებას წარმოადგენდა, ყმა მამულზედ იყო დაკრული, თითქო მამულის კუთვნილებააო და თუცა მამულს ვერვინ გამოსწირავდა; მაგრამ მაინც „ადგილი პატრონისა არის“ და ყმას არც ვასყიდვა და არც „დაწიდნა“ (ЗАКЛАДЪ) არ შეეძლო. ყმა სამკვიდრო და უცილობგელს მამულს ჰხმარობდა, მაგრამ საკუთრებას-კი მოკლებული იყო. და ან რა საკუთრება ექმნებოდა ყმას, როცა თითონაც ბატონის საკუთრებას შეადგენდა, თითქო იმისი საქონელიაო. ყმა მამულს ვერ მოშორდებოდა და სადაც უნდა წასულიყო, „მკვიდრს ბატონს“ უფლება ჰქონდა უკანვე მოეყვანა. ერთის სიტყვით, ყმა და

საყმომ მამული ბატონს ეკუთვნოდნენ და თუმცა ყმას ბატონი ან სხვა ვინმე მამულს ვერ შეეცილებოდა, მაგრამ მამული ბატონის საკუთრება იყო.

სხვაა გლეხი. ჯერ ერთი, რომ იგი „მოსახლე მღაბილა“ და საკუთარი მიწა-წყალი აქვს, მაგ., „ნასყიდი სამიწო“ (მუხ. ოა.) შეორედ, — როცა გლეხი აბატონო მამულში მოსახლობდა, მაშინ იმასა და ბატონს შორის თუმცა სამამულლო დამოკიდებულება არსებობდა, მაგრამ იმ დამოკიდებულებას ხელ-შეკრულობისა და პირობის ხასიათი ჰქონდა, გლეხი თავისუფალი მუშაკი იყო და შეეძლო კავშირი მოესპო ბატონთან. მაშასადამე, გლეხობის ძირითადს თვისებას შეადგენდა თავისუფალი და დროებითი სამამულლო დამოკიდებულება მიწას-პატრონთან. ეს დამოკიდებულება მოგვაგონებს ევროპის ვილანაჟს. როგორც ერთი, ისრე შეორე დაფუძნდა სხვის მამულის ხმარებაზე და სრულიადაც არ შეიცავდა კაცის პირადს დამოკი-

დებულებას⁹⁷). აღბუღას გლებს მხოლოდ სამამულო დამოკიდებულება აქვს ბატონთა და პირადად თავისუფალია. რადა? საათაბაგოს ცხოვრებამ პირადი ღირსება თავის დედააზრად აღიარა და წოდებანიც ამ ღირსებისა დაგვარად განსხვავდნენ. ესევე უნდა ითქვას საზოგადოდ გლებობაზედაც. გლები ორგვარია: ერთი უბრალო და მეორე ისეთი, რომელსაც „პატრონი სიკეთესა ზედა იცნობს“ (მუხ. იბ.). თუ ყმა გლებზედ დაბლა იდგა, ამის მიზეზი ყმის ეინაობა და „სიკეთეს“ მოკლება იყო. და მართლაც, დაიდგან გაჩნდა ყმობა?

საფუძვლიანად სჯის საქართველოს

⁹⁷) აღბუღას გლები ევროპიულ ვილლანს მიაგავს, Мэнъ, стр. 234—236, прим. 3. ვილლანი თავისუფალია, ვილლანაჟი—видъ поземельнаго держанія, а не личное состояніе. სულ სხვანი იყვნენ მონგოლების „люди подлые“, крѣпостные рода, обязанные безсмѣннымъ родовымъ тягломъ. Леонтовичъ, стр. 162.

„ბატონ-ყმობის“ ავტორი, რომ ყმობის საძირკველი ჩჰსდეს ტყვეს და შეუძლებელმა მოკაღემ⁹⁸). ტყვე ყველგან და ყოველთვის ძლიერა-მოხილის ყმა ყოფილა. აღბუღას სამართალიც იხსენიებს „ომსა შიგან ხელთა დარჩენილსა კაცსა“ და დასძენს, ღისიც „ნაკრავი“ გამოაჩნდეს, ტყვეც იმისიაო (მუხ. ჟბ.) პირდაპირ არა სწერია ტყვე ყმაო, მაგრამ სახელდობრივად აღნიშნავს რა საჭიროა, როცა საზოგადოდ ტყვეობა ყმობას მოასწავებდა. უფრო გარკვევითა და ნიშნობლივ მოხსენებულია შეუძლებელ მოვალის ვალში ყმად წაყვანა. ეს მოვლენა უძველესი ჩვეულებას ევრედწოდებულ არიის მოდგმის ერთა⁹⁹) და საქართველოშიაც

⁹⁸) ა. ხახანაშვილი, გვ. 18—19.

⁹⁹) Ковалевскій, Современный обычай и древній законъ, I — стр. 182—192. მაგრამ მონგოლების სამართალიც ნებას აძლევს, თუ ქურდს ნაქურდალის გადახდა არ შეუძლიან, „отдать голову“, Леонтовичъ, стр. 122, სამართლის 113 მუხლი.

ძველადვე მოიპოვება. აღბუღას სამართლით, მაგალითებრ, „პატრონს“ ნება ჰქონდა ბრალდებული „მამულითურთ გაუპატივებულთა ხელთა მიეცა“ სისხლში და ასეთს მიცემულს „რაც უნდა უყონო“ (მუხ. ლზ.). ეგრეთვე თუ ქურდი „პატრონისა უკითხავად“ ეკლესიას გასტეხდა, — „მეკობრე ხელთა მისცეს, რა გინდა უყონ, ნუ ემღურისო“ (მუხ. რიე.)¹⁰⁰ ხანდახან ბრალდებული მხოლოდ დროებით ეძლეოდა უმად სისხლში. „დარბაზის კაცს“ შეეძლო მცირედის ბოროტების ქმნისათვის დამნაშავე წაეყვანა და როცა დროებითი უმადთა დაიხსნიდა, წაიღოს „რაც შეუტანია იგი და რაცა მოუგია, მისი ნახევარიო“ (მუხ. ჟთ.) სისხლში წაყვანილს გარდა, დროებითს უმადს შეადგენდა „ნახყიდი კაციც“. აღბუ-

¹⁰⁰ ეს ჩვეულება დიდხანს დარჩა. 1780 წელს გურიაში ეპისკოპოსს ქურდი იესე ჯაპოძე მოსამსხურედ მისცეს. ვალშიც კაცებს აძლევენ, Арх. пут. стр. 238, 302—303.

ლა არას ამბობს, საიღამ წარმოსდგა
კაცის სყიდვა, მაგრამ ვგონებთ, ჩვენ-
შიც ამ მოვლენას მიზეზად სიღარიბე და
სიღატაკე დაედო, როგორც რუსეთ-
ში დაემართა „ზაკუპს“, „ნაიმიტს“.
ხშირად გვლესი და თვით ყმაც სხვა
გლესს „ნასყიდ კაცად“ უდგებოდა,
თავის თავს სყიდდა. იგი ნასყიდი გლე-
ხის დროებითი ყმა იყო, რადგანაც
„მკვიდრად“ სყიდვა გლეხებს აკრძა-
ლული ჰქონდათ და „მკვიდრს ბატონ-
საც“ ყოველთვის შეეძლო გამოესყიდ-
ნა თავ-გაყიდული კაცი. თუ გლესს მხო-
ლოდ დროებით შეეძლო გლესის
სყიდვა (მუხ. ობ.), ესევე არ ითქმის
ბატონზე: სამართალი ბატონს არ
უკრძალავს „მკვიდრად“ გლესის სყიდ-
ვას. პირი-იქით, აღბუღა ბატონს ნე-
ბას აძლევს — „საგლებო ფუძე მიყი-
დოს, გინა კაცრიელი, გინა უკაცუ-
რი“ (მუხ. ნწ.), ე. ი. გლესი გაჰყი-
დოსო სახლაკართა და სახლობით,
ანუ მართო სახლ-კარი (ფუძე) გა-
ყუიდოსო.

ტყეობამ, ვალსა და სისხლში წაყ-
ვანამა და თავის გაყიდვამ დაჰბადა
ყმა. ყმობის მიზეზი „სიკეთებელ“
ხელის აღება შეიქმნა, პირადის ღირ-
სებისა და თავისუფლების დაკარგვა
და საათაბაგოში ხომ ასეთი მდგომარ-
ეობა კაცს სულ დაბლა აყენებდა.
ყმა მოკლებული იყო „საპატორდ
ყოფნას“. და ამას გამო ეკონომურ-
რად და პირადად ბატონობამ მთლად
შეჰხუთა იგი.

თუ ილაჯ - გაწყვეტილი საბრა-
ლო არსება სხვას „თავს დაუწერ-
და“ — კოტად მაინც მოვისვენო, —
მაინც ბატონი არ უსვენებდა: „ვი-
საც ერთმანეთისა ყმა ჰყვეს ანუ
მკვიდრი გლეხი...“ „თუ კაცსა მო-
მართებელი ყმა წაუვიდეს, დაკირ-
ვას არას ემართლებიან“, ზედი-ზედ
იმეორებს აღბულა (მუხ. რე და რვ.).
სადაც უნდა წასულიყო ყმა, ბატონს
თავს ვერ დაახწევდა, მისი უფლება
აჩრდილივით თან დასცდევდა საბრალო
ჯრსებას! მხოლოდ ერთი-ღა ნუგეში

დარჩენოდა: ყმას შეეძლო შეიდ-წლო-
ბით ჩუმად შეჭტარებოდა სხვას, ან
ოცდა-ათს წელიწადს სადმე შორს ალა-
გას, სადაც „მიწდომა ძნელია“, გა-
დაკარგულიყო და მაშინ სამუდამოდ
განთავისუფლდებოდა უჯრათის ბატონ-
ისაგან (მუხ. ოს)

ყმის წასვლას ხშირად იხსენიებს
აღბულა და, იგი „წასვლა“ ამტკი-
ცებს, რომ იმის დროს საბატონყმო
ურთიერთობა გამწვავებულია, ნდობა
და სათნოება ბატონსა და ყმას შო-
რის შერყეულია და დამცირებულია.
ამიტომაც სამართალი სასტიკად სდე-
ვის როგორც უსამართლოდ წასვლას,
აგრეთვე უსამართლოდ ყმის გაძარცვას:
„თუ უსამართლოდ პატრონსა ყმა
წაუვიდეს, თორმეტი შეუკაზმოს; თუ
უსამართლოდ პატრონმა ყმა გაძარ-
ცოს, თორმეტი გლეხი დაუურვოს“
(მუხ. რმთ. რნ) 101) ამას არ სჯერ-

101) აქ სიტყვა „შეუკაზმოს“, „გლეხი
დაუურვოს“ იმას არა ნიშნავს, ვითომ პირ-

დებჯ სჯულ-მდებელი ათაბაგი და სხვაფრივაც სურს ყმის მდგომარეობა გააუმჯობესოს: „პატრონთა და ყმათა შუა საბატონყმო სამდურაეი და საცილობელი“ უნდა განაბჟონ „მეცნიერ კაცთა“, რათა „არს გაჩენილი დიდთა და მცირეთა შუა ბჟობა და მოწყალეებისა თხოვნაო“ (მუხ. პე.) მაგრამ ასეთი განჩინება ვერ დაჰბადავდა ბატონსა და ყმას შორის ღმობიერსა და ჰუმანურს განწყობილებას, რადგანაც ბატონს შეეძლო უსამართლობა თავიდამ აეცილებინა: და ან რას იზამდა საბატონ-ყმო „ბჟობა“,

დაპირ ფასში გლესს აძლევდნენ. გლესი ფულად არ იხმარებოდა და „გლესის შეკაზმა“ „დაურვება“ მხოლოდ იმის ღირებულებას, სისხლის ფასს ნიშნავდა. მინგოლების სამართალი-კი ამბობს სადავო საქმეში კაცები მიეცითო, Леонтовичъ, стр. 72, მუხ. 12. Русская Правда „ხოლოჰს“ საქონლად და ნივთად ჰხადის. იმას თითქმის არა ვითარიმე მოქალაქობრივი ურთიერთობა არა აქვს თავისუფალ კაცთან, Калачовъ, стр. 131, 132, 135, 156.

როცა, თუ ვინმე ყმას გაძარცვავდა, ყმის სისხლი ბატონს უნდა მიეღო, (მუხ. კ.), თითქო პარად ყმისათვის დარბევა არაფერიაო!?

რაკი სამართალმა ყმა ბატონის საკუთრებად აღიარა, ყმაც იურიდიულად შევიწროვდა და ბატონის ნება-დაურთველად სულ მცირე პირობითაც ვერავის შეეკვროდა. მაგალითად, ყმას შეეძლო გლეხს თავდებად დასდგომოდა მხოლოდ „ერთის ხარასა ანუ მისის ფასისას, მაგრამ ისიც ბატონის „ხელის ჩართვით“, „და თუ ხელი არ ერთოს, ვერ დაუდგების, ამად რომე არა ღირსა და მისმან პატრონმან ავად განადოს იგი გლეხი“ (მუხ. ძთ.). უეჭველია, ყმას არც ის შეეძლო, რომ ბატონის „ხელ-ჩაურთავად“ „საქნელი აღგილი“ გაეყიდნა, ან დაეგირაფებინა, — ვალი გლეხს მოსთხოვონ და მამულთან ხელი არავის აქვსო (მუხ. ოზ.) აღბუღა გლეხსა და ყმას ერთმანეთში ურევს, ხშირად ერთად იხსე-

ნიებს და ამიტომ, როგორც უკვე შევნიშნეთ, სამართალში გარკვევით ნაჩვენები არ არის გლეხისა და ყმის ფინაობა. უცილობლად მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ გლეხი სულ სხვა მოსახლე იყო, ვიდრე ყმა. ამის დასამტკიცებლად აღბურთა ერთს საყურადღებო მოვლენას გვიჩვენებს. მკვიდრს ყმას შეეძლო ბატონს გაქცეოდა, წასელოდა და სხვას ვისმე შეხიზნოდა (მუხ. ოს) 102). შეიძლება ისეც მომხდარიყო, „ვისმე კაცი შეეწყნაროს და თავი დაუწყროს და მან სიძობით შეიწყნაროს“ (მუხ. ოგ). ამორსავე შემთხვევაში თუმცა მკვიდრს ბატონს უფლება ჰქონდა „მომართებული ყმა“ უკანვე დაებრუნებინა, მაგრამ თუ რაიმე მიზეზით ვერ დაიბრუნებდა, მაშინ ყმა გლეხი ხდებოდა და მისი დამოკიდებულება ახალს პატრონ-

102) შეხიზვნას, „გაქცევას“ მონგოლების სამართალიც იხსენიებს. იქ, „перевѣтъ“ დაწინაურლობას შეადგენს, Лентовичъ, стр. 71, უხ. 7 და 10.

თან არაფერს „საყმოს“ არ წარმოადგენდა. ესევე უნდა ითქვას „თავდაწერილზედაც“. იმასაც შეეძლო ზოგიერთს შემთხვევაში ახალს პატრონს ვასცლოდა, — „საქმემან რამე გაიყვანოს“ — და თავისი შვილნი — „შემამულენი“ თან წაეყვანა. მაშასადამე, თავდაწერილი და ამისი შვილი შედარებით თავისუფალნი იყვნენ და იმათ ყმა არ ეთქმით. ყმებად არ ჩაითვლებიან ისინიც, რომელნიც შვიდ და ოცდაათ წლოებით იმაღლებოდნენ სხვაგან და მერე თავისუფლებას იძენდნენ (მუხ. ოს). ცხადია, თავდაწერამა და წასვლამ ყმას გლეხობა მიანიჭა, მაგრამ, საუბედუროდ, ბოლოს ყმები ღავთაწში ჩასწერეს და ამის გამო თავისუფლების საშუალება მოესპოთ და ყმის გლეხად გარდაქცევა გაძნელდა¹⁰³).

რადგანაც თავის დაწერა ნებაყოფლობის საქმე იყო, ამიტომ თავდაწე-

¹⁰³) ა. ხახანაშვილის „ბატონყმობა,“ გვ. 51—53, 69—71.

წილის მდგომარეობაც არ არის მოკლებული შელავათსა და თავისუფლებას. ასეთი ხასიათი შერჩა თავდაწერილს შემდეგშიც¹⁰⁴). აღბუღას ხამართალი განმარტებს, თუმცა მოკლედ, თავდაწერილის ვინაობას. თავდაწერილი ისაა, „თუ ვისმე კაცი შეეწყნაროს და თავი დაუწეროსო და მან სეფე ქალსა ზედა სიძობით შეიწყნაროს, ანუ გლეხსა და ანუ გლეხის ასულსა“ (მუხ. ოგ.) როგორც სჩანს, თავდაწერის მიზეზს სიძედ შესვლა შეადგენდა: ახალი ბატონი შერთავდა „შეწყნარებულს“ თავის ქალს („სეფე ქალი“), თუ არა და — გლეხის ასულსა და მხოლოდ ეს სიძობა ჰბადავდა განსაკუთრებულს დამოკიდებულებას ბატონსა და ყმას შორის. „სიძობით შეწყნარება“ მიუცილებლად საჭირო იყო თავდაწერისათვის და თავდაწერილი ყმაც იმას ერქვა,

¹⁰⁴) ა. ხახანაშვილის ბატონყმობა, გვ. 30—32.

ვისაც ისიძებდნენ. თუ კაცი „არცა გლახსა ზედა ვის შეესიძოს და არცა სეფე ქალსა“, მაშინ თავდაუწირედ ითვლებოდა (მუხ. ოდ.).

სამართლის ძალით, თავდაწერილს საზოგადოდ ნება არა ჰქონდა წასვლოდა ახალს ბატონს, რომელსაც თავი დაუწერა, — „წასვლას არას ემართლებიან“. მაგრამ იმავე დროს მკვიდრს ბატონს შეეძლო უკანვე მოეთხოვა თავის გლახი. თუ თავდაწერილი თავის ნებით დაბრუნდებოდა მკვიდრს ბატონთან, ხომ კარგი, თუ არა და — «სამართალიმან წაიყვანოს». პირველს შემთხვევაში, მართო თავდაწერილი უნდა დაბრუნებულიყო, იმისა ცოლ-შვილი რჩებოდა იმას, ვისაც თავი დაუწერა. თუ «სამართილი წაიყვანდა», მაშასადამე მკვიდრი ბატონი ძალიად მოითხოვდა თავის გლახს, მაშინ „ცოლ-ქმართა გაყრა უწევია და თანა გაჰყვეს, დააცისა პატრონსა ფასი დაუურევოს“, რადგანაც დიხცი ახალს ბატონს ეკუთ-

ენოდა. ამ გვარად თავის დაწერამ, რომელიც სიძობისაგან წარმოხდგა, გლახი ორ ბატონს შუა ჩააყენა: არც სრული თავისუფლება მიანიჭა და არც ნამდვილ ყმად აღიარა. «თავდაწერილს» ერთსა და იმავე დროს ორ ბატონთან ჰქონდა დამოკიდებულება—სიძობით იგი ახალს ბატონს ეკუთვნოდა, „სიმკვიდრით“ ძველს. ასეთი დამოკიდებულება არც სრული თავისუფალი გლახობა იყო და არც ნამდვილი ყმობა. როგორც თავდაწერილი ორს ბატონს შუა იდგა, ისე თავდაწერილობა გლახობასა და ყმობას შუა ჩასდგა და თავისებურს მოვლენას წარმოადგენდა. მართლაც და, თუ თავდაწერილი მკვიდრს ბატონს ჰშორდებოდა, არც ახალს ეკუთვნოდა სამუდამოდ და შეეძლო იმასაც გასცლოდა. როდის?—თუ შრომისა, დაკოდის ან სიბერის გამო უხმარი შეიქმნესო. მაშინ „თავდაწერილს“ შეეძლო თან წაეღო თავისი საკუთრება და“ ჭირნახულისა და მონაგების

მესამელი“ . ნება ჰქონდა შეიღებოდა წაესხა, მხოლოდ «კირნახულსა და მონაგებზედ“ ხელი უნდა აეღო (მუხ. ოგ.)*)

შინაური მღელვარე ცხოვრება და უწესოება ძალას ატანდა კაცს სათნოიანი ბატონი და პატრონი ეშოვნა და სწორედ ამ მიზეზმა გამოიწვია როგორც თავის დაწერა, აგრეთვე თავდაუწერლად შესვლა. თავდაუწერელიც ახალის პატრონის მძებნელი იყო, მხოლოდ ისეთი-კი, რომელიც „არცა გლებსა ზედა ვის შეესიძოს და არცა სეფე-ქალსა“. იმასაც მკვიდრი ბატონი ჰყვანდა, რომელსაც შეეძლო თავისი გლები უკანვე წაეყვანა ცოდ-შვილითა და სარჩო-საბადებელით (მუხ. ოდ.) რა-

*) ამ მუხლის მეორე ნაწილი სამართლის ბოლოშია მოქცეული, ცალკე როდ მუხლად. ჩვენის თეორიით, ეს გადამწერის შეცდომით მომხდარა. თავის დაწერა გლებს გარდა, სხვა წოდების კაცსაც შეეძლო. „სეფე ქალსა ზედა სიძობით შეწყნარება“ გლებზედ არ ითქმის.

კი თავდაუწერლად შესვლაც ნება-ყოფილობისაგან წარმოხდგა და მხოლოდ დროებითს კავშირს ჰბადავდა, ამიტომ თავდაუწერელი „მისითა გულითა წა-ვიდეს მისსა პატრონისასა“ ე. ი. თავის ნებით დაბრუნდეს მკვიდრს ბატონთან“ მითვე საქონლითა“ და გარდა ამისა, „თუ ცოლი და შვილნი ესხდეს, გაიტანნეს იგინიცაო“ (მუხ. ოც).

რა უზრთვერთობა არსებობდა თავდაუწერელსა და პატრონს შორის? ამის პასუხს აღბუღა გვაძლევს სამოცდა მეცხრამეტე მუხლში, სადაც მომხატუბულს ყმას იხსენიებს მკვიდრ ბატონისაგან შევიწროებული ყმა სხვას ეძებდა საპატრონოდ. ხშირად რამე გარეშე მიზეზიც ძალას ატანდა ყმას, საშველად და სანუგეშოდ სხვისათვის მიემართა. მაშინ პატრონი მომართებულის ყმის მფარველი და პასუხის-მგებელი უნდა შექმნილიყო. მაგ., თუ მომართებული პატრონს თავს დაანებებდა და სხვის

ნიეთ, წაიღებდა, დაუკლებლად პატრონმა უზღორო. მაშინ-კი, როცა ყმა მკვიდრს ბატონს წაუვიდეს და „მან ვისმე რამე წაუღოს,“ თითონ ყმას უნდა გარდაეხადა წანაღები— „მისსა პატრონსა არა რას ემართლების, ამაღ რომ კვიდრისა კაცისა უზაროა“ (მუხ. ოთ.*).

მკვიდრ ყმის არა-სანატრელომა მდგომარეობამ დაჰბადა წასვლას და წასვლამ კიდევ გამოიწვია თავდაწერილი, თავდაუწერილი, მომართებულნი გლეხნი. თითოეული ამ გლეხთაგანი განსხვავდებოდა ყმისაგან და საკუთარი დამოკიდებულება ჰქონდა პატრონსა და ბატონთან. თვით გლეხოზა ყმობას არ ნიშნავდა და მხოლოდ ამ სიტყვების არეგ დარეგამ შეაყდინა „ბატონ-ყმობის“ ფრთხილი მკვლევარი და ათქმე-

*) აი აღბულა ვის უწოდებს მკვიდრს ყმას: „მკვიდრი ასეთი იქნების, მამა მისი მის კაცის ყმა ყოფილიყოს და შვილი მისსა ქვეშა მისცემოდეს.“

ვინა, ვითომ აღბუღას დროს „არ არის ის ყმობა, რომლის კვალს ვპოულობთ ვახტანგის კანონებში. აღბუღამ იცის მხოლოდ დროებითი მ. ავალე, რომელსაც შეუძლიან გადასწყვიტოს ვალი და განთავისუფლდეს“¹⁰⁵). არა, აღბუღას დროსაც ისეთივე ყმობა იყო, როგორიც ვახტანგ სჯულმდებლის დროს. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ, რაც დრო და ეამი მიდიოდა, ყმობა სამძიმო შეიქმნა და გლეხის ყმად მიცემა გადავიდა. ამის გამო ძველი თავდაწერილი, თავდაუწერილა და მომართებული გლეხი ბოლოს ყმა გაჰხდა და თავისუფალის გლეხობის რიცხვი შემცირდა.

VIII

წოდებრივმა წყობილებამ ოჯახსაც განსხვავებული ფერი დასდო. საათაბაგოს ოჯახი დაფუძნდა „გვარსა ზედა“. ამიტომ თითოეულს წოდებას საკუთარი სისხლი სდიოდა საოჯახო

¹⁰⁵) ა. ხახანაშვილი, გვ. 28.

დანაშაულობისათვის. მაგალითებზე, აღბუღას სამართალი ყურადღებას აქცევს მრუშებასა და აშიყობას. როცა დიდებული ანუ აზნაური თანასწორ კაცის ცოლთან იმრუშებდა, („გამოჩნდეს ცხადად, რათა თანა იყოს“), თუ ქმარმა ცოლი დააგდოს, „უზღოს მოაშიყემან თორმეტი ათასი თეთრი და თუ არ დააგდოს, ექვსი ათასიო“. ცალიერს აშიყობას სამართალი სისხლს არა სდებდა, — მოაშიყეს სამღურავის მეტი არა მოეღისრაო, („თუ აშიყობა კაცისაგან გამოჩნდეს, ემღუროდეს, არა საკვირველია“), მაგრამ მაინც საჭიროა მოაშიყემ „უქნელობა“ იფიცოს „თავითა და ერთის აზნაურიშვილითა“ — უბრალო კაცის მოწმად მიყვანა არ შეიძლებაო (მჯ. კზ, კს). საათაბაგოს სჯულმა, ამ შემთხვევაში, ახალი არა დააწესარა, იგი მხოლოდ გავლელეულს გზასა და ჩვეულებას დაადგა. ძველადვე საქართველოს მეფენი, როცა დიდებულისა და აზნაურის სიგელს უბო-

ძებდნენ, სხვათა შორის, გვარის შე-
საფერს საოჯახო სისხლსაც უჩენდ-
ნენ¹⁰⁵). „გვარსა ზედა“ სისხლის დე-
ნამ ცოლის საოჯახო მდგომარეობა-
ზედაც გაელენა იქონია. ჩვეულება
ამბობდა, ყველამ თავის წოდების ქა-
ლი შეირთოსო, მაგრამ თუ ვინმე
თავისზე „უსაპატიოესს“ მოიყვანდა
ცოლად, სამართალი ქალს უბრძანე-
ბდა — „მაცხოვარმან დაწყევასა შიგან
ესრედ რქვა: ქმარისამცა შენისა მიმართ
არს მაქცევა შენი“. როცა ქმარი ასეთს
„უსაპატიოესს“ ცოლს დააგდებდა,
„რახსა ცა გვარისა იგი კაცი იყოს,
ეგეთსა მეტი სისხლი არა მართებსო“
(მუხ. ლა.)

„გვარს“ გარდა, საათაბაგოში დი-
დი მნიშვნელობა ჰქონდა „საპატიო-
ხელსაც“, რომელიც ღირსებას სძენ-
და ოჯახსა და მაშასადამე სისხლსაც
ჰმატებდა. მართალია, აღბუღა „საპა-

¹⁰⁵) Д. П. Пурцеладзе, Дворянскія
грамоты, 36—9.

ტიო ხელს“ მხოლოდ ხუცის ოჯახის შესახებ იხსენიებს, მაგრამ ამის მიზეზი ისაა, რომ სასულიერო წოდებას უმთავრესი აღგილი ეჭირა ცხოვრებაში და უმეტესად იგი წოდება იყო პატივდებული, თუმცა საერო კაცისათვისაც „საპატიო ხელი“ საკუთარს ღირსებას შეადგენდა. საეკლესიო კანონმა და კერძოდ ნეოკესარიის კრებამ დაადგინა, ხუცმა მრუში ცოლი დაუტევოს, თუ არა და — «ხოხა» ჩაიღვას და ერის კაცი შეიქმნესო¹⁰⁶). ეს საჯაროდ აღებული იყო საათაბაგოს ხუცისთვისაც და რადგანაც მაცდურებას ხშირად ვერც იმის ცოლი გადარჩებოდა, ამიტომ აღბუღამ დააწესა: თუ კაცმა ხუცის ცოლს უაშიყოს და „დასტურად თანაყოფა გამოჩნდეს“ (თანხმობით მრუშება მოხდეს), მაშინ ხუცს ნება აქვს ცოლი არ გაუშვას და მხოლოდ «წირვა დაადოსო».

¹⁰⁶) М. Богословскій, „Курсъ“ ... 119—120.

ხოლო მაცდურმა კაცმა „სრული სისხლი წირვისა დაგდებისათვის დაუთურვოს და ნახევარი სისხლი ცოლისა განქიქებისათვისო“... მაგრამ შეიძლება მრუში „განქიქებას“ არ დასჯერებოდა, შეშვიდე მცნებასთან შეათეც დაფრღვიე, — ხუცის ცოლი „წაგვარა“. მაშინ? — ნახევარი სისხლი ცოტაა და სრული უნდა უზღოსო, „ამად რომ ხუცი ძნელსა ყოფასა დაეძმის: ანუ ჩოხასა ჩაიკვამს“, თუ არა და, ბერად შესდგებო (მუხ. მბ.) „ჩოხის ჩაცმა“ და „წირვის დაგდება“ ნიშნავდა „საპატიო ხელის“ დაკარგვას და ვინც ამ ზარალს მიაყენებდა ხუცსა, ორკეცი სისხლი უნდა დაეჭრე — ერთი „წაგვრისა“ და მეორე „საპატიო ხელისათვის“ და ეს იმიტომ, რომ იგი „საპატიო ხელი“ შევრჯელ წოდებრივს ღირსებას უდრიდა. ხუცის ცოლს აღბუღა მეტად ჰქომაგობს და მფარველობს, — თუ ამ პატივდებულს დიაცს სახლში ვინმე შეუყვარდეს, „სისხლსა სამოცი ათასი სხვა ემატო-

სო“ (მუხ. რე.) მაგრამ „საპატრიოტუ-
ლი“ საზოგადოდ ყველა ოჯახს ანი-
ჭებდა განსაკუთრებულს თვარებასა.

თუმცა საათაბაგოს ოჯახში დარ-
ჩენილა თითო-ორი ისეთი წესი,
რომელიც უძველეს დროს ეკუთვნის
და ბარბაროსულ უხოვრების ნაშთს
შეადგენს, მაგრამ ოჯახს არც წარ-
მატება და განვითარება აკლია. ისტო-
რიული შედარება ასაბუთებს ამ დასკუ-
ნას ოჯახის დასაწყისი და პირვანდელი
ფორმა ეგრედ-წოდებული სქესებრივი
აღრევაა, ისეთი მდგომარეობა, როცა
კაცი და ქალი პირუტყვის მსგავსად
ასრულებენ ბუნების მოთხოვნილებას.
მაშინ სქესებრივი დამოკიდებულება
ყველაფრით პირუტყვეულია. კაცს დრო-
ებითი კავშირი აქვს ქალთან. შვილს
მარტო დედა ახსოვს, მშობლად მხო-
ლოდ იგი მიაჩნია და მამას ვერ იც-
ნობს. მაშინ ერთად-ერთი ნათესაობა
არსებობს — დედეულობა. ეს სქესებრივი
აღრევა და დედეულობა (матерни-
тетъ) პირველი ნაბიჯია, რომლითაც

ყველა ხალხმა დაიწყო საოჯახო ცხოვრება. თვით ევროპაში ამ ნაბიჯს ეხლაც ვერ გასცილებია ზოგიერთა ხალხი და რუსეთის სხვა-და-სხვა ადგილას, სახელდობრ არხანგელსა და ხარკოვის გუბერნიაში, ჩვენს დროსაც სქესებრივი აღრევა სწარმოებს¹⁰⁷⁾, საბერძნეთის მწერალნი და მეისტორიენი ჰმოწმობენ, ასი იყო ძველად საქართველოშიაცაო¹⁰⁸⁾ და აწინდელს დროს ხომ დედეულობის ნაშთი ცხოვლად შენახულია ხევსურეთში¹⁰⁹⁾. საათაბაგოს ოჯახსა დიდს მანძილზედ დაუტოვებია ის ხანა, როცა სქესებრივი აღრევა და დედეულო-

¹⁰⁷⁾ М. Ковалевскій, Первобытное Право, II. стр. 4—6.

¹⁰⁸⁾ Извѣстія древнихъ греческихъ и римскихъ писателей о Кавказѣ, I. стр. 14, 40, 47, Гана. ცნობები ვრცლად მოყვანილია ჩემს მონოგრაფიაში — „ძველი ქართული ოჯახი.“

¹⁰⁹⁾ М. Ковалевскій, Законъ и Обычай на Кавказѣ, I. стр. 116, 118.

ბა არსებობდა. სამართალში მკრთალად და ბუნდოვნად მოსჩანს მხოლოდ რამდენიმე კვალი ბარბაროსულ საოჯახო წყობილებისა. სქესებრივი აღრევა გამჭრალა და ოჯახი მონოგამიური შექმნილა, თუმცა სრულიად არც პოლიგამიას დაუკარგავს თავისი ძალა. პოლიგამიას ნაშთს შეადგენს, მაგ., ეგრედ წოდებული ბიჭი (უკანონო შვილი). აღბურღა ამბობს, ბიჭი უფლებას მოკლებული არ არისო, დედას ეკუთვნის და თუ ბიჭი დიდებულს ყმად ჰყავს „აზნაურულის წესითა და სამამულისა რასმე ქონებით, მისი სისხლი თორმეტი ათასი თეთრი იყოსო“ (მუხ. ლბ.) პოლიგამია, რომელიც ახლო სდგას სქესებრივ აღრევაზე, წინ უძღვის მონოგამიას და უძველესის დროს ნაანდერძვედა. მისი ნაყოფი ყველა ხალხში იგემა და შორს რომ არ წავიდეთ, რუსეთის დახასწვლებაც საკმაო იქმნება. აქ ჯერ სწავლემცამეტე საუკუნეში ჩვეულება ნებას აძლევდა კაცს ოც ცოლზედ მჭირ

ჰყოლოდა და თვით სახელოვან კნიაზ
ვლადიმერს რეაასი ხასა ჰყავდა და
ექვსი კანონიერი ცოლი¹¹⁰). რასა-
კვირველია, ჩვენ საძნელოდ ვხადით
განვმარტოთ— საათაბაგოში როგორ
და როდის მოიხპო პოლიცამია და
გზა დაუთმო მონოგამიას, ესკია, რომ
იქაც საოჯახო განვითარება საზოგა-
დო კანონს ექვემდებარებოდა და ერთ
ცოლიანობა მრავალ ცოლიანობისაგან
წარმოსდგა. ამის საბუთი ბიჭობას, ეს
ცხოველი მაგალითი მრავალ ცოლია-
ნობისა, აღბუღას სიტყვით, ბიჭს აზნა-
ურის სისხლი სდის და მარტო დიდე-
ბუღს შეუძლიან ბიჭი ჰყავდეს. სხვაგა-
ნაც ასე ყოფილა. პოლიგამიას ბოლო
მოუღო სიღარიბემა, სარწმუნოებამ
და იმ ხშირმა მოუსვენრობამა, რომ
მცლიც თან მოსდევს მრავალ ცოლია-
ნობას¹¹¹). უეჭველია, ყველა ამ მი-
ზეზს საათაბაგოზედაც გავლენა უნ-

¹¹⁰) Первобытное Право, II 76. стр.,

¹¹¹) *ibid.* 78—80.

და ჰქონოდნ და მრავალ-ცოლიანობა მოესპო.

აღბულა აღნიშნავს სხვა ჩვეულებასაც, რომელიც უფრო მეტად ამტკიცებს საზოგადო კანონის გავლენას ხაათაბაგოს ოჯახის მსვლელობაზედ. ასეთი ჩვეულება ეგრედ წოდებული ქალის წაგვრას. მეცნიერება ამბობს, რომ წაგვრა და ქალის სყიდვა უძველესი და უწინარესი ფორმაა კერძო ცოლ-ქრმობისა. ყველგან, აზიასა და ევროპაში და აგრეთვე მთელს დედამიწის ზურგზედ კერძო ოჯახი ქალის წაგვრითა და სყიდვით დაარსებულა. წაგვრამა და სყიდვამ მოსპო სქესებრივი აღრევაცა. ხოლო ჯერ კიდევ გადაჭრით გამოკვლეული არაა, რომელი უფრო წინასწარია—წაგვრა თუ სყიდვა. ერთნი წინასწარად წაგვრას უჩვენებენ, მეორენი სყიდვასა. ზოგიერთნი ამ ორ აზრს შუა სდგანან და ამტკიცებენ—წაგვრა და სყიდვა ერთსა და იმავე დროს მოქმედობსო¹¹²).

¹¹²) *bid.* 81—86.

ასე იყო, მაგალითებრ, ძველ რომში, სადაც ერთს დროს ცოლის შერთვა წაგვრითაც შეიძლებოდა და სყიდვითაც¹¹³). როგორც უნდა იყოს, უცილობელი მხოლოდ ისაა, რომ წაგვრა უფრო ადრე ჰქრება და ისპობა და საბოლოოდ სყიდვა რჩება¹¹⁴). თუმცა აღბურთა ცოლის სყიდვას პირდაპირ არ უჩვენებს, მაგრამ იმის სამართალში მოხსენებულობა არა ერთი და ორი ისეთი ჩვეულება, რომელსაც დასაწყისი სყიდვაში უძევს. ათაბაგი ცხადად მარტო წაგვრას აღწერს. იმის დროს საათაბაგოში წაგვრას ცხოველი ძალა ჰქონია, თითქმის ისეთივე, როგორც ეხლათ ფშავ-ხევსურეთში¹¹⁵). საეკლესიო კანონი ყოველთვის სდევნიდა წაგვრასა¹¹⁶), იგი ქალის სყიდ-

¹¹³) Р. Зомъ, Институци Римскаго права, 289—292.

¹¹⁴) Первобытное право, II. 107—110.

¹¹⁵) Законъ и Обычай на Каказъ, II. 89. დღესტანში ცოლს ჰყიდულობენ, *ibid.* 177—178, თუმცა წაგვრითაც ირთვენ.

¹¹⁶) М. Богословскій, 117. *ibid.*

ვასაც ეწინააღმდეგებოდა¹¹⁷) და აქ არის მიზეზი, რომ აღბუღაც სასტიკად ეპყრობა წამგვრესა.

წაგვრას ყველგან ორი დრო ჰქონია და ორად უცვლია ფერი. პირველ ზანს იგი ძალ-მომრეობა ყოფილა, მერე-კი ძალადობას თანხმობისათვის დაუთმოა პარეზი და წაგვრა ნებაყოფლობის საქმედ გადაქცეულა (სიმბოლური წაგვრა). საყურადღებოა, რომ საათაბაგოშიაც წაგვრას ამავე გზით უფლია. აღბუღა იხსენიებს ძალად და ნება-ყოფლობით წაგვრას. პირველი წაგვრა ისაა, რომელიც „დიაცისა უმეტრად და უნდომლად“ უნდა მოხდეს და „ძალთა ლაშქართა უხლებლად ვერ უზამს“... ეს „ძალა ლაშქართა“ ევროპაშიაც ჩვეულებად ჰქონიათ და ზოგიერთა ადგილას ებლაც აქვთ¹¹⁸). ამ ჩვეულებას გვაგონებს აწინდელი ქართული მაყრიონიც,

¹¹⁷) *Первобытное Право*, II. 127—8.

¹¹⁸) *ibid.* 104—6.

რომელიც თოფ-იარაღით ქორწილში
მისდევს საცოლო ვაჟს. მაგრამ მთა-
ში ეხლაც ხანდახან „ლაშქრით“ იტა-
ცებენ დიაცსა და საქორწილო მაყ-
რიონი ცალკე იციან. პირვანდელი
წაგერა ისაა, რომელსაც აღბუღა უწო-
დებს ლაშქრობას. უეჭველია, ასეთს
წაგერას თან მოსდევს სხვა-და-სხვა
ფათერაკი და ბოროტება. ამიტომ
ათაბაგი დიდ დანაშაულობად ჰხადის
„დიაცისა უშეცრად და უნდომლად“
ლაშქრით მოტაცებას, — აქ წაგერას
დასსმულობაც ზედ ერთვის და სისხ-
ლიც დაშორებით ბევრი უნდა გარ-
დახდეს ბრალდებულს: წაგვისათვის
„ორი წილი“, დასსმულობისა კიდევ
სხვა იყოს (მუხ. მს.). ნება ყოფლო-
ბითი წაგერა იმაჲ ჰქვიან, როცა „დია-
ცი მისით ნებით და წადილითა გაყვეს
თანა“. აღბუღას აზრით, ასეთი წაგერა,
შედარებით, მსუბუქი ბოროტებაა და
ბრალდებულსაც მკირე სასჯელი უნდა
გადახდეს — „რასაც გვარისა იყოს, მი-
სითა წესითა სისხლი ორი ნაწილი და-

უყურვოს ქმარსაო“. „ნებითა და წა-
დილით გაყოლა“ წაგვრის მეორე
ფორმაა. მაშასადამე, ერთსა და იმა-
ვე დროს საათაბაგოშიორივე წაგვრა
მოქმედებდა და ეს გარემოება ამტკი-
ცებს, რომ ოჯახს ფესვი ჯერ ისევ
შორეულს წარსულში ედგა, თუმცა
ცვლილებასაც მისდევდა. საოჯახო
წყობილებას ყველგან ასეთი ბედი
ჰქონია და ამ გზით უვლია. გაყოლას
თან მოსდევდა სასაქონლოს და ზი-
თვის „წატანა“, „გატანა“. აღბუღა
ამბობს, თუ წამგვრელს ქმარყოფილის
სასაქონლო „წაუტანიო“, პატრონს
დაუბრუნოსო. მაგრამ როცა დიაცი,
გაყოლის დროს, თავის ზითევს წაი-
ღებდა, ქმარყოფილი ნუ მოსთხოვს,
იმას მარტო ის დარჩეს, რაც გაყოლილ-
მა ვერ წაიღოო. თუნდა შეიღებოც თან
წაეყვანა, დიაცს მაინც ნება არა
ჰქონდა დარჩენილი მოეთხოვა, „ამად
რომ გუფით დაუგდია სახლი, ქმარი
და ზითევი“. სხვაფრივ ბჭობს აღბუ-
ღა ეგრედ წოდებულს სამამულო ზი-

თეგზედ, — თგი ზითევი დიაცის სამშობ-
ლოს ეკუთვნის და სამშობლოზე ჰკი-
დია, დაუბრუნებს თუ არა გაყოლილ-
საო. ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთი
პირობა იყო სავალდებულო: სამამუ-
ლო ზითევი ქმარყოფილს უნდა სჭე-
როდა, სინამდევ წამგვრელი სისხლს
არ დაუტრეებდა.

ჩვენ ვსთქვით, რომ სათაბაგოს წაგ-
ვრას ფესვი შორეულს წარსულში უდ-
გიაო. მართლაც და, წაგვრასთან მო-
ხსენებულია ასეთი უძველესი ჩვეულებ-
ა, როგორც დედეულობაა. დედეუ-
ლობის დროს მხოლოდ დიაცის ნა-
თესაობა იღებდა წაგვრის სისხლსა და
შურის ძიებაც ამ ნათესაობის საქმე
იყო. ქმრის ნათესაობას არა ეკითხო-
და-რა. ასე ყოფილა ყველგან და
კერძოდ ინგლელ-საქსონლების ძველი
სამართალიც ამას აწესებს ¹¹⁹⁾). აღბუ-
ლას სამართალიც თითქმის ამასვე ამ-
ბობს: თუ წაგვრილს დიაცს შეიღები

¹¹⁹⁾ Первобытное Право I. 131—133.

არა ჰყავს, წამგვრელმა სისხლი მარ-
ტო დიაკის სამშობლოს დაუტრფოს
და ქმარყოფილს სისხლისა არა ეკით-
ხვის-რაო (მუხ. მზ.) დედეული ნათე-
საობა, რომელსაც მეცნიერებაში სა-
ხელად კოლნატობა ჰქვიან, უწინარესი
კავშირი და სანათესაო დამოკიდებუ-
ლობაა. მისი დასაწყისი სქესებრივს
აღრევაშია და მაშინ ჩნდება, რო-
ცა მამა ცნობილი არაა იურიდიუ-
ლად და ყოველ გვარი ურთიერთობა
დედისაგან მომდინარეობს. კოლნატნი
ერთის სისხლისა და ხორცისანი არიან,
მხოლოდ დედა მიეჩნით მშობლად
და ნათესაობასაც იმაზე აფუძნებენ.
სისხლის აღება და სხვა გვარი მფარ-
ველობაც მათი საქმეა¹²⁰). მამეული
ნათესაობა, ეგრედ წოდებული აღნა-
ტობა შეეძღვება იბადება, როცა დედის
ადგილს მამა იჭერს და ქალი კაცს
უთმობს ასპარეზსა. და როცა აღბუ-
ლა ამბობს, უშვილო დიაკის სისხლი

¹²⁰ ibid. r.I. III, IV.

იმის სამშობლოს ეკუთვნისო, ამით უნებლიედ აღნიშნავს ერთს უძველეს ჩვეულებათაგანს.

წაგვრა სამართალში ორ ადგილას კიდევ ცალკეა მოხსენებული (მუხ. რღვ, რმვ). სჯულ-მდებელი არ განმარტავს — იგი რა თვისებისა და ხასიათისაა, მარტო დასძენს, წამგვრელმა სრული სისხლი დაიურეთსო. მაგრამ რად, როცა ზემოდ ნაჩვენებ წაგვრისათვის გაჩენილია ორგანი სისხლი? რას ნიშნავს ეს უთანასწორობა? ამის პასუხი წოდებრივს წყობილებაში უნდა მოიძებნოს. საქმე ისაა, სადაც წოდებათა სხვა-და-სხვაობა სუფევდა, იქ მდაბიო ხალხს ნაკლები სისხლი სდიოდა. ასე იყო, მაგ. ძველ რუსეთსა და მონგოლიაში¹²¹). რასაკვირველია, ვერც საათაბაგო ასცდა ამ ბედსა და წაგვრის სრული სისხლი სავალდებულო შეიქმნა მარტო და-

¹²¹) ЛЕОНТОВИЧЪ, —96, 133. მუხ. 54 და 146 ოიჩაჯის სამართლისა.

ბალ წოდებისათვის, რომელს ავიცა და კარგიც ცოტა მოეთხოვება. ორკეცი სისხლი მხოლოდ დიდებულებს სდიოდათ (და იქნება ზოგიერთა აზნაურებსაც). ამას სეფე ქაჯის წაგვრაც ამტკიცებს, — „თუ კაცმან კაცს სეფე ქალი წაგვაროს, ორის მსახურის სისხლი დაუურვოსო“ (მუხ. კე.) აქ ორი მსახურის სისხლი ორკეცს სისხლს უდრის და მალალი წოდება სწორედ ამოდენ სისხლს იურებდა¹²²).

სეფე ქაჯის (დიდებულის გასათხოვარი ქალია) წაგვრა უფრო მსუბუქი დანაშაულებია, ვიდრე დიდებულის ცოლის წაგვრა. აღბუღა დასწერს, პირველ წამგვრელმა ორის მსახურის სისხლი დაიურვოს, მეორემ — ორკეცი, დიდებულის გვარსა ზედაო. მსა-

¹²²) კერძო სიგელებში ცოლის წაგვრისათვის გაჩენილია სისხლის ნახევარი და სეფე ქალის წაგვრა მოხსენებული არაა, Двор. Грам. 36—39.

ხურო ხომ ძლიერ დაბლა იდგა დიდებულზედ. მაშასადამე, სეფე ქალის წაგვრაც უფრო საადვილო იყო. რისთვის? — მისთვის, რომ პირველად ჩვეულება კაცსა მხოლოდ გასათხოვარ ქალის წაგვრის ნებას აძლევდა, რადგანაც ასეთის წაგვრით მყარდებოდა ცოლქმრობა და სხვა საშუალება არ იყო. ქმრიან ქალის წაგვრა და ვერც წოდებული გაწბილება (წაგვრა შერცხვენის მისაყენებლად) შემდეგ გაჩენილა და როგორც სჯულ-მტებლობის ისტორია მოწმობს¹²³⁾, ყველგან მიღებული ყოფილა დიდ დანაშაულობად. მაზეზი ცხადია: იგი წაგვრა ცოლის შერთვის საშუალება-კი არა, არამედ ცოლქმრობის უარყოფა და დარღვევა და ამიტომ მეტად უნდა დაისაჯოსო. ძველად საქართველოსა და საათაბაგოშიაც ჩვეულებად მარტო გასათხოვარი ქალის წაგვრა ჰქონიათ და აქ არის საბუ-

¹²³⁾ Совр. Об. и Древ. Зак. II, 143—9.

თი, რომ ძველი სამართალიც მოწყალეა ასეთის წაგერისა. ქმრიან ქალის წაგერა ჩვენშიც შემდეგ გაჩენილა და ისეთივე ბედი გამოუვლია, როგორც სხვაგან. და ქართული წაგერაც რომ საზოგადო გზას სდგომია, ეგრედ წოდებული ჯვარის გაცვლას ამტკიცებს. ჯერ ისევ „ძეგლის-ღება“ ამბობდა, ჯვარ გაცვლილის (დანიშნულის) წაგერა სხვაა და უფრო მსუბუქია, ვიდრე ცოლისაო. რასაკვირველია, სისხლსაც სხვა-და-სხვასა სდებდა ორჯერ და ნაშაულობას, — პირველს ნაკლებსა, მეორეს მეტსა. სისხლის ასეთი მეტ-ნაკლებობა ადვილად მისაჩვედრია, თუ აზრად ვიქონიებთ, რომ „ჯვარ-გაცვლილის“ წაგერა უფრო ახლოა პირვანდელსა და ძველებურს საცოლოს მოტაცებაზედ და მაშასადამე უფრო შესაფერებელია ადათისა და ჩვეულებისა. ხოლო ადათსა და ჩვეულებას ყველა სჯულ-მდებლობა პატივსა სდებდა და „ძეგლის ღებამაც“ დასდო.

აღბულაც იხსენიების ჯვარ-გაცვლილის საცოლეს წაგვრას, მაგრამ დანაშაულობად-კი არა ჰხადის, — „სამღურავისა კიდევ დასაურევბლოდ არას ემართლების“ წამგვრელიო. ათაბაგი წამგვრელს მხოლოდ რჩევას აძლევს „მისაცემელითა რითამე გული მოუფგოს“ საქმროსა და შუაკაცებმა „ზეავი მოშალონო“ (მუხ. მ.) ცხადია, რომ საათაბაგოს ჯვარ-გაცვლილის წაგვრა თითქმის იგივე პირვანდელი წაგვრაა, რომელიც ხალხს თავის ჩვეულებად სწამდა და ადათად მიაჩნდა. ეს „ჯვარის გაცვლა“ იურიდიულს ძალას მოკლებულია და თითქო საუალდებულოც არაა საქმროსა და საცოლოსათვის. ამიტომაც სამართალი ასე მსუმბუქად იჭერს ჯვარ-გაცვლილის წამგვრელსა. და ამით კიდევ ის მტკიცდება, რომ ჩვენშიაც გასათხოვარის ქალის წაგვრა უფრო შესაწყნარებელი და ჩვეულების შესაფერი იყო, ვიდრე ცოლის წაგვრა. მართალია, ეხლაც ფშავ-ხევსურეთში

„ჯვარის გაცელას“ იუზიდიული ძალა აქვს და სავალდებულოა ორსავე მხარესათვის¹²⁴⁾, წინადაც სავალდებულოდ აღიარა იგი ვახტანგმა, მაგრამ ამ გარემოებას მიზნად უცხოელი სჯული დაედო, — ბიზანტიის სამართალში თითქმის სულ შესცვალა „ჯვარის გაცელის“ აზრი და მნიშვნელობა¹²⁵⁾. იგი სამართალი მეტად ემორჩილებოდა საეკლესიო მოძღვრებასა, ეკლესია კიდეც მუდამ წაგვრას ებძობდა და ჰქადაგებდა „ჯვარის გაცელა“ საღმრთო საქცეა და დაურღვეველი კავშირიო¹²⁶⁾. მაგრამ საათაბაგოს „ჯვარის გაცელამ“ თითქო ყური არ ათხოვა ამ ღალატებას და პირვანდელი თვისი ბუნება დაიცვა.

განსაკუთრებულოს საოჯახო მოვლენას წარმოადგენდა გვარგვან შუე-

¹²⁴⁾ Зак. и Об. на Кав. 1, 135.

¹²⁵⁾ *ibid.* 133—4.

¹²⁶⁾ М. Богословский, 104, 112

სკვნელად ქალთან კავშირი. აღბუ-
ლას სიტყვით, „თუ კაცი კაცსა ცოლ-
სა მისცემს და გვირგვინსა არ შე-
სკვნის, თორმეტი ათასი თეთრი
დაუურვოს და სამსახურიცა შეექცეს“,
ე. ი. თორმეტ ათას თეთრს გარდა,
რამდენი დროც უგვირგვინოდ უც-
ხოვრია, იმისი ცალკე მისცეს (მუხ.
რმ.) თუ ჯვარის გაცვლას სავალდე-
ბულო ძალა არა ჰქონდა, მაშ ასე
სასტიკად რად ეპყრობოდა სამართა-
ლი გვირგვინ შეუსკვნელობას? რად
მოხდა, რომ ჯვარ-გაცვლილის წამ-
გვრელს კაცა მართო „სამღურავეს
ემართლების“ და იმავე დროს გვირ-
გვინ შეუსკვნელს თორმეტ ათას თე-
თრსაც არ აჯერებს? მიზეზი და საბუ-
თი აქ თვით წაგვრასა და გვირგვინ-
შია. საზოგადოდ წაგვრა და კერძოდ
ჯვარ-გაცვლილის წაგვრა, თუმცა
ძველ დროიდან მომდინარეობდა, მაგ-
რამ მაინც ისეთს ცხოველს ჩვეულე-
ბას შეადგენდა, რომლისთვისაც სა-
მართალს ნება უნებურად მფარველო-

ბა უნდა გაეწია, უმეტეს ნაწილად ცოლს წაგვრით შიშობდნენ და ამიტომაც აღბუნდა მაგრე რიგად ყურადღებას არ აქცევდა უქმრო ქალის წაგვრას. სულ სხვა იყო გვირგვინ შეუსკვნელობა. ეს უკანასკნელი ნიშნავდა ცოლის დაგდებას და ცოლქმრობის დარღვევასა. ასეთს დანაშაულობას ეხლაც სასტიკად სდევნიან მთაში და ბრალდებულს სამწუნობრას ახდევინებენ ¹²⁷). საათაბაგოს გვირგვინ შეუსკვნელობაც ცოლის დაწუნებაა და „სამსახურის შექცევა“ ძლიერ მიაგავს სამწუნობრსა. გვირგვინ შეუსკვნელი ქალიც ცოლი იყო, ხოლო სამოქალაქო, თუ ეს სიტყვა აქ გამოდგება. ასეთი ცოლია ფშავ-ხევსურის დიაციც. და თუ აღბუნდა გვირგვინის შესკვნას ესარჩლება, ეს მხოლოდ ამტკიცებს, რომ იმის დროს ეკლესიის საქორწინო მოძღვრება ჯერ კიდევ განხორციელებული არა ყოფილა ცხოვრებაში და

¹²⁷) Зап. и Об. на Кав. II. 90.

უგვირგვინოდაც უცხოვრიათ. გვირგვინ შეუსკვნელს მრუში არ ეთქმის, იმიტომ რომ ძველი სამართალი და სხვათა შორის Русская правда და იაროსლავის «Церковный уставъ» მრუშს სასჯელს არა სდებს¹²⁸⁾, აღბულა-კი დიდს სისხლს ახდევინებს გვირგვინ შეუსკვნელსა. მაგრამ გვირგვინ შესკვნამდე „სოლად მიცემას“ სათავე მაინც წარსულს წყევდიადში აქვს, იმ ბნელსა და უმეცარ დროში, როცა სქესებრივი აღრევა არსებობდა. არა ერთი და ორი მაგალითი ღალადებს, რომ თვით ევროპაში აღრევის ნაშთი დიდხანს არ გამკრალა. ჯერ ისევ საშუალო საუკუნოებში ევროპის მდაბიო ხალხი თაყვანსა სცემდა მამაკაცის სარცხვენელს ასოსა. ამ ასოს მსგავსს პატარა ფიგურებს აკეთებდნენ და ტაძარში მიჰქონდათ. იქ კრძალვით ევედრებოდნენ, თითქო ეს

¹²⁸⁾ Собр. Об. и Древ. Зак. II. 146.

ფიგურები ყოველად მკურნალი თი-
ლისმგებიაო ¹²⁹).

ცალკეა მოხსენებული „დედაწუ-
ლის ცოლის აშაყობა და მოყივნე-
ბა“. ხოლო ეს აშაყობა და მოყივნება
დანაშაულობას მაშინ შეადგენს, რო-
ცა ქალიც დედაწულია და კაციცა, —
ერთს ქმარი ჰყავს და მეორეს ცო-
ლი. მაშასადამე, თუ უქმრო და უცო-
ლო ერთმანეთს უაშაყებდნენ და უყავ-
ნებდნენ, არაფერიო, — ალბულა ასეთს
საქციელს ბოლოად და ბოროტე-
ბადან არა სცნობს, თუ არა და, ყუ-
რადღებას არ აქცევს. რასაკვირველია,
ამ შეხედულობას საბუთი ისევ იმ
დროშა უნდა მოეძებნოს, როცა სქე-
სებრივ ვნება უსაზღვროდ ხჩქედდა
და როცა ყველა დაუბრკოლებლად
ედღეოდა გულის თქმასა... თვით „მო-
ყივნების“ მოედანი ვიწროდ არის შე-
მოფარგლული — მოყიენე „მეყვასი“
და „ერთ სახლიანი“, უნდა იყოს, ითუ

¹²⁹) Первобытное Право, II. 30—2.

არა და, მეგობარი მაინცაო. თუ მო-
ყიენე არც მეყვისი და ერთ სახლია-
ნია და არც მეგობარი, მაშინ ყველა
ეპატრივება. მოყიენების ახეთი ხასიათი
პარდაპირ ამტკიცებს, რომ საზოგა-
დოდ მრუშება არც საათაზბაგოში მიაჩ-
ნდათ დანაშაულობად, როგორც არ
მიაჩნდათ ძველად სხვაგანაც¹³⁰). მოყიე-
ნემ ცოლის ქმარს სრული სიხელი და-
ჟურგოს. მაგრამ ეს არა კმარაო: გაა-
შიშვლონ და ნიფხვის ამარა ყელზედ
საბელ შებმული უბან-უბნად ატა-
რონ სამარცხვინოდაო (მუხ. კდ.) ძვე-
ლად ინდოეთში და ზოგიერთა სხვა
ადგილას ასე სამარცხვინოდ ბოზს
ქალსა სჯიდნენ¹³¹) და თუმცა აღბუ-
ლა მხოლოდ მოყიენე კაცს უქადის
ამ სასჯელს, მაგრამ სასჯელს მაინც
დასაწყისი შორეულს წარსულში აქვს
და იქმნება უცხოეთიდგან შემოღებუ-
ლია.

¹³⁰) Совр. Об. и Древ. Зак. II 146.

¹³¹) *ibid.* 153.

მოყივნეს შეეძლო თავიღამ აეცილებინა ეს სამარცხვინო სასჯელი. ამისათვის საჭირო იყო ორკეცი სისხლის დაურვა. საყურადღებოა, რომ მარტო მღაზიო კაცს სჯიდნენ ასე სამარცხვინოდ. როცა აღბუღა კერძოდ დიდებულისა და აზნაურის ბოზობას აღწერს, სამარცხვინო სასჯელს სულ არ იხსენიებს (მუხ. კზ.) გარდა ამისა, სამართალი პირდაპირ ამბობს, მთავარმან და ზატრონმან მისმან შიშველი და ყელსაბლიანი მოყივნე უბან-უბნად ატაროდა და მთავარი და ზატრონი ხომ მარტო დაბალ წოდებას ჰყავდა. სამართალში არც „ცოლის წამება“ დავიწყებული. აღბუღა „ცოლის წამებას“ ბრალად სდებს შეწამებულს, — თუ შეწამებულმა თავი ფრცით ვერ იმართლა, ქმარს სისხლი უზღოსო (მუხ. რკა).

IX

საათაბაგოში ქმარსა და ცოლს ორგვარი დამოკიდებულება ჰქონდათ, ორმხრივ იყვნენ დაკავშირებულნი — ჰი-

რად და ქონებრივად. თვით დამოკიდებულებასა და კავშირს ამჩნევია უძველესის დროს კვლი. მაკალითებრ, აღბურღა ამბობდა, „უბრალოდ“ ცოლის დაგდება შეიძლებაო, თუმცა საეკლესიო მოძღვრება-კი სულ სხვას აწესებდა¹³²). საათაბაგოს სამართალმა თითქო არკ-კი იცის, რომ ქორწინება საიდუმლო და დაურღვეველი კავშირია, და იგი ჩვეულებრივ პირობად მიაჩნია. ძველ დროსაც ყველგან ასე ყოფილა და ცოლ-ქმრობის დამრღვეველი მხოლოდ სისხლს იურებდა. აღბურღაც მეტს არაფერს აჩენს, — „თუ კაცმა უბრალოდ ცოლი დააგდოს,

¹³²) М. Богословский, стр. 108. მიზეზი განქორწინებისა მართო მრუშებად და ძველად წმიდა მამანიც ამას ამბობდნენ, თუმცა შემდეგ ეკლესიამ კანონიერად სსვა მიზეზიც აღიარა, *ibid.* стр. 118—119. არც მრუშების გამო შეიძლებაო მსწრაფლად განქორწინება—მოთმინება იქონიეო, იქმნება მოიშალოს და ცოდვა განუტევოს მრუშმა მეუღლემაო, 121.

სისხლის ნახევარი მისცეს და მისი ზითევი“ (მუხ. ლ). „უბრალოდ“, ე. ი. უმიზნოდ კოლხსაც ნება ჰქონდა ქმარი დაეგდო, მაგრამ სამართალი, კოტა არ იყოს, დააცა ხელსაც უშლიდა—კოლი ღირსი არაა და პირველი ნურცა აკადრებს ქმარს დაკლებასაო და თუ „ღმერთი შერისხდეს, მისითა ენა ქრტიანობითა, უსირცხვიანობითა“ დაავდოს, სისხლი უშლოსო (მუხ. ლგ). უბრალოდ კოლის დაგდება საზოგადო ჩვეულებაა, იგი რომაელთა სჯულშიაც მოიპოვება¹³³) და საყურადღებოა, რომ აქამომდე დარჩენილა საათაბაგოს ერთს აღგილას, სახელდობრ აქარაში¹³⁴), ეხლაც კოლის დაგდება ხშირი ამბავია თუშ-ომავ-ხევსურეთსა და კერძოდ სვანეთში¹³⁵). ამ ჩვეულებას მიხეზად

¹³³) Р. Зомъ, стр. 305—6.

¹³⁴) დ. ბაქრაძის Arch. пут., стр. 51.

¹³⁵) Зак. и Об. на Кав. II, 50—51 და სახელად ლიცევრა ჰქვიან.

დაედო წაგვრა-სყიდვა, რომლის და-
ლით ცოლ-ქმრობას მტკიცე იურიდი-
ული მნიშვნელობა არა აქვს და დრო-
ებითი პირობაა. რასაკვირველია, თუ
ცოლიცა და ქმრის უბრალოდ დად-
გება შეიძლებოდა, მიზეზით ერთმანე-
თის გაშორება ხომ უფრო ადვილი
უნდა ყოფილიყო. აღბუღაც რამდენ-
სამე მიზეზს აღნიშნავს და მათ შო-
რის ბოზობას. თუმცა შეიძლება ქმა-
რი ცოლზე ნაკლები ბოზი არ იყოს,
მაგრამ სამართალი ადგენდა, ბოზობისა-
თვის მართო ცოლი დაიგდებოდა, — „თუ
დიაცი ბოზი არის, ზითევიცა ბოზი იქმ-
ნებისო“ (მუხ. ლ). ეს კიდევ არაფე-
რი. შესანიშნავი უფრო ისაა, რომ
ცოლს აღკრძალული ჰქონდა ქმრისა-
თვის ბოზობა დაეწამა და უკეთუ დას-
წამებდა, „ყბედი“ თავის თავს აენებ-
და. ამას აღბუღაც გახიზვებს უწოდებს.
ეს გაპირება ძალიან მიაგავს მაჰმადი-
ანების ჩვეულებას¹³⁶) და, ვინ იცის,

¹³⁶) *ibid*, სტრ. 192. მართალს ამბობს

იქნება იმათ სამართლიდგანაც არის
გადმოღებული. პი რა იყო ეს ჩვეუ-
ლება: თუ ვისმე უკოლმა სხვა დედა-
კაცსა ანუ იმის ქმარს შესჩიელოს—
ჩემი ქმარი „შენსა თანა არისო“,
„ყბედას“ ქმარმა ეს გაიგონოს და
მორწმებიცა ჰყავდეს, შეუძლიან „ყბედს
და ჯეედს“ ცოლა გაეყაროსო. ასეთს
თაებედს და ენა-დაუყენებელს დიაცს
„ბოზობის ოღნად“ უნდა გადაეხადა
სასჯელი, ე. ი. ცალიერ ზითვით გას-
ცლოდა ქმარს, ასე რომ „არც მის
ყბედის დიაცისა მეყვისნი სისხლსა
თხოვასა ემართლებიან“ ქმარსაო
(მუხ. ნა.). ქმრისათვის-კი სულ ერთი
იყო, რაძდენიც უნდა ებოზა და
ეყბედა, სამართალი არა სჯიდა!..

რად მოხდა ასე?—საქმე ისაა, რომ

ბ.ნი მ. კოვალევსკი, Зап. и Об. на Кав. I,
140, რომ ცოლს ნება არა ჰქონდა ბოზი
ქმარი დაეგდო მარტო ბოზობისათვის, მაგ-
რამ სცდება, როცა ამის საბუჯად მოჰყავს ვი
მუხლი აღბუღას სამართლისა. ამ მუხლში სულ
სხვა სწერია.

ვაპირებას კავშირი ჰქონდა ეგრედ წოდებულ ცოლის წამებასთან და ეს უკანასკნელი კიდევ აღბუღას მძამე დანაშაულობად მიაჩნდა, თითქმის ყველგან ასე ყოფილა. ჯერ ისევ ინდოელებს და ეგვიპტელებს დიდ ბოროტებად სწამდათ სხვის ცოლის ნამუსისა და პატუის შებღაფლა. ამ ნაირად ექცეოდნენ ქალის შეურაცხებას ძველნი ევროპელებნი და ბევრი სხვანიც¹³⁷). რასაკვირველია, არც საათაბაგო ჩამორჩა საზოგადო ჩვეულებას და ცოლის ლეჩაქის პატუი მალლა აღმართა. ეხლაც დიდი ღირსება სდევს ამ ლეჩაქსა და ვაი იმას, ვინც ქმრიან ქალზედ „იყბედებს“... აღბუღას თქმით, ცოლის წამება ფიცით უნდა გადაწყდეს — „თუ მტერობით შეეყიელოს, მაშინ ფიცოს არაზედა, აწ თუ არ ფიცოს, სისხლი ზღოსო“ (მუხ. რკა). მაშასადამე, ცოლის წამება, უსიამოვნობას გარდა, ზარალს აძლევდა

¹³⁷) Совр. Об. и Древ. Зак. I. 134 - 5.

შეწამებულს ქმარსა და აქ არის მი-
ზეზი, რომ სამართალი სასტიკად ექ-
ცეოდა „უბელსა და ჯეელს“ დიაცს.
გაპირებასა და ცოლის წამებაში
საათაბაგომ თითქო წინაც გაუსწრო
საზოგადო ჩვეულებას. თუმცა სხე-
ხალხთა ძველ სამართალში სიტყვით
შეურაცხება ბრალად ცნობილი არაა,
მაგრამ აღბუღამ სხვაფრივ დააწესა.
და კერძოდ ქალის შესახებ დასწერა —
„თუ დიაცი აგინოს, თორმეტი გლე-
ხი დაუტრეოს... დიაცისა საპატიოსა
უნდა გამოჩახვა“, გვარის პატივსა
მიხედვითო (მუხ. რლა).

ბოზობისა და გაპირებისაგან ცხა-
დად სჩანს, რომ აღბუღა საცოლ-
ქმრო დამოკიდებულებაში კაცს უფ-
რო ჰკერძავდა, ვიდრე ქალს. რაც
ქმარს შეენდობოდა, ის ცოლს ბრა-
ლად ედებოდა. სწორედ ასეთის მი-
მართულებისა იყო ბიზანტიის სამარ-
თალი და, უეჭველია, იმასაც გავლენ-
ა უნდა ჰქონოდა საათაბაგოს ცოლ-
ქმრობის ბედზე. ამ გავლენას კერძოდ

დასწეულებს ამტკიცებს¹³⁸). ბიზანტიაში ქმარს, სჯულის ძალით, შეეძლო დასწეულებულს ცოლს გაჰყოლოდა. აღბუღაც ამასვე ამბობს — „თუ ცოლი დასწეულდეს... გაეყაროს, შეფაცოს ნაშენითა, რომ სიძულიდით არ გაყროდეს, ნახევარი სისხლი დაუყროს“... (მუხ. რძა). მართალია, ბიზანტიაში ქმარს დასწეულებულ ცოლისათვის სიკვდილამდე სასმელ-საჭმელი და ტანთ-საცმელი არ უნდა მოეკლო, მაგრამ საათაბაგოშიაც სისხლის დაურევბას სწორედ ესაჭიროდა საგნად. ყოველ შემთხვევაში, აღბუღამ ცოტად შეცვალა დასწეულებულის მდგომარეობა — „დედაკაცი ხითვისა ნუ ითხოვს, თუ შვილი დარჩესო“. ამას ბერძნული სამართალი არ ავალებდა დიაცს. საყურადღებოა, რომ თუმცა ბიზანტიაში აღორძინდა საეკლესიო მოძღვრება, რომ-

¹³⁸) Зак. и Об. на Кав. I, 138: დასწეულება დაჭირიანება, ს. ს. ორბელიანი.

მელოც ამბობდა; დასწეულებს გამო-
განქორწინება არა ჯერ არსო¹³⁹), მაგ-
რამ იქაურმა სამოქალაქო სამართალ-
მა მაინც თავისი არ დაიშალა და საა-
თაბაგოსაც გადმოსცა დასწეულებულ
კოლის დაგდება.

კოლისა და ქმრის ქონებრივი და-
მოკიდებულება იწყება სანიჭარით,
რომელიც განსაკუთრებული სჩუქა-
რია. აღბუღას სიტყვით, „ქორწილი-
სა სანიჭარი ვალია კაცისაგან კაცსა
ზედა... სამდურავისა რასათვისმე და-
ჭირვასა არაჲ ემართლები“ (მუხ.
ლე) თუ ვინმე სანიჭარს ნებით არ
გაიღებდა, სამართლით მაინც გადაახ-
დევინებდნენ, რადგანაც „დაჭირვა“ არ
შეიძლებაო. შესანიშნავია, რომ ამ
თათვისებურს ჩვეულებას მისდევენ არა
თუ ევროპასა და აზიაში, არამედ

¹³⁹), М. Богословский, стр. 120. დას-
წეულებულს უფრო პატრონობა და მოვლა
არ უნდაო?! დასწეულების გამო მხოლოდ
დანიშნულის დაგდება შეიძლება, ibid., стр.
105.

თვით აფრიკაშია(140) და ყველგან იგი (სევე სავალდებულო არის და ყოფილა, როგორც საათაბაგოში. რას ნიშნავს თვით ჩვეულება და საიდგან-წარმოსდგა? თუმცა ამბობენ, სანიჭარი ცალიერი ნიშანია ახლად დაარსებულ სიყვარულისაო (141), მაგრამ საათაბაგოს სანიჭარს სხვა მნიშვნელობაცა აქვს. ურთიერთი სიყვარული-ნება-ყოფლობაზეა დამოკიდებული და სამართალს ამ შემთხვევაში საქმე არა აქვს. აღბუღა-კი სხვაფრივ ბჭობს — სანიჭარს უნებურადაც გადაახდევინებენო, და ეს ხომ სიყვარულის წინააღმდეგია. მა'შაქაღამე, საათაბაგოს სანიჭარიც სხვა თვისებისა და ხასიათისა იყო. ამ სანიჭარსაც დასაწყისი ისევ იმ საზოგადო ჩვეულებაში უძევს, რომელსაც კოლის სყიდვა ჰქვია.

მეცნიერება ამტკიცებს, რომ სყოლ-

140) ² Первобытное Право, II, стр. 133—134.

141) *ibid.*, стр. 135.

ვასაც ორი დრო ჰქონია და ორი გზა გაუფლია.

პირველ დროს, როგორც საქმროსა, ისე მთელს იმის გვარს, უეჭველად ყაჯიმი (ქალის ფასია) უნდა გადაეხადა საცოლეს პატრონისა და იმის გვარისათვის. მეტე ასეთს ჩვეულებას ფერი უცვლია და ყალიმის მიცემა მხოლოდ საცოლს ვაჟისა და იმის სახლობისათვის შექნილა სავალდებულო. მაგრამ ორსავე შემთხვევაში ქალსაც ყალიმისაგან ცოტა რამე უნდა ჰრგებოდა. ამას გარდა, ნათესავებსაც საჩუქარი უნდა მიეცათ — ოჯახსა და საგვარეულო მამულს თავს ანებებ და საჩუქარი იმის სანაცვლო იყოსო. წინად ეს საყალიმო წილი და სანათესაო საჩუქარი შეადგენდა სანიჰარსა¹⁴²⁾. საათაბაგოს სანიჰარიც ასე წარმოსდგა. ამიტომ, როგორც სყიდვას, ისე სანიჰარსაც სავალდებულო ძალა ჰქონდა და აღ-

¹⁴²⁾ *ibid.*, სტრ. 107—110, 147.

ბულაც ამბობდა, „სამღურაფს“ ხელ-
ზედ ვერეინ დაიხვევს, სანიჭრის და-
ჭერა არ შეიძლებაო .. რომელ გვარს
უნდა გაელო სანიჭარი? — ამის პასუხი
თვით სანიჭარის წარსულშია. სულ
წინად სანიჭარი შესდგებოდა ყალი-
მისა და ქალის ნათესაების საქუქ-
რისაგან. პირველს იხდიდა ვაჟს სახ-
ლობა და გვარეულობა, მეორეს —
ქალისა. მაშასადამე, სანიჭარი ელაღ-
დო ორსავე გვარს, მთლად ქალი-
სა და ვაჟს ნათესაობას. ჩვენის აზ-
რით, საათაბაგოშიაც სანიჭარი ორსა-
ვე გვარს უნდა გადაეხადა. ამას აწინ-
დელი ჩვეულებაც ამტკიცებს. ზემო
ქართლში, მაგ., ეხლაჲ იციან პიჩის
სანახავი, სასიძოს დასაჩუქრება, მოყვ-
რების პატივი და სხ. ხშირად ქალისა
და ვაჟის ნათესაენი საქორწილო ხარჯ-
შიაც ეწევიან ერთმანეთს. ყველა ეს
იგივე სანიჭარია, თუმცა სახელი-კი
სხვა-და სხვა ჰქვიან.

ჩვენ ვსთქვით, სულ ძველად სა-
ნიჭარი ქალის საკუთრებას შეა-

დგენდაო და, უეჭველია, საათაბაგოშიაც ასე უნდა ყოფილიყო, თუმცა სამართალი პარდაპირ ამას არ ამბობს. ქამთა ვითარების გამო, საათაბაგოს სანიჭარიც შეცვლილა და სჩანს, აღბუღას დროს, იგი მარტო ქალის საკუთრება არ უნდა ყოფილიყო. ასეთსა საკუთრებას შეადგენდა მხოლოდ ზითევი. თუმცა სანიჭარი და ზითევი სხვა-და-სხვაა, მაგრამ მათი სათავე ერთი და იგივეა, — ზითევისა ც საბაბად სყიდვა და ყალიძი დაედო. საყურადღებო კიდევ ისაა, რომ ზითევი სანიჭარის შემდეგ გაჩნდა და პარდაპირ მისგან წარმოსდგა. ეს მაშინ მოხდა, როცა სანიჭარი ქალის კერძო საკუთრებას აღარ შეადგენდა და მთელს ოჯახსა და გვარს ეკუთვნოდა. ქალის კერძო საკუთრებად ზითევი შეიქმნა და საათაბაგოშიაც სწორედ ამ თვისებით განხვავდებოდა ზითევი სანიჭარისაგან. ზითევის საერთო არა ჰქონდა რა ქმრის სამამულოსა და სასაქონლოსთან და ამ განსხვავებამ და-

ჰბადა ქონებრივი განცალკევება ცოლ-სა და ქმარს შორის. განცალკევება თავის თავად გაჩნდა და სცდებიან, როცა ამტკიცებენ, ვითომ აქ გავლენა ჰქონდა ბიზანტიისა და რომის სამართალს¹⁴³). ჯერ ერთი, მაჰმ დიანთა სჯულიც განცალკევებას აწესებს, — დაღესტანში, მაგ., ქმარსა და ცოლს კერძო საკუთრება აქვთ¹⁴⁴), და მაშასადამე გადაჭრით ვერ ითქმის, ბერძნებისა და რომაელების სამართალს ჰქონია გავლენა, თუ მაჰმადიანებისა. მეორედ, ქართულს ზითევსა და საცოლი-ქმრო ქონებრივს დაშოკიდებულებას საფუძველი უფრო საზოგადო ჩვეულებაში აქვს, იმ სყიდვასა და ყალიბში, რომელიც ყველგან არსებობდა და არავის კერძო ჯდათი არა ყოფილა. ჩვენს მთაში ცხლაც იციან სათავნო, რომელიც დიაცის საკუთრებას შეადგენს და იგივე ზითევია.

¹⁴³) Зак. и Об. на Кав., I, 143—4.

¹⁴⁴) Зак. и Об. на Кав., II, 196—7.

ეს სათავენი ნამდვილი ეროვნული დაწესებულებაა, თუმცა, რასაკვირველია, საზოგადო ჩვეულებასაც ემსგავსება.

ყველგან ზითევი მაშინ დაარსებულა, როცა სყიდვას ნელ ნელი თავისი ძალა და მნიშვნელობა დაუკარგავს. იმ დროს არც ქალი იყო უწინდებურად ოჯახის ნიეთი და გათხოვების დროს თან ატანდნენ მთლად ყალიძს, თუ არა-და, ნაწილს მაინც¹⁴⁵). სწორედ ქართული ზითევიც ყალიძის საქმე ყოფილა. ყალიძის თვისება ეხლაც ცხადად ეტყობა საგლეხო ზითევს. ზემო ქართლში, მაგ., სასიძომ ფული უნდა მიუტანოს საცოლოს ოჯახსა და იმ ფულით ქალს ზითევს უმზადებენ.

სხვაფრივ არის მთაში. იქ ქალს პატარობიდანვე თითონ ოჯახი აძლევს სათავეს. ამის მიზეზი ისაა, რომ მთაში უფრო წაგვრით ირთვენ

¹⁴⁵) Первобытное Право, II, 137—140.

ცოლსა და სყიდვას თითქმის სრულ-
ლიად არ მისდევენ. ხოლო სადაც
წაგვრაც იციან და სყიდვაც, სახლ-
ლობრ დაღესჭანში, იქ ზითევი სყი-
დვისგან წარმომდგარა.

საათაბაგოს ზითევი ორ გვარია:
სამამულო და სასაქონლო (მუხ. მზ),
ე. ი. უძრავისა და მოძრავის ქონე-
ბისაგან შესდგება. რომაილების ზი-
თევიც (dos) ასეთი იყო¹⁴⁶). აღბულა-
განმარტავს, თუ რითი განსხვავდება
სამამულო ზითევი სასაქონლოსაგან.
ეს განსხვავება მარტო გარეგანი არაა.
სამამულო ზითევი შეადგენდა განცალ-
კეებულს საკუთრებას, რომელთანაც
ქმარს ხელი არა ჰქონდა. როცა კაცს
ცოლს მოსტაცებდნენ, სულ ერთია,
ძალით თუ ნებით, სამამულო ზითე-
ვი ქალის სამშობლოს უკანვე უნდა
დაჰბრუნებოდა. თუნდაც წაგვრი-
ლი ქალი შვილსანი იყოს, მაინც
ქმარს სამამულოსაგან არა ერგება რა

¹⁴⁶) P. Зомъ, стр. 300—1.

და მთლად სამშობლოსი არისო. სასაქონლო ზითევზე ეს არ ითქმის. ამ ზითევში ქმარსაც თითქო წილი ედო. მაგ., თუ წაგვრილი დიაცო სასაქონლო ზითევს ქმარ-ყოფილის სახლში დასტოვებდა, არც დიაცსა და არც იმის სამშობლოს ნება არა ჰქონდათ ქმარყოფილისათვის გამოერთმიათ, — დიაცისა ისაა, რაც წაგვრის დროს თან წაიღო. ამ მხრივ საათაბაგოს სასაქონლო ზითევი, ცოტა არ იყოს, მიაგავს რომაელების dos-ს, თუმცა მათ შორის განსხვავებაც არის¹⁴⁷). ზითვის ბედსა და მომავალზე დიდი გავლენა ჰქონდა ეგრედ ჩოდებულს შვილსნობას. აღბულა ამბობს, ზითვის მდგომარეობა დამოკიდებულია იმაზე, ქალს შეილი დარჩა, თუ არაო. როცა ქმარი „დასწეულგებულს“ ცოლს გაეყაროს, „დედაკაცი ზითევს ნუ ითხოვს, თუ შეილ დარჩესო“ (მუხ. რმა). თუ დიაცი დაქვრივდეს და „შვილი

¹⁴⁷) *ibid.* სტრ. 301—3.

არ ედგას“, „მაშინ ზითევი გაყვეს დაუ-
კლებლად“, და როცა უშვილოვნო
მოკვდეს, „მისა სამშობლოსა მარ-
თებსო“ (ძუხ. 33) 148). შესანიშნავია,
რომ საათაბაგოს სასაქონლო ზითევი,
ერთს შემთხვევაში, ძველ გერმანელე-
ბის ზითევს გვაგონებს. ტაციტი, მა-
გალითებრ, მოწმობს, გერმანელებს
ჩვეულებად აქვთ, ცოლმა ზითევიში
ქმარს იარალი უნდა მაეტანოსო 149).
იგი ჩვეულება საათაბაგოშიაც სკოდ-
ნიათ და ამიტომ აღბუღა სწერს, თუ
შვილოვანი დიაცი დაქვრივდეს, „ზბ-
ჯაწი შვილთა მართებსო“. ეს აბჯა-
რი ცოლს უნდა მაეტანა ზითვად და
შვილის საკუთრება იყო, დანარჩენი
სასაქონლო ქვრივს ეკუთვნოდა და
თუნდაც დაქვრივებული მეორედ გა-
თხოვებულიყო, სასაქონლოს ვერაფერ
შეეცალებოდა. მაგრამ როგორც

¹⁴⁸ რომისა და ბიზანტიის სამართალიც
ამას ამბობდა, Зак. и О. на Кав. I, стр.
137.

¹⁴⁹) Первобытное право, II, 147.

უკვე შევნიშნეთ, სამამულო ზითევზე
ესევე არ ითქმის: იგი შეიღოსა და
სამართალი ქვრივს დიაცს ავალებს—
სამამულ ოსაგან შეიღოს „ნურცა რას
გაუყიდის, ნურც რას გაუცემსო“.

რატომ? — სამამულო ზითევი დედის
საგვარეულო საკუთრებას შეადგენდა
და რადგანაც შეიღოს კოლნატური და-
მოკიდებულება ჰქონდა დედის გვარ-
თან, სამამულო ზითეის გასყიდვა და
გაცემაც არ შეიძლებოდა. სამამულოს
გაცემა მხოლოდ ერთის გზით შეეძლო
ქვრივ დიაცსა, — ეს მაშინ, როცა სუ-
ლის საცხოვრებლად მონასტერს შე-
სწირავდა. ამ შესწირავს აღბუღა
კრძალვითა და მოწიწებით იხსენიებს—
„თუ მონასტერთა შიგა შესწიროს, მას
შეიღონი ნუ ეცილებიანო“ (ქუხ. კბ).

საყურადღებოა, რომ ყველგან სამა-
მულოს შესწირვა სასულიერო წოდებას
დაუწესებია. ძველ ინდოეთში იგი
ბრამინებმა შემოიღეს, პირველად მათ
შეახეს ხელი საგვარეულო— მამულს
და, რასაკვირველია, შეწირულსაც

თითონ ჰხმარობდნენ¹⁵⁰). ევროპასა და კერძოდ გერმანიაშიაც ასე მოხდა — მამულს მხოლოდ ეკკლესიასა და მონასტერს სწირავდნენ და სასულიერო წოდებაც უქადაგიბდა, თუ რა დიდი რამეა შეწირვა¹⁵¹). ჩვენშიაც შეწირვა სასულიერო წოდებამ შემოიღო თავის სასარგებლოდ. პირველად ამ წოდებამ დაარღვია ის ძველი სამამულო წესი, რომელიც ადგენდა — მამული გვარის განუყოფილი საკუთრებაა და მისი გაცემა არ შეიძლებაო. უეჭველია, არც საქართველოს სასულიერო წოდება ასცდა ანგარებასა და, თუ აღბურთა ამბობს, სამამულოს შეწირვას შეიღწი ნუ ეცილებიანო, სხვათა შორის, აქ ანგარებაც მოქმედობდა. სამამულოს შეწირვას სხვა მნიშვნელობაცა აქვს. ყველგან შეწირვა მაშინ გაჩენილა, როცა საგვარელო წყობილება დაშლილა, და საათაბაგოს შე-

¹⁵⁰) *Первобытное Право*, I, 51.

¹⁵¹) *Зак. и Об. на Кав.*, I, 206.

წირვაც გვიჩვენებს, რომ იქაც მამული გვარის ხელ უხლებელი საკუთრება აღარ ყოფილა და საგვარეულო წყობილება მოსპობილა. ისტორია ამტკიცებს, სულ პირველად სასაქონლოს შეწირვა გაჩნდა. ასეთს შეწირვას საათაბაგოშიაც ვპოვებთ (მუხ. როე) და, რასაკვირველია, ჩვენშიაც იგი უფრო ადრე უნდა გაჩენილიყო, როგორც სხვაგან. სამართალი ამბობს, ვერც ამ შეწირვას შეეცილებიან შეიღწიო...

სხვა იყო გლეხის ქაღის ზითევი. იგი მხოლოდ სასაქონლოსაგან შესდგებოდა. აღბად ჩვეულება უკრძალავდა, ქალისათვის ზითევეში მამული მიეცათ. და ან როგორ მისცემდნენ? გლეხს ხშირად საკუთარი მამული არა ჰქონდა და თუ ექნებოდა, ისიც ისე ცოტა, რომ ზითვად გაცემა საძნელო იყო. აღბუღა აწესებს, თუ დიაცი გლეხი უშვილო მოკედეს, „ზითევი ნახევარი სულისა საურვად გაუშვან და ნახევარი სამშობლოსა მარ-

თებსო“ აქ „სკულის საურავი“ სრულიად მიაგავს „მონასტერთა შიგა შეწირვა-სა“. როცა შეილოსანი მოკვდებოდა, მაშინ? — „აბჯარი ვაჟსა და საქონელი ქალსა“, მაგრამ, თუ მარტო ქალი დარჩეს, დედის ზ-თევი მთლად იმისია (ქუხ. 36).

X

აღბულა ამბობს, ოჯახის უფროსი მამაა და უფლებაც იმას აქვს შეი-
ლებზედაო. ხოლო იგი უფლება ისე-
თი განუთავსებელი არ იყო, რო-
გორც, მაგ., რომში, სადაც მამას ნე-
ბა ჰქონდა შეილი მოეკლა, გაეყადა
და სხ. ¹⁵²). სჯულ-მდებლობის ისტო-
რიიდან სჩანს, რომ საგვარეულოს
წყობილების დროს შეილი მამის სახლ-
ში პარადად სრულიად დაჩაგრული
ყოფილა და მხოლოდ ცოტაოდენი
უფლება თუ ჰქონია სამამულოსა და
სასაქონლოზე. საოჯახო განვითარება

¹⁵²) Зомъ, Институціи Римскаго Права,
311—314.

და წინ-მსკლელობა იმაში მდგომარეობდა, რომ შეიღს თავისუფლება მოეპოვა და ყოველ გვარი უფლება შეეძინაო¹⁵³). საათაბაგოს განვლილი ჰქონდა საგვარეულო წყობილება და შეილიც პირადად და ქონებრივად უფლებას მოკლებული არ იყო. ეგრედ წოდებულ გაქეებს გარდა, მამას სხვა გზით ვერ შეეძლო შეილის საოჯახო უფლება უარ-ეყო. გაძეეებაც არ სწარმოებდა ისე მკაცრად და სასტიკად, როგორც ბარბაროსულ და საგვარეულო წყობილებიხ დროს სწარმოებს¹⁵⁴). იგი ნიჴნავდა მარტო უმამულოდ და უსარჩოდ რაიმე „შეცოდებისათვის“ შეილის სახლიდგან გაგდებასა და მოკვეთას: თუ რომელიმე შფო თიანი და აფ-ხასიათიანი შეილი მამას „ეაეკაცება“, ნება აქვს თავიღამ მოიშოროს და მამულზე ხედი

¹⁵³) *ibid.* 314—5.

¹⁵⁴) *Совр. Об. и др. Зақ. II.* 165—

აღებინოსო. მაგრამ აღბუღა აღგენ-
და, ამ სასჯელსაც გასინჯვა და გა-
მონახვა ესაჭიროება და მამამ შვილი
მიხედვით არ უნდა გააძეოსო. ამას
გარდა, თუ გაძევებული კარგად მო-
იქცევა, „თავმთხოველ“ ძოვპყრობა
მამასა, „რა მ.მა გარდახდეს (გარდა-
იყვალოს), მაჟულისა მოსაქმეობასა
ვერვინ მოუშლიოს“. მაგრამ თუ არ
დასცხრა, მამას ისევ „ეაეკაცა“, „ნუ-
რავინ რას ასაქმებინებს მამულსა თა-
ნაო“ (ქუხ. ნთ). საათაბაგოს გაძევე-
ბა საზოგადო და უძველესი ჩვეულებ-
ბაა, რომელსაც მისდევდნენ ინდო-
ელნი, რუსნი და სხ. ეხლაც ვხვებით
ამ ჩვეულებას რსებში 155).

აღბუღა სხვა გვარ გაძევებასაც აღ-
წერს, სახელდობრ, როცა „ძმამან ძმა
ანუ მეყვისი გააძოს და მამულისაგან
გააბეზროს“. ეს მეორე გაძევება სულ
სხვაა და პირველთან საერთო არა აქვს-
რა. ძმისაგან ძმისა ანუ მეყვისის გაძევება

155) Совр. Об. и Древ. Зак. I. 170—1.

დანაშაულობას შეადგენდა და ამიტომ სამართალი აწესებდა, როცა ასეთმა გაძევებულმა „რაგინდარა გაღეთით აწყინოს, ნუცაღად მათეველებსო“. ეს კიდევ არაფერი: თუ გაძევებული სახლში დაბრუნდება და „მამულის მოსაქმე“ შეიქნება, შეუძლიან გაძევებულს „საუწესო“ გადახდევინოსო (მუხ. მთ). მაშასადამე, ძმისაგან ძმისა და მეყვისის გაძევება საოჯახო დანაშაულობა იყო, მამისაგან შვილის გაძევება კი წესისა და რიგის აღმადგენელი სასჯელი და ოჯახის მამას ეკუთვნოდა.

ცხადია, რომ საათაბაგოში გაძევება ალაგმული და ფრთებ-შეკვეცილი ყოფილა. პირველ დროს, როცა საგვარეულო წყობილება არსებობს, გაძევება გვარის მოვალეობაა. მამული მთლად გვარს ეკუთვნის და ბოროტ-მომქმედი გვარმა უნდა გააძღოს და არა კერძო კაცმა, თუნდა იგი კაცი ოჯახის უფროსიც იყოს. მაშინ გვარის კაცს, გაძევებას გარდა, სხვა სასჯე-

ლი არა სდევს. ასე გასინჯეთ, თვით უმძიმესი დანაშაულობაც-კი, როგორც, მაგ, მამისა, შვილის დაძმის მოკვლაა, სისხლის დაუურევბას არ თხოულობს და მხოლოდ ბრალდებულის გარდახეწით უნდა გათავდეს. კერძო კაცის დანაშაულება მთლად გვარის დანაშაულებაა და გვარი ხომ თავისს თავს სისხლს არ დაუურევბსო ¹⁵⁶). საათაბაგოში გაძევებას სხვა ხასიათი და თვისება ჰქონდა. პირველად, რომ იქ გაძევება მამის საქმე იყო და არა გვარისა, მეორედ — აღბუღა გაძევებას არ სჯერდებოდა და სხვა სასჯელსაც სდებდა საოჯახო ბრალს. მაგალითებრ, ძმისა და მეყვისის მკვლელს იგი გაძევებას არ აკმარებს: ასეთი ბოროტ-მომქმედი „ამა სოფელსა ძლიეს და ინახვის კაცთაგან“, „არავისგან მოხსენება უნდა“, მაგრამ ორ-კეცი სისხლიც

¹⁵⁶) Зап. Об. на Кав. I. 39—41, II. 264—265.

უნდა გადახდესო (მუხ. კგ). ძმობას და ნათესაობას განუელია საგვარეულო ღრმ და ქრისტიანულს მოძღვრებას გავლენა და მნიშვნელობა მოუპოვებია. სამართალი წყევითა და კრულვით სდევნის ძმისა და მეყვისის (ნათესავის) მკვლელობას, — იგი მკვლელობა „საღმთოდ ბრალია და საკანონო არის ას კეციო“. დიდის რისხვითა და წყრომით გრგვინავს ეკლესია მეტადრე ძმის დაჯატით მკვლელობის გამო, — „ვინცა უშველოს და შეიწყნაროს, კრულ და წყეულ, შეჩვენებულ იყავნო“ (მუხ. რდბ). მოკვლას გარდა, სამართალი სასტიკად ეპყრობოდა ყველას, ვინც ძმას თვალებს დასწვავდა და ასრს მოჰკვეთდა (მუხ. რდგ).

ოჯახს ნაშვილებიც ეკუთვნოდა. სამართალი ნაშვილებს ერთ სახლობს უწოდებს და ეს გარემოებაც ამტკიცებს, რომ საათაბაგოს შინაური ცხოვრება შორს იდგა საგვარეულო წყობილებაზედ. შვილად ყველა გან-

ვითარებულის ცხოვრების შედეგია და სრულიად არ შეესაბამება ასეთს პირვანდელს საგვარეულო ცხოვრებას, როგორც, მაგ., სვანეთის ცხოვრებაა¹⁵⁷), სადაც შეიღებულემა უარყოფილია. საათაბაგოს ნაშეიღები უფრო რომაელებისას (მიაგავს¹⁵⁸), თუმცა თავისებურობაც ეტყობა.

აღბულა ამბობს, მამას ნაშეიღების უაძვევებაც ძალ-უძს, მაგრამ ამ შემთხვევაში ისე უნდა მოიქცეს, როგორც ნამდვილ შეილის შესახებო. თუ ნაშეიღები „ლალატს და შეცოდებას თავხებოლით“ არ მოინანიებს, არც მამული ერგებო. აღბულა არ იხსენიებს: ქალსაც ნება აქვს ვინმე შეილად აიყვანოს და თითონ იმის შეილად აყვანა შეიძლება, თუ არაო. ყველა ამას არც რომაელების სამართალი იხსენიებდა, მაგრამ რომში ნაშეიღები უფლებით დაბლა იდგა

¹⁵⁷) Заб. и Об. на Кав. II. 4—5.

¹⁵⁸) Зомъ, 309—311.

ღვიძლ შვილზედ, საათაბაგოში-კო
თანასწორი იყო. განსხვავებაც სწო-
რედ ამაში მდგომარეობდა.

ნაშვილებისაგან განირჩეოდა შვი-
ლებუფთ სიძე, ჩვენ დროს წოდებული
ზედ-სიძედ. შვილებულების პირვანდე-
ლი და უწინარესი ფორმა საგვარეუ-
ლოა. საგვარეულო შვილებულება
კიდევ იმას ნიშნავს, რომ შვილად
აყვანა მთელ გვარის ნება დაურთვე-
ლად არ შეიძლება და თითონ ნაშვი-
ლები უცხო გვარისა არ უნდა იყოს¹⁵⁹).
საათაბაგოს სიძის შვილებულებას სხვა
აზრო და მნიშვნელობა აქვს და რუ-
სეთის ჩვეულებას უფრო მიაგავს, სა-
დაც ზედ-სიძეს ეკონომიურად უცქე-
რიან და სამუშაოდ, მამულის მოსაე-
ლელოდ შეჰყავთ სახლში. ასე იყო
საათაბაგოშიც. აწინდელს დროს ზედ-

¹⁵⁹) Первобытное Право, I. стр. 161—

2. ეხლაც ხევსურეთში მარტო გვარის კაცს
იშვილებენ ხოლმე, Зак. и Об. на Кав.
II. 111.

სიძეობამ ხასიათი იცვალა. ფშავე-ხევ-სურეთში, მაგ., ზედ-სიძეს იმიტომ შოთლობენ, რომ ქალს მემკვიდრეობა არ დაეკარგოს და ოჯახის მამული სხვის ხელში არ გადავიდეს¹⁶⁰). სიძის შეიღებულება ორ-გვარი იყო — წიგნით და უწიგნოდ. წიგნით შეიღებულს სიძეს უფრო დიდი უფლება ჰქონდა. მაგალითებზე, გაყრის დროს მამულის ნახევარი იმას უნდა რგებოდა, თუმცა ეგრედ-წოდებულს საუხუცესს მამულის პატრონს ვერ წაედავებოდა. წიგნით შესულს ზედ-სიძეს თავისი კერძო საკუთრებაც მოეპოვებოდა, — „შეტანილი და დახვედრებული თავ-თავისი გაიტანონ“ (პუბ. რწმ) და ეს იმას ნიშნავდა, რომ თითოეულს საკუთარი მოძრავი ქონება აქვს, რომლის გაყოფა არ შეიძლება. უწიგნოდ შესულს ნაკლები უფლება ჰქონდა: პატრონის მამულზედ ზელი არ მიუწვდებოდა და გაყრის დროს

¹⁶⁰) Зак. и Об. на Кав. II. 90—1, 115.

მხოლოდ „შეტანილი“ და კირნახუ-
ლი“ უნდა გაეტანა, ე. ი. თავისი
მოტანილი ქონება და მონაგები. „შეს-
მულ-შექმული“, სახლის საერთო და-
ნახარჯი არ იანგარიშებაო (მუხ, რთ).

სხვათა შორის, გაყრაც გვიჩვენებს,
თუ როგორ იყო მოწყობილი საბათა-
ბაგოს ოჯახი. გაყრის ხასიათსა და
თვისებაზეა, დამოკიდებული ოჯახის
თითოეულ წევრის პაროვნული და
ქონებრივი უფლება. საზოგადოდად აღიარ-
ებულთა, რომ საგვარეულო ცხოვ-
რება ხელს არ უწყობს გაყრასა. ასე
ყოფილა ძველად ყველგან, მაგ. ინ-
დოეთში¹⁶¹), ასეა ეხლაც ჩვენს მთა-
ში¹⁶²). ფეოდალობის დროს ევრო-
პაში ხალხს უშლიდნენ გაყრას, — პა-
ტარა ოჯახი დიდს ხარჯსა და გარ-
დასახადს ვერ აიტანსო¹⁶³). ჩვენი
სჯულ-მდებელი ვახტანგიც გაყრის წი-

¹⁶¹) Первобытное Право, I. 46—52.

¹⁶²) Зак. и Об. на Кав. I. 38.

¹⁶³) Первобытное Право, I. 40—41.

ნააღმდეგი იყო და ამ აზრით დააწესა ბატონის სასარგებლოდ „გასამყრელო“. რას ამბობდა ალბუღა? — თუმცა ათაბაგი გაყრას არავის უკრძალავდა, მაგრამ ოჯახის განცალკევებაც არ მოსწონდა: შეიღოს ნება აქვს მამას გაეყაროს, მაგრამ „მამულისა გაყოფასა არას ემართლებიან“, „მან სხვა მოიგოს მამის სიკვდილამდისო“. რად არ შეიძლებოდა მამულის გაყოფა? მიზეზი აქ ისაა, რომ საათაბაგოს ოჯახი დიდი და მრავალწევროვანი ოჯახია (семейная община), რომელსაც მიუცილებლად საერთო და განუყოფელი მამული უნდა ჰქონოდა. ყველგან დიდი ოჯახობა საგვარეულო წყობილებიდან წარმომდგარა და პატარა ოჯახი (малая семья) დიდისაგან გაჩენილა. განუყოფელი მამული მხოლოდ საგვარეულო წყობილებისა და დიდის ოჯახის ზვედრია. პატარა ოჯახს, სხსლს იგი არ მოეპოვება. რადგანაც ალბუღას დროს ოჯახი არ დაპატარავებულყო, მა-

მულის გაყოფაც არ შეიძლებოდა. სხვა გზით ვერ აიხსნება, თუ რატომ „შვილი მამულისა გაყოფასა არა ემართლების“. თითქო თითონ აღბუ-
ლაც ამტკიცებს ჩვენს აზრს. მამულის გაყოფა ათაბაგს კერძო ჩვეულებად მიაჩნია, — „იქნების ალაგისა და გვარის წესი, რომ უმცროს მამულოვნებით გაიყვანენ, თუ ცოლსა შეერთავსო“ (მუხ. 5). მაშასადამე, მამულით გაყვანას საზოგადო წესი უკრძალავდა და ამას იმიტომ-რომ დიდი ოჯახი შეადგენდა საზოგადო შინაურს წყობილებას, რომელიც მამულის გაყოფას უარ-ჰყოფს. ვახტანგ-სჯულმდებელი თანაუგრძნობდა დიდ ოჯახობას და გაყრაც ამ მიზეზით გააძინებდა. მაგრამ იმის დროს დიდი ოჯახი საზოგადო წესი აღარ ყოფილა დამხოლოდ სანატრელ საგნად გარდაქცეულა. საათაბაგოს სამართელი ცხადად ამტკიცებს, რომ რაც შემდეგში სანატრელი შეიქმნა, ის წინად ცხოველს ჩვეულებას შეადგენდა.

გაყრის ღროს, უფროს ძმას, საკუთარ წილს გარდა, ცაოკე საუხუცესსაც უნდა მიეღო. საუხუცესო, რომელიც ეხლაც იციან სვანეთსა და ფშავ-ხევსურეთში¹⁶⁴), ძველადვე ცნობილი საძმო წილია. ჯერ ისევ ინდოელებისა და ირანელების სჯული აწესებდა, უფროს ძმას საუხუცესო ერგებოდა, და ამბობენ კიდევ, ვითომ ირანელებმა გადმოგვცეს ქართველებს საუხუცესო¹⁶⁵). გადმოცემაზედ ვერას ვიტყვით, მხოლოდ ეს-კია, რომ საუხუცესო ძლიერ შორეულს ღროს ეკუთვნის და დასაწყისი ისეთს ჩვეულებასი უძევს, რომელიც საყოველთაოა. ასეთს ჩვეულებას შეადგენს ეგრედ წოდებული წინაპართა თაყვანის-ცემა (КУЛЬТЪ ПРЯДКОВЪ). ყველა ისტორიულ ერს თავისი წინაპრები ოჯახის მუარველად აღიარებული ჰყოლია. უფრო-

¹⁶⁴) Забл. и Об. на Кав. II. 54—5, 91—115.

¹⁶⁵) *ibid.* I. 171—3.

სის ძმის საქმე და საღმთო ვალი ყოფი-
 ლა ეზრუნა ოჯახის საკეთილდღეოდ.
 ხოლო ამისათვის საჭირო იყო წინა-
 პართა პატივისცემა, მათი სულის მო-
 ხსენებაო. საუხუცესოც ამიტომ ცდ-
 ლეოდა უფროსს ძმას¹⁶⁶⁾. რადგანაც წი-
 ნაპართა თაყვანისცემა საზოგადო ჩვე-
 ულებათა¹⁶⁷⁾ და ძველ დროს ქართველე-
 ბიც მისდევდნენ ამ ჩვეულებას¹⁶⁸⁾, შესა-
 ძლოა საუხუცესო თავის თავადაც გა-
 ჩენილიყო საქართველოში. ყოველ შე-
 მთხვევაში, საათაბაგოს საუხუცესოსა
 განსხვავებული ხასიათი და თვისება
 ჰქონდა. ჯერ ერთი, რომ იგი ყველა
 ოჯახისათვის სავალდებულო არ იყო:
 „თუ არა ოდეს ქმნილა გვარსა შიგაო“
 (მუხ. ნ.). ეს ნიშნავს, რომელსამე
 გვარს შეიძლება საუხუცესო ჩვეულე-

¹⁶⁶⁾ Совр. Об. и Др. Зак. I. 324—6.

¹⁶⁷⁾ МАНЪ, гл. III и IV, КУЛЬТЪ ПРЕД-
 КОВЪ.

¹⁶⁸⁾ როგორც მატიანეც მოწმობს, „მტკი-
 ცე და უფროსი საფუცარი მათი იყო საფლა-
 ვი ქართლოსისა“ ქ.-ც.—ბა, I. გვ. 21.

ბად არა ჰქონდესო. როგორც „უმცროსის მამულოვნებით გაყვანა“, ისე საუხუცესო „ალოაგისა და გვარისა წესს“ შეადგენდა. მეორედ, ინდოელების სამართალი, რომელიც ახლოსდგას ძველ სპარსელების სჯულზე, აღნიშნავს საუმცროსსაც, აღბუღა-კი საუმცროსოს არ იხსენიებს *). საათაბაგოს საუხუცესო სამგვარია და თითოეული ცალკეა განმარტებული: დიდებულს „ერთი უკეთესი სოფელი საუხუცესოდ“ (მუხ. რნე.), ხოლო „გლეხიანს მარტო ერთი გლეხიო“ (მუხ. რნდ). გლეხიანი აზნაურსაც ეთქმოდა და, ჩვენის აზრით, გლეხიანის საუხუცესო სააზნაურო იყო. გლეხს საკუთარი საუხუცესო ჰქონდა — „უხუცეს ძმასა ან თავნი სახლი, ან ერთი ვენახი, ან უფროსნი ჰურ-

*) ვახტანგი ამბობს, გაყრაში არისო: საუმცროსო, საუმცროსო და საუმცროსო, მუხ. რ. მნიშვნელობა თითოეულისა ნახ. Сов. Об. и Древ. Зак. I. 324.—39.

ნი საუხუცესოდაო“ (მუხ. რნვ). ცხადია, საათაბაგოში საუხუცესოც „გვარსა ზედა“ დაფუძნდა და წოდებრივი ფერი დაედო.

ოჯახს, მამულს გარდა, მოწაგებიცა ჰქონდა. იგი ოჯახის წევრის კერძო საკუთრებას შეადგენდა— „მოწაგები თავ-თავისი გაყვესო“. სხვათა შორის, ამითი განირჩეოდა მოწაგები მამულისაგან. მაგრამ თუ ერთს ძმას „მოწაგები მეორეს გულისათვის დაკარგოდეს“, მაშინ 'ვისაც მოწაგები დარჩენია, მეორეს შუაზედ გაუყოსო (მუხ. რნდ). აღბუღა მოწაგებს აღწერს მხოლოდ დიდებულისა და გლეხნიანის გაყრაში და არას ამბობს, როგორ იყოფდნენ გლეხები თავიანთ მოწაგებს. მამულისა და მოწაგების განსხვავება ამტკიცებს, რომ საათაბაგოშიაც საოჯახო ქონებრივი დამოკიდებულება და ურთიერთობა საზოგადო კანონისამებრ აღორძინდა. სულ ძველად ყველგან მამული და მოწაგები გვარის საერთო საკუთრება ყო-

ფილა¹⁶⁹), მაგრამ როცა საგვარეულო წყობილება მოსპობილა, წინაღ მონაგები განკერძოებულა და განცალკევებულა. ეხლაჲ ჩვენს მთის ხალხს მონაგები ოჯახის საერთო საკუთრებად მიაჩნია და თუ ასე იყო საათაბაგოში, ამის მიზეზი ისაა, რომ იქ ოჯახს საგვარეულო დრო განვლილი ჰქონდა...

ანდერძი უფრო ახაბუთებს ჩვენს აზრს. სჯულ-მდებლობის ისტორია ამბობს, ანდერძი მაშინ გაჩნდა, როცა ოჯახში ადამიანმა თავისუფლება შეიძინა და სურვილისამებრ შეეძლო მამული თუ მონაგები სხვისათვის გარდაეცაო. პირველ-ქანებში, როცა გვარი შეფობდა და ბძანებლობდა, ანდერძიც საგვარეულო ყოფილა და საოჯახო კონება მხოლოდ გვარს ეანდერძებოდა. შემდეგ ჩვეულება შე-

¹⁶⁹) Совр. Об. и Др. Заг. I. стр. 119—21. შეადარე Первобытное Право I. 49.

ხცვალა. ჯერ მონაგებისა და მერე მამულის ანდერძით გადაცემა, გვარს გარდა, სხვაზედაც შესაძლოა შეიქმნა. სასულიერო წოდებამ მოახდინა ეს ცვლილება¹⁷⁰). საათაბაგოშიაც ანდერძს საზოგადო გზით უფოლია. პირველად, რომ იქაც ანდერძს არა რაიმე დაბრკოლება წინ არ ელობებოდა, — „სიკვდილისა შემდგომადღა იქნების შტკიცე და დასტურებული“, „სი-ცოცხლესა შინა ორივე ხელეწიფების: გინა მოშლა, გინა გათაფებო“. რასაკვირველია, ყოველივე ეს მარტო მონაგებს-კი არა, მამულსაც შეეხებოდა და საყურადღებოა, რომ ებლაც სკარაში სახლის უფროსს ნება აქვს საგვარეულო მამულიც-კი სხვას გარდასცეს და მეძკეიდრენი შშრალზე დასტოვოს¹⁷¹). მეორედ, საათაბაგოს ანდერძიც სასულიერო წოდების საქმე ყოფილა, — „ნაბრძნობილ არს

¹⁷⁰) *ibid.* 51—2.

¹⁷¹) *Арх. нут., стр. 65.*

წმიდათა მამათა სჯულთა სამოძღვრებ-
ლადაო“ (მუხ. ნს.), დასძენს აღბუ-
ლა. მართალია, ათაბაგი „წმიდათა
მამათა“ ასახელებს, მაგრამ ქრისტა-
ნობის წინაღ, კერპობის დროს, ქართ-
ველებსაც ჰყავდათ ქურუმნი, რომელ-
თაც საპატიაო და თავი აღგილი ექი-
რათ ცხოვრებაში¹⁷²). ამ ქურუმთა
გავლენა და ანგარება ცნობილია და
ამიტომ საბუთი გვაქვს დავასკვნათ,
რომ ანდერძი იმათ დააარსეს თავიანთ
სასარგებლოდ და გვარს გამოჰგლიჯეს
მამული და მონაგები...

საათაბაგოში სამამულო დამოკიდე-
ბულება მოწყობილია ფეოდალურად.
წოდებრივი ურთიერთობა მამულის
ჰერაზედ დამყარდა და ვასალი თავი-
სის მამულით პატრონის ხელთ იყო.
ძალა და უფლება პატრონს ეკუთვნო-
და და როცა პატრონი—ეს ევროპიე-
ლის ჯურისსენიორი—ვისმე, მამულს
უბოძებდა, პირობასაც ართმევდა—

¹⁷²) „Извѣстія...“ Гана, 68

მემსახურეო, როგორც თითონ ვალ-
დებული იყო სამსახური გაეწია სიუ-
ზერენისთვის. ასეთმა ურთიერთობამ
მამულსაც თავისებური ხასიათი დააჩ-
ნია. თუ მამულის მქონე სამსახურზე
უარს იტყოდა და ან რასმეს დააშა-
ვებდა, პატრონს უფლება ჰქონდა მი-
სთვის მამული ჩამოერთმია. აღბუღა
ამბობს, თუ ფინმე შეასმინეს პატრონ-
სა, მაშინ ამ უკანასკნელს ნება აქვს
დამნაშავეს მიაყენოს „მორბევა, მამუ-
ლის წაღება და გაძევება და დიდხანს
ღარიბობას ყოფა და ბედითად სია-
რულიო“ (მუხ. მა). კერძოდ ჯა-
ყელსა და მაწყურელს სამართალი ავა-
ლებს, თუ დიდებულმა დიდებული
მოჰკლას და „ვერ ამოუვიდეს და გარ-
დაიხვეწოს, მამული პატრონსა აქენდეს
ჯაყელსა და მაწყურელსაო“ (მუხ. ბ).
აზნაურზე ნათქვამია, თუ „ვერ ამოუ-
ვიდეს და გარდაიხვეწოს, მამული აგ-
რევე პატრონმა დაიჭიროსო“... (მუხ.
ვ). ერთას სიტყვით, „საპატრონო“ —
ეს საათაბაგოს ფეოდი—პატრონს

ეკუთვნოდა და მამულის ბოძებასა და ჭერას ზედ მისდევდა მორჩილება და ერთგული სამსახური. ევროპიელ სენიორს თავის ფეოდალში ყველაფერი ეკითხებოდა, იგი მატონიც იყო და პატრონიც. ასეთ-საათაბაგოშიაც, როცა დიდებულიან სხვა ვინმე აზნაურს „გაუპატიოებდა“, პატრონს უნდა მიეცა პასუხი დამნაშავესთვის და თუ არ მისცემდა, სისხლი ეზლო და დაეკმაყოფილებინა თავისი „გაუპატიოებულის“ აზნაური (პუბ. ლე). მაგრამ ფეოდალური აგებულება მხოლოდ გარეგანი სახე იყო სამამულო ურთიერთობისა. სულ სხვაა ამ ურთიერთობის შინაგანი აგებულება.

ჯერ ისევ სტრაბონმა აღნიშნა, ივერიაში მამული საგვარეულოა და მიწათ-მოძმედნი საკუთარს წოდებას შეადგანენო ¹⁷³). არიელ ერთა ჩვეულებ-

¹⁷³) *ibid.* საკვირველია ასე დიდად რად სცდება ბ-ნი კოვალევსკი, როცა აშობს, ვითომ სტრაბონი მოწმობდეს, რომ ქართველნი, იმის დროს, უბინადრო არი, ეუღნი ყოფი-

ბა თხოულობდა, მიწა საგვარეულოდ ჰქონოდათ და ეხმარათ 174). საქართველოშიაც სულ პირველად ასეთი სამამულო წყობილება არსებობდა. ესეთა ვითარებამ შესცვალა ძველებური მიწის ჰერა და აწინდელს დროს მხოლოდ მთაში მოიპოვება. პირვანდელი სამამულო წყობილება, მაგ., ხევსურეთში ხატის მიწა და ტყე საგვარეულო საკუთრებაა 175). რაკი საათაბაგოს განელილი ჰქონდა საგვარეულო ცხოვრება, მამულის საქმეც სხვაფრივ იყო მოწყობილი. აღბურა არც-კი ამბობს, მამულის დასაკუთრება და ხმარება საგვარეულოდ შეიქმნებოდა, იგი აღნიშნავს მხოლოდ

ლიევენს. Зак. и Об. на Кав. I, 57. სტრაბონი სულ სხვა ამბავს გარდმოგვცემს და აღნიშნავს, ივერიაში, ერი ოთხ წოდებად განიყოფება და შესამე წოდებას შეადგენენ გეომარნი და მიწათმოქმედნიო, Γαιμη, „Извѣстія...“, стр. 68.

¹⁷⁴) Первобытное Право, I, гл. 1.

¹⁷⁵) Зак. и Об. на Кав. II, 106—9.

სახლის, ზღაპრის მამულს. ამ მამულში ყველა ერთ - სახლიანს თანასწორი წილი აქვსო. მაშასადამე, მამული საოჯახო და კერძო საკუთრებას შეადგენდა და არა საგვარეულოს. სწორედ მამულის ასეთმა თვისებამ დაჰბადა თავისებური ბოროტ-მოქმედება, რომელსაც სამართალი დაჭკრას უწოდებს. დაჭერა ნიშნავდა სხვის მამულის დაჩემებას, დაპატრონებას. როგორც სჩანს, იგი დაჭერა მეტად გახშირებული საათაბაგოში და სჯულმდებელი ამ „ქამთა სიაფესა“ სასტიკს უურადლებას აქცევს. შესანიშნავია, რომ აჭარაში ეხლაც მამულის დაჭერა იშვიათი ამბავი არ არის და ბევრჯელ სისხლის ღერასაც ჰბადავს¹⁷⁶). აღბად ეს ბოროტ-მოქმედება ძველადგან დარჩენილა. ყველა წოდებას სჭირებია ეს სენი და აღბულაც საყოველთაოდ აწესებს, — თუ ვინმე სხვის მიწა დაიჭიროს, „ოდესცა სამართალი

¹⁷⁶) Арх. Пут., стр. 49.

იშოვნოს, ნაჭამითა დაუდვას იგი აღ-
გილი მან კაცმანო“ (მუხ. ნბ), ე. ი.
მიწაც დაუბრუნოს და რაც შემოსა-
ვალი უჭამია, ისიცაო, დაჭერისაგან
გახსხვავდებოდა ეგრედ წოდებული
სამამულას შეკედრება, რომელიც ნება-
ყოფლობით მამულის მიცემასა და
თხოვებას ჰნიშნავდა. აღბუღა მარტო
გლენხედ ამბობს, მამული შეკედრასო,
და ასეც უნდა ყოფილიყო, რადგანაც
მხოლოდ გლენხს აღგა გაჭირვება უმა-
მულობის გამო. სამამულო შევედრე-
ბაც შეიძლებოდა ბოროტებად გადა-
ქცეულიყო. ეს მაშინ, როცა „შევე-
დრებული შეუმაგრდეს და აღარ მის-
ცეს“. ამ შემთხვევაში შევედრებასაც
ის მოსდევდა, რაც დაჭერას— „ოდეს-
ცა სამართალმან დაადებინოს, ნაჭა-
მითა მისცესო“. შევედრებულს მა-
მულს, რასაკვირველია, კარგი მოვლა
ესაჭიროებოდა და მოვლას კიდევ
ხარჯი უნდოდა. როცა მამულს უკან-
ვე დაუბრუნებდნენ პატრონს, შემ-
ვედრებელს რაც მამულის მოვლაზე

დაუხარჯნია, ის „ნაკამში“ ნუ მიე-
თვლებიხო (მუხ. ნდ), დანახარჯს ნუ
მიხცემსო.

აღბულა საკმაოდ ვრცლად აღწერს
სამამულო საქმესა და თავის ადგი-
ლას ამ საგანს ჩვენც განვმარტავთ.
აქ დავსძენთ, რომ საათაბაგოში მა-
მულს დიდი პატივი ედვა. აღბულას
ერის ბურჯად მამული მიაჩნდა და
ლონისძიებასაც უჩვენებდა, კაცი უმა-
მულოდ არ დარჩენილიყო. მაგალი-
თებრ, ათაბაგი ამბობს, მამულის პა-
ტრონს ვალში რომ მამული გაეყი-
დოს, გაყიდვის დროს ფასს „ჩამოუ-
შვებენ“, ნაკლებად დაათვასებენ, იქნე-
ბა ისევ პატრონს დარჩეს, და ამას იმი-
ტომ, რომ „ქვეყანაცა არა ამოსწყდე-
ბიხო“ (მუხ. ევ). აღბულა შესანიშნა-
ვია, რომ საათაბაგოს ძველებური
ჩვეულება აქამომდე ხელ-უხლებლად
დარჩა აჭარაში. ხელაც მოვალე აჭა-
რელს ვალში მამულს ვერ გაუყიდის
და ვალი შრომითა და მუშაობით
უნდა გადაახდევინოს, თუ არა-და—

მარტო სახლი და საქონელი გაუყი-
დოსო¹⁷⁷). დანარჩენ საქართველოშიაც
მდაბიო ხალხი თითქმის თაყვანსა სცემს
მამულსა და დიდად-უიდი საქირთება
უნდა იყოს, თუ გააბედვინებს გლეხს
მამული გაჰყიდოს. მხოლოდ ძველ-
ფეოდალთა შთამომავლობას ამ ბო-
ლო დროს დაევაწყდა მამა-პაპეული
ჩვეულება...

მამულის პატივმა განსაკუთრებული
ზასიათი დასდო ხანის გამოსვლას (ДАВ-
НОСТЬ). რომაელთა სამართალი აწესებ-
და, ხანის გამოსვლით შეიძლება სხვის
მამული კაცმა დაისაკუთროსო¹⁷⁸).
აწინდელ ევროპეელების სამართალიც
ამას ამბობს. ხანის გამოსვლა არ არ-
სებობს, როცა სამამულო ურთიერ-
ობა დაბალ წერტილზე სდგას და
განუვითარებელია, როგორც, მაგ.,
სხვანეთსა და ხევსურეთშია¹⁷⁹). თუმ-

¹⁷⁷) Арх. Пут., 65.

¹⁷⁸) Р. Зомъ, 161—3, 190—2.

¹⁷⁹) Зак. и Об. на Кав. II. 57, 100,

ცა საათაბაგოზე ეს არ ითქმის, მაგრამ იქაც ხანის გამოსვლას ძალა და მნიშვნელობა არა ჰქონდა, — „თუ კაცსა კაცისა მამული ჰქონდეს ანუ პატრონებისა საქმისაგან და ანუ სხვის რისამე ჟამისა მოგვარებისაგან... ხანის გამოსვლისათვის უსაქმობასა არაინ ემართლებისო“ (მუხ. მგ). აღბუღამ იცოდა, თუ რა ძნელი და მავნებელია უმკიდრო კაცის სხოვრება, და ხანის გამოსვლა უარ-ჰყო. ეხლა აქარაში ათ წლიურის ხანის გამოსვლა მოქმედობს¹⁸⁰), მაგრამ ამის მიზეზად უცხოელი სამართალი შეიქნა. ათაბაგმა-კი მხოლოდ ის დაადგინა, რომ ხანის გამოსვლით გლეხს შეუძლიან თავისუფლება შეძინოს, კაცმა სხვის სასაქონლო დაისაკუთროს და არა მამულიო.

XI

პირვანდელ დროს ყველა ერის სხოვრება მარტივი ყოფილა და იური-

¹⁸⁰) Арх. Пут., 65.

დიულ ურთიერთობასაც არა ჰქონია ფართო და ვრცელი მოედანი. მხოლოდ განვითარებასა და მოქალაქეობას შეჰფერის მრავალ გვარი იურიდიული გარიგება (юридическая сделка), ხელ-შეკრულობა (договоръ) და სხ. ესევე უნდა ითქვას საათაბაგოზედაც. აღბუღა აღწერს თითქმის თითოეულს გარიგებასა და ხელშეკრულობას, რომელიც-კი ძველად ჯველა მოწინავე და განათლებულს ხალხს ჰქონია.

მეცნიერება ამბობს, უძველესი და ერთი თავდაპირველი ხელ-შეკრულობა ვაჭარია. როცა ფული იშვიათი სახმარებელია და ძვირადაც მოიპოვება, ერთმანეთს უფრო საქონელსა და მამულს ავალებენ და ძველებურის ვალის თვისებაც ისაა, რომ მამულის ვალად მიცემაც შეიძლება¹⁸¹). შესანიშნავია, რომ საათაბაგოშიაც ვალს ძველებური თვისება ამჩნევია. ეგრედ წოდებული

¹⁸¹) Совр. Об. и др. Зак. I, 196.—7.

მამულსა შიგა საწინდრად დგომა სამა-
მულო ვალს ბევრად მიაგავდა. ამას
გარდა, სხვა ვალსაც, სახელდობრ
ვერცხლის და პურის გასცხვებას, ცხა-
დად ეტყობოდა პარვანდელი ხასია-
თი. რომში, მაგ., ძველად ფულს მხო-
ლოდ წონით ავალებდნენ ¹⁸²). საათა-
ბაგოშიაც ასე იყო: „თუ კაცს ვერ-
ცხლი აწონით ვეალოსო“ ... (მუხ. 49).
ინდოელთა სამართალი ამბობდა, ნა-
სესხი პური სამად უნდა გარდაიხადოს
ამლებმაო ¹⁸³) აღბუღაც ამას აღგენ-
და—„თუ კაცმან კაცისაგან პური ივა-
ლოს, ორისათვის სამი გჳაო“ (მუხ.
48). ათაბაგმა სამართალი ახალ ცხო-
ვრებისათვის განაჩნა და ამიტომ ვალს
საც ცვლილება უნდა დასტყობოდა.
დაეტყო კიდევ. ჯერ ერთი, რომ აღ-
ბუღამ დააწესა, აუწონლადაც შეი-
ძლება თეთრის, ფულის გავალებაო
(მუხ. 49). მეორედ, ვალის ამლებელს

¹⁸²) Зомъ, 23—6.

¹⁸³) Совр. Об. и др. Зак. I. 202.

კადა დაუდო. უძველეს დროს-კი ვადა არ არსებობდა და ვალს უვადოდ იღებდნენ 184). მაშასადამე, საათაბაგოში ვალის საქმე დამთავრებული არ იყო, ერთს გარკვეულს გზას არ ადგა. ვალმა ძველ თვისებასთან ახალიც შეიძინა და ამიტომ სხვა-და-სხვა ფორმისა შეიქმნა. ჰუჩის კაღი განირჩეოდა თეთრის კაღისაგან და ეს უკანასკნელი კიდევ ორად განიყოფებოდა. თუმცა ვალის საქმე ასე დატრიალდა, მაგრამ თვითოეულ ფორმის ვალს საერთო ხასიათიცა ჰქონდა—ყველა ვალი საშეღავათო უნდა ყოფილიყო და ვალში დიდის სარგებლის აღება არ შეიძლებოდა. ჰუჩის კაღი, როგორც სახელიდგანაც სჩანს, ნიშნობლივს საგანს შეეხებოდა და ასეთის ვალის ამღებელს, შედარებით, ცოტა სარგებელი უნდა გადაეხადა—„თუ დაჭირებისათვის დიდი საჩუკებელი შეუკვეთოს მიმცემელმან, ნუ იყოფინ, ორი-

184) *ibid.* 198—9.

სათვის საში კმაო“. თუ სამზედ მეტს შეუკვეთდნენ, მაშინ? — ამლებელს შეეძლო სამზედ მეტი არ გადაეხადა და თუ გარდაიხდიდა, ბჭობით უკანვე უნდა მისცემოდა: „გარე შეუქციოს, რა გინდა ნიშანი ჰქონდეს, არად მოეხმაროსო“ და ეს იმიტომ, რომ ანგარება ცოდვა არისო (მუხ. 42). აღბუღას სიტყვით, თუთრის ვაჭიცი განსაკუთრებული და „სასარგებლოდ“ ასაღებელია. ამ ვალსაც გადაჭრილი აქვს თავისი სარგებელი — 20%: „ათასისათვის ათას ორას დასჯერდეს წელიწადსა შიგაო“. კაცს, რაც უნდა დიდხანს ჰპართებოდა სხვის თეთრი, 20% მეტი არ გადახდებოდა. ათაბაგი უარჰყოფდა ეგრედ წოდებულს ვახშის ვახშს*) (0/00/0). — „ნუცა ვახშის ვახში იხსენებდისო“ (მუხ. 43). თუმცა თეთრი იგივე ვერცხლია, მაგრამ ვერცხლისაწონით ვაჭი განსხვავდებოდა თე-

*) ვახში — ვალის სარგებლის სარგებელია, უწესო. იხ. ს. ს. ორბელიანის ლექსიკონი.

თრის ვალისაგან (მუხ. ევ). პირველად, ვერცხლის აწონით ვალისათვის საჭიროა, „როგორც მაეცეს, ავეთივე დაუბრუნოსო“. მეორედ — ასეთს ვალში „ვახშის ჭამაც“ შეიძლებაო, რასაკვირველია, სამართალი არ უკრძალავდა აწონით უვახშოდაც ვეალებინათ თეთრი. აწონით ვალის ფორმას შეადგენდა წიგნი. წიგნში ვადა უნდა დაენიშნათ და ამ ვადაზედ ამლებელს უნდა გადაეხადა ვალი.

როგორც შეენიშნეთ, თავდაპირველად მამულსაც აძლევდნენ ვალად. ამ სამამულო ვალისაგან წარმოსდგა აღბუღას მიერ აღნიშნული სავსე კალი, რომელსაც ათაბაგი აღწერს იმავე ადგილას, სადაც ნაჩვენებია მამულსა შავა საწინდრად დგომა (მუხ. ჰდ). საწინდრად დგომა გარეგნობით მიაგავდა აწინდელს *pignus*-ს, *залог* ს, შინაგანის ბუნებით-კა ვალს უფრო მიემსგავსებოდა. მათ შორის განსხვავება იმაში მდგომარეობდა, რომ სავახშე ვალის საგანს შეადგენდა თეთ-

რი, წინდისას—მამული: „თუ კაცსა
კაცსა თეთრი მართებოდეს სავახშედ,
ანუ მამულსა შიგა დგეს საწინდრა-
ლო.“ ამიტომაც აღბუღა ამბობს, სა-
წინდრად დგომისა და სავახშე ვალის
აღების თვისება ერთი და იგივეა—ორ-
სავე შემთხვევაში ვალის ამღებელმა
და წინდის მიმცემელმა, სამის წლის
განმავლობაში, სარგებელს გარდა,
თაენის მეოცედი უნდა გარდაიხადო-
ნო... მაგრამ თუ ვერ გარდაიხდი-
დნენ? — მაშინ ანგარიშით გასწორდ-
ნენო. ხოლო იგი გასწორება ნიშნავდა,
ერთის მხრით, თაენისა და სარგებე-
ლის ანგარიშსა, მეორეს მხრით—
მამულის „ჭამის“ დაფასებას: „შუათ-
ლა დაჰხედნეს და აგრე დააკლონო“...
რასაკვირველია, შეიძლებოდა მამუ-
ლის ჭამა აღმატებოდა სარგებელსა.
სამართალმა ყურადღება მიაქცია ამ
გარემოებას და ანგარიში შემამულოეს
საშელავათოდ დაადგინა—ბევრი არა
სჭამონ მამულით. უკეთუ ვალის
ამღები შორს სადმე გარდაიხვეწებო-

და — „გლახა - ღარიბობასა უელია, უმამულოს საბრალოდ“ — და ვალის პატრონი დაწინდულს მამულს ვერ სჭამდა, მაინც მოსვლას მოუცადოს და თავის ვალს ნუ მოითხოვსო. „მამულოსა შიგა საწინდრად დგომას“ მაშინ მიმართავენ ხოლმე, როცა ჰსურდათ პატარა ვალში ბევრი ესარგებლნათ და მამულის ჭამით დიდი ხეირი ენახათ. ქართლში ეხლაც ასეა წინდის საქმე. აღბურღა წინ აღუდგა კაცის სიხარბესა და ანგარებას და როგორც დიდი საჩუკებელი, ისრე ვახშის სიდიდე ცოდვად აღიარა: „დიდსა მიწასა ცოტათა საქონლითა ნუ დაიწინდნავს, თუარა იგი ვახშის სიდიდე იქნების და განმარისხებელი ღვთისათ“ (მუხ. 19). თუმცა ათაბაგი ამას ამბობდა, მაგრამ „მამულის შიგა საწინდრად დგომა“ მაინც დიდად სახეირო იყო ფულის პატრონისათვის, რადგანაც იგი პატრონი ჭამაში სარგებელსაც გამოდიოდა და ცალკე ხეირი სხვა ჰქონდა.

როგორ და საიდან წარმოადგა სარგებლისა და ვახშის სიდიდე? როცა ხალხის ეკონომიური ცხოვრება ჯერ ისევ განუვითარებელი იყო და ფულებრივი მეურნეობა (денежное хозяйство) არ არსებობდა, ადებ-მიცემასა და სხვა და სხვა ხელშეკრულობაში ფულად რომელსამე პირ უტყუვს ჰხმარობდნენ, მაგ. ძროხას, ცხვარს, ცხენს, აქლემს, — რაც ხალხს ეპრიანებოდა. იმ დროს სარგებელსაც იმ კვალობაზე ანგარიშობდნენ, თუ რამდენს მოიგებდა დედალი პირუტყვი და მოგებული კიდევ რა სიმრავლით მოშენდებოდა. არიის მოდგმის ხალხნი ამბობდნენ, სარგებლის რაოდენობა პირუტყვის ნაშენობას მისდევსო¹⁸⁵). პირუტყვთა ნაშენობა ხომ დიდი და მრავალია. რასაკვირველია, სარგებელიც ამის შესაფერი უნდა ყოფილიყო. შემდეგ, როცა მეურნეობა შეიწყალა, ძველებური სარგებლის ანგა-

¹⁸⁵) Совр. Об. и др. Зак. I. 110—13.

რიში ფულზედ გადაიტანეს და ამ გვარად დაასრდა ვახშის სიდიდე და 0/0/0. უეჭველია, რომ ძველად ქართველებიც პირუტყვეს სთვლიდნენ ფულად. ასე გასინჯეთ, ახლაც-კი ხეცურეთში ფულის მაგივრად ანგარიშის დროს ძროხას ჰხმარობენ და ეს ჩვეულება უძველეს დროიდგან მომდინარეობს. მაშასადამე, საზოგადოდ საქართველოში და კერძოდ საათაბაგოშიაც სარგებლის და ვახშის სიდიდეს მიზეზად ის დაედო, რაც სხვაგან ყოფილა...

მამულსა შიგა საწინდრად დგომა განსაკუთრებულს ვალს შეადგენდა და სავახშე ვალთან ერთად არის მოხსენებული. სხვა ეგრედ წოდებული წინდი, რომელიც, ს. ს. ორბელიანის სიტყვით, ნიშნავს ვალის მძევალს. ეს ხელ-შეკრულობა იმაში მდგომარეობდა, რომ ვალის ამღებელი მიჰცემელს მამულსა და საქონელს აძლევდა მძევლად და პირობას უდებდა — რა ხანიც შენს ხელში დარჩეს, სკამე და მოიხ-

მარცხ, ხოლო სარგებელს ნუ მოხლო-
ვო. საათაბაგოს წინდი უძველესი ხელ-
შეკრულობაა, რომელიც ჯერ ისევ
ინდოეთში არსებობდა და მერე ევ-
როპაში გაჩნდა¹⁸⁶). ამიტომ უსაბუ-
თოა ის აზრი, ვითომ ქართველებმა
წინდი სომხებისაგან შემოიღეს¹⁸⁷).
არა, წინდი ეხლაც იციან ჩვენმა
პოთის ხალხმა და სხვა მოდგმის კავ-
კასიელებმა¹⁸⁸) და ყველგან ხომსომ-
ხების გავლენა არა ყოფილა. იგი ხელ-
შეკრულობა უფრო საზოგადო და სა-
ყოველთაო ჩვეულებას შეადგენდა,
თუმცა ესეც-კია, რომ რომაელების
pignus და ბერძნების hipoteca წინ-
დისაგან არსებითად განირჩეოდნენ¹⁸⁹).

¹⁸⁶) *ibid.* 193—4, 202. См. также
Зак. и Об. на Кав. I. 207—8.

¹⁸⁷) *Зак. и Об. на Кав. I.* 164—5.

¹⁸⁸) *ibid.* 165. *Совр. Об. и др. Зак.*
I. 214—5.

¹⁸⁹) *Зомъ*, 217—221. ეგრედ წოდებუ-
ლი ჰიპოტეკა რომაელებმა ბერძნებისაგან შე-
მოიღეს.

აღბულა ამბობს, წინდი ორ გე-
რიაო — სამამულა (სახმარი მიწა, ყა-
ნა, ვენახი, ქალა, სახლი და რაგინდა
რა გვარი) და სასაქონლა (აბჯარი,
ტანიპამოსელი და სხ). როგორც პირ-
ველი, ისე მეორე ვალის მიმცემს უნ-
და სჭეროდა და ეხმარა, ვიდრე
ვალს გადაუხდიდენ. ამას გარდა, ორი-
ვე წინდი სწარმოებდა „არა ქამიფ-
რად“, ე. ი. უვადოდ. იგი „არა ქა-
მიერობა“ შეადგენდა არსებითს თვი-
სებას და მხოლოდ, როცა პატრონი
„საწინდარს სახსარს“ მისცემდა წინ-
დის მქონეს, „დაახსნეინოს მისი ად-
გილი, აილოს და ადგილი დაუდვას
უმიზებოდაო“. მაგრამ შეიძლებოდა
„წინდელებისა წესითა არა დაახსნეი-
ნოს“. მაშინ? — „ნაქამით“ დაუბრუ-
ნოს დაწინდული მამული და საქო-
ნელი და „ნაქამი“ იმ დროიდგან იან-
გარიშონ, როცა დახსნაზე უარი უთხ-
რესო. მამულისა და საქონლის პატ-
რონს უნდა ეფიცა „ნაქამი“ ესა და
ეს და ამოდენიაო (მუხ. მდ). ფეო-

დალურს საათაბაგოში მამული ბატონს ეკუთვნოდა და მემამულეს ნება ჰქონდა ყმისათვის სხვა კაცის მიწა მიეცა. მოხდებოდა, რომ ბატონი ერთს ჩამოართმევდა მამულსა და მეორეს გარდასცემდა. შეიძლებოდა, ასეთი მამული დაწინდული ყოფილიყო — „თუ პატრონმა ყმას მიწა მისცეს, ვისი გინდა იყოს და მის მიწისა გინა ვენახი, გინა ყანა, გინდა სახლი და რა გინდა რამე დაწინდული იყოსო“... რასაკვირველია, ყმას შეეძლო წინდობაც, მაგრამ ვის უნდა გარდაეხადა მისთვის „გამონაღები თეთრი“? — აღბურთა ამბობს, „პატრონმან მისცეს და ანუ მან კაცმან, ვის მიწა აქენდესო“. ეს ნიშნავდა, „გამონაღები თეთრი“ ბატონმა გადაუხადოს თავის ყმას, თუ არა და — იმ კაცმა, რომელსაც დაწინდული მამული ჩამოართვეს, რადგანაც მამული იმას დაუწინდიაო. აქაც ფიცი იყო საჭირო. ყმას უნდა ეფიცა, წინდის დასახსნელად ამოდენი თეთრი გავეღეო

და მხოლოდ მაშინ „მართებს უკლებ-
ლად და უცილებლად“ (მუხ. მე).

საათაბაგოს წინდი, საბატონო თუ
საყმო, განვითარებულს ხელ-შეკრუ-
ლობას წარმოადგენდა და საგნად მხო-
ლოდ მამული და საქონელი ჰქონდა.
ძველად ასე არა ყოფილა და წინდს
დიდი ცვლილება გამოუვლია. რომ-
ში, მაგ., ვალის ამღებელი თავის
თავს წინდად აძლევდა ვალის მიმცე-
მელსა და, თუ ვალს ვერ გარდაიხდი-
და, მონად უნდა გაჰყოლოდა. ვალის
გადაუხდელობისათვის მოკვლაც - კი
შეიძლებოდა. როცა ვისმე რამდენიმე
კაცის ვალი ემართა და სახსარი არა
ჰქონდა ვალი გადაეწყვიტა, მოვალე-
ებს სამართალი ნებას აძლევდა ცოც-
ხალი კაცი ასო-ასოდ დაგლიჯეთ და
ისე გაინაწილეთო. ეს ბარბაროსული
ჩვეულება სჯულად აღიარებული იყო
რომაელთა ეგრედ წოდებულ XII
таблицъ-ში¹⁹⁰). როგორც სჯულ-მდე-

¹⁹⁰) Зомъ, 25—26, 231. ეგრედ წო-
დებული пехус. შემდეგში ეს ბარბაროსული
пехум მოიხპო.

ბლობის ისტორია მოწმობს, არიელებს ძველად საკაცო წინდი ჰქონიათ, ე. ი. ვალის ამღებელი თავის თავს წინდად აძლევდა მოვალესა, ან არა და — სხვა ვინმე უდგებოდა მოპასუხედ და „წინდსა შიგა“ იმყოფებოდა. ებლანდელ კავკასიელების „барантованіе“ სწორედ საკაცო წინდია და დასაწყისი შორეულ წარსულში აქვს ¹⁹¹). საქართველოშიაც სკოდნიათ ასეთი წინდი და მის კვალს ფშავ-ხევსურეთში ეპოულობთ ¹⁹²), თუმცა აქ საკაცო წინდს ძველებური ხასიათი აღარ ატყვია. ეხლა „барантованіе“ და წინდად წაყვანა იმას ნიშნავს, რომ ერთი გვარის კაცი რაიმე დანაშაულებისათვის მეორე გვარს ადამიანსა სტაცებს და მძევლად ჰყავს. საქონლის მოტაცებაც შეიძლება. სასაქონლო „барантованіе“ აღბუღას სამართალ-

¹⁹¹) Совр. Об. и др. Зак. I. 183—192.

¹⁹²) Зак. и Об. на Кав. II. 122—123.

შიაც მოხსენებულია (მუხ. ბ). რაკი საკაცო წინდი ყველგან ამ „барантование“ საგან წარმოხდა, ამიტომ სულ ძველად საათაბაგოსაც უნდა სკოდნოდა კაცის წინდად დგომა. ამ დასკვნას ასაბუთებს სყიდვას.

სყიდვას წინდისაგან განსხვავდებოდა, თუმცა, როგორც სჩანს, ძველად მათ შორის კავშირიც არსებობდა. იგი კავშირი იმაშია, რომ უწინდელ დროს ვალის ამღებელი წინდად მდგომიც იყო და თუ პირობას ვერ შეასრულებდა, მოვალეს უნდა მისცემოდა, თავი მიეყიდნა. საათაბაგოში სყიდვას ბოლომდე შერჩა ეს თვისება და აღბუღას „ნასყადი კაცი“ (მუხ. ობ), სხვათა შორის, ამას ნიშნავდა. დანარჩენ საქართველოშიაც ვალში ყმად და მონად წაყენა¹⁹³) სყიდვასაც მოასწავებდა—ვალი ვერ გადავიხადე და ჩემი თავი მომიყიდნიაო, ეუბნებოდა საბ-

¹⁹³) ა. ხახანაშვილის „ბატონ-ყმობა“, გვ. 40 და შემდეგი.

რალო ვალის ამღებელი თავის უჯია-
თსა და გულ-ქვავ მოვალესა. მარ-
თალია, აღბუღა არ ასახელებს წინ-
დად მდგომს კაცს, მაგრამ თვით ვა-
ლში სყიდვა-კი წინდად დგომისაგან
გაჩნდა. ასე ყოფილა სხვაგანაც და სა-
ხელდობრ რომაელების nexum-იც ამ-
ტკიცებს ამას. nexus-ი ერთსა და იმავე
დროს ვალის ამღებელიც იყო და
წინდად მდგომიცა. ესევე უნდა ითქ-
ვას ქართულ სყიდვა-წინდზედაც.

როცა ყმობა მკაცრი შეიქმნა და
დაბალ წოდების კაცური ღირსება და
პატივი მეტად შეიღაზა, გლეხსაც უსუ-
ლო სასაქონლოს მსგავსად ჰყიდდნენ.
არც აღბუღა ამბობდა უარს ამ სყიდ-
ვაზე. მაგრამ იმის დროს ეს სამა-
რცხვინო აღებ-მიცემა მარტო ბატონ-
ყმობის შედეგი არა ყოფილა. კაცის
სყიდვას უფრო ძველებურს წინდად
დგომაში ჰქონდა ძალა და საფუძვე-
ლი. საყურადღებოა, რომ ძველ სა-
ქართველოში თავის-თავის გასყიდვა
ხშირი მოვლენა იყო, რადგანაც ჩვეუ-

ლებასა და სამართალს შეესაბამებო-
და. უმის გასყიდვას სჯული ხომ პირ-
დაპირ აწესებდა¹⁹⁴).

ფეოდალურს გავლენას, რასაკვირ-
ველია, არც სყიდვა გადურჩა. ბატონს
უფლება ჰქონდა საგლეხო ფუძე გა-
ეყიდნა, „კაცრიელი გინა უკაცური“
(მუხ. 58). უმაცა და მამულიც ბა-
ტონს ეკუთვნოდა. ამის გამო თითონ
უმას არ შეეძლო „პატრონის ხელ-
ჩაურთავად“ სამამულოს გასყიდვა —
„ადგილი პატრონისა არისო“ (მუხ.
68). უმა „ბატონის ხელ-ჩაურთავად“
მარტო სასაქონლოს თუ გაჰყიდდა,
რადგანაც სასაქონლო იმის მონაგებს
შეადგენდა.

საათაბაგოში სყიდვაც ორ გვარი
იყო — სამამულო და სასაქონლო. ორი-
სავე სყიდვის თვისება ისაა, რომ მხო-
ლოდ საგუთარის მამულისა და სასაქონ-
ლოს გასყიდვა შეიძლებოდა. აღბუ-
ლა მამულზე ამბობს, თუ ვინმემ სხვი-

¹⁹⁴) იქვე, გვ. 85 — 87.

სა ვაჰყიდოს, „ოდესცა ღა მეჴამულე-
მან მოიკითხოს, მიწა დაუდვას უმი-
ზებოდ და ფასი ამღებელს სთხოოს,
თუ აგეთი შენაცოდარი არ მიაჩნდეს-
რა, რომ მართებოდესო“ (მუხ. ნვ).
თავისრ ფასი მსყიდველს „ამღებლისა-
გან“, უნდა აეღო და მეჴამულე არა-
ფერ შუაში არისო. სხვაფრივ იყო
„ფასი თხოვის“ საქმე, როცა ეგრედ
წოდებული მოსაკარგავი გაიყიდებოდა.
მოსაკარგავი სხვის დაკარგული საქო-
ნელია. თუ მოაკარგავი გაიყიდა,
ორივე მხარემ — მსყიდველმა და (გა-
მსყიდველმა — პატრონს სარეგენო გარ-
დაუხადონო — „ვისაცა ეყიდოს, ნა-
ხევარი ფასი სარეგენოდ მას დაუშავ-
დეს და ნახევარი გამსყიდველისააო“
(მუხ. მვ). სამართალი სარეგენოს მა-
შინ ახდევინებდა, როცა მოსაკარგავს
პატრონის უმოწმებლად ჰყიდდენ და
ჰყიდულობდნენ. საათაბაგოს სარეგენ-
ო ჟამთა ვითარებამ გააჩინა და ამი-
ტომ ამ ჩვეულებას თავისებურება ატყ-
ვია. რომში, მაგ., მარტო გამსყიდ-

ველს უნდა გაეცა პასუხი და ფასი გარდაეხადა დაკარგულ საქონლის პატრონისათვის ¹⁹⁵). თუ აღბუღამ მსყიდველსაც დაადო სარეგენო, ამის მიზნები პარვისა და ქურდობის გამრავლება შეიქმნა. ათაბაგი თითონვე მოწმოებს, ჩემს დროს პარვა ხშირია და სამცხეში ქურდების ბრბო დაიარებაო. საჭირო იყო ამ ბოროტ-მოქმედებას სასტიკად მოქცეოდნენ და სარეგენოც სწორედ ამ აზრით დააწესეს. სამართალს სურდა პარვა მოესპო, სხვათა შორის, იმითაც, რომ ქურდს აღვიღად არ შესძლებოდა ნაპარევის გასყიდვა. და რომ სწორედ პარვამა დაჰბადა სარეგენო, ეს მტკიცდება მითაც, რომ სამამულო სარეგენო მოხსენებულთ არაა: მამულის პარვა არ შეიძლება, ამ „სარეგენეს“ კაცი ვერ ჩაიდენს და არც სამამულო სარეგენო იყო საჭირო.

აღბუღა არც ცხენის სყიდვა-გასყიდ-

ვას სტოვებს უყურადღებოდ. ცალკე
აღწერს ეგრეთვე სახეღრისა და უსუ-
ლთა სასაქონლოს სყიდვა-გასყიდვასა,
სყიდვა-გასყიდვაში დიდი მნიშვნელო-
ბა აქვს—რა ზნისა და თვისებისაა სა-
საქონლო, პირუტყვის და ნივთს მოე-
პოვება რაიმე ნაკლი და ზადი, თუ
არა. რასაკვირველია, სყიდვა-გასყიდ-
ვა უნდა გაუქმდეს და მოიშალოს,
როცა ერთი მხარე მეორეს ატყუებს
და გასასყიდ საქონლის ნაკლსა ჰფა-
რავს და სხ. რომაელთა სამართალი
ყველა ამას ყურადღებას აქცევდა და
გამსყიდველს პასუხი უნდა გაეცა მსყი-
დელისათვის, თუ ნასყიდს საქონელს
აფი ზნე და რაიმე ცუდი თვისება გა-
მოაჩნდებოდა (196). მაჰმადიანთა სჯუ-
ლიც, ეგრედ წოდებული შარიათი
ამასვე აწესებს (197). არც საათაბაგოს
სამართალი ასცდა ამ გზასა და მიმარ-
თულებას. ნაკლიან ცხენს აღბუღა უწო-

196) *ibid.*

197) Зак. и Об. на Кав. II, 129.

დებს სახელად ბოჯარდოს, ბუჭდოს *) .
თუ ვინმემ ასეთი ცხენი გაჰყიდოს,
ბუჭდობა დაჰფაროს („თუ ბურღობა
არა გამოანდოს“), და ნაკლიანმა ცხენ-
მა სხვა კაცს რაიმე ზარალი და ენება მი-
აყენოს, გამსყიდველმა უზღოსო. როცა
ბურღობას არ დამაღწავდა, მსყიდველს
და გამსყიდველს თანასწორად უნდა
ეზღოთ ზარალი (მუხ. მე). ამას ამ-
ბობდა სამართალი სხვა, გარეშე კა-
ცის ზარალზე. მაგრამ შეიძლებოდა
გამსყიდველს მსყიდველი მოეტყუებინ-
ა და ბურღობა დაეფარა, მაშინ?—
გამსყიდველმა ცხენი უკანვე გამოარ-
თვას, ფასი დაუბრუნოს და „რაც იმ
ცხენით წახდომოდეს, უკლებ უზღო-
სო“ (მუხ. როგ).

სახედრისა და უსულო სასაქონლოს
სყიდვა-გასყიდვაში დიდი მნიშვნელო-

*) ს. ს. ორბელიანი არ იხსენიებს ამ სი-
ტუვას თავის ლექსკონში. სამართლის მუხ.
როგ შეცდომით სწერია გულარალო. ბო-
ღიარლო, ბურღო რუსულად—Норовистая
лошадь.

ბა ჰქონდა ჰაემანს *), ამ ხელ-შეკრუ-
ლობის ბედი და იღბალი პირობის
დროზე იყო დამოკიდებული. ჰაემანს
უნდა გადაეწყვიტა—რა მოელოდა
გამსყიდველსა და მსყიდველს. თუ ნას-
ყიდს სახედარსა და უსულო სასაქონ-
ლოს, ჰაემანის გასელამდე, რაიმე ნაკ-
ლი გამოაჩნდებოდა, მსყიდველი „მო-
შლას ემართლების უცილებლად, უსა-
მშლელი“,— აიღოს ცალიერი ნას-
ყიდი და დაუბრუნოს პატრონსაო.
აღბულა ამბობს, მსყიდველს შეუძლიან
„ჰაემანსა გარეთაც“—პირობის დროს
გათავებამდე—ხელი აიღოს ნასყიდზე,
მაგრამ ამ შემთხვევაში საშამქელო
უნდა გაიღოს გამსყიდველის სასარ-
გებლოდაო. საშამქელოსათვის თავი
შეადგენდა: მსყიდველს თანის მეთე-
დი უნდა დაეკლო და დანარჩენი გა-
მოერთმია გამსყიდველისათვის. ნასყი-
დობის მოშლა არა გზით არ შეიძლე-

*) ს. ს. ორბელიანის განმარტებით, ჰაემანს
პირობის დროს.

ბოდა, თუ სყიდვას შემდეგ ჰაემანის-
ოდენი სხვა დრო გავილოდა. მაგრამ
უკეთუ ჰაემანი გათავდებოდა და ერ-
თი იმოდენი დრო-კი ჯერ ისევ გასუ-
ლი არ იყო, მაშინ „მოშლას ემარ-
თლების“. ამ შემთხვევაში, საშამშლე-
ლოს გარდა, მსყიდველს სხვა რამეც
უნდა გარდებხადა, — „თუ დიდსა ხანსა
ჰყოლოდეს, ეხედნოს და აუად გაეხა-
დოს, იგიცა კიდე შეუზღოსო“. უსუ-
ლო სასაქონლოზედაც სამართალი ასე
ბჭობდა (მუხ. ე).

XII

სყიდვა-გასყიდვისაგან განირჩეოდა
ქიჩა. ს. ს. ორბელიანის სიტყვით,
ქირა—სხვათა ენაა და ქართულად
მიზდი ეწოდება. რაც უნდა იყოს,
ქართველი სიტყვას ქიჩა უფრო ჰხმა-
რობს და თითონ აღბუღას სამართალ-
შიაც სრულიად მოხსენებული არაა
მიზდი. საათაბაგოში ქირა ისეთს ხელ-
შეკრულობას ერქვა, რომლითაც კა-
ცი თავის თავს ანუ თავის სახელდარს,
შინაურს პირუტყვს, სამოსიქმოდ და

სამუშაოდ სხვას აძლევდა და პირობას უდებდა—*ესა-და-ეს ფასი მომეცით*. ამ მხრივ იქაური ქირა მიაგავდა რომაელებისას, თუმცა მათ შორის განსხვავებაც იყო. რომაელთა სამართალი აწესებდა, ქირა სამგვარი იყო — უსულო სასაქონლოს ქირად მიცემა, კაცის სამსახურად დაჭერა და ეგრედ წოდებული სახელოსნო ქირა (როცა, მაგ., რომელსამე ხელოსანს პირობით შეეკვროდნენ — *ეს საქმე ამ ფასად გამიკეთეო* 198) ალბულა-კი ამბობს, ქირას საგნად მხოლოდ კაცი და სახედარი აქვსო. თუმცა ათაბაგი სახელოსნო ქირას (რომაელთა *Locatio conductio operis*) ცალკე არ ასახელებს, მარამ იგი ქირა საათაბაგოშიაც უნდა სცოდნოდათ, რადგანაც საკაცო ქირა ზოგადად განმარტებულია — „თუ კაცმა კაცი დაიჭიროს რაგინდარა საქმისათვისო“. ეს „რაგინდარა საქმე“ შეიძლება სახელოსნო

198) Зомъ, стр. 249.

საქმეც ყოფილიყო. მაშასადამე, საათაბაგოს ქირას მხოლოდ უსულო სასაქონლო (ნიეთი) არა ჰქონდა საგნად და ამით განსხვავდებოდა რომაელთა Locatio — conductio-საგან. ქირა დროებითს ხელ-შეკრულობას შეადგენდა და ვიდრე პაემნის ქამი არ გათავდებოდა, მისი მოშლა და დარღვევა არ შეიძლებოდა. აღბუღა ამ პაემნის ქამს უწოდებს ბორჯაღს *). დაქირავებულს კაცსა და სახედარს რაც უნდა დაემართოს ბორჯაღის გასვლამდე, სულო ერთია და მოქირავე პასუხს არ აგებს — „და მას შიგან მოკვდეს, არაეინ რას ემართლები ქირისაგან მეტსა; ამავე წესითა სახედარისა იყოსო“. მაგრამ სამართალი მოქირავეს ნებას როდი ანიჭებდა, როგორც გეპრიანების, ისრე მოექეცი დაქირავებულსაო. არა, მოქირავეს შარალი უნდა ეზლო, თუ უწყალოდ

*) ბორჯაღი — პაემნის ქამია, იხ. ს. ს. ორბელიანის ლექსიკონი.

და ბორჯაღალს გარედ ამუშავებდა და ამის გამო დაქირავებული მოკვდებოდა: „თუ ანუ ბორჯაღალს გარდახდეს, ანუ უშორეს წაიყვანოს, ანუ შეკვეთილისაგან კიდევ მეტი აჰკიდოს, თუ მოკვდეს უზღოსო“ (მუხ. 3). იგი სათნოება დიდს სასოებასა და ნუგეშს შეადგენდა დაქირავებულისათვის და ამაშია საათაბაგოს ქირის საუკეთესო თვისება. სხვაგან, მაგ. რუსეთში ქირას ასეთი თვისება არა ჰქონია. Русская Правда ამბობდა, თუ დაქირავებული კაცი, „ზაკუპი“, ვადას გასვლამდე გაიქცა, მოქირავეს ხოლოპი შეიქნესო¹⁹⁹). გაქცევა ხშირად უჯიათად მოპყრობისაგან წარმოსდგებოდა და ხოლოპობა კიდევ მონობას ნიშნავდა. საათაბაგოს სამართალი-კი გაქცევას არ იხსენიებს და ალბად იმიტომ, რომ დაქირავებულსა და მოქირავენს შორის უფრო სათნოიანი დამოკიდებულება არსებობდა და პირველი არ საჭი-

¹⁹⁹) Калачевъ стр. 141.

როებდა მეორეს გაქცეოდა და საქირაო ბორჯალი უარყო. მამულის ქირაობა საყოველთაო ჩვეულებაა და საქართველოშიაც იციან²⁰⁰), მაგრამ აღბუღას სამართალი სრულიად არაფერს ამბობს ამ ჩვეულებაზე.

როცა ერთი მეორეს თავის მამულსა ან საქონელს აკედრებს — შესანახად აძლევს, მაშინ ხელ-შეკრულობას ამანათი ჰქვია. შესანახად მიცემა ფასითაც შეიძლება და მუქთადაც. ეს ხელ შეკრულობა ძველთაგან ძველია და პირველ დროს სამართალი განსხვავებას არა სდებს სამამულო და სასაქონლო ამანათსა, იგი განსხვავება მხოლოდ დროთა მსვლელობაში ჩნდება²⁰¹). საათაბაგოს ამანათიც ძველის ფორმისაა — როგორც სამამულოს, ისრე სასაქონლოს მიბარება შეიძლება-

²⁰⁰) სხვათა შორის, სვანეთსა და ფშავ-ხევსურეთშიაც, Зак. и Об. на Кав. II. 60, 112—3.

²⁰¹) Совр. Об. и др. Зак. I. 196—7, 218.

და. მაგრამ აღბურთა ამანათს მარტო სა-
საქონლო მიბარებას უწოდებს, ხო-
ლო სამამულოსას— შეკედრებასა. თვით
ამ სიტყვათა სხვა-და-სხვაობა ამტკი-
ცებს, რომ საათაბაგოში საზოგადოდ
ამანათს ცვლილება გამოუვლია და
ქამთა ვითარების გამო ერთს ღერო-
ზე ორი შტო აღმოცენებულა. მართა-
ლია, ორივე შტო ერთის ნიადაგი-
საა, მაგრამ თავისებურება ცეცხობათ.
მაგალითებრ, სამამულო შეკედრებაში
შემავედრებელს ზოგჯერ ფასი უნდა
გაეღო შევედრებულის სასარგებლოდ:
აღბურთა ამბობს, თუ კაცმა სხვას მა-
მული შეავედროს, „დაჭირვასა არას
ემართლებს, ნაქმრის ფასი მისცეს“
შევედრებულსაო (მუხ. ნე. ნაქმარა —
за труды). შემამულოეს ნაქმარა უნდა
გარდებხადა. იგი ნაქმარი სასაქონლო
ამანათისთვის დადებულის არ იყო და
ამ მხრივ, როგორც სხვაფრივაც, სა-
ათაბაგოს ამანათი მიაგაედა რომაე-
ლების depositum-ს²⁰²). მაინც რო-

²⁰²) ЗОМЪ, 234—5.

მის სამართალმა ზედ-მოქმედება იქონია საათაბაგოს ამანათზე და აიროგორ იგი სამართალი აწესებდა, ვინც სხვა კაცის სასაქონლოს დაჩემებს, ქურდია და დამნაშავეს ერთი ორად გარდახდესო. ამანათად მიცემული სასაქონლოს დაჩემებაც პარეაო 203) სწორედ ასრე ბკობს ათაბაგიცა: „თუ ამანათი დაუჭიროს, როსცა სასამართლად შეიყარნენ, ერთისათვის ორი დაუურვოსო“.

სათაბაგოში ყველაფერი სასაქონლოს შეეძლო კაცს სხვისათვის ამანათად შეევედრა — „თუ კაცმან კაცსა ამანათი შეევედროს წა გინდა წა ფეჩიო“, რასაკვირველია, წა გინდა წა ფეჩიო ნიშნავდა როგორც უსულოს, ისრე სულიერს სასაქონლოს, მაგრამ აღბუღა არას ამბობს, შეიძლებოდა კაცის ამანათად მიცემაც, თუ არა. ეს კია, რომ ძველად ასეთი ამანათიც

²⁰³⁾ Зак. и Об. на Кав. I. 130—131.

ჩვეულებად ჰქონიათ და დიდი ხანი არაა მას აქედ, რაც ოსებში კაცსაც ამანათად აძლევდნენ²⁰⁴). საამანათო პირობა სავალდებულო იყო მარტო მიმცემლისა და მიმღებელისათვის და გარეშე კაცს არა ეკითხოდა-რა: სხვას ამანათი თუნდაც წაეღოს „საქონლისა პატრონი წამღებსა არას ემართლების თხოვასა, მას თხოვოს, ვისდა შევედრებიაო“. ამ შემთხვევაში მიმღებს ამანათი უნდა ეპოვნა, თუ არა და—ეზლო დაუკლებლად (მუხ. 33). ამანათის არსებითი თვისება ისაა, რომ შევედრებული „დაჭირვას, დახუთვას არას ემართლების“ შემავედრებელსა. ხომ ასეა, მაგრამ შევედრებულს, რაიმე მიზეზის გამო, შეეძლო ამანათი დაეხუთა. ასეთს დახუთვას აღბუღა ბრალად სდებს შევედრებულს და დაძახთუკლმა ერთი ორად უზღლოს შემავედრებელს, „ამად რომ დაჭირების ქამსა მისა საქონელი აღარად მოხმარებია და ზიანი სცენიაო“ (მუხ. 3თ).

²⁰⁴) Совр. Об. и др. Зак. I. 208—9.

როგორც ვუჩვენეთ, ამანათი სასა-
ქონლოა, შევედრება-კი სამამულოა.
პირველი მუქთია, მეორეს ნაქმრის
ფასი სძევს. როცა დროთა ბრუნვის
გამო, ეს ორი ხელ-შეკრულობა გან-
ცალკევდა, თითოეულს საკუთარი ხა-
სიათი დაეტყო. პირვანდელ დროს
ამანათი საერთო და საყოველთაო ყო-
ფილა და ბოლომდე საათაბაგოში ეს
ხასიათი შერჩა. ხოლო სამამულო
შევედრება უფრო საგლებო ჩვეულე-
ბად გარდაიქცა. ცხადია რისთვისაც.
ფეოდალობა მძიმე ულლად დააწვა
გლებობას და მამულის შევედრებას
უმეტესად გლები საჭიროებდა. საათა-
ბაგოს სამამულო შევედრება გარე-
გნობით ბევრად მიაგავს რომაელების
precario-ს²⁰⁵). რომში პატრონი თა-
ვის კლიენტს სამოწყალოდ აძლევდა
მამულსა. ასე იქცეოდნენ საათაბაგო-
შიაც, სადაც გლები ხშირად ეაჯებო-
და მემამულესა და ბატონს, მამული მო-

²⁰⁵) Зомъ, 202.

მეცი სარჩენადაო. ხელ-მოკლეობა და
გაჭირვება გლევს ძალას ატანდა ასე
მოქცეულიყო. რასაკვირველია, ესევე
არ ითქმის პატრონსა და ბატონზე.
თუმცა სამამულლო შევედრების მიზე-
ზი ამ სოციალურს ურთიერთობა-
შიაც უნდა მოიძებნოს, მაგრამ თავ-
დაპირველად ეს ხელ-შეკრულობა სხვა
გარემოებამ დაჰბადა. მამულის უქონ-
ლობას გარდა, კაცს ბევრ გვარი სხვა
მიზეზი იძულებულ ჰხდიდა შევედრე-
ბისათვის მიემართა. ხშირად თითონ
მემამულე საჭიროებდა მიებარებიანა თა-
ვისი მამული. აღბულა აღნიშნავს, თუ
რა იყო იგი საჭიროება და ამითი ნა-
თელს ჰფენს ამანათის და სამამულლო
შევედრების ბნელით მოცულს დასაწ-
ყოსსა და გაჩენას. ასეთი საჭიროება
აბლახა და გარდასკეწისაჲ, — „თუ კაც-
მან კაცს მიწა გინა ნაშრომიტა, გინა
ნაგებიტა, გინა ნარგევიტა ანუ აბ-
ლახისათვის, ანუ გარდასკეწისათვის შე-
ვედრსო.“... როცა ობოლი გაიზრდე-
ბოდა და გარდახვეწილი დაბრუნდე-

ბოდა, „ადგილი მემამულესავე მართებს“, შევედრებული „დაჭირვას არას ემართლებისო“. მემამულეს მხოლოდ ნაქმის ფასი უნდა გაეღო და ნაქმის კიდევ ნიშნაუდა რასაც შევედრებული შრომითა და გარჯით შეჰპატრებდა სხვის მამულსა (მუხ. ნე). ასე ბჭობს აღბუღა საზოგადოდ შევედრებაზე და მაშასადამე შევედრების პირვანდელ მიზეზად ობლობასა და გარდახვეწას აღიარებს. რა-კი შესაძლოა ობლობა და გარდახვეწა პატრონსა და ბატონსაც დამართოდა, რასაკვირველია, სამამულო შევედრებას ვერც ისინი ასცდებოდნენ, თუმცა მერმე შევედრებამ ხასიათი იცვალა და უფრო საგლეხო ხელ-შეკრულობად გარდაიქცა. ეს მაშინ, როცა ობლობასა და გარდახვეწას გარდა, სამამულო დამოკიდებულება გამწვავდა და პირვანდელს საბაბს ზედ დაერთო სხვა მიზეზიც. აღბუღა ცალკე აღნიშნავს საგლეხო შევედრებას — „თუ კაცმან კაცს გლეხისაგან სამამულო

რამ შეევედროსო“... არც ასეთი შე-
ვედრებულის მამულის დაჭირვა იქნე-
ბის და თუ „ალარ მისცეს, ოდეს-ღა
სამართალმან დაადებინოს, ნაჭამითა
მისცენო“ (მუხ. ნდ).

ამანათის მსგავსს ხელ-შეკრულო-
ბას შეადგენდა ეგრედ - წოდებული
საქმითა ვისგანმე რისამე წადება. ამ
ხელ-შეკრულობას საკუთარი სახელი
არ ედო, თუკცა-კი ცალკე მოხსენე-
ბული იყო სამართალში. ამანათსა და
საქმით წადებას საერთო ისა ჰქონდათ,
რომ ერთიცა და მეორეც სასაქონ-
ლოს შეადგენდა, თავის დროზე პატ-
რონს უნდა დაბრუნებოდა და რაც
ზიანი მოუვიდეს, პატრონს უზღო-
ნო. აღბულა ამბობს, შეიძლება კაცს
საქმით წადებული „წაუბდეს“, თუ არა-
და—სხვამ წაართვას: „სოფელსა უწ-
ყინოს ვინ თათარმან ანუ ქართველ-
მანო“. ორსავე შემთხვევაში წამლე-
ბელმა გასცემა პასუხიო. თუ წადებუ-
ლი „წაუბდა“, ზიანი აუყენოს, ხო-
ლო როცა „წაართვან“, სასაქონლო

თითონ წამლებელმა დაიხსნას ანუ ფასი მისცეს პატრონსაო. საქმით წაღებულ სასაქონლოს ბედი და თავგადასავლი, სხვათა შორის, მითაც საყურადღებოა, რომ იმ დროინდელს სურათს გვიხატავს. ძალადობა და მტრობა მაშინ ხშირი მოვლენა ყოფილა და საქმით წაღებულის წართმევაც ძარცვა-გლეჯას გამოუწვევია. ზთაბაგის თქმით, წართმევა „დაუნდობლობისა და მტერობისაგანაც“ წარმოსდგება: „თუ ქვეყანა ანუ თემი და სხვა რჯული, გინა მეზობელი, დაუნდობელი იყოს, დაუნდობელმან დაუნდობელს მტერობასა შიგან უყოს“, ე. ი. წაართვასო. მაშასადამე, ტაციობასა და რბევას ვრცელი სარბიელი ჰქონია, მთლად ქვეყანა, თემი და რჯული ხელთ დაუჭერიან მტრობასა და დაუნდობლობას სამაგიერო მოსდევდა, რადგანაც ხარივე ვნებათა ღელვის საქმეა, რომელიც კაცს აიძულებს ხოლმე უდანაშაულოსაც ბოროტება შიაცენოს. ასეთს შემთხვევას აღბუღაც

ასახელებს და როგორც კაცის ბუნე-
ბის მცოდნე სათანადოდ ბჭობს. შეი-
ძლებაო, ამბობს ათაბაგი, საქმით
წამლებელმა და სასაქონლის პატრონ-
მა „სხვასა აწყინონ,“ ისეთს, ვინც
არაფერ შუაშია და მხოლოდ მტრის
ქვეყანასა და თემს ეკუთვნის ანუ მი-
სი ძეზობელიაო. თუ ასე მოხდა, იგი
„სხვა ნაწყენი“ უნდა დადუმდეს — „პარ-
ველსა მაწყინარსა არას ემართლების,
ამად რომ მტერობასა ზედა დაუნდო-
ბელნი ყოფილანო“ (მუხ. 53) აქ
საქმე შურის-ძიებაზე იყო დამოკიდე-
ბული და ყველა ძველი სამართალი
ხომ პატივსა სდებდა შურის-ძიებასა.

არის ერთ გვარი ხელ შეკრულობა,
რომელსაც დასაწყისი სარწმუნოებ-
რივს გრძნობაში უძევს. ასეთია ჩუქე-
ბა (donatio), რომელსაც აღბულა
უწოდებს კარვად და პირის-წყლისად
ყოფისათვის სამოყვაროდ მიცემას. ჩუ-
ქება სამამულო და სასაქონლოა. სჯულ-
მდებლობის ისტორია მოწმობს, რომ
თავდაპირველად სამამულო ჩუქება

სასულიერო წოდებას შემოუღია თავის სასარგებლოდ. ასე მოხდა, მაგ., ინდოეთსა და ირლანდიაში²⁰⁶). მერმე, როცა ჩუქება გახშირდა და აღორძინდა, სასულიერო წოდებას გარდა, სხვასაც ასაჩუქრებდნენ. ოჯახის უფროსმა უფლება შეიძინა მამული შეიღოსთვის ანუ ახლო მეყვისისათვის გარდაეცა: მე მოვლა აღარ შემიძლიან, მამული მიჩუქებია და მარჩინეო... სავათბაგოშიაც სამამულო ჩუქება ქურუმთა და შემდეგ ეკკლესიის მსახურთა გავლენით აღორძინდა. აღბულა პირდაპირ აწესებს სულის სასარგებლოდ მამულის გაცემასა და, მაშასადამე, საყოველთაო ჩვეულებას მისდევს. კარგად და პირის წყდინად ყოფასათვის სამოყვროდ მიცემაც იგივე უძველესი ჩვეულებაა, რომელიც ოჯახის უფროსს ნებას აძლევდა მეყვისისათვის მამული გარდაეცა, როცა თითონ მოვლა აღარ შეეძლო. რომა-

²⁰⁶) Совр. Об. и др. Зак. I. 149—151.

ელთა სჯულმა განსაზღვრა — თუ რამდენის ჩუქება შეიწყნარება და დაადგინა, (სასამართლოს ნებართვა საჭიროა, როცა ჰსურთ დიდად დაასაჩუქრონ ვინმეო. საჩუქრის გამართმევა შეიძლება, უკეთუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს თავის მწყალობელსაო²⁰⁷). აღბუღა არ ამბობს, რამდენის ჩუქება შეიძლება, მხოლოდ აწესებს რის გამო უნდა „მოიშალოს“ საჩუქარი: „ხანთა გამოსვლისა და ქვემო ყოფისათვის თხოვასა არას ემართლებისო“, მაგრამ თუ „კარგად და პირ-წყლიანად ყოფა და მოყვრობა“ მოისპო, დაუკლებლად მიეცეს საჩუქარიო (მუხ. ძბ). სულ სხვა იყო ქრთამი. როცა ერთი ვინმე მეორისათვის გაირჯებოდა და შრომაში გასამრჯელოს მიიღებდა, მაშინ გასამრჯელოს ქრთამი ერქვა. ქრთამს შეადგენდა სამამულო და სასაქონლო. ქრთამი საუბრია,

²⁰⁷) Зомъ, стр. 109.

ხარკი გარჯისა და საქმისაო—
„თუ კაცსა კაცისა და ან პატრო-
ნისა კარგად ყოლისა და საურისათვის
ქრთამად მისცეს რამ, გინა სამამულო
და გინა სასაქონლოო“. ეს ნიშნავდა,
როცა კაცი ვისმეს პატრონთან ანუ
პატრონთან შეეწიოს, გაისარჯოს და
ხარკი მოუვიდეს, ქრთამს მაშინ მი-
სცემენო. ქრთამს ძველად სწორედ
ასეთი მნიშვნელობა ჰქონდა (208). მარ-
თალია, აწინდელ დროს ქრთამი წაი-
ბილწა და პირვანდელი მნიშვნელობა
დაჰკარგა, მაგრამ მდებრივ ხალხს ეხ-
ლაც ახსოვს თავისი ოდესმე შეუ-
მწიკვლელი ჩვეულება. რასაკვირვე-
ლია, ძველადაც მოხდებოდა ხოლმე
„საქრთამოსა შოებისათვის შებეზლე-
ბა“ — ქრთამი ცუდ-უბრალოდ და უწყე-
სოდ გამამართვესო. მაშინ ამღებელს
უნდა ეფიცა და გამართლებულიყო.
თუ ვერ იფიცავდა, ქრთამი პატრონს
დაუბრუნოსო (მუხ. 3ვ).

208). ქრთამს შეფუხავს ამლევედნენ, Двор.
Грам. 41, 45

— ძველად გლეხობაში ამხანაგობაც იცოდნენ. ერთი გლეხი მეორეს მიმართავდა და პირობით ეკვროდა — სამხანაგოდ ვილვაწოთ და ვიშრომობთო აღბუღაც იხსენიებს სამხანაგო პირობას და დასძენს, როცა ამხანაგები გაშორდნენ, თანასწორად შუაზედ გაიყონ შეტანილი და მოხაგებიო. ამხანაგობის თვისება ურთიერთს ნდობაში მდგომარეობს. ამიტომ თუ ამხანაგად შესული, რომელსაც „სწორის სწორამდინ უმსახურებია“, რასმე მოიტაცებდა, „რა სამიწო ნასყიდი შეექნას, ნურცა მას გაატანსო“ (მუხ. ოა) იგი „სამიწო ნასყიდი“ სამხანაგოდ „მონაგებს“ შეადგენდა და მაშასადამე ამხანაგობა იმ აზრითაც არსდებოდა, რომ საერთო ჯაფით მამული შეეძინათ.

იურიდიულს გარიგებასა და ხელშეკრულებას აღსრულება ესაჭიროება და აღსრულებისათვის გაჩენილია თავდებობა. საგვარეულო ცხოვრების დროს მხოლოდ გვარისეულნი არიან ერთმა-

ნეთის მეშველენი და თავდებნი. მაშინ თავდები არაფრით არ განიჩქევა პირობით შეკრულისაგან. მაგალითებრ, თუ ვალის ამღებელმა პირობა დაარღვია, მოვალეს შეუძლიან თითოეულს იმის გუარის კაცს მიმართოს და ვალი გარდაახდევინოს (209). რაკი პირვანდელ დროს თავდებობა საგვარეულოა, ევროპელთა ძველ სამართალშიაც ცალკე კაცის თავდებობა მოხსენებული არაა (210). კერძო თავდებობა მხოლოდ მაშინ გაჩნდა, როცა საგვარეულო წყობილებას ბოლო მოეღო.

ევროპაში წინად თავდებობის ნიშნად ჯერ ხმალსა ჰხმარობდნენ და მერე *festuca*-ს (СОЛОМИНА). ერთსაცა და მეორესაც პირობის დამდებნი და თავდებნი ერთმანეთს გადასცემდნენ ხოლმე — ეს იყო პირობის საბუთიო.

209) Совр. Об. и др. Зак. I. 226—30.

210) *ibid.* 163—6.

მერე შემოიღეს ხელის ჩამორთმევა, რომელსაც ზედ მოჰყვა სათავდება, (wadium, задатокъ, აღბუღას სანახშირე 211), თავდებობის დროს ხელის ჩამორთმევა ირანელებმაც იცოდნენ და ამიტომ ბ-ნ კოვალევსკის ჰგონია, ვიფიქრო ქართველებმა იმათგან 'შემოიღეს ეს ჩვეულება 212), თუმცა-კი თავის აზრს არ ასაბუთებს.

აღბუღა ამბობს, თავდებობა ორნაირია, — ერთი დიდებულთა და აზნაურთათვის, მეორე საგლეხო და ორისავე თავდებობისათვის „ხელის ჩართვევა“ საჭიროაო. სადიდებულო და სააზნაურო თავდებობაზე ნათქვამია, უნდა ეწეროს — „თუ დიდებული გინა აზნაური დაუდგესცა, ანუ რასაცა ზედა უდგეს, უზღოს სათავდებო, წაჭა ეწეროს (მუხ. ო). დიდებულსა და აზნაურს ხელს არაფერი უშლიდა

²¹¹⁾ *ibid.* 171—4.

²¹²⁾ Зак. и Об. на Кав. I. 115—6, II. 110.

და დაუბრკოლებლივ შეეძლოთ ყოველთვის თავდებად დამდგარიყვნენ. სხვა ხასიათისა და თვისებისაა საგლებო თავდებობა. გლეხი ხელმოკლეა და მხოლოდ „ერთისა ხარისა ანუ მისის ფასისა“ ნება აქვს დაუდგეს თავდებად, მეტის თავდებობა არ შეუძლიანო. ეს კიდევ არაფერი: გლეხმა უნდა „ხელი ჩამოართმევინოს თუ საპატიოს კაცისა იყოს, მისსა ხელის უფალსა“ და თუ დიდებულისა ანუ აზნაურისა — თავის ბატონსაო. ხელ ჩაუჭრთქელად გლეხს თავდებობა არ შეეძლო; „თუ ხელი არა ერთოს, გლეხი ამას უფროსითა ვერ დაუდგებზს, ამად რომ არა ღირსა“. უკეთუ იგი „ულირსი“ არსება გაკადნიერდებო და დაბატონის ხელჩაურთველად ვის მე თავდებად დაუდგებოდა, „მისმან ბატონმან ავად გახადოს იგი გლეხიო“ (მუხ. მთ).

XIII

სამართლის ქმნა, რომელსაც აღბუღა საბჭოდჳდომას უწოდებს, საჭეჭულით იწყება. სარჩელი მოსამართლესთან ჩივილით და ზედ მოსდევს საბ-

ჭოდ, სასამართლოდ შეყრა. ხოლო იგი შეყრა უნდა დაბოლოვდეს სამართლის დადებით. მაშასადამე, საათაბაგოს საბჭოდჯდომა რთული წარმოება ყოფილა: ჯერ სარჩელი უნდა შეეტანათ, მერე მოჩივარი და მეპასუხე სასამართლოდ შეყრილიყვნენ და თვითოეულს მათგანს ბჭეებისათვის საბუთი წარედგინა, შემდეგ ბჭეებს სარჩელი და საქმის გარემოება გაესინჯათ და ბოლოს სამართალი დაედოთ. ამ გვარი სამართლის ქმნა მხოლოდ განვითარებულს ერსა აქვს. პირვანდელს დროს, როცა საგვარეულო წესი არსებობს, სამართლის ქმნა დამოკიდებულია შურის-ძიებაზე. ხოლო შურის-ძიება ბრძანებს, დამნაშავეს სამაგიერო და სწორი ბოროტი მიეგოსო, სისხლმა სისხლი ზღოს და გვარმა გვარს მტრობა გარდუხადოსო. იმ დროს დანაშაული მთლად გვარის შეურაცხება და გაუპატიურება და ამის გამო ერთი გვარი მეორეს სდევნის. მტრობა დაუცხრომელს ბრძოლას ჰბადავს და თავ-აწყვეტილს ვნე-

ბათა ღელვას თითქოს დასასრულიც არ უჩანს. იგი ღელვა ხშირად მაშინ სცხრება, როცა ერთი გვარი მეორეს სრულიად სძლევს და მიწასთან ასწორებს. მაგრამ მუდმივ ასეთი ყოფა შეუძლებელია: მოსალოდნელია, რომ დაუცხრომელმა, საგვარეულო შურის-ძიებამ საბოლოოდ მოსპოს ხალხის ცხოვრება და თვითოეული გვარი ძირიან ფესვიანად ამოაგდოს. ამიტომ, ჟამთა-ვითარების გამო, საგვარეულო შურის-ძიებას ფრთები ეკვეცება, ნელ-ნელა ძალა აკლდება, და სავარჯიშო მოედანიც უმცირდება. შურის-ძიება გვარიდგან ოჯახზე გადადის, მერე ოჯახს თავს ანებებს და ახლო ნათესავებს სდევნის და დასასრულ მარტო პირდაპირ დამნაშევს უღესავს თავისს მახვილსა. ყოველს შემთხვევაში მახვილი მაინც უწყალო და შეუბრალებელია, რადგანაც შურის-ძიება სარწმუნოებიდგან მომდინარეობს: წინაპართა სული სამარიდგან მტრის სისხლსა თხოულობს და ცათა მიმართ ღალატებს, სამაგიერ-

როგორც გარდუხადეთ დამნაშავესაო²¹³). მრისხანეა და საშინელი ზარი აქვს წინაპართა ღალადს. ვერც ერთმა ხალხმა ვერ შესძლო, სმენა და ყური აერიდა ამ ღალადებრისათვის. რომში, მაგ., პირველ მეფობის დროს მკვლელი ვალდებული იყო, მოკლულის ნათესავებისათვის ცხვარი მიეყვანა. ცხვარი უნდა დაეკლათ და ეს დაკვლა დამნაშავეს მოკვლას ნიშნავდა, ზვარაკის სისხლი თვით მკვლელის სისხლიაო²¹⁴). თუ რა ხანგრძლივია შურის-ძიება და რა დიდს მანძილზე მიდის, ამას ევროპის ცხოვრება ამტკიცებს: იქ ჯერ ისევ XVI და XVII საუკ. შურის-ძიებას ცხოველი ძალა ჰქონდა²¹⁵). რასაკვირველია, საათაბაგოც ვერ ასცდა

²¹³) *Зак. и Об. на Кав. II. 219—229. См. также Совр. Об. и Др. Зак. II. 37—42.*

²¹⁴) *Рудольфъ Теринъ, Духъ Римскаго права, и. I. 1875 г. стр. 161.*

²¹⁵) *Совр. Об. и Др. Зак. II. 53—4.*

შურის-ძიების ღელვას და ამას აღ-
ბულა მოწმობს, მაგრამ შესანიშნავია,
რომ, თუმცა აწინდელს დროს აჭა-
რაში შურის-ძიებას თითქო საზღვარი
არ უძევს და საშინლად მძვინვა-
რებს²¹⁶), ძველად-კი ასე არ ყოფი-
ლა: საათაბაგოში შურის-ძიებას აღარ
ატყვიან პირვანდელი მრისხანება და
სიმკაცრე. ჯერ ერთი, რომ მოკვლი-
სათვის მოკვლა არ შეიძლებოდა და
დამნაშავეს სისხლში თეთრი უნდა
გარდებოდა. მეორედ, შურის-ძიებას
მცირე სარბიელი ჰქონდა და დროც
მოკლე — „თუ შერისხდეს ღმერთი,
ეშმაკისა ბირებიტა და მანქანებიტა,
კაცმან კაცი მოკლას, დიდებულმან
დიდებული, სადამდისა პატრონის
ჯაყელისა და მაწყვერლისა კაცნი და
ხატი ყოვლად-წმიდისა მიესწრებოდ-
ნენ, მხანამდინ დაწვას თუ ჩასაც ემტე-
რას, იგი სისხლსა შიგან არ მიეფა-
სოსო...“ (მუხ. ბ). რა-კი ასეა, შურის

²¹⁶) დ. ბაქრაძის *Apx. nym.* 14, 43,
94—6.

მეძიებელს პირდაპირ დამნაშავესთვის უნდა მიემართა და მარტო „დაწვას“ და „სხვა მტრობას“ დასჯერდებოდა, — სამართალი მოკვლის ნებას არ აძლევდა. ასეთი შურის-ძიება ბევრად საშეღავათოა. ყოველს შემთხვევაში, „დაწვა“ და „სხვა მტრობა“ მაინც შურის-ძიებას შეადგენდა და იმ უძველეს დროიდან მომდინარეობდა, როცა სამართალში ძალ-მომრეობა სუფევს. მამულსა და ქონებაზე მიმართული შურის ძიება (грабование, барантование) საზოგადო ჩვეულებაა და ცნობილია, როგორც საქართველოში, ისრე სხვაგანაც ²¹⁷). ეს ჩვეულება მაშინ წარმოდგა, როცა სამამულო დამოკიდებულება ჯერ წესიერად არ იყო განწყობილი და პატრონს, „ნაწყენს“, ნება ჰქონდა, თავისით ყოველ გვარი ზარალი გარდაეხდევინებინა დამნაშავესთვის ²¹⁸). სამამულო და

²¹⁷) *Зак. и Об. на Кав. II. 122—3, 131.*

²¹⁸) *Op. cit. I. 68—70.*

სასისხლო შურის ძიება ერთსა და იმავე დროს გაჩნდა ეხლაც ზოგიერთს ადგილას ორივე თანაბრად სწარმოებს. ასეა, მაგ. დაღესტანში. აღბუღა-კი ამბობს, მხოლოდ სამამულო შურის-ძიება შეუძლიან ნაწყენსაო და ასეთი დადგინება, რაც უნდა იყოს, წარმატებულის ცხოვრების ნაყოფია, შურის-ძიებას საათაბაგოში სხვა ცვლილებაც ამჩნევია, იქ იგი უფრო ღმობიერი და მშვიდია. ძველად ასე არა ყოფილა და თვით ევროპაში შურის-ძიების ბასრი მახვილი თანასწორად ჰლახვრდდა, როგორც სხვის ქონების მძარცველსა და მტაცებელს, ისე სისხლის მღვრელსაც²¹⁹). ათაბაგმა სხვაფრივ დააწესა. თუმცა იმის დროს ჰარვა და მეკობრობა გახშირებული იყო და დიდს უბედურებას უქადდა საზოგადოებას, მაგრამ მაინც მპარავსა და მეკობრეს მამულიდგან გაძევ-

²¹⁹) *Совр. Об. и Др. Зак. II. 27—31. См. также Теринга, 112—21.*

ბა და ორკეცად ნაძარცვის და ნა-
ქურდალის გარდახდევინება გაუჩინა.
მართალია, პატრონს შეეძლო ცხადად
მხარჯი და მეკობრე დაუსჯელად
მოეკლა, თუ დანაშაულები მისწრობ-
და, მაგრამ ეს სასტიკს შურის-ძიებას
კიდევ არ ნიშნავს, რადგანაც, მოკვ-
ლის დროს, პატრონი უფრო თავის
სიცოცხლეს იცავდა. საზოგადო-კრ
სასისხლო შურის-ძიებას საათაბაგოს
სამართალი უარ-ჰყოფდა. მოკვლა
ხომ პირველი და მძიმე დანაშაულია,
მაგრამ მოკვლისათვისაც მართო სამა-
მულო შურის-ძიება შეიძლებოდა და
არა სასისხლო (მუხ. ბ). ეს კიდევ
არათერი: ნაწყენს სამამულო შუ-
რის-ძიებისათვის შეეძლო მიემართა
იშვიათად, თითო-ორილჯ შემთხვე-
ვაში, ასე იყო, მაგ., როცა ვინმე
სხვას პატრონისა და ათაბაგის ლაღატს
დასწამებდა — „ოდესაც თავი იმართ-
ლოს, რაცა კაცისაგან ავი საზიანო
მოიგონების, ყოველსა მტერობასა
ემართლებს“ მახეზღარსაო (მუხ. მა).
მაგრამ აქ „ყოველსა მტერობასა“ თა-

ვისი საბუთი ჰქონდა: მოლალატეს
სამართალი სასტიკად სჯიდა და
თვით ლალატიც იმ დროს ხშირი ამ-
ბავი იყო. უეჭველია, რომ უბრა-
ლოდ მოლალატედ შესმენილსაც
შურის-ძიებისათვის უნდა მიემართა.
საყურადღებოა, რომ ათაბაგი ერთ-
გვარს თავისებურს შურის-ძიებას აღ-
ნიშნავს. ეს ის შურის-ძიებაა, როცა
ძმა ძმასთან მეყვისს საერთო მამუ-
ლიდგან „გააბეზრებდა“, გააგდებდა—
გაგდებულმა „რაგინდარა გარეთით
აწყინოს, როდესცაღა შინა მოვიდეს,
სამართლითღა ნულარა ეზღვების,
ნუცა-ღა მიეთვლებისო“ (მუხ. მთ).
ცნადია, მამულიდგან გაბეზრებაც ხში-
რი და გულსაკლავი ბოროტება ყო-
ფილა და ამიტომ შურის-ძიებაც შეი-
ძლებოდა. ყოველს შემთხვევაში, სა-
ათაბაგოში არ სუფევდა ერთერთი
სიყვარული და სათნოება. აღბუღა
არა ერთხელ და ბრჯელ იხსენიებს
„დამტერებას“, „სისხლისათვის გუ-
ლის ტკივილს“ და სხ. იქაც ხშირად
მძვინვარებდა შური და მტრობა და

შურის ძიება მრავალგვარს ბოროტებას ჰბადავდა. მაგრამ საქმეც ისაა, რომ სამართალი სასტიკად სდევნიდა ყოველგვარს დანაშაულს, ომელსაც მიზეზად შურის-ძიება ედვა.

თუ პირვანდელს დროს შურის-ძიება დაუცხრომლად მძვინვარებს, ამის მიზეზი, სხვათაშორის, ისაა, რომ სარწმუნოება შურის-ძიებას წმინდა მოვალეობად ჰხადის. მართლაცდა, ძველად თითქმის ყველა ხალხს შურის-ძიება სამღთო მოვალეობად სწამებია ²²⁰). ეს იმიტომ, რომ დანაშაულს სარწმუნოებრივი დასაწყისი აქვს. რომში მაგ., დანაშაული ნიშნავდა კერპების შეურაცხებას და განრისხებასა ²²¹), ხოლო სასჯელი — განწმენდასა. სხვაგანაც ასე ყოფილა და უმეტესად, აზიაში. რაკი დანაშაული სარწმუნოებაზე დაფუძნდა, სამარ-

²²⁰) *Совр. Об. и Др. Зак. II. 11—17.*

²²¹) *Иеринъ, Духъ Римскаго права, т. III, Религиозный принципъ, 238—9 и слѣд.*

თალმაც დააწესა, დამნაშავეს მკვდრის
სულმა უნდა შეუნდოს ბრალი,
მკვლელმა საფლავზე უნდა შეინანიოს
(კოლდაო ²²²). საყურადღებოა, რომ
ჩვენს დროსაც ხევსურნი ამ აზრისანი
არიან: მკვლელი ხატსუნდა შეეფაროს,
მსხვერპლი შესწიროს მკვდრის სულსა
და მხოლოდ მაშინ შეუნდობენ დანა-
შაულსა ²²³). ეს ჩვეულება საგვარეუ-
ლო წყობილებების დროს აღორძინდა,
როცა წინაპართა თაყვანის ცემა საერ-
თო მოვლენაა. შემდეგ, როცა საგვა-
რეულო ცხოვრება ჰქრება და სახელ-
მწიფო არსებდა, შურის-ძიებაც ჰკარ-
გავს პირვანდელს თვისებას: იგი სამ-
ღრთო საქმე აღარაა და წინაპარებს
შურის-ძიებისა არა ეკითხვით-რა. ეგ-
რეთი ცვლილება შურის-ძიებას და-
ათაბაგოშიც ამჩნევო. სარწმუნოებას
ძალა და გავლენა აღარა აქვს ამ სა-
შინელს ვნებაზე და მხოლოდ ჯაყელ-
სა და მაწყურელს ეკითხვის შურის-
ძიების საქმე.

²²²) *Зак. и Об. на Кав. II. 227—9.*

²²³) *ibid. 116—7.*

სწორედ ასე მოხდა ევროპაშიც, სადაც კოროლებმა დაადგინეს ეგრედ წოდებული „*королевскій мирь*“, რომლის გამო დადებულს დროსა და აღნიშნულს აღგილზე ყველას აკრძალული ჰქონდა შურის ძიებისათვის მიემართა ²²⁴). აღბუღაც აწესებს, მკვლელს შურის ძიება უნდა სდევნიდეს „სადამდის პატრონისა ჯაყელისა და მაწყვერლისა კაცნი და ხატი ყოვლად წმიდისა მიესწრებოდნენ“, ხოლო „რა მივიდეს ხატი და იგი კაცნი, მას უკანით ველარ ემტერებისო“ (მუხ. ბ.) ცხადია, რომ საათაბაგოშიც, დროთა ვითარების გამო, „მშვიდობა“ დაარსდა და შურის ძიება ქვესკნეთიდან მრისხანელ აღარ ღალადებდა...

როცა მძვინვარე შურის ძიება მოისპო, მაშინ გაჩნდა ეგრედ წოდებული დაურჯება (სისხლის მიცემა, *compositio, wergeld, вѣра*). ძველს დროს დაურჯებაც საზოგადო ჩვეუ-

²²⁴) *Совр. Об. и др. Зак. II 47—53.*

ლება: ყოფილა, ყველა ევროპიულს
ძველს სამართალში: თვითოეული და-
ნაშაული და ბრალი დაფასებულია.
დაურვება ნიხრს მიაგავს და წინაღვე
გარდაწყვეტილია, ამა და ამ დამნა-
შავეს ამდენი უნდა გარდახდესო.
დაურვება შურის ძიებისაგან წარმო-
სდგა და თუმცა იგინი განსხვავდე-
ბიან, მაგრამ მსგავსებაცა აქვთ. შუ-
რის ძიება თხოულობს, სისხლში ნამ-
დვილი სისხლია საჭირო, დაურვება-
კი მსხვერპლს არ ნდომობს და ამბობს,
დამნაშავემ ფასით შეისყიდოს თავისი
ბრალიო. მაშ შურის ძიება დამნაშა-
ვეს პირადად სდევნის, ხოლო დაუ-
რვება დამნაშავეს ქონებაზე ყრილობს
ჯავრსა. და რომ დაურვებაც შურის
ძიების ნიადაგზე აღმოცენდა, ამას
ისტორია მოწმობს: როცა დამნაშავე,
მაგ., მკვლელი შურის ძიების ასა-
ტოლებლად გარდიხვეწებოდა, იმის
ქონება და მამული მოკლოლის პა-
ტრონს რჩებოდა, ქონებასა და მა-
მულს უნდა გაეცა პასუხი. სულ
ძველად ამ ჩვეულებას მისდევდნენ.

შემდეგ შთელს ქონებასა და მამულს თავი დაანებეს და სასისხლო ნიხრი შემოიღეს²²⁵). რაც უნდა იყოს, დაურვება მაინც შედარებით მალლა სდგას შურის ძიებაზე. იგი მაშინ აღორძინდა, როცა ვნებათა ღელვა დასცხრა და საზოგადოებაში მშვიდობა და სათნოება დამყარდა. ამიტომაც ძველად რომში დაურვება შერიგებას (pactum) ნიშნავდა და ამ შერიგებას სისხლის სყიდვას უწოდებდნენ²²⁶). უეჭველია, რომ საათაბაგოშიაც დაურვება შურის ძიებას შემდეგ დაარსდა. ასე გასინჯეთ, დაურვების პირვანდელი ფორმაც-კი ნაშთად შენახულა სამართალში და ცხადად სჩანს, რომ საათაბაგოშიც დაურვებას იმავე გზით უვლია, როგორც სხვაგან: აღბუღა ამბობს, თუ დიდებულმა დიდებული მოკლას, „ვერ ამოუვიდეს და გარდებხვეწოს, მამული აქვდეს პატრონსა ჯაყელსა და მაწყურელსა, ნახევარი

²²⁵) *ibid.*, 54—62.

²²⁶) *Иерини*, 112—21.

მოსავლისა მესისხლეს აჭამოსო“ (მუხ. ბ.) სხვაგანაც ხომ თავდაპირველად დაურვება ასე დაარსდა და შემდეგ თვითოეულს დანაშაულს საკუთარი ფასი დაედო. საათაბაგოშიაც ყველა დანაშაულს თავისი თეთრი გაუჩინეს და, ამას გარდა, თეთრს მეტ-ნაკლებობა „გვარსა ზედა“ დააფუძნეს. თვით მკვლელიც ასცდა შურის ძიებას და, ვახუშტის სიტყვით, „მკვლელისა მის თანამდებ იყო, რათა დაეურვა თეთრითა და საქონლითა პატივისა და წესისა მისისა სისხლი“. მაგრამ საათაბაგოზე ის დარ ითქმის, რასაც ვახუშტი ამბობს — „უმდაბლესმან თუ მოკლას უმაღლესი, დაურვის სისხლი და განიძის მამული-საგან რაოდენსამე წელსა“²²⁷). არა, საათაბაგოში სისხლის დაურვება და გაძევება საყოველთაოდ იყო გაჩენილი და სასჯელად ედო უმაღლესსაც და უმდაბლესსაც: „თუ აზნაურმა აზნაური მოკლას, სამ წელიწადს მა-

²²⁷) საქართველოს ისტორია, გვ. 6.

მულისაგან გააყენონ... მეოთხესა წელიწადს შემოუშვან... და სისხლი ზღოს“ (მუხ. რნა). მოხსენებულია აგრეთვე დიდებულის გარდახვეწა და საზოგადოდ ძმისა და ახლო მეყვისის მკვლელზე სწერია: „ამა სოფელსა ძლივლა ინახვის კაცთაგან, აიღოს ვინცა გავლენილი იყოს ქედთა გარეთ ყოფა და გარდახვეწაო“ (მუხ. ბ. კვ.) ცხადია, ჩვენი მეისტორიე სცდება და მით უფრო, რომ ვერ გაუგია, რას ნიშნავს გაძევება და საიდან წამრ-მოსდგა იგი. გაძევება ძველი ჩვეულებათა და დასაწყისი შურის ძიებაში აქვს. ხევსურეთსა და დაღესტანში ვიდრე შერიგება არ მოხდება, მკვლელი თავისს მამულადგილს უნდა გაშორდეს და სხვაგან იმყოფებოდეს. დაბრუნება მაშინ შეუძლიან, როცა სისხლს დაიურვებს²²⁸). ეს გაძევება თვითოეულისათვის სავალდებულოა, უმდაბლესი იქნება დამნაშავე თუ

²²⁸) *Зак. и Об. на Кав. II. 116, 229—34.*

უმსაღმრესო. გაძევებული შურის ძიებას ერიდება, მოკვლისა ეშინიან და ამიტომ ნებაუნებურად შორდება მტერსა. ღარდახვეწასაც აზრად ესაძქვს. სხვაგანაც ეგრე ყოფილა და მაგალითად ბერძნებისა და რომაელების ჩვეულებაც საკმაო უნდა იყოს²²⁹). რას ნიშნავს თვით სისხლი? — ვახუშტის განმარტებით, „სისხლს უწოდებენ, როდესაც სწორმან ვინმე სწორი მოკლას“. ესეთი განმარტება უსაფუძვლოა. პირველად, რომ სისხლი ზოგადი სახელია, ყოველგვარს დანაშაულს გადაჭრილი სისხლი სძევს და მარტო მოკვლის გარდასახადს და მკვლელის სასჯელს არ ეწოდება. მეორედ, „სწორობა“ აქ არაფერს შუაშია. ვისაც ვინ უნდა მოეკლა, სისხლი უნდა ეზღო და ასეთს საზღოურს განსხვავებული სახელი არ ერ-

²²⁹) *Карлъ Майницъ, Историческое Введение въ элементарный Курсъ Системы Римскаго права, 1889 г. стр. 92—3 и 335, прим. 57. Иеримъ, 196.*

ქვა. და რომ ვახუშტი სცდება, ამას სისხლის გაჩენა ამტკიცებს. მართლაც, როგორ და საიდან გაჩნდა სისხლი? — ჯერ ერთი, რომ სისხლი საყოველთაო ჩვეულებაა და იქაც მოიპოვება, სადაც უმაღლესობა და უმდაბლესობა არ არსებობს და ყველანი თანასწორნი არიან. ამას გარდა, სისხლი იშვა საგვარეულო წყობილების დროს, როცა დამნაშავეს მიუცილებლად სისხლი უნდა ეზლო, თუნდაც მცირე გვარისა ყოფილიყო. თავდაპირველად გვარი გვარს უხდიდა სისხლს, მერე სისხლის გარდანდა მკვლელის ახლო ნათესავების მოვალეობა იყო და ბოლო დროს თვით დამნაშავეს უნდა ეზლო სისხლი ²³⁰). და თუ სისხლს ამ გზით უმდინარია, მაშ ცხადია, რომ სისხლი საზოგადო საზღაურია და არა განსხვავებული ვარდასახადი. სწორედ ეს მნიშვნელობა ჰქონდა სისხლს საზოგადოდ საქართველოში და კერძოდ საათაბაგოში. აღბუღა

²³⁰) *Совр. Об. и Др. Зак. II. 62—69.*

ამბობს, ყველა დამნაშავემ სისხლი უნდა ზღოსო, სულ ერთია სწორი იქნება, თუ არა, მაგ., — „თუ დიდებულმან აზნაური მოკლას... მისი სისხლი ოცი ათასი თეთრი იყოს“ (მუხ. გ) და სხ. მართალია, როგორც მთელს საქართველოში, ისე საათაბაგოში სისხლი „გვარსა ზედა“ სდიოდათ, მაგრამ ეს სულ სხვა საგანია და სრულიად იმას არ ნიშნავს, ვითომ „სისხლს უწოდებენ, როდესაც სწორმან სწორი მოკლას“...

ვის უნდა დაეურვა სისხლი? — საათაბაგოში, რასაკვირველია, პირდაპირ დამნაშავეს, თუ არა და — იმის სახლობას, „ერთ სახლიანს მეყვისებს“. ზოგიერთს შემთხვევაში, როცა დამნაშავეს არა მოეპოვებოდა — რა, ბატონს უნდა ეკისრა დაურვება. მაშასადამე, დაურვება სხვათრივ იყო მოწყობილი, ვიდრე პირვანდელს განუვითარებელს დროს არის ხოლმე. საგვარეულო წყობილობის დროს დაურვება მთლად გვარის მოვალეობაა და თუ საათაბაგოში ასე არ იყო, ამის მიზეზი

ერის იურიდიული წარმატებაა. მაგრამ ამ იურიდიულს წარმატებას თითქო ერთი გარემოება ჩრდილს ჰყენს და სახელდობრ აი როგორ: როცა ერის ცხოვრებაში სახელმწიფო წყობილება ფეხს იდგამს და გზას იკვლევს, მმართველობის წარმომადგენელსაც უნდა მიეცეს სისხლის ნაწილი, რადგანაც სამართლის ქმნა კერძო საქმე აღარაა და მმართველობას აბარია. რუსეთში, მაგ., კნიაზობის დროს, ეგრედ წოდებული ვიწა კნიაზს ეკუთვნოდა და ვიწაიკები დამნაშავეს ახდევინებდნენ ამ ჯარიმას. ვირნიკებს გარდა, სისხლის გარდასახდელად კნიაზს ჰყავდა სხვა მოხელეებიც — ოტრუკები, მკტელნიკები, რომელთაც ფასი ეძლეოდათ ²³¹). ძველად საფრანგეთში სისხლის ნაწილი გრაფსაც უნდა რგებოდა. გერმანელებისა და კელტების სამართალი პირდაპირ ავალებდა ბრალდებულს, ჯარიმა „კნიაზსაც“

²³¹) *Калачовъ, 175—6 и 187.*

გარდუხადეო ²³²). რად? — საქმე ისაა, რომ დანაშაულს საზოგადო ბოროტებად სთვლიდნენ და საზოგადოების წარმომადგენელსაც ჯარიმა უნდა მიეღო, მით უმეტეს, რომ იგი ასამართლებდა საათაბაგოში-კი სისხლი მთლად ნაწყენს და ამის სახლობას მიჰონდა და არა სჩანს, ათაბაგს და იმის მოხელეებს ჯარიმა მიეცეთო. ამის მიზეზი იქნება ისიც იყო, რომ საათაბაგოში დანაშაული კერძო საქმედ მიაჩნდათ და არა ისეთ ბოროტებად, რომელიც მთლად საზოგადოებას შეეხება და მმართველობამ უნდა სდევნოს...

სისხლთან კავშირი აქვს სათავადებს, ეგრედ წოდებულს wadium-ს, რომელიც, სისხლის დაურევებამდე, დანაშავეს უნდა გარდებოდა და მერე სისხლში მისთვლოდა.

სათავადებს მიცემა ხელშეკრულება იყო, — აი ამოდენს წინადავე გაძლევ იმის ნიშნად, რომ მერე მთელს სი-

²³²) *Совр. Об. и др. Зап. II. 97—8.*

სხლს დაგიურვებო. ეს ჩვეულება ძველად ევროპიელებსაც ჰქონდათ. მაგ., საქონელებელსა და ფრიზების სამართალი wadium-ს ხელშეკრულობად სთვლის²³³). ამ ხელშეკრულობას საქართველოში სანახშირო ეწოდებოდა, — „ესე არს მესიხლენი დაზავდნენ, პირველად სანდო რამ მისცენ სისხლის გარდახდამდე“ (ს. ს. ორბელიანი). საქართველოში ძველს დროს, როცა მეფე რომელსამე დიდებულს სისხლის სიგელს უბოძებდა, ხშირად სიგელში სანახშიროსაც ჩაუწერდა ხოლმე და აღნიშნავდა — ესა და ეს და ამოდენი მოგეცეს სანახშიროდაო. როგორც სჩანს, დაზავებული მესიხლე სანახშიროში, ფულს გარდა, ავეჯსა ზ საქონელსაც იღებდა, სახელდობრ: ხმალს, ცხენსა ზ სხ.²³⁴) აღბულაც იხსენიებს სანახშიროსა — „თუ ქრისტიანებან კაცებან ძმას თვალნი დასწვნეს ცხადად ანუ ლალატად,

²³³) *ibid.* 64—5. I. 167—71.

²³⁴) *Introduction, XCIII—XCIV.*

ანუ მოკვეთოს რამე ასოთანი, სი-
ხლი სრული და სხსხშარო დაუურ-
კოსო“ (მუხ. რგგ). სამართალში გან-
მარტებული არაა, სანახშირო სისხლის
ნაწილს შეადგენდა, თუ ცალკე გარ-
დასახადს. აგრეთვე არა სწერია, ყვე-
ლას ეძლეოდა, თუ მარტო უმაღ-
ლესს. სიგელების მიხედვით-კი შეიძ-
ლება ვიფიქროთ, რომ სანახშიროს
დიდ გვარისანი იღებდნენ და ისიც
მძიმე დანაშაულში. ცხადია, თუ რად:
სანახშირო ზავია, ხოლო ზავიც სამ-
ძიმო საქმეშია საქირო. რასაკვირვე-
ლია, სასისხლო საქმე უფრო დიდ
გვარიანებისათვის იყო სამძიმო. უე-
ჭველია, ჩვენშიც სანახშირო მაშინ
დაარსდა, როცა შურის-ძიება მოის-
პო და დაურვება დაწესდა. თვით სა-
ნახშიროს განმარტება — „სანდო მი-
საცემი“ — პირდაპირ ამას ამტკიცებს.

სანახშიროს გარდა, ათაბაგი აწე-
სებს სხვა გარდასახადსაც — „საპირო
დასანახებს“, რომელიც სულის წინა-
გასამძღვანებელია — „საპირო წინა გა-
უძღვანეთ და აგრე გაიბრკვნენო“

(მუხ. 5ა) — როგორც სახელ-წოდებაც უჩვენებს, საპირო დასახლები ანუ სულის წინა გასამძღვანებელი*) მხოლოდ მოკვლისათვის იყო დადებული. საყურადღებოა, რომ ეს უძველესი ჩვეულება ეხლაც არსებობს ხევსურეთში, როცა ხევსური ვისმე მოჰკლავს, სინამდე შერიგება, მძახდება და დაურვება გათავდება, ბრალდებულის გვარმა და ნათესაობამ მკვდარს ცხვარი უნდა დაუკლას და იგი ზვარაკი სულის წინ გასამძღვანებელია, შესანდობელი²³⁵). საათაბაგოს საპირო დასახლებსაც ამ ჩვეულებაში აქვს საფუძველი, თუმცა ადგილობრივი, ფეოდალური ფერიც ატყვია — „გასინჯვა უნდა, როცა ვის რა სასისხ-

*) უვიცობის გამო, ეს სიტყვა რუსულად გადათარგმნილია „личная обида“-დ (?), მაინც ჩვენი სამართალი უვარგისად უთარგმნიათ. მიუცილებლად საჭიროა, რომ ქართულს ენას მიჰმართონ, თორემ რუსული თარგმანი შეცდომებით სავსეა.

²³⁵) *Зак. и Об. на Кав. II 117.*

ლო სჭირდეს“ და „დიდისა დიდრ გა-
აჩინებთ და ცოტასი ცოტა... რო-
გორც ვის მართებს, აგრე გააჩინე-
თო“ (მუხ. რა, რა).

შურის ძიება, დაურვება და სხვა
ზემოდ აღწერილი ჩვეულება სამართ-
ლის შინაგანს ბუნებას შეადგენს,
ხოლო სამართლის ქმნას თავისი გა-
რეგანი ფორმაცა აქვს. ისტორია ამ-
ბობს, გარეგანი აგებულება სამართ-
ლისა იმაზეა დამოკიდებული, თუ რო-
გორაა მოწყობილი ერის ცხოვრება
და რა გვარა გამგეობა არსებობს.
ძველს ათინაში, მაგ., გამგეობა დე-
მოკრატიული იყო, იქ თვით ერი გა-
ნაგებდა სახელმწიფო ცხოვრებას და
ამიტომ სამართლის ქმნაც ერს ეკუ-
თვნოდა. ყოველ წლივ არხონტს უნ-
და ამოერჩია ექვსი ათასი ბჭე, ეგრედ-
წოდებული ჰელიასტები და იგინი
განაგებდნენ სამართლის საქმესა. თუ
რაიმე მძიმე და დიდი საქმე გამო-
ჩნდებოდა, მაშინ მთლად ერო დემო-

სა ბჭობდა²³⁶). რომში თავდაპირველად, როცა მეფობა დაარსდა, სასამართლო გამგეობაც მეფემ დაისაკუთრა და სამართლის ქმნა მისგან მომდინარეობდა²³⁷). შემდეგ ხომ მეფობა მოიხსო და არისტოკრატიული რესპუბლიკა დამყარდა. მაშინ სასამართლო გამგეობაც შეიცვალა და სამართლის ქმნა არისტოკრატიაში ჩაჩაბარა. იმ დროს ვეესტიუბში ბჭობდნენ მხოლოდ სენატორნი და ცენზოსანნი, რომელნიც უმაღლესს არისტოკრატიას შეადგენდნენ²³⁸). ბოლო მოელა ძლიერს რომსაც, აღიგავა იმპერია და აღმოცენდა ფეოდალობა. რასაკვირველია, დროთა ბრუნვამ სასამართლო გამგეობაც შესცვალა: ფეოდალი შეიქმნა უმაღლეს მსაჯულად, მსაჯულთ-უხუცესად, თუ ეს

²³⁶) *Бекко, Организация уголовной юстиции в главнейшія историческія эпохи, 1867 г. стр. 1—10.*

²³⁷) *Теринъ, 119—221.*

²³⁸) *Карлъ Майницъ, 96.*

სახელ-წოდება აქ ვარგისია. სამართალს ახალი პატრონი გამოუჩნდა და იგი *Seigneur haut-justicier* ირჩევდა ბჭეებს, რომელთაც ნება ჰქონდათ, მხოლოდ თავიანთი სწორი კაცი განებჭოთ²³⁹).

საათაბაგოც ვერ გადურჩა ისტორიულს გავლენას და ფეოდალობამ თავისი ხასიათი დაამჩნია სამართლის გარეგნობასა. რაკი სამთავროში ათაბაგი ითვლებოდა პატრონად და ჯაყელი იგივე ფეოდალი იყო, ამიტომ სამართალიც იმას ეკუთვნოდა. საათაბაგოს პატრონი სრულიად მიაგავდა ფეოდალურს *Seigneur haut-justicier*-ს. მაგ., პატრონს შეეძლო დიდი აზნაური ჩამოემცრო. მაგრამ, თუ „პატრონმავე შეიწყალოს და ბჭეთა პირველივე მისის გვარის სავსტით სისხლი უბძანოს, იგი დაუურვოს „ბრალდებულმაო“ (მუხ. დ). რას ნიშნავდა ეს „ბჭეთა უბძანოს“? — იმას, რასაც ფეოდალურს ევროპაში ნიშნავდა: ათა-

²³⁹) *Бело, 169—173.*

ბაგის სახელით სწარმოებდა სამართალი და ბჭენიც პატრონის მორჩილნი იყვნენ. სხვა მსგავსებაც გოიზობა. ევროპაში სენიორს უფლება ჰქონდა, თითონ დაესაჯა მძიმე დამნაშავე და, როცა დიდს საქმეს ბჭობდნენ, მაშინ იგი თავმჯდომარეობდა. ასე იყო საითაბაგოშიც. შესძინა — ესა და ეს პატრონის მოღალატეაო — კმაროდა, რომ „რაცა ავი იქნების, ყველა უყოს ჰატრონმან შეზახებულთა კაცთა: ხელითა მორბევა, მამულისა წაღება და გაძება და დიდხან ღარიბობას ყოფა და ბედითად სიარული“ (მუხ. მა). და განა ეს თავისით განსჯა იგივე უფლება არ არის, რაც ევროპიელს ფეოდალს ეპყრა? რასაკვირველია, „შეზახებულს“ შეეძლო ბჭობით თავი ემართლა („ბჭობით ამაღ ვერას შეაგდებს“), მაგრამ საქმე ისაა, რომ ბჭენი პატრონის ბძანებით უნდა დამჯდარიყვნენ საბჭოდ...

თითქო მარტო ფეოდალური შთამოება საკმაო არ იყო და სამართალს საღმრთო ძალაც ზედ დაერთო. მა-

ინც ძველად ხალხს სწამებია, თვით ღვთაება უხილავად განაგებს სამართალსაო. ათინაში ჯერ მსხვერპლს სწირავდნენ ღმერთებს და მერე ბჭობას იწყებდნენ²⁴⁰).

რომაელებს, კელტებს, ინდოელებს სამართალი ღვთიურ საქმედ მიაჩნდათ²⁴¹) და ბევრს სხვა ადგილასაც ეგრე ყოფილა. მაგრამ, რაც დრო და უამი მიდის, სამართალი ზეცილდგან სააქაოსკენ მოეშურება და დასასრულ თემიდას ტადარი ცოდვილს ქვეყანაზე არსდება. სამართლის წარმატება სწორედ ეს ზემოდგან ქვემოდ მსვლელობაა. საათაბაგოში-კი სჰმართალს ჯერ ისევ ზეცასთან ჰქონდა კავშირი — „ვინცა საბჭობ სჯდებოდეთ, თქვენთა გულთა შიგან ღვთის შიში უნდა დაიჭიროთ და არავის სთნოთო“ და ეს იმიტომ, რომ სამართალი „ერთბამად გაჩენილია გან-

²⁴⁰) *ibid.* 27

²⁴¹) *Совр. Об. и др. Зак. II. 196—202. См. также Теринд, 227—237.*

გებითა ღვთისათა“ (მუხ. რ). თითონ ათაბაგმაც სამართალი ღვთისა და მღვთის მშობლის „მინდობით“ დასწერა: „შევიყარენით კოლთას მინდობილნი ღვთისანი და აწყურისა მღვთის მშობლისანი.“ და ეს დავადგინეთო. ამიტომ ბქეც აღჭურვილი უნდა ყოფილიყო სიწმინდით, „მართალი სამართალი გაეჩინა“, არავის სთნეოდა „არას ქრთამის ქადებისათვის, არამედ არად არა“... ქრთამის აღება ზნეობრივის უწმინდურობის შედეგია და სწორედ ასე მოხდა ათინასა და რომში, სადაც მოსამართლენი აშკარად იღებდნენ ქრთამსა, როცა საზოგადოება ზნეობრივად გაირყვნა²⁴²) და მაშინ ეს სამარცხვინო საქმე საოხუჯოდაც მიაჩნდათ. აღბუღა-კი სხვაფრივ აჩენს — „თუ ბქისაგან ქრთამის აღება გამოჩნდეს, იგინაბქობი ტყუილი იყოს და მას ბქე-

²⁴²) *Бекo, 77.*

სა სიავისა ხელნი დაესხნენ*) და ოდეს-
ცა გამოსჩნდეს, იგი კაცნი ახლად
გაიბჰნენო“ (მუხ. ჟა).

XIV

შურის-ძიების მიმდევარი ერი, აღ-
რე თუ გვიან, ამოვარდება და ამის
გამო შურის-ძიება უნდა დასცხრეს
და ოდესმე კიდევ მოისპოს. მაგრამ
ვიდრე ეს მოხდებოდეს, ეგრედ წო-
დებული შეჲკაცობა არსდება. რო-
გორც სახელ-წოდებაც აჩვენებს, შუა-
კაცობა* ისეთი ბჭობადჯდომაა, რო-
მელსაც საგნად მესისხლეთა შერიგე-
ბას აქვს, შუაკაცი მშვიდობის მლა-
დადებელია და შურის-ძიების უარ-
მყოფელი. პირვანდელი ბჭობადჯდო-

*) არ ვიცი, რას ნიშნავს — სიავისა
ხელნი დაესხნენ. ს.ს. ორბელიანის
განმარტებით, სიტყვა სიავი სპილენძის
ქვაბსა ჰქვია. ძველად თრანგები მჯჰრთა-
მე მოსამართლეს სიკვდილით სჯიდნენ, *Be-*
ko, 160.

მა შუაკაცობით დაწყებულა. მერე შუაკაცობა ნელ-ნელა გავრცელებულა, დაუთურგვნია შურის-ძიება და ბოლოს ყოველ გვარი სასისხლო დანაშაული და სამამულო დავა თითონ დაუპყრია²⁴³). ძველად თითქმის ყველა ხალხს სკოდნია შუაკაცობა და სადაც ქურუმთა ბატონობა დაარსებულა, იქ შუაკაცებად ქურუმნი ყოფილან. მაგრამ, რადგანაც ქურუმთა ბატონობა მერმეულად ამბავია, თავდაპირველად შუაკაცობას სხვა ხასიათი ჰქონია, — შუაკაცად ჯდომა საერთოდ ყველას შესძლებია²⁴⁴). საშუაკაცო ბჭობის სამართლის დადება, განაჩენი სათუოა. ეს სათუობა იმას ნიშნავს, რომ განაჩენს სწავლდებულად ძალა არა აქვს, — მოჩივარს ან მეპასუხეს შეუძლიან არ დასთანხმდეს შუაკაცების სამართლის დადებასა და თუ რად, ამის მიწეზი ცხადია. როცა

²⁴³) *Зак. и Об. на Кав. I. 65—8, 70—4.*

²⁴⁴) *Совр. Об. и Др. Зак. II. 221—2.*

მარტო შუაეკაცობა არსებობს, შურისძიება სრულიად აღმოფხვრილი არაა და აბათვითნებლობას, თუნდაც ალფემულს, ცალიერი მშვიდობიანობის ღალატება რას უზამს ასეც ეხლაც ჩვენს მთაში²⁴⁵), სადაც ხშირად შუაეკაცთა განაჩენს მესოსხლენი ისევე შურისძიების მახვილს ამჯობინებენ. როგორც უნდა იყოს, მაინც საქართველოშიაც შუაეკაცობა პირვანდელს ბჭობად ჯდომას შეადგენდა და რასაც ჩვენ ისტორიკოსი თეიმურაზ ბატონიშვილი მოგვითხრობს ბჭობაზე, ის მერმეულს დროს გაჩენილად ამ ისტორიკოსის სიტყვით, როცა მამასახლისობითი ერის მმართველობა არსებობდა, დამნაშკვენი უნდა განეკითხა საზოგადოების შეკრებად და სხვა საქმედებისთვის მამასახლისი პატირჩევდა ორსა ანუ სამს ბჭეს და მოჩივარნი თვის თვისად ოროლსათ²⁴⁶). ჯერ ერთი,

²⁴⁵) *Зак. и Об. на Кав. II, 94—5.*

²⁴⁶) ისტორია, 1848 წ. გვ. 49—50.

რომ მამასახლისობითი ერის მმართველობა და საზოგადო ერის შეკრებილება პირვანდელი ფორმა არაა და მას წინ უძღვის საგვარეულო წყობილება. მამასახლისი გვარის უფროსი არა ყოფილა და თვით სამამასახლისოც მრავალ გვარეულობის წარმომადგენელთაგან შესდგებოდა მეორედ, ბჭე მოხელე — მოსამართლე და ბჭობა შუაჯვარის შემდეგ ჩნდება. მართალია, ევროპიელთა ძველს სჯულდებაში ბჭობა და შუაჯვარობა ერთად მოხსენებულია, ბჭე და შუაჯვარი ერთსა და იმავე დროს სამართალს ჰქმნიან²⁴⁷), მაგრამ მათ შორის განსხვავებაა. ბჭე ასპარეზზედ შემდეგ გამოდის, როცა საგვარეულო წესის პობა და სხვა მმართველობა არსდება. ამიტომ ბჭეს მმართველობა ირჩევს და არა მოჩივარი ან მეპასუხე შუაჯვარობა.

²⁴⁷) *Собр. Об. и Др. Зап. II. 204*
—113. XIII და XIV საუკ. სლავიანთა და გერმანელთა სამართლის შუაჯვარობას უფრო მისდევდა, *ib. 203*.

კაცთან-კი შმართველობას ხელი არა აქვს. და რადგანაც თაჭდაპირველად სამართლის ქმნა თვით მოჩივართა და მეპასუხეთა ნება-ყოფლობაზეა დამოკიდებული, შუაკაციც ბჭეზე აღრე იბადება. ასე მოხდა საქართველოშიაც, როგორც ქეშმარიტად შენიშნა დიმ. ბაქრაძემ²⁴⁸). შემდეგ-კი ორივე მოსამართლე ერთმანეთს გვერდით უდგნენ, მაგრამ თითოეულს საკუთარი სჯმე ებარა და განსხვავებული მოვალეობა ჰქონდა. ასე იყო სხვაგანაც, მაგ., რომში²⁴⁹). რასაკვირველია, საათაბაგოშიც ჯერ შუაკაცობა დაარსდა და მერე ბჭე გაჩნდა. მაგრამ აღბუღას დროს, შუაკაცსა და ბჭეს შორის უცილობელი საზღვარი არ იდგა და ეს იმიტომ, რომ სამართალში ძველი წესი ახლისაგან არ განირჩეოდა. ამას პოლიტიკური გარემოებაც უნდა დავუმატოთ. როცა

²⁴⁸) *Сб. Зак. Вост.* 118, примеч.

²⁴⁹) *Карлз Майнц,* 103—6. ჩვენს ბჭეს უდრის *iudex*, შუაკაცს—*arbiter*.

სახელმწიფო მმართველობა მკვიდრ-
დება, მაშინ შუაკაცობასაც მნიშვნე-
ლობა ეკარგება—სახელმწიფოს რო-
დი ეპრიანება, სამართლის ქმნა კერ-
ძო კაცთ ებაროთ და სამართლის და-
დება სათუო იყოს. არა, სახელმწიფო
თავისს ბჭეებს აყენებს და სამართლის
საქმეს თითონ ისაკუთრებს. ხოლო
საათაბაგოზე არ ითქმის, რომ იქ
აღორძინებული ყოფილიყოს ყოვ-
ლად ბრძანებელი სახელმწიფო-ძალა.
ამიტომაც ბჭე სრულს მოხელეს არ
წარმოადგენდა, თუმცა-კი სჩანს, რომ
სამართლის ქმნა უფრო ბჭეთა სა-
ზღვრისკენ იყო გადახრილი. ყოველს
შემთხვევაში, საათაბაგოს ბჭე ძვე-
ლებური შუაკაცი აღარაა: „ვიცა მო-
ძღვარი იყოს ანუ მეფეთა წინაშე
ზრდილი და ნამყოფი კაცი იყოს, ან
კარგი დიდი ვაჭარი, ან კარგი სო-
ფლის მამასახლისი იყოს“. ის დას-
ვით ბჭედო“. რად?— „ჭკვიანი იქნე-
ბის და კარგად ეცოდინების ბჭობა
და უსამართლოს არას იტყვისო“
(მუხ. რა). ეს ყველა კარგი, მაგრამ

შუაკაცობა ჭკუასა და სინიდისს მარტო იმათში არა ჰხედავს, რომელთაც ათაბაგი იხსენიებს...

თუ თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობებს დავენდეთ, ჯერ ისევ მამასახლისობის დროს მძიმე დანაშაულის განკითხვა საზოგადო ერის შეკრებილებას ჰპარებია, ხოლო მცირე ბრალისა — ბჭეებსა. საყურადღებოა, რომ სხვაგანაც სამართლის ქნას ამ გზით უვლია. რომში, მაგ., უმაღლეს სასისხლო სასამართლოს შეადგენდა *comitiatus maximus* და იგი სასამართლო ერის შეკრებილება იყო. ამ სასამართლოში უნდა განეკითხათ მხოლოდ დიდი დამნაშავე, რომელსაც სასჯელად სიკვდილი და მოქალაქობის ახდა ეწერა²⁵⁰). რაიცა შეეხება მსუბუქს დანაშაულს და დავასა, იგი მოჩივრისა და მეპასუხის ნებაზე იყო დამოკიდებული²⁵¹). ათინაშიც ამ წესს მისდევდნენ. ყვე-

²⁵⁰) *Карлъ Машицъ*, 54—7, 91.

²⁵¹) *ibid.* 32—3.

ლას შეეძლო მძიმე დანაშაულზე თავი გამოედო და ბრალდებული სამართალში მიეცა. რასაკვირველია, იქ განმარტებული იყო, თუ რაა მძიმე და მსუბუქი დანაშაული²⁵²).

მამასახლისობას შემდეგ მეფობა დაარსდა და ამ გარემოებამ სამართლის ქმნა შესცვალა. მართლაც და, სტრაბონი აღნიშნავს სხვა წესსა, — ივერია ოთხ წოდებად განიყოფებო, პირველიდგან მეფესა და მსაჯულთუხუცესს ირჩევენ, ამ უკანასკნელს ლაშქართ უფროსობაც აბარია და მეფეს შემდეგ თავი ადგილი უჭირავს სახელმწიფოშიო²⁵³). მაშასადამე, საზოგადო ერის შეკრებილება მოსპობილა და სამართლის ქმნა ერს ჩამორთმევია. თუმცა მოხსენებული არაა, მაგრამ შეიძლება დავასკვ-

²⁵²) *Бекко, 10—14.*

²⁵³) „*Извѣстія...*“ *Гана, 68.* სტრაბონი ამბობს, ქურუმნი განაგებდნენ უცხოეთის საქმეებსაო. განა ეს არ გვაგონებს რომის ფეცილებსა!?

ნათ, რომ მძიმე დანაშაულს მსა-
ჯულთ უხუცესი განიკითხავდა და ყო-
ველს შემთხვევაში ბჭენიც იმას ექვე-
მდებარებოდნენ. მაგრამ, რაც უნდა
იყოს, თვით ერს მცირედი უფლება
მაინც შერჩა და იგი უფლება შუა-
კაცთა ამორჩევა იყო. ამ შუაკაცო-
ბას საქართველოშიაც მეტად ხანგრ-
ძლივი არსებობა ჰქონია. რადა? —
საქმე ისაა, რომ სახელმწიფო მმარ-
თველობას ვერ ძალ-უძს, აღმოფხვრას
შუაკაცობა და, როგორადაც უნდა
მოეწყოს სამართლის ქმნა, შუაკა-
ცობა მაინც ერის ხელშეუხებელი
წმიდა წმიდათაა. რომში, მაგ., შუა-
კაცობა ბოლომდე არ მოსპობილა.
იქ სასამართლო მართლ მძიმე საქმე-
ებს განაგებდა. თავდაპირველად ხომ
შუაკაცობას უფრო მეტი მნიშვნე-
ლობა ჰქონდა და XII таблиць-ებმა
დაადგინეს, მოჩივარნი შუაკაცებმა გაა-
სამართლონო. მოსამართლე, iudex-ი,
რომელსაც პრეტორი ირჩევდა, კერ-

ძო კაცო იყო და არა მოხელე ²⁵⁴).
საყურადღებოა, რომ ყველას უფლებ-
ჰქონდა, დამნაშავე სამართალში მიე-
ცა, თუნდაც პირდაპირ დანაშაული
იმას არ შეჰხებოდა. იმპერატორების
დროს ამ უფლებამ საზიზღარი ჩვეუ-
ლება დაჰბადა: აღჩნდა ჯაშუშთა
მთელი დასი და მამეზღრობა ხელო-
ბად გარდაიქცა, მით უმეტეს, რომ
მამეზღარს დამნაშავის ქონებიდგან
ნაწილს აძლევდნენ ²⁵⁵). აღბუღა
არას ამბობს, საათაბაგოში თვითო-
ეულს მკვიდრს ნება ჰქონდა დამნა-
შავე სამართალში მიეცა, თუ არა-
ცხადად არც ის სჩანს, რა შეადგენ-
და საზოგადო დანაშაულს და რა—
კერძოს (публичныя и частныя
преступленія). ეს გარემოება, რა-
საკვირველია, სამართლის ნაკლს მიე-
წერება. მაგრამ ბჭე და შუაკაცი სა-
ათაბაგოშიც განსხვავდებოდნენ. ამას
გარდა, იქაც ბჭეს მძიმე დანაშაული

²⁵⁴) *Карлъ Мамницъ, 101, 105.*

²⁵⁵) *Бекю, 54—5, 58, 97—100.*

უნდა განეკითხა, შუაკაცს-კი მცირე
ბრალო. ზემოდ უკვე ვუჩვენეთ, ვინც
უნდა მჯდარიყო ბჭედ. აქ საჭიროა,
დავუბრუნოთ, რომ მუდმივი სასამართ-
ლო არ არსებობდა, — ასეთს სასამარ-
თლოს, საბჭოს, ათაბაგი ერთის სი-
ტყვიტაც არ იხსენიებს, ამიტომ ვგო-
ნებთ, ბჭეთა დასმა თვით მოჩივრისა
და მებასუხის საქმეს შეადგენდა და
აღბუღას სიტყვა — „ის დასვით ბჭე-
დო“ (მუხ. რა) სწორედ ამას ნიშნავს.
მაგრამ ბჭე მაინც მოხელეა, სამარ-
თალოს მცოდნეა და არა განგინდაკინ.
სულ სხვაა შუაკაცი. აღბუღა არას
ამბობს, უეჭველად შუაკაცად ესა და
ეს დააყენეთო და აქედამ კიდევ ის
დასკვნა გამოდის, რომ შუაკაცი ვინ-
გინდავინ იყო და არა ხელობის კა-
ციე მართალია, შუაკაციც საპატოო,
ჭკვათა მყოფელი და სინილისიერი
უნდა ყოფილიყო, მაგრამ ყველა ეს
თვისება ზოგადია და არა ნიშნობ-
ლივი, — სახელდობრ მხოლოდ ბჭეს
ვინაობა იხსენიება. და რა უნდა გა-
ნეხილთ შუაკაცს? — რასაკვირველია,

მცირე ბრალი. მაგ., როცა ვინმე სხვას მსუბუქად დაჰკოდდა, ასე რომ „არ დაუშავდეს, დააჩნდეს“, მაშინ „საპატიოთა კაცთა შუა-შემოსვლითა დაუურვებინონ“ (მუხ. ზ). თუ ზედ-დასხმის დროს მოკვლა არ მოხდებოდა და ნაწყენი სისხლს არ ინდომებდა, დამნაშავეს „მეხრემან სამი შოლტი ამოჰკრას...“ „ერთმანეთისა ნების ყოფლობითა, კაცთა შუა შემოსვლითა შუა ქნან, რომელიცა ერჩიოსო“ (მუხ. იდ). შუაკაცობა საჭირო იყო „საბატონყმო სამღურავისა და საცილობელის“ ჭანსამართებლად (მუხ. პე), ეგრეთვე მაშინ, თუ სხვის პირუტყვი ვისმეს ვენახსა, ბოსტანს და „რას გინდა სავანოსა“ წაახდენდა, „ნაწყენსა უზლოს შუათა დახედვითა... როგორც მეზობელთა დაათასონ“ (მუხ. ნგ) და სხ. ერთის სიტყვით, შუას ანუ შუაკაცს ხელი მხოლოდ მცირედზედ მიუწვდებოდა და

ამ მხრით საათაბაგოს შუახლზე რომა-
ელების შუა კაცობას შიაგავს ²⁵⁶).

პირვანდელის ბჭომადჯდომისათვის
მოფიცრობაა საჭირო. მოფიცარი (со-
присяжникъ), როგორც თვით სახე-
ლიც ამხელს, ისეთი კაცია, რომელ-
მაც ფიცს ქვეშ უნდა აღიაროს საქმის
გარემოება. ძველ ევროპიელთა სა-
შართალი აწესებდა, მოფიცარი უე-
ჭველად გვარისეული უნდა იყო-
სო ²⁵⁷) და ამ წესს საბუთი თვით საგვა-
რეულო ცხოვრებუში აქვს, როცა
ერი საგვარეულო ცხოვრებას მის-
დევს, გვარი ყველა წევრისათვის
თვალთ სახილო ერთობაა, თვითოე-
ულმა იცის, სხვა იმის გვარისეული
როგორის ყოფა-ქცევისაა, რას შვრე-
ბა, რას აშავებს. გვარის დაფარული
არა არის-რა. ამას გარდა, იმის დაუ-
კითხავადაც არა კეთდება-რა. თვი-
თოეულის გვარისეულის ყარგი და ავი
მთელს გვარს შეეხება და ცრუ ფი-

²⁵⁶) *Карлъ Майнцъ, 33—4.*

²⁵⁷) *Сов. Об. и Др. Зак. II. 305—6.*

ციც ერთობლივ გვარისათვის საშე-
შია. გარეშე კაცმა თუნდაც ტყუი-
ლად რო დაიფიცოს, გვარი რა შუა-
შია, გვარს რა ენაღვლების და ედარ-
დებისო... საგვარეულო ცხოვრების
დროს მოფიცრობა²⁵⁸ რჩეულია: თავ-
დაპირველად მოფიცარი გარემოებას
მოწმობს, — საქმე ასე იყო: შემდეგ
მოფიცრობა იცვლება და მოფიცარი
გარემოების მოწამე-კი არა, თავის
გვარისეულის თავდება — ჩემის გვა-
რის კაცი პატიოსანია და მაგას არ
იზამდაო²⁵⁸), როგორც ეხლაც იცინა
სოფლად: მთელი სოფელი მოწმობას
აძლევს სამართალში მიცემულს და
უწერს, ესა და ეს პატიოსანი კა-
ციაო... ცხადია, თუ პირვანდელს
დროს რად არის საჭირო მოფიცრო-
ბა. მაშინ შურის ძიება მძვინვარებს
და აბა გარეშე კაცი სხვა გვარს რის-
თვის გადიმტერებს, სხვას მოწამედ
რად წაჰყვება. უფიცოდ არც ცა-
ლიერი მოწმობა შეიძლება და ეხლაც

²⁵⁸) *ibid* 295—300.

მთაში უფიცო მოწამეს იშვიათად სა-
ჭიროებენ²⁵⁹). მოფიცი მოწამე შემ-
დეგ ჩნდება. მაგრამ, როგორც მო-
ფიცრობა, ისრე მოწმის ფიცი მეტად
შკვიდრი ჩვეულებაა და მაშინაც არსე-
ბობს, როცა საგვარეულო ცხოვრება
გამქრალია. მაგ. რომში, ციცერო-
ნის დროს, ბრალდებულს ათზე ნა-
კლები *laudatores* არ უნდა ჰყო-
ლოდა²⁶⁰) და „ლაუდატორი“ მო-
ფიცარ-თავდებს ნიშნავდა, ე. ი.
ბრალდებულის პატიოსნებასა და კარგს
კაცობას მოწმობდა. მოწმებს სამ-
სხვერპლოს წინ აფიცებდნენ. ათი-
ნაშიც ეგოფე ყოფილა²⁶¹).

აღბულაც აღნიშნავს მოფიცრობას
და ამბობს, მოფიცარნი მრავალგვარს
საქმეში არიან საჭირონიო. ეს გარე-
მოება გამტკიცებს, რომ ბჭობადჯდო-
მა ძველის ხასიათისა იყო. ამ აზრს

²⁵⁹) *Зак. Об. на Кав. II 27—96.*

²⁶⁰) *Карлз Майнц, 95, 341. Собр. Об. и Др. Зак. II 310—312.*

²⁶¹) *Бекко, 29, 68.*

მოფიცურის მნიშვნელობაც ასაბუთებს: საათაბაგოს მოფიცარი უფრო გარემოების მაჩვენებელია და მერმეულს თაუდებს არ მიაგავს. მაგრამ მოფიცარს ცვლილებაც დასტუობია? პირვანდელ დროს მოჩივარსა და მეპასუხეს ნება არა აქვთ, მოფიცარნი დაასახელონ და ბჭობაზე მოიყვანონ. ბჭობაზე მისვლა და გარემოების მოთხრობა თვით მოფიცართა სურვილზეა დამოკიდებული, იგინი ამ საქმეში თავისუფლად მოქმედობენ და, როცა საჭიროა, თითონ მიდიან სასამართლოდ შეყრაზე და ჰფიცვენ — აი გარემოება საქმისაო ²⁶²). საათაბაგოში სხვა ფრიც იყო. იქ მოფიცურის დასასჯლება შეიძლებოდა, თუმცა დაუსასჯლებელი მოფიცარნიც ისევ დარჩნენ — „შრავალგვარნი ასეთნი საქმენი არიან, ზოგსა საქმესა შინაგან რომელნიმე დასასჯლებულნი მოფიცარნი უნდა, რომ ბჭეთა შეუსხნენ, და ზოგსა დაუსასჯლებელა და ბჭეთაგან

²⁶²) *Сов. Об. и Др. Зак. II. 316—17.*

კარგა გამოჩნება უნდაო“ (მუხ. ე). მაშასადამე, საბჭო საქმის ვითარება თხოულობდა ხან დასახელებულსა და ხან დაუსახელებელს მოფიცარსა. კერძოდ ზედ-დასხმის საქმე როცა უნდა განებჭოთ აღაფზე იყო ცილი, „თუ მძიმე აღაფი იყოს, მძიმეცა ფიცი უნდა, ფიცსა შიგან დასახელებულთა და დაუსახელებელთა წესით“ (მუხ. ლს). ვინ იყვნენ დასახელებულნი და დაუსახელებელნი მოფიცარნი? — დიშ. ბაქრაძის აზრით, მედიატორენი. განსვენებული ისტორიკოსი ამ საკითხავის განსამარტებლად მედიატორეებზე მიუთითებს²⁶³), მაგრამ ვგონებთ, რომ სცდება. სიტყვა „მედიატორე“ ლათინთა ენაა და ჩვენებურად შუაკაცს ნიშნავს, ხოლო შუაკაცი ძველებური მსაჯულია და მოფიცარი-ძველებური მოწმე. და დაუსახელებელი მოფიცარი გვარისეული მოფიცარია, დასახელებული — გარეშე, უცხო მოფიცარი და აი ამის საბუ-

²⁶³) *Сб. Зак. Вост. 97, примѣч.*

თიცი: რაკი საათაბაგოში მოფიცართა
ვინაობა საქმის ვითარებაზე დამყარდა,
ამიტომ, როცა საქმე გვარს შეეხებო-
და, ნება-უნებურად გვარისეული უნ-
და წამდგარიყო საბჭოდ შეყრაზე-
ამას ჩვეულება ავალეებდა. მაგრამ თუ
საქმეს კერძო მნიშვნელობა ჰქონდა,
ან გარემოება მართო გარეშე კაცმა
იცოდა, მაშინ მოფიცარი უნდა დაე-
სახედათ. მოფიცრობის დასაწყისი
ამ დასკვნას ამტკიცებს. თავდაპირვე-
ლად მოფიცრად გვარისეული უნდა
ყოფილიყო და როცა საგვარეულო
წესი შეირყა, მაშინ გარეშე კაცსაც
შეეძლო მოფიცრობა. საათაბაგოშიც
ასე მოხდა და ამ ცვილებაში უნდა
მოიძებნოს დაუსახელებელისა და დასა-
ხელებულის მოფიცარის სხვა-და-სხვა-
ობა.

ევროპიელთა ძველი სამართალი
ამბობდა, მოფიცართა რაოდენობა
საქმეზე ჰკიდიაო, თუ დიდი დანაშა-
ულია გასაბჭობი და საქმე მძიმეა,
მოფიცარიც ბევრი უნდა; როცა სა-
ჩივარი მცირეა, ცოტა მოფიცარი

კმარაო. ამ აზრს აღგნენ ფრანგნი, შოტლანდიელნი, სლავიანნი²⁶⁴). საათაბაგოშიც სწორედ ვგრე იყო იქაც „ფიცის სიმძიმე“ და მოფიცართა რიცხვი დანაშაულისა და საქმის მნიშვნელობაზე იყო დამოკიდებული: „თუ მძიმე ალაფი იყოს, მძიმეცა ფიცი უნდაო“ (მუხ. ლს). ეკლესიის გატეხა და გაძარცვა დიდ დანაშაულად ითვლებოდა. დამნაშავეს შეეძლო იგი ბოროტ-მოქმედობა თავის პატრონისათვის დაეწამა — „შენ იცოდო“ და როცა ასე მოხდებოდა, პატრონმა „უცოდნელობა ფიცოსოც-და-ოთხისა კაცითა, დაეჯერების“ ... „თუ მტერისა კაცმან გატეხოს პატრონისა უკითხავად... პატრონმან უცოდინლობა ფიცოს თორმეტისა კაცითაო“ (მუხ. რიდ, რივ)²⁶⁵). მოფიცრობა

²⁶⁴) *Бело, 151—2. Совр. Об. и др. Зак. II. 319—22.*

²⁶⁵) ძველად ევროპელებმაც თორმეტი მოფიცარი იცოდნენ, *Сов. Об. и др. Зак. II, 326—28.*

ბაზე სხვა გარემოებამაც იქონია გავ-
ვლენა. როცა ევროპაში ფეოდალო-
ბა დაარსდა, ყველას, მოჩივარი იყო
თუ მეპასუხე, თავისი სწორი კაცი
უნდა მიეყვანა მოფიცარად. ეგრე
აწესებდა, მაგ., ფრანგებისა, ფრიზე-
ბის და სხ. სამართალი. ეს კიდევ
არაფერი. საქმე ისაა, რომ სამართა-
ლი კეთილშობილს ჰკერძავდა და
როცა უმაღლესს უმდაბლესთან სა-
ჩივარი ჰქონდა, პირველს ცოტა მო-
ფიცარს ავალებდა, მეორეს-კი ბევრ-
სა²⁶⁶). თუმცა საათაბაგოში „უმაღ-
ლეს-უმდაბლესობა“ განხორციელდა,
მაგრამ სამართალი არ აწესებდა, უე-
ჭველად მოჩივარმა და მეპასუხემ თა-
ვისი სწორი კაცი დაიშნონ მოფიც-
რადანო. აღბუღა მხოლოდ ერთს შემ-
თხვევაში ჰბაძავს ევროპიელებს, სა-
ხელდობრ მაშინ, როცა დიდებული
და აზნაური თავის ღირსების კაცს
ცოლს მოსტაცებდნენ, — მრუშების
არა ქმნა მოფიცრობით უნდა დაემ-

²⁶⁶) *ibid.* 307, 322, 324.

ტკიცებინათ: „თავის გასამართლებლად სჯობს ფიცის უქნელობა თავითა და კართითა აზნაურ²⁶⁷შვილითაო“ (მუხ. კს). საზოგადოდ-კი მოფიცართა წოდებრივს ღირსებას მნიშვნელობა არა ჰქონდა და მოფიცართა რიცხვი საქმის თვისებასა და ვითარებაზე იყო დამოკიდებული. ფორმულას — „თუ მძიმე ალათი იყოს, მძიმეცა ფიცი უნდა“ სხვა აზრი არა ჰქონია და საყურადღებოა, რომ ეხლაც მთაში, მაგ., სვანეთს „მძიმე ფიცი“ ბევრს მოფიცრებს ჰქვიან და სახელ-განთქმულს ხატში დაფიცებას ნიშნავს²⁶⁷). შესანიშნავია, რომ მოსეს სჯულმაც გავლენა იქონია ჩვენს ძველს სამართალსა და აწინდელს ადათზე. ებრაელთა სჯულთ-მდებელმა დაადგინა, სადავო საქმეში — ორ მოწამეზე ნაკლები არ შეიძლებაო. თითქმის ყველა განათლებულმა ერმა მიიღო იგი ჩვეულება და ჩვენს მთაში ეხლაც ორს მოწამესა და მოფიცარზე ნაკლებს არ

²⁶⁷) *Зак. и Об. на Кав. II. 27—9.*

ყაბულობენ²⁶⁸). თითქო საათაბაგო-
შიაც ვხედავთ ამ ჩვეულებას. მაგ.
ნაქურდალის დაწამება ორის კაცის
მოწმობით უნდა გარდაწყვეტილი-
ყო — „შეფიცოს ორითა უმტეროთა
კაცითაო“ (მუხ. ჯდ).

რასაკვირველია, ხშირად მოხდება
ისეთი დანაშაული თუ საქმე, რომე-
ლიც, მოჩივარსა და მეპასუხეს გარდა,
სხვამ არავინ იცოდეს. აგრეთვე შე-
იძლება თვით საქმის გარემოება გა-
რეშე კაცის მოფიცრობას და მოწ-
მობას არ საჭიროებდეს. ამ ორსავე
შემთხვევაში ფიცი ვალად სდევს თვით
მოჩივარსა და მეპასუხეს. რომელმა
უნდა ფიცოს — ეს საქმეზეა დამოკი-
დებული. აქ მხოლოდ ისაა საჭირო,
რომ უფიცოდ სამართლის დადება
არ შეიძლება. რად აქვს ფიცს ასე-
თი ძალა? — ამის პასუხი ფიცის პირ-
ვანდელს თვისებაშია, ძველად ფიცი
ღვთის მიერი სამართლის ქმნა იყო
(ordal, судъ божиѣ) და სარწმუნო-

²⁶⁸) *ibid* 96. I. 158—9.

ებიდგან მომდინარეობდა. შიში და ელდა დასტრიალებდა თავზე მოფიცარსა და ღვთის რისხვას უქადიდა ფიცის შემლახველს. იგი ფიცის შელახვა ღვთაების განრისხებას შეადგენდა და უხილავს სასჯელს უმზადებდა დამნაშავესა. და თუ რა ღრმა მნიშვნელობა და მკვიდრი საფუძველი ჰქონია ფიცს, ამას ისტორია ამტკიცებს: ყველა „ორდალი“ მოისპობდნენ მხოლოდ ფიცი-ლა არსებობს²⁶⁹). ფიცს ძალია არ დაჰკლებია მაშინაცკი, როცა სამართალი ღვთიურის შთამოებისა აღარაა და სააქაო ცხოვრებას უფრო ეტრფის, ვიდრე ზეციურსა. რომში, მაგ., მოჩივარს ფიცი უნდა მიეღო—მართალს ვჩივიო, მოსამართლეებსაც ჯერ უნდა დაეფიცათ და მერე შესდგომოდნენ ბჭობას და ყველა ეს მაშინ, როცა სამართალი მაღალს წერტილზე იდგა!²⁷⁰)... იქ ფიცი თავის თავის განკითხვას მო-

²⁶⁹) *Совр. Об. и Др. Зак. II. 269—79.*

²⁷⁰) *Карль Майнцъ, 94—5, 106.*

ასწავებდა და უფიცოდ კაცს არ შეეძლო, რაიმე საზოგადოებრივი საქმე ეტვირთა²⁷¹). ფიცის მგმობელს ყველა ერიდებოდა, როგორც შეჩვენებულსა და უწმინდურს არსებას. საქართველოშიაც ფიცს დიდი ძალა ჰქონდა და სამართლის დადება ფიცს ვერა გზით ვერ წაუვიდოდა²⁷²). ასე იყო საათაბაგოშიც: „ფიცი ულონობა წესიაო“ (მუხ. პე), ამბობს ადბულა და ეს „ულონობა“-კი ნამდვილად დიდს ღონესა და ძალას ნიშნავდა. ფიცისთვის მაშინ უნდა მიემართათ, როცა სხვა საშუალება და სხვა ღონე აღარსად იყო და „ულონობაც“ ამას ერქვა...

სათაბაგოშიც ფიცის მიღება ხან მოჩივარს ედვა ვალად და ხან მეპასუხესა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ნიშნობლივ ერთს მხარეს უნდა დაეფი-

²⁷¹) *Іеринъ, 144—51, 235, 237.*

²⁷²) *Совр. Об. и Др. Зак. II. 294.*

პირველ საბუთად ვახტანგს ფიცი მიაჩნია, მუხ. ვ.

ცა, სახელდობრ იმას, ვისაც საქმის
ვითარება და გარემოება ავალებდა.
მაგრამ მოიპოვებოდა ბევრი ისეთი
საქმეც, რომლის გამო ფიცი მოჩი-
ვარსაც შეეძლო და მეპასუხესაც, —
სამართალი არა ბძანებდა, უეჭველად
ამან უნდა დაიფიცოსო. მაშასადამე,
ფიცი ორად განიყოფებოდა — ერთ-
მხროვან და ორ-მხროვან ფიცად. რო-
დის იყო საჭირო ერთ-მხროვანი ფი-
ცი? — ათაბაგი რამდენსამე საქმეს აღ-
ნიშნავს და აწესებს, მხოლოდ ერთ-
მა მხარემ, სახელდობრ, დამნაშავემ
უნდა ფიცოსო. ასე იყო, მაგ., მკვდრის
გამძარცვის შესახებ. სისხლს გარდა
მკვდრის გამძარცველს თორმეტი ათასი
თეთრი სხვა უნდა გადებოდა, მაგრამ,
თუ მკვდარი გამძარცველის მტერი იყო,
მაშინ დამნაშავეს მტრობა ფიცით უნ-
და ელიარებინა და ნაკლებს აზღვე-
ვინებდნენ — „თუ ფიცოს, ხუთი ათა-
სი თეთრი მართებსო“ (მუხ. რით,
რკ). როცა ვისმეს შეჰყივლებდნენ —
ამის ცოლსა ჰყვარობო, „ფიცოს
არაზედა, თუ არ ფიცოს, სისხლო

ზღოსო“ (მუხ. რკა). უნდა ეფიცი-
ენა-ჭარტალა გარეშე კაცსაც, რომ-
მელიც სხვას ეტყობდა — „ეს კაცი შენს
ცოლს ასე უზამსო“ : „ან ფიცოს, ან მა-
რთლა გატეხოსო“ *) (მუხ. რმვ). ქმარს
ნება ჰქონდა დასნეულებულს ცოლს
გაჰყროდა. რასაკვირველია, კაცს შე-
ეძლო უბრალოდ ხელზე დაეხვია ვი-
თომდა დასნეულება და ცოლი სი-
ძულილის გამო გაეგდო. ამის ასაცი-
ლებლად ფიცი იყო საჭირო: „თუ
გაეყაროს, შეფიცოს ნაშენითა, რომ
სიძულილითა არა გაყროდესო“ (მუხ.
რმა). ერთის სიტყვით, ბევრს შემთხვე-
ვაში ფიცი მხოლოდ მეპასუხეს უნდა
ეტვირთაღ ასეთი წინასწარ აღნიშნულ
ფიცის მიღება საქმის ვითარებაზე იყო
დამოკიდებული. ძველ ევროპიელთა

*) გატეხა — *признание*. გრძნეულობებს
(*чародныйство*) დასამტკიცებლად მარტო
გატეხა იყო საჭირო, მუხ რმზ. გატეხას
მხოლოდ წარმატებული სამართალი ჰხმა-
რობს. ამიტომ ოსებს იგი არ მოეპოვებათ,
Совр. Об. и Др. Зак. II. 223—7.

სამართალიც ამ გზას ადგა და საბუ-
თად გერმანელების, კელტებისა და
სლავიანების დასახელებაც კმარა²⁷³).

უეჭველია, ზოგჯერ მხოლოდ მო-
ჩივარს უნდა ეფიცნა და ასეთი
ერთ-მხროვანი ფიციც საქმის ვითარ-
ებებისაგან წარმოსდგებოდა. აღბუ-
ლა ამბობს, მაგ., მარტო მოჩივარ-
მა მაშინ უნდა ფიცოს, როცა ლა-
ლატით წანალების რაოდენობა სა-
ცილობელიაო. ეგრედ წოდებულს
მინდობილს მოღაჯატეს, სისხლს გარდა,
წანალებიც უნდა დაებრუნებინა —
„რაცა სასაქონლო რაგინდა-გვარი
წაელოს“... მაგრამ როცა რაოდენო-
ბაზე კამათობა ასტყდებოდა, მეპესუ-
ხემ ისა ზღოს, „რაცა მემამულემან
ფიცით გამოაჩინოს და მსგავსიერი
თქვას, არა მოდებუელიო“ (მუხ. ლდ).
საათაბაგოში იცოდნენ ერთმანეთის
გაუშვებულებას ე. ი. ხელით შეურაც-
ხება, რომელსაც ზედ მოსდევდა ქო-
ნების წაღება, ყმების გალახვა. რო-

²⁷³) *ibid.* 295.

ცა იგი უბედურება აზნაურს დაატყდებოდა და დამნაშავესაც პატრონი ჰყავდა, თუ პატრონმა ყურადღება არ მიაქციოს დანაშაულს, „არ გაუვლინოს და არცა-რა უსაბიოს“, მაშინ ნაწყენმა, ე. ი. მოჩივარმა ფიცოს და ფიცის ქვეშ გარდაახდევინოს ზარალიო (მუხ. ლვ). მხოლოდ მოჩივარს უნდა მიეღო ფიცი მაშინაც, როცა მპარავს ნაპარევი ცხენი თუ რაგინდაწა „ხელთ არ აქვნდესო“ (მუხ. ჟგ) და სხ... მოჩივარის ფიციც საზოგადო ჩვეულებაა, იგი ევროპიელებმაც იცოდნენ და ჩვენს დროს მთაშია დარჩენილი²⁷⁴).

როცა საბჭო საქმე საცილობელი იყო, ე. ი. არც მოჩივარს და არც მეპასუხეს საკმაო საბუთი არ ჰქონდა, მაშინ სურვილისამებრ ან ერთი მხარე ფიცავდა და ან მეორე. ასეთს ფიცს რჩ-მსწოვანს იმიტომ ვუწოდებთ, რომ სამართალი არ აწესებ-

²⁷⁴) *Совр. Об. и Др. Зак. II. 378, 387—9.*

და, უეჭველად და მიუცილებლად
ამა და ამ მხარემ ფიცოსო. ძველად
ევროპაში ცოტა სხვაფრივ ყოფილა.
იქ, როცა საეჭვო საქმე აღმოჩნდე-
ბოდა და არც ერთს მხარეს არ
შეეძლო, სამყოფი დამტკიცება წარე-
დგინა, თვით ბჭენი ადგენდნენ—აი
ამან ფიცოსო. საათაბაგოში ბჭეებს
ამ შემთხვევაში არა ეკითხოდათ-რა
და აღბულა გადაჭრით ამბობს; თუ
ერთმა მხარემ ვერ შეფიცოს, მეორემ
დაიფიცოსო. მაშასადამე, ერთსა და
იმავე საქმეში ფიცის მიღება მოჩივ-
რისა და მეპასუხის ნებაზე ეკიდა. და
აი ამის მაგალითებიც. როცა ვისმეს
ნაპარევი გამოაჩნდებოდა და პატრო-
ნი ღავას დაიწყებდა, მაგ ნაპარევთან
სხვა რამეც დამეკარგა— „სხვა რამ წა-
მიხდაო“, მეპასუხეს „ორითა უმტე-
როთა კაციოთა“ უნდა დაეფიცა, სხვა
რამესი არა ვიცვი-რაო და გამართლ-
დებოდა. მაგრამ, „თუ ეს ვერ შეფი-
ცოს, მან საქონლის პატრონმან და-
იფიცოსო“ (მუხ. ჯდ). ასე იყო მაში-
ნაც, როცა „ქარავანსა ქურდათ თავ-

სა ზედა დასხმასა შიგან წახდომილი იცნას კაცმა“. ვისაც „წახდომილს“ უპოვნიდნენ, იმას უნდა დაეფიცა, ქურდი არა ვარო—„ქურდად არა ყოფილიყოს“ და მაშინ მარტო ნაპოვნს „წახდომილს“ გამოართმევდნენ—„თავის მეტს არ ემართლები-სო“. ხოლო, თუ „ვერ შეეფიცოს, რა-საც წახდომილსა პატრონი იფიცავს, ყველა უზღოსო“. უკეთუ აღმოჩნ-დებოდა, რომ „წახდომილის“ მქო-ნე „თავადად იგი კაცი ყოფილიყოს და თავლაშქარი*) ყოფილიყოს“, პა-ტრონმა „რაცა მისი აღაფისაგან ფი-ციით მინახვედრები თქვას, იგიცა უზღოს უკლებლადო“ (მუხ. ძვ). თუმცა საზოგადოდ პარვის საქმეში ერთმხროვანი ფიცი იყო საჭირო, მაგრამ როცა კერძოდ ნაპარევს ცხენ-ზე დაიწყებოდა საჩივარი, მაშინ ორ-

*) თავლაშქარი—*навалщик шайки*. ჩვენ სამი ხელთ-ნაწერი სამართალი გვაქვს და ყველგან „თავლაშქარი“-ს მაგიერ შეც-დომით სწერია „თვალშქარი“,

მხროვანს ფიცს მისდევდნენ (მუხ. 58).
მოფიცარისგან მოწამე განსხვავდება და ფიცისაგან — მოწმობა. ძველად უფიცო მოწმობა თითქმის სრულიად არ იცოდნენ. ცხადია, თუ რატომ იმ დროს ფიცს აქვს უმთავრესი მნიშვნელობა და საგვარეულო წეს-წყობილება გარეშე კაცს მოწმად არ ნდომულობს. ან ვინ იქნება ისეთი თავხედი, რომ სხვის გვარს უმოწმოს და შურის-ძიებას მისცეს თავისი თავი და თავისი გვარეულობა? თითო-ორი შემთხვევაში თუ შეიძლება უფიცო მოწამე და ისიც მაშინ, როცა მოწამე მოჩივარის ან მეპასუხის მეყვისია²⁷⁵). მაგრამ როცა ერთი საგვარეულო ცხოვრებას სტოვებს და წარმატების გზას ადგება, მაშინ სამართლის ტადარი გარეშე კაცისათვისაც ღიაა, — ყველას უფლება აქვს ამ საერთო ტადარში მოწმობა აღიაროს... სწორედ ასეთი იყო თემიდან ტადარი ათინაში. დიდად აფა-

²⁷⁵) *Совр. Об. и др. Зак. II. 341—44.*

სებდნენ ათინელები მოწმის სიტყვას და დიდს ჯარიმასაც ახდევინებდნენ, თუ იგი არ მივიდოდა ბჭობადჯდო-მაზე—ოღონდ-კი მოდი და თუნდ ნუ-რაფერს იტყვიო... და როცა მოწამე ბაგეთა თვისთა აღაღებდა, ჩვენება ქალღმრთელს უნდა დაეწერა და აქტუა-რიუსისათვის წარედგინა²⁷⁶). რომ-შიც, რასაკვირველია, მოწამეს დი-დი მნიშვნელობა ჰქონდა და, ისევ რესპუბლიკის დროს, მოჩი-ვარსა და მეპასუხეს სამართალი ავა-ლებდა, მოწმები მოიყვანეთო²⁷⁷). თავდაპირველად იქ მოწამე შექმწე იყო: თუ საჭიროება მოითხოვდა, მოწამე მკლავითა და ღონით უნდა დაჰხმა-რებოდა თავისს მიმყვანსა²⁷⁸). ამ მკლავისა და ღონის ვარჯიში ადვი-ლად წარმოსადგენელი სურათია, მაგ-რამ გასაკიცხი-კი არაა. თუ ძველად ასე ყოფილა და ეხლაც აგრეა ზოგი-

²⁷⁶) *Р. Јеринъ, 121—300.*

²⁷⁷) *Бекъ, 29.*

²⁷⁸) *Карлъ Майнцъ, 92 и 334.*

ერთს ალაგას, მაგ., კავკასიის მთებში, ამის მიზეზი უფრის-ძიებაა: ყველგან მოწამემ ნელ-ნელა გაიკვლია გზა და ეს, იქნება, მკლავითა და ღონითაც მოხდა ²⁷⁹). ძველს დროს ქართველები მაგრე რიგად პატივს არ სდებდნენ მოწამეს, — „მოწამე დიალ სწამთ და იციან უფრო ბერძენთა, ფრანგთაცა და რუსთაცა... მაგრამ აქ, ქართლში, უფრო არ განუწესებიათო, მოგვი-თხრობს ვახტანგი (მუხ. იგ.). ცხადია, რად „არ განუწესებიათ“: ვახტანგის წინა დროს ქართული სამართალი ძველს მიმართულებას მისდევდა და იგი მიმართულება კიდევ მოწამეს არა სწყალობს და მოფიცარს უფრო ენ-დობა. ეგრე იყო საათაბაგოშიც. აღ-ბულა თითქო ძუნწობს და მოწა-მეს ორიოდე ადგილას იხსენიებს. სად და როდის? — არსებობდა ერთგვარი ჩვეულება, რომელსაც შუადმოსკლას ერქვა. შუადმოსკლასი „მეომართ“ გამ-შველებელი იყო და „ომი“ აწინდე-

²⁷⁹) *Зак. и Об. ка Кав. II. 27.*

ბურად ჩხუბს ნიშნავდა. სამართალი ამბობს, შუადმოსრული შეიძლება მონაზანი და ხუცის დიაციც იყოს. შუადმოსრულის წმინდა მოვალეობას გაშველება შეადგენდა, მაგრამ, როგორც ეხლაა, მაშინაც შუადმოსრული „თვით მეომარი“ შეიქნებოდა ხოლმე. რატომაც არა, როცა ქართველს ასე უყვარს მახვილისა და მკლავის ტრიალი?! როცა შუადმოსრულს მეომარს მოჰკლავდნენ, სისხლი არ ეურვებოდა, მხოლოდ იმ პირობით-კი, რომ მატყლს მოწამეს უნდა ეთქვა—მოკლული მეომრობდაო, — „თუ მეომარი ყოფილიყოს და მატყლთა მოწმითა გამოჩნდეს, გარდახდეს ასრე, ვითა ძაღლის ყეფაო“ (მუხ. იზ) და ძაღლის ყეფა ხომ არაფერია... სხვა შემთხვევაში ერთად მოწმობაც იყო საჭირო და ფიციცა უნდა ეთქვა, როცა „კაცმან ნაპარევი რამე დასწამოს კაცსა, დასტური*)

*) დასტური—დაჯერებული, ს. ს. ორბელიანის ლექსიკონი.

არ იცოდესო“. დაწამებულს, „უბრა-
ლოდ გაწბილებულს“ სამართალი
უბძანებდა, შეგიძლიან ფიციც მიიღო
და მოწამეც მოიყვანოო. და „თუ
არც ფიცი დაუტურვოს და არცა მო-
წამესა უყუროს“, ესა და ეს გარდახ-
დეს დამწამებელსაო (მუხ. 33). ერ-
თის სიტყვით, საათაბაგოზედაც ის
ითქმის, რაც საზოგადოდ საქართვე-
ლოზე — „მოწამე უფრო არ განუწე-
სებიათ“... აღბუღა აღნიშნავს ერთს
განსაკუთრებულს. წესსაც, რომელსაც
ლაშქრობის დროს მისდევდნენ. უკე-
თუ დავა და ცილობა დაიწყებოდა“
ომსა შიგან ხელთა დარჩენილსა კაცსა
და მისსა აბჯარსა ზედა“, აბჯარისა
და ცხენის „ნაკრავი“ უნდა გაესინ-
ჯათ და „რასაცა აბჯარსა ზედა
რომლისა ნაკრავი აჩნდეს და ანუ
ცხენსა, მას მართებს“, იმას ეკუთვ-
ნისო. მაგრამ მარტო „ნაკრავის“
გასინჯვა არ კმაროდა — „იგი დარჩო-
მილი კაციცა გაიკითხონ ფიცითაო“
(მუხ. 34).

არის ისეთი საბჭო საქმე, რომე-

ლიც მეცნიერსაც უნდა ეკითხოს და სამართალი ისრე დაედოს. მეცნიერი საქმის მცოდნეა, განსწავლული სპეციალისტია. როგორც გუჯრებში სჩანს, ძველადვე საეკლესიო და სამონასტრო საქმის ბჭობაზე მეცნიერთაც იწვევდნენ²⁸⁰). აღბუღაც ამას აწესებს. საათაბაგოში ოცოდნენ „სა-საფლაოსა ზედა დასხმა და საფლავთა ხელის მიყოფა“. თუ ბიწიერი და უკეთური მარჯვენა, საფლავს გარდა, სასაფლაო ეკლესიასაც პატივს აპყრიდა „ანუ წარმართულად კარისა შეღეწითა, ანუ სხვაგნით რითიმე შერღვევით“, მაშინ ჩვეულებრივი ბჭობადჯდომა არ კმაროდა და არც სამართალში ეწერა, დამნაშავეს ეს გარდახდესო— „შეკვეთით არსათქმო-და-რა“. საჭირონი რყვნენ „მეცნიერნი და ქრისტეს სისხლის პატივსა მცნებუ-ლნი“ (მუხ. კვ), რომელთაც მსჯავ-რი უნდა დაედგინათ. ზოგჯერ საზო-გადო სასჯელს გარდა, მსჯავრს ეპის-

²⁸⁰) Церков. суджари, 120—1.

კოპოზიცი სდებდა. მაგ., ძმისა და ახლო მეყვისის მკვლელს ორკეცი სისხლი გარდახდეს ღ გარდიხვეწოსო, მაგრამ ეს არ კმაროდა — „ეპისკოპოსმა იმის წესი იცის, რაცა მართებს, მან უყოს“ (მუხ. კგ).

ფიცისა და მოწმობის შემდეგ სასაქმო წიგნი ჩნდება. რასაკვირველია, იგი წიგნი არსდება, როცა ცხოვრება მოქალაქეობას იძენს და სამართლი წარმატების გზას ადგია. თავდაპირველად სასაქმო წიგნს ცოტა მცირე ძალა ჰქონია, ვიდრე შემდეგ შრდამწერმა და ხელის დამრთველ მოწმებმა ფიცს ქვეშ უნდა აღიარონ სასაქმო წიგნის სინამდვილე და უამისოდ წერილობითს საბუთს მნიშვნელობა არა აქვსო²⁸¹). რომშიც სწორედ ასრე ყოფილა, — tabellio-ს ფიცით უნდა დაემტკიცებინა, „დოკუმენტი“ ნამდვილიაო და სახელმწიფოც ყურადღებას აქცევდა სასაქმო წიგნის შედგენას²⁸²). ძველად საქარ-

²⁸¹) *Совр. Об. и Зак. II. 151—4.*

²⁸²) *Карлз Маиниц, стр. 185.*

თველოშიაც სასაქმო წიგნს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამას, სხვათა-შორის, ისიც ამტკიცებს, რომ ეხლაც საქართველო სავსეა სხვა-და-სხვა სასაქმო წიგნებით და თვითოეულს მათგანს საკუთარი სახელი ეწოდება. საკმაოა მარტო ს. ს. ორბელმანის ლექსიკონი გადაფურცლოთ. სიტყვა წერაღი წაიკითხოთ და დაინახავთ, თუ რა მრავალგვარი ყოფილა სასაქმო წიგნი²⁸³). და რას ნიშნავს ეს მრავალგვარობა?—ყოველს შემთხვევაში სამოქალაქო სამართლის განვითარებას. იგი განვითარება არც საათაბაგოს აკლდა და აქაა მიზეზი, რომ აღბულა ჯეროვანს ფასსა სდებს სასაქმო წიგნსა, თუმცა-კი არ უჩვენებს მრავალგვარს სახელ-წოდებას. აღბულა ამბობს, სასაქმო წიგნი ორად განიყოფება და სხვა-და-სხვაობა დამოკიდებულია, როგორც გარეგნობასა და

²⁸³) ლექსიკონი, გვ. 378, სიტყვა წერაღი ლ. საქართველოს ისტორია ვახუშტისა, გვ. 8—9 და შენიშვნა I.

ფორმაზე, ისრე წიგნის საგანსა და შინაარსზედაო. ეგრედ წოდებული ჰატრონისაგან მიტეპული, ნახოქები სსსაქმო წიგნი საპატიო კაცთა და მონოზანთა მიერ „ხელჩართული“ უნდა ყოფილიყო და თუ ხელი არ ეწერა, რასაკვირველია, არც ძალა ჰქონდა. ასეთს წიგნს ათაბაგი საზოგადო „რაგინდა სასაქმო და საჭიროებისათვის“ ნახოქებს არქმევს და ეს სახელიც ხომ ზოგადია. მაშასადამე, რაგინდარა სასაქმო წიგნი მრავალგვარის შინაარსისა ხყო და თუ განსხვავდებოდა, მარტო იმით, რომ ჰატრონს უნდა ებოძნა და ხელმოწერილი ყოფილიყო საპატიოთა კაცთა და მონოზანთაგან. მოხსენებულის არაა, თუ როგორ და რა ფორმით უნდა დაეწერათ ამ გვარი წიგნი, მაგრამ განმარტება არც საჭიროა. ზოგადი სასაქმო წიგნი ნიშნობლივს ფორმასა და გარეგნობას არ მისდევს, — ყველას ეს გარემოებაზეა დამოკიდებული. უფრო საჭიროა ესრეთის წიგნის მომავალი ბედი, გაუქმება, ანუ ათაბაგის სიტყვით,

გატყუდებს და აი სწორედ ამას აღნიშნავს ალბულა: თუ პატრონმა მერმესხვა წიგნი უბოძა, „იგი უკანას გაუცუდებს მას პირველსაო“, ე. ი. უკანა წიგნი წინას გააბათილებსო. ამ შემთხვევაში ერთი პირობა იყო საჭირო, სახელდობრ ისა, რომ პატრონს ძალუთ და სეფხაურთუკლად არ უნდა ებოძნა უკანა წიგნი: „თუ ძალუთ და ქვეყამით მიეცეს და არცა ვისი ხელი ერთოს, იგი ცუდია და პირველივე უმტკიცე იქნებისო“. ზოგადს გარდა, ალბულა კერძო სასაქმო წიგნსაც იხსენიებს და ასეთს წიგნს ნაზავებს*) უწოდებს, თვით სახელწოდება ამტკიცებს, თუ რას ნიშნავდა ნაზავები წიგნი და როდის იხმარებოდა. ზავი გარიგებაა და „შუათა პირითა“ იდება. ნაზავები წიგნიც ზავის გამო უნდა დაეწერათ — „თუ ვაკცი რასმე ესაქმებოდეს სამართლითა და საჯეროთი“ და, უეჭველია „შუათა პირითა“.

*) ზავი — გარიგებისათვის, ს. ს. ორბელიანი

შუაკაცების სიტყვით შეედგინათ. ათაბაგი ამბობს, „ნაზავები წიგნი“ არ მოიშლების უკანის (ქვეყანით მოცემულის), ანუ სარგებლის დახედვისათვის ან ძალის შოებისათვისო“ (მუხ. ჯა). ამ წიგნისთვის არც საპატიოთა კაცთა და მონაზანთა ხელჩართვა იყო საჭირო და ამითიც განსხვავდებოდა ნაზავები პატრონისაგან ნაბოძებ სასაქმო წიგნისაგან.

საათაბაგოში სხვა-და-სხვა გვარი გარიგება გახშირებული იყო და ნაზავებს წიგნსაც ხშირად ხმარობდნენ. რამდენიმე მაგალითიც კმარა. როცა გლეხი გლეხს თავდებად დაუდგებოდა, ხელის უფალს ან ბატონს „ხელი ჩაართვევინოს“ და თუ წიგნს „ხელი არ ერთოს“, „ვერ დაუდგებო“ (მუხ. ჯთ). წიგნით თავდებობა საჭირო იყო დიდებულისა და აზნაურთათვისაც — „რასაც ზედა უდგეს უზლოს სათავდებო, რაცა ეწეროს“ (მუხ. ო). თუ გლეხი მამულს ვისმე მიჰყიდდა, წიგნზე პატრონს ხელი უნდა მოეწერა (მუხ. ოზ). ზედ-სიძედ შესვლა უწიგნოდაც შეი

ძღვება და წიგნითაც (მუხ. რნჰ, რნთ) და სხ.

XV

როცა ერთი გონებით დაბლასდგას, დანაშაულიც სხვაფრივ ესმის: დანაშაულად მიაჩნია მხოლოდ ისეთი მოქმედება, რომელსაც რაიმე ზარალი მოაქვს. ყურადღებას არ აქცევს დანაშავის ბოროტს წადილს, თუმცა ეს უკანასკნელი შინაგანი ბუნებაა დანაშაულისა. ოღონდ-კი ზარალი ნურავის მოუვა, ბოროტი წადილი არაფერია და სასჯელის ღირსი არ არისო, — ასე ბჭობს გონება დახშული საზოგადოება. ამ მიმართულებას ადგა ძველ ევროპიელთ სისხლის სამართალიც. გერმანელებსა, კელტებსა და ფრანგებს ეგონათ, რომ დანაშაული მარტო თავათ სახილველი მავნებელი საქმეაო და ამიტომ პირუტყვსაც ისე სჯიდნენ, როგორც ადამიანს ²⁸⁴). ეხლაც ჩვენი

²⁸⁴) Совр. Об. и Др. Зак., II, 97—105.

მთიელნი და საზოგადოდ კავკასიონის მკვიდრნი ვერ ასცილებიან ამ ცრუ და ლატაკს აზრს. განვითარება და წარმატება იურიდიულ მხედველობას სცვლის და დანაშაულსაც სხვა ხასიათს სდებს, — ბოროტი აზრი ჰქმნის დანაშაულსა და იმასაც უნდა მიექცოს ყურადღება და არა მარტო ზარალსა, და ზიანსაო. რაც მეტი დრო და ჟამი გადის, დამნაშავეს უფრო ბოროტის აზრისა და განძრახვის მიხედვით უჩენენ სასჯელსა და სწორედ ესაა დამნაშაღის ისტორიული თავ-გადასავალიც ²⁸⁵). დანაშაულს სხვა ცვლილებაც გამოუვლია. პირველ ხანს, როცა ერს სახელმწიფო გამგეობა არ მოეპოვება და საგვარეულოდ სცხოვრობს, დანაშაულსაც კერძო მნიშვნელობა აქვს, დანაშაული ნაწყენმა და იმის გვარმა უნდა ინაღვლოს, ერი არაფერ შუაშია და არც რა ეკითხვისო. ასე ყოფილა წინაპირველად თვით

²⁸⁵) *ibid.*, 79—82.

რომში ²⁸⁶), ასეა ეხლაც ყველგან, სადაც ხალხი პოლიტიკურად განუვითარებელია და სახელმწიფო წყობილებას მოკლებულია. როგორ იყო საათაბაგოში და რათავ-გადასავალი ჰქონია დანაშაულს? — აღბუღას სამართალი აღგენს, დანაშავე უნდა დაისაჯოს იმისდა გვარადაც, თუ რამდენად ბოროტი აზრი გამოიხატა იმის მოქმედებაში. მაშინ ზარალის მიხედვით არ უნდა მიეწყოს სამაგიერო. ამას გარდა, იგივე სამართალი ამბობს, თუ ყველა არა, ზოგიერთი დანაშაული მაინც საზოგადო ბოროტებაა და საათაბაგოს პატრონმა უნდა სდევნოს და განსაჯოსო. მაშასადამე, საათაბაგოშიაც დანაშაულის მსვლელობა ისეთივე ყოფილა, როგორსაც სამართლის ისტორია აღნიშნავს. რა დანაშაულს აღწერს აღბუღა? — რასაკვირველია, მრავალს. ჩვენ მოკვდიდგან დავიწყებთ.

²⁸⁶) Карлъ Майнцъ, 31—2, 98.

მოკვლას მძიმე დანაშაულია. მაგრამ
რადგან ანტიკონსტანტინოპოლის მოკვლას სხვა მნიშვნე-
ლობაცა ჰქონდა— იგი მოკლოლის
ღირსების საზღაო იყო, რადგანაც
დანაშაული „ზემო-ქვემოებაზე“ და-
ფუძნდა: „კაცი ვითარცა გვარად
იყოს, აგრე ზემო-ქვემოებით უზ-
ლოს... დიდებულსა ორმოცრ ათასი,
შედევსა ოცი ათასი, უქვედესთა ბორ-
მეტი ათასი, ჰითარცა ღირს იყვნენ“
(მუხ. კთ). საქმე კიდევ ისაა, რომ
სისხლის დაურვებაც მოკვლისაგან
წარმოსდგა. თავდაპირველად, როცა
შურიძიება მძვინვარებდა, მკვლელი
მიუცილებლად უნდა მოეკლათ და
შემდეგ-კი დააწესეს, დამნაშავეს ამო-
დენი გარდახდესო²⁸⁷). მერე ეს სის-
ხლის საზღაო ყველა დანაშაულისა-
თვის დაიდო და იქ, სადაც „ზემო-
ქვემოება“ დაარსდა, საზღაო მეტ-

²⁸⁷) იაროსლავის Правда ამბობდა, მო-
კვლისათვის მოკვლა გამიჩენიო, ხოლო მის
შვილებმა „отложища убіеніе за голову“,
Калачевъ, 29—30, 151—2, 180.

ნაკლები შეიქნა. მაგ., რუსთა ძველი სამართალი — „Русская Правда“ ამბობს, მოკვლის სისხლი სხვა-დასხვაა, КНЯЖЬ МУЖЬ-ს დაეუროს 80 ПРИВЕНЬ-ი, უქვედესსა ხუთი ანუ ექვსიო ²⁸⁸). ასეთს უთანასწორო საზღაოს ჰხმარობს ფრანგების Lex Salica ²⁸⁹) და სხ.

ეს საზღაო დანაშაულის გარეგანი სახეა და მოკლულის ვინაობას უჩვენებს. ხოლო მოკვლას საკუთარი შინაგანი თვისებაცა აქვს. ეს თვისება კაცის ბოროტი წადილია. სულ ერთი არაა, მაგ., განგებ და უსახედად ვისიმე მოკვლა. ძველი სამართალი-კი ამას არაფერს დაგიდევდა და არიელთა მოდგმის თითოეული ქრი სწორედ ამ აზრისა იყო ²⁹⁰). რასაკვირველია, შემდეგ სხვაფრივ მოხდა; ევროპიელთა სამართალში განმარტებულია, რა მი-

²⁸⁸) *ib.*, 180—239 II ბუკოლია.

²⁸⁹) *Bezo*, 140—13 ბუკოლია.

²⁹⁰) *Совр. Об. и Др. Зак.*, II., 96—

ზეზისა და გარემოების გამო შეიძლება ერთი და იგივე დანაშაული მძიმეც იყოს და მსუბუქიც, მოხსენებულია — რას ნიშნავს განგებ და უსაბედად მოკვლა და სხ. ²⁹¹). ეს კიდევ არაფერი, — გერმანელებისა და ფრანგების სამართალი ადგენს, მარტო მოკვლა-კი არა, „სიკვდილის ცდაც“ დანაშაულიაო ²⁹²). საათაბაგოშიაც დანაშაულის ცვალებადი მსვლელობა ისეთივე ყოფილა, როგორიც საზოგადოდ ევროპაში იყო. აღბუღას სამართალი როდი სჯერდება დანაშაულით ჩადენილს ზიანსა, არა — დამნაშავის სულის ვითარება, ბოროტი განზრახვაც საჭიროა სათანადო, სასჯელის მისაყენებლად. საათაბაგი აღნიშნავს სხვა-და-სხვა მოკვლას და დასკვნის, ისეთი მოკვლა უფრო მძიმეა, რომლითაც მკვლელმა მეტი სულიერი და ზნეობრივი სიღუბეჭირე

²⁹¹) *ibid.* 82 — 3.

²⁹²) Русская Правда სიკვდილის ცდას დანაშაულად არა სცნობს, Калачевъ, 87.

გამოიჩინა, ბოროტი აზრი და სიავე
გამოაშკარავაო. მსგავსად ევროპიელ-
თა ძველ სამართლისა, აღბუღასაც
სიკვდილის ცდა დანაშაულად მიაჩ-
ნია— „სიკვდილისა ცდისათვის სამი
ათასი შეფყრების ცოდვისათვისო“
(მუხ. რლე).

რაკი საათაბაგოში იურორდიული
აზრი იმდენად მალლა იიდგა, რომ
დანაშაულის ბუნება და თვისება შემ-
ჩნეულ იქმნა, საჭირო იყო ამ ბუ-
ნების და თვისების აღნიშვნა კერ-
პოდ განმარტებულიყო. თუ დანა-
შაულში პირველი მნიშვნელობა დაშ-
ნაშავის სულის მდგომარეობასა აქვს,
მაშ სხვა-და-სხვა შემთხვევისათვის რგი
მდგომარეობა უნდა აღენიშნა სამარ-
თალს. ასე მომხდარა სხვაგანაც. ძველ
გერმანელთა სამართალი და რუსთა
Правда ამბობდა, ჯერ უნდა გაისინ-
ჯოს, რამ აიძულა დანაშავე ბორო-
ტის ქმნად, საბაბი ჰქონდა თუ არა,
სულით აღშფოთებულმა თუ დამშვი-
დებულმა ჩაიდინა დანაშაული, და მე-
რე სასჯელი დაედოს გარემოებისა

და სულონის მდგომარეობის განხილვის მიხედვითაა ²⁹³). ამ მთავარ აზრისაა საათაბაგოს სამართალიცა. ალბულა აღწერს ევრედ წოდებულს შუად მოსრულად და შუად მოსრულის მოკვლას იხსენიებს. შუად მოსრულს აწინდებურად ჰქვია მოჩხუბართა ანუ „მეომართა“ გამშველებელი და იმ დროს ჩხუბი, „ომი“, და შუად მოსრულობა ჩვეულებად ყოფილა. სამართლის სიტყვით, შუად მოსრული შეიძლება იყოს მარტო „ერისგანი“ კი არა, არამედ მონოზანი და ხუცის დიაკონცა. თუ ვინმე ჩხუბში ასეთს შუად მოსრულს მოჰკლავდა, ორჯეცი სისხლი უნდა დაეურვა, მაგრამ შუად მოსრული „თუ მეომარი ყოფილიყოს, მართლითა მოწყობით გამოჩნდეს, გარდახდეს ისრე, ვითხ ძალისხევა“ (მუხ. იზ), თუ შუად მოსრულმა, გაშველების მაგიერ, ჩხუბი დაიწყოს და მოკლეს, არაფერი დაეურვოს-რაო. რად? — მოვალეობა

²⁹³) Собр. Об. и Др. Зап. II. 85—7.

უარ-ჰყო და გულ-აღშფოთების გამო ჩხუბში მოკლეს, ვითარცა მოჩხუბარიო. აი სხვა მაგალითიც, რომელიც ათაბაგმა ბიზანტიის სჯულიდგან გადმოიღო. ბიზანტიის სჯული აწესებდა, — ავაზაკისა და ღამე მპარავის მკვლელს სისხლი არ გარდახდებისო²⁹⁴). საათაბაგოს სამართალიც აჩენს: „მეკობრისა*) და ზედა დამსხმელისა სისხლი არ არის“ (მუხ. რლოთ), „ვინცა მეკობრე, მეჯურმუცე**“) და მპარავი კაცი მოკლას... ვინც მისმან ნათესავმან და საშუალოთა სისხლი იკითხონ, კრულ და შეჩვენებულ და წყეულ იყავნო“ (მუხ. რაფე). ცხადია, თუ რად არ უნდა იკითხონ სისხლი — მეკობრეს, მეჯურმუცეს და მპარავს კაცი შესანდობელ საბაბის გამო ჰკლავსო. რასაკვირველია, მოკვლა შეიძლება

²⁹⁴) Зак. и Об. на Кав. I. 130.

*) მეკობრე — მტაცებელია, ს. ს. ორბელიანი.

**) რუსულად — разбойникъ.

დამნაშავემ მოიქმედოს სხვა-და-სხვა მიზეზის გამო და ერთს ბოროტებას ზედ მეორეც დაურთოს. ეს გარემოება აორკეცებს თვით მოკვლას. მაგ., შესაძლოა მკვლელს აზრად გაძარცვასა ჰქონდეს და თუ ასეთი დანაშაული ჰქმნა, უფრო სასტიკად უნდა დაისაჯოს, ვიდრე უნგარო მკვლელი. ძველად ამ გარემოებას ყურადღებას აქცევდნენ და საბუთად კელტებისა და ირლანდიელების სამართლის დასახელებაც საკმაოა²⁹⁵). არც აღბუღა სტოვებს უყურადღებოდ ორკეცს დანაშაულს და აღიარებს, გაძარცვასა შიგან მოკვლისათვის ერთი-ორად უნდა გარდახდეს დამნაშავესაო — „თუ ვაქარსა, გზას მიმავალსა ან მამავალსა, საქონლის ნდომისათვის კაცი დახვდეს... და თუ გაძარცვასა შიგან კიდევ მოკლას ვაქარივე, ორკეცი სისხლი უზღოს“, ორკეც გაძარცულ საქონლის გარდაო (მუხ. 73). ესევე უნდა ითქვას

²⁹⁵) Совр. Об. и Др. Зак. II. 87—9.

ზედ-დასხმაზედაც : ზედ-დასხმა გან-
ცალკევებული დანაშაულია და სა-
კუთარი დაურვება აქვს დანიშნული.
მაგრამ უკეთუ ზედ-დასხმას მოკვ-
ლაც მიემატა, მაშინ დანაშაული ორ-
ვეცდება — „თუ კიდევ იგივე მოკვ-
დეს, რომელსა დაესხა, ორკეცი სი-
სხლი დაუურვოსო“ (მუხ. იგ). ეხ-
ლაც ყველა განათლებულ ერის სა-
მართალი ადგენს, რომ დანაშაულის
განსჯაზე გავლენა აქვს კვალიფიკაციას.
ჩვენ დროსაც ცალიერი მოკვლა და
გაძარცვის მიხედვით მოკვლა ერთი
და იგივე არ არის. მაგრამ აქ ღირს-
შესანიშნავი ისაა, რომ საათაბაგოს
სამართალს ძველი კვალი ამჩნევია და
ეს კვალი კიდევ ცხადად ამტკიცებს —
საიდგან და როგორ წარმოსდგა
აწინდელი საზოგადო კვალიფიკაცია
(квалификація преступленія), ერ-
თისა და იმასავე დანაშაულის უაღ-
რესობა. საქმე ისაა, რომ პირვან-
დელ დროს, როცა ერი საგვარეუ-
ლო წესს ადგია, დამნაშავეს ზარა-
ლისა და ზიანის კვალობაზე ახდევინ-

ნებენ სასჯელს—საჭიროა საცნობ-
ლოდ, რა და რა უბედურება, რამ-
დენი ზარალი და ზიანი მიაყენა დამ-
ნაშავემ თავის მსხვერპლსაო²⁹⁶). იმ
დროს სასჯელი არითმეტიკული ან-
გარიშია, თუ ასე შეიძლება ითქვას,
და ეს იმიტომ, რომ ერთი დანაშა-
ული მეორისაგან ნაკლებად განსხვა-
ვებულია, ერთი დანაშაული მეორე-
შია მოთავსებული. შემდეგ საქმე
სხვაფრივ ტრიალდება: ერი აკვირ-
დება დანაშაულის შინაგანსა და გა-
რეგანს სახესა და რთულს ბოროტე-
ბაში სხვა-და-სხვა ცალკე დანაშაულსა
ჰხედავს. ამისდა გვარად დაურევბაც
იცვლება და ორს დანაშაულს, ერ-
თად ჩადენილს, ორკეცს მსჯავრსა
სდებს. აქა აქვს დასაწყისი აწინდელს
კვალიფიკაციას...

აღბულას სამართლით, მოკვლას კი-
დეც იმიტომ საყურადღებო, რომ ცნე-
ბა ამ დანაშაულისა ძველსა და ახალს
აზრს შუა სდგას და განურკვეველს

²⁹⁶) Зак. и Об. на Кав. II. 262.

გზას მისდევს. თუმცა მოკვლის განსასჯელად ზიანი უნდა ვიქონიოთ საწყაოდ, მაგრამ ბოროტს განძრახვასაც თავისი საწყაო აქვსო. უკანასკნელი საწყაო კიდევ სჭარბობს პირველსა, — ეგრედ წოდებულს განგებულებას (УМЫСЕЛЬ), ამ დანაშაულის შემოქმედს ძალას, უმთავრესი ყურადღება აქვს მიპყრობილი და ეს ხომ ცნების განვითარებასა ნიშნავს. რაც მეტს განგებულებას გამოიჩინდა მკვლელი, იმდენად უფრო დიდს სასჯელს სდებდნენ. ასე იყო, მაგ., უმზრახისა და მოღალატე მკვლელის საქმე. უმზრახს ხობა მტრობას მოასწავებდა და მტერი ხომ ბოროტებას არ დაიშურებს მოწინააღმდეგისათვის, იგი ხომ აღჭურვილია ბოროტის განგებულებით მოქიშპეს წინაშე. ათაბაგი აღნიშნავს უმზრახის მოკვლას, რომელიც იმ დროს თავისებური დანაშაული ყოფილა და, რადგანაც ასეთს მოკვლაში პირველი ადგილი განგებულებას უჭირავს, მკვლელს ორკეცს სისხლს უჩენს. შეიძლებაო, მოგვითხრობს

აღბუდა, „კაცნი საპატიონნი, გინა ქვემონი, უმზრახნი გზად წინ შეემ-
თხვივნენ და გარინდეს გზა იგი“...
თუ ერთმა გზას აუქცია და მეორემ მუ-
ინც მოკლა, „ორკეცო სისხლი დაუ-
ურვოსო“... ცხადია, რად: უმზრახს
ღრმად დამარხული აქვს მძლავრი ბო-
როტი წადილი, შებოჭილია ბორო-
ტის განგებულებით და, თუმცა ქო-
ქიშვე მოერიდა, მაინც მძვინვარე
ბოროტებამ თავისი არ დაიშალაო...
„და თუ არა რომელმან გარინდეს
და შემთხვევითა რომელმან მოკლას...
ერთი სისხლი დაუურვოსო“ (მუხ-
ლთ). აქაც ფსიხოლოგიური და იუ-
რიდიული საბუთი აშკარაა. ორი მტე-
რი ერთმანეთს შეხვდნენ და გზა არ
აუქციეს. ერთმა მეორე შემთხვევით
მოკლა. რასაკვირველია, სულის აღ-
შფოთება და შემთხვევა პატივსადები
მიზნებია და მკვლელსაც ცრტა უნდა
გარდახდეს.

სამართალი მოწმობს, რომ საათა-
ბაგოში ჯაჯატით მოკვდა ხში-
რი და მძიმე დანაშაული ყოფილა.

შავი და ბნელი დრო ხელს უწყობდა ამ დანაშაულს და თითქო კიდევ აღფრთოვანებდა. მთელს ერში ფესვი გაედგა ამ შემადრწუნებელს ბოროტებას, რომელსაც მედგრად ებრძოდა წესიერების მოყვარულიაღბულა და ამიტომაც სასტიკი სასჯელი გაუჩინა მოღალატეს. მაგრამ ეს სასტიკობა მარტო „ჟამთა სიავის“ შედეგი არ ყოფილა—იგი იურიდიულადაც შეეფერებოდა ისეთს მძიმე დანაშაულს, როგორც ღალატია. რაა დაჯატი?—მუხთლად, დაუნდობლად მოკვლაო, განმარტებს ს. ს. ორბელიანი *). ხოლო მუხთლობა, დაუნდობლობა ცალკედაც ავი საქმეა და როცა იგი ემატება მოკვლასო მაშინ ღალატი ორკეც დანაშაულად უნდა ჩაითვალოს, და ამიტომ მოღალატეს სისხლიც ორკეცად უნდა დაეურვა—
„ვინც გინდა, დიდმან ანუ მცირემან კაცმან, ღალატით სხვა კაცი მოკრ

*) იხ. ლექსიკონი მაგრამ ს. ს. ორბელიანი სცდება...

ლას, ვითარცა გვარისა იყოს კაცი იგი, ორკეცი სისხლი დაუურვოსო“ (მუხ. რაბ). სისხლს გარდა, წყევან და კრულვა კიდევ სხვა იყო, რომელსაც ვერ ასცდებოდა ისიც-კი, „ვინცა უშველოს და შეიწყნაროს“ მოღალატე. ლალატს აღბუღა ხშირად იხსენიებს. იგი ბოროტება მრავალ გვარი ყოფილა და ზემოდამ ქვემოდ მოდებული ჰქონია საზოგადოებას, ამიტომ საკუთრივ მოხსენებულია ჯერ „ზემოთა“ და შერე „ქვემოთა“ ლალატი. ერთიცა და მეორეც უუქსა ჰუენს იმ დროინდელს ვაგლახს ცხოვრებას და ცხადად გვიხატავს მაშინდელს საზოგადოებურს ურთიერთობას, მაღალ წოდებაში ორ გვარი ლალატი ყოფილა — „თუ მინდობილმან კაცმან დედაწულთა გვერდით ციხესა ანუ ვაკისა საჯდომსა უღალატოსო“. ეს იმას ნიშნავდა, როცა სანდოდ მიჩნეული კაცი ლალატით ციხესა და სახლ-კარს სხვას ვისმე წაართმევდა, ამ გვარი სიავე ხშირად ხდებოდა ჩვენს ქვეყანაში და მეტადრე ციხო-

სანნი და სხვა ზემოდ მჯდომნი მის-
დედნენ ასეთს სათაკილო ვარჯიშო-
ბას. სჩანს, არც საათაბაგო ჩამორ-
ჩენია ქვეყანას. როგორც ქართლში,
ისე იქ მხოლოდ მთავარი გამგეობა
ჰლაგმავდა დიდკაცობის ლალატს.
ამიტომ აღბულა ამბობს, როცა მა-
წყურელმა სცნას იგი ლალატი, ციხე
ხე და საჯდომი მემამულეს უკანვე
მისცენ, მოლაღატემ „ორთა უთავა-
დესთა სისხლი დაუურვოს“ და წა-
ღებული სასაქონლოც „შეაქციო-
სო“. ეს ორთა უთავადესთა სისხლი
იმიტომ უნდა დაურვებოდა პატრონს,
რომ „ციხისა საქმე საპატიოა
არის“, ციხოსნობა საპატივდებო ხე-
ლობაა და ამ ორში ერთი სისხლი
საპატიუანია. ხოლო საპატიუო განსა-
კუთრებული ჯარიმა იყო. მაგრამ თუ
ლალატს ვინმე მტრობის გამო ჩაი-
დენდა, საპატიუო საჭირო აღარ იყო
და დამნაშავეს მართო ერთის უთავა-
დესის სისხლი უნდა დაეურკვა — „თუ
მინდობილმან და მტერმან კაცმან
ულალატოს, პატრონსა საპატიუო

აღარა მართებს და ერთის უთავადესის სისხლი დაუურვოსო“ (მუხ. ლდ). ეს სასჯელი გაჩენილი ჰქონდა იმასაც, ვინც თავის ბატონს უღალატებდა (მუხ. რობ). მაგრამ ათაბაგი არ ივიწყებს ღალატსაც, რომელიც „უციხოსა და უსაპათიოს“ წინააღმდეგ მიმართულია. ასეთის დანაშაულისათვის ზედ-დასხმის წესით უნდა გარდახდოდნა და მნაშავეს, რომელსაც ორკეცი სისხლი უნდა დაეურვა (შეადარე მუხ. ლდ, იგ). მაგრამ რადა, როცა ციხოსანსა და საპათიოსაც ორის უთავადესის სისხლი ეურვებოდა? — აქსაქმე ადვილად საცნობია. აღბუნა როცა ციხოსანსა და საპათიოზე სწერს, აზრად სამამულო ღალატი აქვს. თუ ღალატს მოკვლაც ემატებოდა, მაშინ ორის უთავადესის სისხლი არა კმაროდა, მოკვლის სისხლი კიდევ სხვა იყო, რადგანაც ღალატით მოკვლა ორკეცი დანაშაული იყო — „რომელმანცა, ვინგინდაგვარმან კაცმან, ხუცესნი, მონოზანნი ანუ დიაკონი მალვით, ღაღატი მოკლას.“

ორკეცი-სისხლი დაუურვოსო“ (მუხ. რჯზ). დიად, ასე იყო საზოგადოდ, როცა ვინმე დანაშაულის დროს პოლიტიით ხელმძღვანელობდა.

ეს გარემოება არღვევს ს. ს. ორბელიანის განმარტებას, ვითომ სიტყვა ლალატი მარტო მუხთლად მოკვლას ნიშნავდეს. არა, — ლალატი, მოკვლას გარდა, სხვა დანაშაულშიაც მოიპოება და ლალატიით სხვა-და-სხვა ბოროტების ქმნა შესაძლოა. აქაა მიზეზი, რომ როცა რაიმე დანაშაული ლალატიით მოქმედობს, მაშინ დანაშაული უფრო მძიმეა. დაბუღას აზრით, ლალატი აუშუბა ცალკე დანაშაულია, მაგრამ ლალატი კვალიფიკაციასაც შეადგენს, იგი პაღვით, დაუნდობლობით, მუხთლობით დანაშაულის ქმნაა. ამიტომ ლალატიით დანაშაულის ქმნა ზოგჯერ ორკეცი სისხლს სჭარბობს — თუ კაცმან კაცი ლალატიით მოკვლას, თორმეტი ათასი სისხლს ემატოსო“ (მუხ. რის). ეს „სისხლი ემატოს“ საკვალიფიკაციო ჯარშია, ისე ივე საპატიუო, რომელიც ცი-

ხოსანს ანუ ვაკისა საჯდომში მყოფს
უნდა მიეღო, თუ ვინმე სახლ-კარს
წაართმევდა. რა ცალკე დანაშაუ-
ლია ლალატი? — ამეს პასუხს აღბუღა
არ იძლევა და მხოლოდ სხვა-და-სხვა
აზრით განმარტებს ამ სიტყვას, — ლა-
ლატი ძალად მამულის წართმევაც
არის, ათაბაგის მიმართ წინააღმდე-
გობა და ორგულობაც, — მოკვლაც
და სხ. ცხადია, რომ ლალატად წოდ-
ებულნი დანაშაული არ გამოჩვენებულ-
ლა, სრული სახე არ მიუღია. ეს
ნაკლი ბევრს სხვა დანაშაულსაც ამ-
ჩნევია. — ასეთია ხვედრი ყველა ძველის
სამართლისა. . . . უკვე შევნიშნეთ, რომ
ლალატი დიდი ბოროტება იყო, მა-
გრამ ლალატის განძრახვას სამართა-
ლი მაინც არ სდევნიდა — „თუ კაცი
კაცზედ საღალატოდ წავიდეს, თუ
მანვე დაშალოს ანუ სხვათა დაშლე-
ვინონ, არა ზედაო“ (მუხამედ რლდ).
საღალატოდ წასვლა ის სიკვდილის
ცდა არაა (покушение на убийство),
რომელსაც სამართალი დანიშნულად
სთვლიდა. ცდა სიკვდილისა ბორო-

ტის წადილის განხორციელებაა, ხოლო წასვლა ცალიერს განძრახვას ნიშნავს. აწინდელი სამართალიც განძრახვას დაუსჯელად სტოვებს და ვერც ძალუძს იდუმალის სულის თქმას ხელი შეახოს.

ლალატს გარდა, ორკეცი სისხლო ძმისა და ახლო მეყვისის მოკვლასაც ეწერა — „თუ ძმამან ძმა მოკლას... გინა ახლოს მეყვისი, ორკეცი სისხლი დაუურვოსო“. ღირს შესანიშნავია, რომ ძმისა და მეყვისის მოკვლაზე გავლენა იქონია არიელთა ძველმა ჩვეულებამ. იგი მოკვლა ნაშთია ამ ჩვეულებისა საზოგადოდ არიელნი და კერძოდ გერმანელები და სლავიანები ამბობდნენ, ძმისა და მეყვისის მკვლელი საზოგადოებას და გვარეულობას უნდა მოსწყდესო. ფრანგნი ასეთს მკვლელს აბადლებდნენ მგელსა (wargus), რომელიც ტყე-ველად დაწრწის უმწყოდ²⁹⁷). აღბუღაც ამ ზრისათა ძმისა

²⁹⁷) Совр. Об. и Др. Зак. II. 125—7.

და ახლო მეყვისის მკვლელი „ამა სოფელს ძლივლა ინახვის“ „აილოს ქედთა გარეთ ყოფა და გარდახვეწაო“ (მუხ. კგ). არიელთა ჩვეულებაში აქვს დასაწყისი მამულისაგან განუქნებეს, რომელიც კერძოდ აზნაურს და აზნაურის მკვლელს სასჯელად ჰქონდა გაჩენილი — „თუ აზნაურმან აზნაური მოჰკლას, სამს წელიწადს მამულისაგან გააყენონ... მეოთხესა წელიწადსა შემოუშვან, მამული მისცენ და სისხლი ზღოსო“ (მუხ. რნა).

XVI

მოკვლისაგან განირჩევა ასოთა მოკვეთა ანუ ასოთა ერთობ დაშვება (УВЪЧЪЕ). ზოგიერთა სამართალი ამბობს, ეს დანაშაული მოკვლას უდრისო და ზოგი კიდევ იმ აზრისაა, რომ ასოთა მოკვეთა მოკვლის ნახევარიაო. უკანასკნელს აზრს აღიარებს, მაგ., Русская Правда და ფრანგების Lex salica²⁹⁸). იგივე Правда და ეგრე-

²⁹⁸) Калачевъ, 189. Ср. Зак. и Об. на Кав. II. 276—7.

თვე გერმანელებისა და ველტების სამართალი აჩენს, ხელ-ფეხის მოკვეთა, ყურისა და ცხვირის მოჭრა, თვალის წამოგდებინება თანასწორი დანაშაულია და თვითოეულს მათგანს სისხლის ნახევარი უნდა მიესაჯოსო²⁹⁹). როგორ ბჭობს აღბულა? — ათაბაგი უფრო დიდს განსხვავებას ამჩნევს მოკვლასა და ასოთა მოკვეთას ანუ დაშავებას. უკანასკნელი დანაშაული დაშორებით დაბლა სდგას მოკვლაზე და შეტად მსუბუქია იმაზედამო. ამას გარდა, ასოთა მოკვეთა და ასოთა დაშავება სხვა-და-სხვა განცალკევებული დანაშაულია და არც ნახევარი სისხლი ეკუთვნისო. მაშასადამე, ასოთა მოკვეთისა და დაშავების საქმეში აღბულა სრულიად არ ეთანხმება არც ერთს ძველ ევროპიულ სამართალს და საკუთარს აზრს აღიარებს. კერძოდ იგი ამბობს, რომ ხელ-ფეხის მოკვეთა და თვალების წამოგდებინება სხვა-და-სხვა დანაშაულია და

²⁹⁹) Совр. Об. и Др. Зак. II. 137.

არც ერთი მათგანი ნახევარ სისხლის ღირსი არ არისო — „თუ ხელი ანუ ფეხი მოკვეთოს ანუ ერთობ დაუშავდეს, სისხლის მესამედი დაუტუროს, თუ თვალი წამოაგდებინოს, სისხლის მეოთხედია“ (მუხ. 3).

მაგრამ ზოგჯერ ათაბაგი მაინც ევროპიელთა სამართალს ჰბაძავს. ეს მაშინ, როცა ასოთა მოკვეთა და თვალის წამოგდებინება წარმოსდგება ისეთ საშუალებითა, რომელიც თვითვე ავი საქმეა: ასეთი ავი საქმეა, მაგ., წაპარკაა და ამიტომ აღბუღაც აწესებს — „წაპარკით თვალისაჲ ცურა *) ხელ-ფეხისი... სისხლისა ნახევარი არისო“ (მუხ. რკე). წაპარკა დანაშაულს ამძიმებს, უაღრესად ჰბადის. იგი კვალივიკაციას შეადგენს და სისხლს სიმატეც იმის შედეგია. ხოლო ევროპიელია სამართალი წაუპარავადაც სისხლის ნახევარს აჩენდა. ეს კიდევ არაფერი. საყურადღებო

*) ყველგან ცურა (თუ ცერი?) სწერია და ჩვენ არ ვიცით, რას ნიშნავს ეს სიტყვა.

უფრო ისაა, რომ ათაბაგი ერთს შემთხვევაში ასოთა მოკვეთას სრულს სისხლს უტურვებს, მოკვეთას და მოკვლას თანასწორად აყანებს, სწორედ ისრვე როგორც ევროპიელთა თითო-ოროლა სამართალი აჩენდა. აღბუღა ამბობს: „ვინც ქრისტიანებთან კაცთან ძმას... ცხადად ანუ ლალატად მოკვეთოს რამე ასოთანი, სისხლი სრული... დაუტრვოს“, წყევა და კრულვა სხვა იუოსო (მუხ. რდგ). აშკარაა, რომ აქაც ათაბაგს აზრად სამძიმო გარამოება აქვს, რადგანაც ძმა და გარეშე აღამიანი სხვა-და-სხვა საშსჯავროს წინაშე, ყოველ შემთხვევაში, აღბუღა უფრო ღმობიერად ეპყრობა ასოთა მომკვეთელს და დამშავებელს, ვიდრე ევროპაში ყოფილა და თუ ხანდისხან სასტიკად სჯის დამნაშავეს, ამის მიზეზი უამთა ვითარებაშია. ეს უნდა ითქვას თქალის დამწკელზე. ძველად საქართველოში თქალის დაწვა გახშირებული იყო ჩვენთა მატრიანე სავსეა ამ ბოროტების აღწერით. არა თუ დიდე-

ბულნი, თვით მეფენიც-კი არ თაკი
ლობდნენ ამ ბოროტებას, კაცთ-მო-
ყვარე ათაბაგი შეებრძოლა ბარბარო-
სულ ჩვეულებას და დიდი ზღვარი
გაავლო თვალის წამოგდებინებასა და
თვალის დაწვას შორის—უკანასკნე-
ლი მეტად მძიმე ბოროტებაა პირველ-
ზედაო: „თუ კაცმან კაცს თვალნი
დასწვნეს... მისსა სისხლსა ოცი ათა-
სი სხვა ემატოს, ამიტომ რომ ნია-
დაგ სასჯელსა და სირცხვილში არის და
ერთხელ სიკვდილი სჯობს“ (მუხ. რნბ).
„ოცი ათასი სხვა ემატოს, ცხადად
ჰლაღადებს, რომ ათაბაგი აქ მალაღ-
წოდების კაცებს ჰგულისხმობს. და თუ
რა გახშირებული ყოფილა თვალის
დაწვა, ამას სისხლის დიდი რაოდენო-
ბა ამტკიცებს. თვალის დაწვისათვის
გაჩენილი სისხლი სჭარბობდა მოკვლი-
სათვის გაჩენილსა და თვალის წამო-
გდებინაზე ხომ უფრო მეტი იყო
(... „თუ თვალი წამოაგდებინოს, სი-
სხლის მეოთხედი დაუურვოს“, მუხ.

ვ. ³⁰⁰). თუ ვინმე ძმას თვალებს დასწვადა, სისხლს გარდა, სანახშიროც უნდა გადაეხადა, თუმცა-კი არა სჩანს რამდენი (მუხ. რგ), დასასრულს უნდა შევნიშნოთ, რომ თვალის დაწვას სასჯელადაც ხმარობდნენ. მხოლოდ მეფესა და ათაბაგს შეეძლო ეს სასჯელი გაეჩინა და ისიც დიდ დამნაშავეისათვის (მუხ. რგ).

აღბულა უყურადღებოდ არც თითებსა სტოვებს, თუმცა-კი მარტო ხელის თითებზე ბჭობს და ფეხისაზე-კი არა. არც ევროპიელთა სამართალი სწყალობდა ფეხის თითებს, — აღბად იმ დროს ხელი ფეხზე უფრო საჭირო ყოფილა... მაგრამ შესანიშნავი უფრო ისაა, რომ, ათაბაგის სიტყვით, თითები სამართლის წინაშე თანას-

³⁰⁰) *Lex Salica* თვალის წამოგდებინებისათვის ახდევინებდა სისხლის მესამედზე ცოტა მეტსა — 62 სოლიდს — სოლიდი 16 ფრანკი იყო და მთელი სისხლის ღირება 200 სოლიდი, *Бекко*, 138. მაშ თუ ასეა, ბ-ნი კოვალსკი ანარიშში სცდება. შეადარე *Совр. Об. и Др. Зак. II. 137*

წორნი არიან და თითოეულს მათგანს ერთი და იგივე ფასი სძევს. ევროპაში კი სხვაფრივ იყო: იქ ცერს მეტი სისხლი ეურვებოდა და ნეკი ყველა თითზედ ნაკლებად ფასობდა. ცერის მოკვეთა საზოგადოდ სამის შუათანა თითის სისხლი უღირდა დამნაშავეს ³⁰¹). ფრანგები ამბობდნენ, ცერი და სალოკი თითი ყოვლად საჭიროა მშვილდ-ისრის საჭმარებლად და ამიტომ მეტი ჰღირანო ³⁰²). მშვილდ-ისარს არც საათაბაგოში ჰქონდა ნაკლები პატივი მაგრამ ცერსა და სალოკ თითს მაინც დიდება არ მიანიჭეს. იმ თვით მშვილდოსან-მეისრე ათაბაგი ამას ჰმოწმობს და ყველა თითზე საერთოდ აღგენს — „თუ ხელის თითი მოკვეთოს, ხელის გერშის მეხუთედი დაუურვოს, თუ ორნი მოკვეთნეს, თუ რაზომნიცა, ამავე წესითა დაუურვონო“ (მუხ. ვ). მაგრამ რად?... იცხად

³⁰¹) Совр. Об. и Др. Зак. II. 137, 138.

³⁰²) Бекко, 138.

სხვაა დაკოდვა, поранение (დაკოდვა — დაწყვლა, გეერში — ნაკოდთა მკიცრე სისხლიო, განმარტებს ს. ს. ორბელიანი). დაკოდვა აწინდებურად ეწოდება ისეთს კრილობას, რომლითაც ასო არ უნდა დაშავდეს და მხოლოდ დაკოდვის კვალი დარჩეს — „თუ ასეთი რამ დაეკოდოს, რომ არ დაუშავდეს, დააჩნდესო“. მოკვეთა და დაშავება ასოთა სივრცით შემოზღუდულია და ამ პატარა სივრცეზეა გაშლილი მათი სავარჯიშო ასპარეზი. ხოლო დაკოდვის სამფლობელოდ შორებით უფრო ფართოდ განიერდა — სამფლობელოდ მთლიან ტანი და სხეული შეადგენს. ამიტომ ძველადვე ევროპიელნი დიდს ზღვარსა სდებდნენ დაკოდვასა და ასოთა მოკვეთას შორის და ერთს მეორისაგან განასხვავებდნენ ³⁰³). თუმცა აღბუღაც განასხვავებს, მაგრამ არ აღნიშნავს-კი — რა და რა სახისა და თვისე

³⁰³) *ibid.* См. также Совр. Об. и Др. Зак. II. 136.

ბისა და კოდვა და ფითოეულს რამდენი გერში უნდა დაეურვოს. ევროპაში სხვაფრივ ყოფილა. იქ დაკოდვას ჰზომავდნენ და ზომის კვალობაზე გერშს აურვებინებდნენ და მკოდველსაი ასეთს ჩვეულებას ვბოვებთ ფრიზების სამართალში³⁰⁴). ხოლო მაჰმადიანთა სჯული აწესებდა — და ეხლაც აწესებს — დამკოდველს თანასწორი დაკოდვა უნდა მიესაჯოსო (*ius talonis*),³⁰⁵).

ათაბაგი გერშის დასაურვებლად არც ზომას ჰხმარობს და არც მაჰმადიანთა საწყაოს, — საპატიო კაცნი მოიყვანონ და როგორც იმათ შეატყონ და მნაშავეს ისე გარდაახდებინონო: „საპატიოთ კაცთა შუა შემოსვლითა შეტყობებით მოიყვანენ, და უურვებინონ ვითარცა მართებდესო“ (მუხ. 7 ზ). ნაჩვენები არაა, საპატიო კაცთა რით უნდა ეხელმძღვანელათ, რომ

³⁰⁴) Совр. Об. и Др. Зак. II. 139—40.

³⁰⁵) Зак. и Об. на Кав. II. 217—18, 237—8.

დამკოდველისთვის დაეურვებინათ, ვითარცა ჰმართებდეს. შემდეგ შიკი ვახტანგ მეფემ ქერის მარცვლით გაზომა შემოიღო და ევროპიელთა უძველესს ჩვეულებას მიმართა. საყურადღებოა, რომ ეხლაც ხევსურნი და კავკასიონის სხვა მკვიდრნი მტკიცედ ადგანან ამ ჩვეულებას.

ათაბაგი ამბობს, თუმცა ბუნდად, რომ დაკოდვა ორად განიყოფება: „თუ უჩინარს ადგილს იყოს, მას გერში მართებსო“ (მუხ. რკვ.) რასაკვირველია, თუ უჩინარს ადგილს გერში ეკუთვნოდა, საჩინარის უგერშოდ დატოვება ხომ არასოდეს არ შეიძლებოდა. სამართალიც ამ აზრისაა. მაგრამ საუჩინარო გერშის დასახელება, და ისიც ზოგადად, საკმაო არ არის. ევროპიელთა ძველი სამართალი ამ საგანს დაწვრილებით იძიებდა — უნდა განიხილოთ, ნაკოდი მძიმეა თუ მსუბუქი, რა ადგილას სჭირს კაცსა, რა იარაღით მოხდა ვისიმე დაკოდვა და სხვა. ყველა ეს საჭიროა, რადგანაც

დაკოდვა მრავალ გვარია და თითო-
ეულს საკუთარი გერში სძევსო³⁰⁶).
ხოლო აღბულა ყურადღებას აქცევს
სხვა გარემოებას და დაკოდვის საკუ-
თარს თვისებასა და ხასიათს-კი ივი-
წყებს. ასეთი გარემოებაა, მაგ., ზედ-
დასხმა: თუ ზედ-დამსხმელმან ვინმე
დაკოდოს, ორკეცი გერში გარდუ-
ხადოსო (მუხ. იგ). მეორე აღგილას
ნათქვამია, როცა ვინმემ თავის მა-
მულში კაცი შეიპყრას, სცემოს, შეკ-
რას, დაკოდოს, სისხლის ნახევარი
დაუუროვოს და დაკოდვის გერში
სხვააო — „თუ დაკოდული აჩნდეს, იგი
სისხლსა შიგან არ მიეფასოს და აგ-
რევე დაუუროვოსო“ (მუხ. ით). ეს
და ამ გვარი გარემოება ნაკლებად ეფე-
რება თვით დაკოდვის ბუნებას. და-
კოდვის საქმის საცნობლად საჭიროა
მისის თვისების განმარტება და ამას-
კი აღბულა უყურადღებოდ სტოვებს.

საზოგადოდ არიელებისა და კერ-
ძოდ ინდოელებისა, ბერძნებისა და

³⁰⁶) *ibid.* 279.

გერმანელების ძველი სამართალი აწესებდა, პირი-სახის დაკოდევა ცალკე დანაშაულია და სხვა დაკოდევისაგან განირჩევაო³⁰⁷). სათაბაგოს სამართალიც არიელებისა და ევროპიელების აზრს ადგია. აღბუღას განსხვავებულ დანაშაულად მიაჩნია პირის ნაკრავი, პირის დაღი და დასძენს, იგი დაკოდევაზე მძიმეაო — „თუ პირსა ნაკრავი იყოს და ესრე აჩნდეს, ათას ხუთასი თეთრი დაუურვოს“ (მუხ. ვ), „წაპარვითა პირისა დაღი სისხლისა ნახევარი არისო“... აშუკარაა, თუ რად: პირის ნაკრავი და დაღი აღამიანს ასახიჩრებს, სილამაზეს უკარგავს, და სილამაზეს ხომ ყოველთვის დიდი ფასი ჰქონია. ათაბაგიც მფარველობდა აღამიანის სილამაზეს. ამას კბილების გერშიც ამტკიცებს კბილი მარტო ჭამისათვის არ არის საჭირო, — სილამაზითაც ამკობს კაცსა. ამიტომ გერმანელები ამბობდნენ, კბილის ჩაგდებინება ასოთა მოკვე-

³⁰⁷) *ibid.* 280.

თასა და დაშავებას უდრისო ³⁰⁸).
ლაზათისა და შნოს მოყვარული ფრან-
გნი კბილის ჩაგდებინებისათვის თხუთ-
მეტს სოლიდს ახდევინებდნენ, რუ-
სები კიდევ თორმეტ გრივენს ³⁰⁹).
როგორ ბჭობს ალბულა?—ათაბაგის
სიტყვით, კბილი სილაჰმაზისათვისაც
საჭიროა და ჭამისათვისაც. პირველი
თვისება წინა კბილსა აქვს, ხოლო
მეორე—უკანასა: ვინც წინა ანუ
უკანა კბილი ჩააგდებინოს, ერ-
თის თითის ოდენი გერში გარ-
დიხადოს, „ამად რომ წინა სახიჩარია
და უკანა ჭამას დააკლებსო“ (მუხ.
თ) აქ წინა და უკანა კბილი თანა-
სწორია, სილაჰმაზისა და ჯანმრთე-
ლობის საჭიროება ერთმანეთს არ
სჭარბობს, მაგრამ მაინც ორსავე
კბილს ცოტა ფასი სძევს, რადგა-
ნაც კბილს ფითის გერში უწერია,
თითის გერში ხელის მეხუთედი იყო
და ხელს კიდევ სისხლის მესამედი
ეუჭრებოდა. სხვა ადგილას ათაბაგი

³⁰⁸) Сопр. Об. и Др. Зак. II. 138.

³⁰⁹) Бекю, 138. Калачевъ, 190, 222.

წინა კბილს მეტს ფასს უჩენს, ვიდრე უკანას, და მაშასადამე სილამაზეს ჭამის საჭიროებაზე მაღლა აყენებს— „თუ კაცმა კაცს წინა კბილი ჩააგდებინოს, ნახევარი სისხლი დაუფრვოს“ (მუხ. რმგ), „თუ უკანა ჩააგდებინოს, სისხლის მეხუთედლი“ (მუხ. რმდ). ამ უთანასწორობას გარდა, ფასიც დიდია დანიშნულის, ვიდრე ზემოდ. იქ ათაბაგი ამბობდა, კბილის გერში თითის ოდენააო, და აქ-კი ამბობს, სისხლის ნახევარსა და მეხუთედს უდრისო. განა ეს შეცდომა და გაუგებრობაა? ჩვენის აზრით, არც ერთია და არც მეორე. ათაბაგმა კარგად იცოდა—ვის კბილს რა ფასი აქვს. ეხლაც ერთი როდია, — გლახს ჩააგდებინებ კბილსა, თუ ბრწყინვალე გვამს. პირველი მაგრე რიგად არც სილამაზეს დაგიდევს და არც კბილის საჭიროებას, — მცირე გერშიც მეყოფაო. სულ სხვა უნდა ითქვას თავადსა ანუ აზნაურზე: წინანდელის ფეოდალის აწინდელი მემკვიდრე ძველებურად ისევ

კოპწიაობს, თავ-მომწონეობს, და აბა
კბილის ჩაგდებინებას ადვილად ვის
აპატიებს! ჩვენს დროსაც იგი უფრო
სილამაზეს აფასებს, ვიდრე სხვა სა-
ჭირო საგანს. ძველაც ასე ყოფი-
ლა და ალბულამაც ამის მიხედვით
დაადგინა კბილების სამართალი.

თუმცა ამ გადაბირების დროს,
ცოტა არ იყოს, წვერ-ულვაშს პა-
ტივი აეყარა, მაგრამ წინად სხატრივ
იყო. რუსების Правда აწესებდა,
წვერის ანუ ულვაშის მომგლეჯმა
თორმეტი გრივენი უნდა მისცეს ნა-
წყენსაო. ფრანგები ამასაც არ სჯერ-
დებოდნენ და დამნაშავედ სთვლი-
დნენ, ვინც პატარა ბიჭს ან გოგოს
თმას მოაჭრიდა³¹⁰). არც ათაბაგი
აკლებს პატივს წვერს — „თუ კაცს
წვერი მოეკვეთოს ანუ მოეგლიჯოს,
ორი გერში ზღოსო“ (მუხ. რმე),
ე. ი. ორის დაკოდვის ფასიო. რად-
განაც დაკოდვის საქმე შუაკაცებს
ეკითხებოდა, წვერის მოკვეთა და
მოგლეჯაც იმათი მოვალეობა იყო.

³¹⁰) Калачевъ, 190, 222. Бекo, 135.

ევროპელების ძველი სამართალი
ცემსადაც ბრალად აღიარებდა. ზოგი
სამართალი ამბობდა, ეს ბრალი მსუ-
ბუქად უნდა გარდახდეს კაცსაო, ზო-
გი კიდევ სასტიკად ეპყრობოდა მცე-
მელს. მაგ., რუსების Правда და
ლონჰობარდების სჯული აღგენდა,
ცემა სათაკილო და სამარცხვინოა
და ამიტომ დაკოდვაზე უფრო მძიმე
ბრალიაო ³¹¹). საათაბაგოს სამარ-
თალიც სწორედ ამ აზრისაა: „თუ
ხელდახელ გარჯილ იყოს და სცეს,
სისხლისა ნახევარი დაუურვოსო“
(მუხ. რკზ). თაკილსა და სირცხვილს,
რასაკვირველია, უფრო „ზემონი“
მისდევდნენ, ცემაშიაც სისხლის ნა-
ხევარი იმათ ეურვებოდათ — „ქვემოს“
ამდენს სისხლს აბა ვინ აღირსებდა!
სათაბაგოში ცემა შრავალ გვარი ყო-
ფილა და ეს გარემოება ცხოვლად
გვიხატავს იმ დროინდელ ზნე-ჩვეუ-
ლებას. ზოგჯერ ცემა თავისებურადაც

³¹¹) Зак. и Об. на Кав. II. 280—1.

სკოდნიათ. აი მაგალითი: „ცოტას
სამღურავისა რასათვისმე“ თავის მა-
მულში მყოფს შეიპყრობდნენ, სცე-
მდნენ და ჯლებით*) სხვის მამულში
გადაათრევდნენ — „თუ კაცმან... თა-
ვის სამამულესა შიგან მყოფი ნახოს,
იმჯნოს (ხელი აილოს) და შეიპყრას,
სცეს, შეკრას, შეხსნას და აქვდეს,
თუ სხვა რაცა წარაქციოს ჯლები-
თა, წინა მისი მზღვარი განვლოს და
მიიყვანოსო“ ასეთი ნაცემი „პირშა-
ვად და აუგიანად (სარცხვინელად)
იქნების კაცთა გვერდისა“ და სი-
სხლის ნახევარი უნდა დაეურვოსო
(მუხ. ით). აქ საყურადღებოა, რომ
სხვის მამულში ვისიმე ხელთ შე-
პყრობა არ შეიძლებოდა — „პატრო-
ნისა მეტი კაცი კაცისას ხელთა შე-
პყრობასა არა ღირსაო“ ზოგან
ებლაც მამულს ასეთი პატივი აქვს
და ხშირად გაიგონებთ — სხვის მა-
მულში რანება გქონდა, რომ ხელი შე-

*) ჯ ლ ე ხ ა — ცხენის მიქუსვლა - მოქუ-
სვლა, ს. ს. ორბელიანი.

მახეო. სამდურავი საკმარ საბუთი იყო, კაცი შეეპყრათ და დაესუთათ. ამას ერთი ჩვეულება ამტკიცებს, სახელდობრ კაცისასსა მიმავალის და გისგანმე გაგზავნილის დასუთვა³¹²⁾. მართალია, მიმავალს და გაგზავნილს „უმტერო კაცი კაცსა არას ემართლებს“, მაგრამ „როცა წყენა და ნაცვალი მისი დასაკლისი მოიგონოს, ყველასა ემართლებსო“ (მუხ. პა) და, მაშასადამე, დახუთვასაც ემართლებოდა. მხოლოდ საჭირო იყო, წანალები დაებრუნებინა პატრონისათვის, დახუთვა-კი ბრალად არ ედებოდა. თუ ხელთა შეპყრობა და დახუთვა, და ისიც სამდურავის გამო, შესაწყნარებლად მიაჩნდათ, მაშ ცხადია, რომ სწათაბაგოში პირადს თავისუფლებას ჯეროვანი პატივი ღრ ჰქონდა. თვით-

³¹²⁾ მონგოლების სამართალში ხშირად იხსენიება მიმავალი და გაგზავნილი, посланецъ, Леонтовичъ, Ойратскій уставъ взысканій, ст. 20, 24, 31—5, 124.

ნებლობასა და უწესოებას იმ ვაგლახს
დროს დიდი მოედანი ეჭირა და სა-
კვირველიც არაა, რომ ასე ყოფილა.
მონგოლების ბატონობამაც გავლენა
იქონია ზრდილობიანსა და თავაზიანს
საათაბაგოს მკვიდრზე. ამ ბატონო-
ბამ იგი გააველურა და პირადის თა-
ვისუფლების პატივი დაუკარგა. სა-
მართალი მხოლოდ სასულიერო კა-
ცის ხელთ შეპყრობას უკრძალავდა.
მეფესაც-კი არ შეეძლო ეპისკოპოზი,
მოძღვარი, მღვდელი და მონოზანი
შეეპყრა, — თუ ეპისკოპოზმა მეფეს
შესცოდა ანუ მეფე ეპისკოპოზს გა-
უწყრა „უსამართლოდ გინა სამარ-
თლითა“, „მისდა მუქათად“ (საპასუ-
ხოდ) შეხვეწნა და შეწყნარება უნ-
დაო (მუხ. რბ, რგ). უეჭველია,
სხვას უფრო ნება არ ჰქონდა სასუ-
ლიერო კაცი მძლავრებით სეფთა შეე-
პყრა და სამართალი ადგენდა — „ვინც
დიდმან ანუ აზნაურმან, ანუ სხვამ“
მონოზანი და მღვდელი შეიპყრას,
სისხლს გარდა, ხუთი ათასი თეთრი
სხვა დაუურვოს და „თუ გვარიანი

იყოს ანუ ხელის მქონებელი, მისსა
სისხლსა ნახევარი სისხლი ემატოსო“
(მუხ. რე). მაგრამ შესანიშნავი ისაა,
რომ მარტო სასულიერო წოდებას
ჰქონდა მინიჭებული პირადი თა-
ვისუფლება. სამართალი ამას აღიარებს
და ეს ხომ საბუთია, რომ
„ერისგანს“ პირადის თავისუფლების
პატივი აკლდა.

შინაური უწყესობა და არეულობაც
ხელს უმართავდა თავისუფლების შე-
ბღალვას. შავსა და ბნელს სურათს
წარმოადგენს იმ დროინდელი ცხოვ-
რება. თუ რა ძლიერ გადუხჭირდა
ზნე-ჩვეულება, ამას სამართალი ჰმოწ-
მობს—ჩხუბი და ერთმანეთის თავის
მტვრევა არაფერია და „ომი“ კაცს
დანაშაულად არ ჩაეთვლებოდა: „თუ
კაცი კაცს ომით მოერიოს, გამარ-
ჯვება ეყოფის და თანა ნურას წა-
იტანსო“, ვითომ და თითონ „ომი“—
ჩხუბი ყურადღებად არა ღირდეს!...
სამართლის სატყვიით, „ომი“ დანა-
შაული მხოლოდ მაშინ არის, თუ
გამარჯვებულმა დამარცხებული თავის

სახლში მიიყვანა — „ამით არცხვენსო“ და სისხლის ნახევარი დაუურვოს, წანართმევიც უკან მისცესო (მუხ. კ). მართალია, ათაბაგი გაუპატიოებას ბრალად სდებს კაცსა, მაგრამ გაუპატიოება არა ნიშნავდა „ომს“, რომელსაც ასე სწყალობდა სჯული. გაუპატიოებას მაშინ სხვა ხასიათი და მნიშვნელობა ჰქონდა და აწინდებურს არ მიაგავდა. ჯერ ერთი, რომ გაუპატიოება „ზემოლ მჯდომით“ შეეხებოდა და „ქვემონი“ სათვალავში არ იყვნენ. მეორედ — გაუპატიოება ძალ-მომრეობით გლეჯა-წართმევასა და სააზნაურო გლეხების ცემასა ნიშნავდა: „გაუპატიოს და კიდევ წაულოს, ხელისხელ ყმანიცა დაუხოცნესო“. გაუპატიოებას ზედ უნდა დართოდა ყმების დარბევა, მათი გალახვა და მხოლოდ მაშინ, „რაცა მას დღეს წაღებოდეს ანუ წახდენოდეს“, დაურვებინონო. შეიძლებოდა აზნაური გლეხსაც გაუპატივებინა და მაშინ პასუხი გლეხის პატრონს უნდა გაეცა (მუხ. ლვ).

ევროპაშიაც ასე ყოფილა³¹³). რაც უნდა იყოს, საბათბაგოში ყმების დარბევა გაუპატიოებად ცნობილია და დანაშაულად აღიარებული. მაგრამ რად? განა სამართალი საზოგადოდ გლეხის გაუპატიოებას სდევნიდა? აღბუღა ამისას არაფერს ამბობს — გაუპატიოება მარტო ბატონს შეეხება და ყმების დარბევა იმის შეურაცხებააო. ზოგჯერ ასეთის შეურაცხებისათვის სისხლში გლეხს აძლევდნენ — „თუ დარბაზის კაცსა სისხლში მცირედში კაცი ჰყვესო“ (მუხ. 70). ცხადია, რომ „ქვემოთა“ პირადი თავის უკლება ადვილად ხელ-შესახები ყოფილა.

განსაკუთრებულს დანაშაულს შეადგენდა ეგრედ წოდებული სახლის მობმა, თავსენიფსვის მოსკევა. ეს დანაშაულიც აშკარად ჰლადადებს, თუ რა მცირე ფასი ჰქონდა კაცის პატივისცემას. არა სწერია, როდის და რა მიზეზის გამო ჩაიდენდნენ ხოლომე ამ სამარცხვინო დანაშაულს. აღბუ-

³¹³) Совр. Об. и Др. Зак. II. 180—9.

ღა მხოლოდ აღნიშნავს, რომ საბლოს მობმა და ნიფხვის მოხვევა მთელს საზოგადოებაში ყოფილა გავრცელებული და იგი სათაკილო ბოროტება უმეტესად თავს ატყდებოდა დამაჯნებულს—ხნიერსა და მოხუცებულსაო. აღბად ბოროტება ომის ველზედ ვარჯიშობდა და საბაბად გამარჯვება მიაჩნდა. სამართალი დიდად სჯიდა საბლოს მომბმელსა და ნიფხვის მომხვეველს, „ამად, რომ უფროსი სირცხვილი და კაცთაგან შესაყივარი აღარა იქნების-რა, სხკვდილსა დიდა უარეაო“ (მუხ. კბ). აღბუღა მთელს სისხლს უჩენდა დამნაშავეს და სისხლის მეტობა ჰმოწმობს, რომ კაცის დამამკარებელს ჩვეულებას ფესვი ღრმად ჰქონია გადგმული ცხოვრებაში. ასე ვასინჯეთ, ეხლაც-კი დარჩენილია ნაშთი ამ ჩვეულებისა და როცა ქართველი თავისს მეტოქეს მუქარით ეუბნება— „შენი ნიფხავი მეხვიოს თავზედ, თუ ასე და ისე არ გიყოვო“, ამ სიტყვებით უნებლიედ ძველს ჩვეულებას იგონებს. რასაკვი-

რველია, სადაც პირადს თავისუფლებას ჯეროვანი პატივი არა ჰქონდა, იქ მეზობლის გატყმატ იშვიათი ამბავი არ იქნებოდა. საათაბაგოში გახშირებული იყო მეკობრობა და მტაცებლობა, რომელსაც თან მეზობლის გაცემაც მოსდევდა. ეს დანაშაული უარესი უარყოფაა კაცის თავისუფლებისა და აღბულაც სასტიკად შეებრძოლა მავნებელს ჩვეულებას — „თუ კაცმან მეზობელი გასცეს, ნახევარი წამლებმა ზღოს და ნახევარი გამცემელმან დაუურვოს საპატიურო“ (მუხ. რღზ). მაგრამ განა აღმოიფხვრა გაცემა?

ყოველს სამართალში მოიპოვება ბევრი ისეთი ბრალი*), რომლის ქმნა მხოლოდ სიტყვით შეიძლება. ასეთი ბრალი სიტყვიერი შეურაცხებაა. გინება სწორედ ამ შეურაცხებას შეადგენს. ძველად ზოგიერთი სამართალი სრულიად არასთვლიდა გინებას ბრალად.

*) ბრალი — მცირე რამ დანაშაულია, ას. ს. ფრბელიანი.

მაგ., გერმანელებს, კელტებსა და რუსებს გინება არაფრად მიაჩნდათ და იმათ სამართალში გინების შესახებ არა სწერია-რა³¹⁴). ფრანგები სხვა ნაერად ჰფიქრობდნენ. იმათი Lex Salica არა თუ გინებას აღიარებდა ბრალად, არამედ საგინებელ სიტყვასაც მნიშვნელობას აძლევდა და ამის მიხედვით სასჯელს აწესებდა—ვინც სხვას მუღა უთხრას, სამი სოლიდი გადაიხადოს, თუ სიტყვა კურდღელი ჰკადროს, ექვსი სოლიდი მისცესო და სხ.³¹⁵). სჩანს, ფრანგებს ძველადვე ზრდილობიანი სიტყვა-პასუხი ჰყვარებრათ. ასეთი სიტყვა-პასუხი არც საათაბაგოში სძულდათ და ამიტომ აღბუღამაც გინება ბრალად სცნა, თუმცა+კი გინების საქმე დაწვრილგებით არ გადმოგვცა. საათაბაგოს სამართალში ყოველ გვარი გინება ბრალად არაა მიჩნეული და, ამას გარდა, გინება გლეხ-კაცობას გ არ შეე-

³¹⁴) Совр. Об. и Др. Зак. II. 145.

³¹⁵) Беко, 139.

ხება — გლახს შეეძლო, რამდენიც
ჰსურდოა, გლახისათვის ეგინებინა. სა-
მართალი მხოლოდ მალაღ წოდებისა-
თვის აწესებდა, გინება ბრალიაო —
„თუ დიაცი აგინოს, თორმეტი გლახ-
ნი დაუჭრვოს... მამაკაცისა და დია-
ცისა საპატიოსა უნდა გამონახვაო“
(მუხ. რლა). თორმეტის გლახის დაუჭ-
რება და სიტყვა „საპატიო“ ცხადად
ამტკიცებს, რომ გინება „ზემოთა-
თვის“ იყო ბრალად გაჩენილი და „ქვე-
მონი“ გინებისათვის სისხლს მაშინ
იურვებდნენ, როცა ზემოდ მჯდომებს
სიტყვით შეურაცხებას აკადრებდ-
ნენ — „თუ უღირსმან საპატიოს აგი-
ნოს, მას უფროსი მართებსო“ (მუხ.
რლბ). მოხსენებულნი არაა, რა სიტ-
ყვა უნდა ეთქვა ბრალდებულს, რომ
დიაცის გინება გამოსულიყო. თვით
სიტყვა „დიაცი“ ზოგადი სახელია
და ყველა ქალს ეთქმოდა. საგინებელ
სიტყვის გამოხატულობად ისევ ფრან-
გების სამართალს უნდა მივმართოთ.
Lex Silica ამბოდა, დიაცის გინე-
ბა ისაა, როცა ბოზს ეტყვიან, და გი-
ნებისათვის ბრალდებულმა თვრამეტ

ნახევარი სოდილი გადაიხადოს³¹⁶). შესაძლოა, რომ საათაბაგოშიაც დიაცის გინება ბოზობით მოხსენებას ნიშნავდა. მაინც ძველად სამართალი დიაცის ნამუსს დიდს პატივას დებდა. *Lex Salica* დაწვრილებით განმარტებს, კაცს რამდენი უნდა გადახდეს, თუ ქალს ამა-და-ამ ადგბლას უჩქმიტა, სხეულს ხელი შეახო და სხ.³¹⁷). ბევრი სხვა სამართალიც აღნიშნავს ასეთს უწესო ხელის ფათურსა. კერძოდ ინდოელების სამართალს ბრალად მიაჩნდა, თუ ვინმე ცუდის აზრით დიაცს სახლში შეუვარდებდა³¹⁸, და ღირს-შესანიშნავია, რომ აღბუღასაც სწორედ ასეთი საქციელი ბრალად უწერია, — „თუ კაცი ხუცისა ცოლსა შეუვარდეს, მისსა სისხლსა სამოცი ათასი თეთრი სხვა ემატოსო“ (მუხ. ზვ), —

კაცის შესახებ საათაბაგოს სამარ-

³¹⁶) *ibid.*

³¹⁷) *ibid.* 140.

³¹⁸) Совр. Об. и Др. Зак. II 143.

თალი რრ გვარს გინებას იხსენიებს. პირველი ჯაშქარზედა გინებაა — „თუ კაცმან კაცსა უსამართლოდ აგინოს ლაშქარზედა, ოთხი ათასი თეთრი დაუურვოსო“ (მუხ. რლ). სიტყვა „უსამართლოდ“ ნიშნავს, რომ ყველა გინება ლაშქარზედაც-კი ბრალად არ ეთვლებოდა მაგინებელსა. ამას გარდა, სისხლის რაოდენობა — ოთხი ათასი თეთრი — ამტკიცებს, რომ სალაშქრო ველზედაც-კი აღკრძალული არა ყოფილა გლეხის სიტყვით შეურაცხება. მეორე გინება კერძოდ სასულიერო კაცს შეეხებოდა, აღბუღა აჩენს, თუ დიდებულმა ეპისკოპოსს აგინოს, ორმოცი ათასი თეთრი დაუურვოს, ამის ნახევარი აზნაურმაო (მუხ. რზ, რს. — დიდი ბოდის შიც საქიროაო). მღვდლის მაგინებლად „უქვედეც“ დასახელებულია და სისხლის მესამედი უწერიდ (მუხ. რთ), მაგრამ არა სჩანს-კი, რომ უქვედე-სის სიტყვიერად შელახვა ბრალად ვისმე სდებოდეს. გინებას გარდა, სხვაფრივაც შეიძლებოდა სიტყვით შე-

ურაცხება. ასეთი შეურაცხებაა ნაპარკვის დაწამება და გრძნეულობის შეყოფა.

გახშირებულმა პარვამ ნაპარკვის დაწამებაც გაახშირა. რა ბრალია ნაპარკვის დაწამება? არსებითი თვისება ამ ბრალისა ასაა, როცა კაცმა ნამდვილად არ იცის ნაპარკვის საქმე და სხვას-კი სწამებეს — ნაპარკვი შენა გაქვსო: „თუ კაცმან ნაპარკვი რამე დასწამოს კაცსა, დასტურ არ იცდოეს, ავსა და უწესოს იქს და ნუ სურისო“... ასეთი დაწამება სიტყვიერია, მხოლოდ „ავი და უწესოა“ და გადასახადი არ უწერა. მეორე დაწამება უფრო მძიმე იყო, სიტყვით და საქმით ჰმოქმედობდა, რასაკვირველია, დაწამებულს შეეძლო თავი ემართლა, ფიცისა და მოწმისათვის მიემართა. მაგრამ დამწამებელსაც ნება ძქონდა, თავისი არ დაეშალა, „გაესაჯა, წამოეღო (ვითომდა ნაპარკვი) და უბანთა ზედა გაექრქა“ უბრალოდ დაწამებულნი. თუ შემდეგ ნაპარკვი სხვანაირად აღმოჩნდებოდა, მაშინ წანაღებიც

დაუბრუნოს და „რაცა დაეწამოს, ეგ-
ზომი ერთი სხვა, ამაღ რომ უდას-
ტუროდ დასწამა და უბრალო გაა-
წბილაო“ (მუხ. 38).

გრძნეულობის შეყვივლება (გრძნეუ-
ლობა — чародѣйство) იმიტომ არის
ბრალად აღიარებული, რომ თვით
გრძნეულობა დანაშაული რყო ძველს
გერმანელებს ეგონათ, რომ ყოველ
გვარი უბედურება საზოგადოებას და
ცალკე კაცს გრძნეულობისაგან მოს-
დისო. იმათის აზრით, გრძნეული სა-
ხეს იცვლის და უფრო ხშირად მგლად
გარდიქცევაო. ფრანგებს კიდევ სწამ-
დათ, რომ გრძნეულობის მისაღებად
და გამოსაჩენად კაცის ხორცის ქამაა
საჭიროო³¹⁹). საქართველოშიაც მის-
დევდნენ გრძნეულობას. სასულიერ-
ო წოდებას ვალად ედვავ რძნეულნი
აღმოეჩინა და დაესაჯა. იმათ ახეი-
ბრებდნენ, ქვით უჭკოლავდნენ³²⁰).

³¹⁹) *ibid.* 128—9. Бжги 135.

³²⁰) Сбор. Зак. Вахт. 74, прим. 5.
ინგლისში მეთვრამეტე საუკუნის დამდეგსაც
კი არჩობდნენ გრძნეულებს, იქ. 219, пр. 2

რადგან გრძნეულობას ასე სასტიკად
სდევნობდნენ, უეჭველია, გრძნეულო-
ბის უბრალოდ დაწამებაც ბრალად
ცნობილი უნდა ყოფილიყო (მაგრამ
როდის? — „თუ ვერ გატეხოს“ შემ-
ყოველმასო, „თუ კაცმან კაცს გრძნე-
ულობა შეყვილოს, სისხლის ნახე-
ვარი დაუუროვოს, თუ ვერ გატეხო-
სო.“ (მუხ. რმზ.)

აღბულა მუქარასაც *) ბრალად
სთვლის. ათაბაგი ამბობს, მუქარა
უსამართლო უნდა იყოს, თანასწორს
შეეხებოდეს და მხოლოდ მაშინ იცნო
ბების ბრალად. შესანიშნავია, რომ
მუქარა მარტო „ზემოთათვის“ შეაღ-
გენდა ბრალსა და აღბად იმიტომ რომ
იგი სარცხვინელი ამბავია და ყველა
ფერი სარცხვინელი კიდევ უფრო
მაღალ წოდებას მიაჩნია ბრალად.
მუქარა ორ გვარი იყო — დიდის, დი-
დებულის მუქარა და უჭკმეისა: „თუ
უსამართლოდ დიდმან კაცმან თავის
ამხანაგს მუქარა სთხოვოს, ათი ათა-

*) მუქარა — სხვათა ენაა, გაქაღებულ-
ვით, ს. ს. ორბელიანი.

სი დაუპურვოს“; თუ უქვემოცნაან—
ხუთი ათასიო (მუხ. რკს, რკთ),
რასაკვირველია, უქვემოცნის მსახურს
ან გლებს არ ეთქოდა, —სისხლის
რაოდენობა ამტკიცებს, რომ უქვე-
მოცნის მაღალის საზოგადოების კაცი
იყო.

XVII

აღბულას სამართალში ნაჩვენებია
ბევრ გვარი ისეთი დანაშაული, რომ-
მელსაც სამამულო და სასაქონლო
ზიანი და ზარალი მოაქვს (ИМУЩЕ-
СТВЕННОЕ ПРЕСТУПЛЕНИЕ). მეცნიერე-
ბა ამტკიცებს, რომ პირვანდელს
დროს სამამულო და სასაქონლო და-
ნაშაული განმარტებული არაა და
საზოგადოდ თითოეულს ასეთს დანა-
შაულს საკუთარი ხასიათი და თვი-
სება არა სძევს. ძველი სამართალი
ყურადღებას მხოლოდ ზიანსა და ზა-
რალს აქცევს და არავი იძიებს, სა-
ხელდობრ რა გვარმა ბოროტ-მოქმე-
დებამ მოუტანა სხვას ზიანი და ზა-
რალი, რასაკვირველია, იმ დროს

არც ბორჯღის წადილსა აქვს მნიშვნე-
ლობა. ეხლაც კავკასიონის მკვიდრ-
ნი აგრე ბჭობენ სამამულო და სასა-
ქონლო დანაშაულზედ³²¹). სხვაფრივ
იყო საათაბაგოში. ჯერ ერთი, რომ
აღბულა სხვა-და-სხვა სამამულო და
სასაქონლო დანაშაულს აღნიშნავს.
მეორედ, მარტო ზიანსა და ზარალს
არა სჯერდება და დამნაშავის წა-
დილსაც უყურადღებოდ არა სტო-
ვებს. ეს გარემოება ჰმოწმობს აზრის
განვითარებას და მის ახალს მიმდინა-
რეობას. მაგრამ ახალს მიმართულე-
ბას მაინც ისევ ძველი კვალი ამჩნე-
ვია; აი რად. ძველ დროს ერთი სა-
მამულო და სასაქონლო დანაშაული
მეორეს მიაგავს. ათაბაგიც ზოგჯერ
ორს, სხვა-და-სხვა დანაშაულს, მაგ.,
ძარცვას და ზედ-დასხმას ზღვარს არ
ავლებს, ერთს მეორისაგან არ აცალ-
კევებს. ამას გარდა, აღბულას სი-
ტყვიით, ზარალი და ზიანი მაინც უმ-

³²¹) Зак. и Об. на Кав. II. 298 и
слѣд.

თავრესი ზომას, რომლითაც დანაშაულო უნდა აიწონოს სამართლის სასწორზედ. თუ ერთი რომელიმე სამამულო და სასაქონლო დანაშაული უფრო მძიმეა მეორეზედ, ეს იმიტომ-რომ პირველს ზედ ემატება სხვა ბოროტება, მაგ., შეიძლება ძარცვას ზედ დაერთოს მოკვლა, დაკოდვა და ძარცვა დაამძიმოსო. კავკასიონის მკვიდრთა აწინდელი ადათიც სწორედ ასეთს ზომას ჰხმარობს.³²²) და ეს გარემოება ამტკიცებს, რომ ათაბაგი პირვანდელ აზრის მიმდინარეობასაც სრულიად არ უარჰყოფს. ზედ-დასხმა (вооруженное нападение) მძიმე დანაშაულად ითვლებოდა. ამ დანაშაულს უმეტესად შინაური უწყსოება ჰბადავდა. შემადრწუნებელს სურათს წარმოადგენდა იმ დროინდელი ზედ-დასხმა ხშირად მთელი ბრბო, ეგრედ წოდებული ჯაშქარი ერთად დაპარპაშობდა და თავ-ჯაშქრის (начальникъ шайки) მეთაურობით უსაზღვრო უბედურებას

³²²) *ibid.* 262 и слѣд.

აყენებდა თქვეყანას. ზედ-დამსხმელს
ლაშქარს თავისი წყობილება ჰქონ-
და, თითქო მეომარი რაზმიაო. მო-
თავე ხომ თავ-ლაშქარი იყო. ხოლო
ლაშქარს ასახიები*) შეადგენდნენ, —
„ასახია თუ მოკვდეს. . . რომლისა ცა
ასახია იყოს, მან უზლოს სისხლი და
გერშიცა, თუ რადმე მოყურაობისა-
დგის**“) არ გაუშვასო.“ (მუხან ივ).
ასახიას წინაშე თავ-ლაშქარი იყო ზა-
ხუხის-მგებელი და ასიაბად ხშირად
მოყვარე მიდიოდა. ცხადია, თუ რა
მჭიდრო კავშირი არსებობდა ლაშ-
ქარში და რა ძალას შეადგენდა ავა-
ზაკებრივი ბრბო. რასაკვირველია, ასა-
ხიად, მოყვარეს გარდა, გარეშე კაციც
შეიძლებოდა, რომელსაც „ასეთი რა-
მე არა სჭირდეს, რომ ემართლებო-
დესო“, ე. ი. მტრობა არ ჰქონდეს
იმისი, ვინც ლაშქარმა ნიშანში ამო-

*) ასახია — მტერზედ მიმყოლი შემწე,
ს. ს. ორბელიანი. პინუ. ცთ-თედ. კოც.

**) მოყვარე — მზახალი, ცოლეთური,
ვინა კეთილის მოქმედი იქვე.

ილოო. ასეთს ასაბიას „დამსხმელისა მიბაძვითა სისხლი და გერში“ უნდა დაეურვა— „თუ მოკლას ანუ დაკოდოს, საპატიო საურვებელი ორად შეეცვოს“ (მუხ. ის), დასხმის სისხლი კიდევ სხვააო. მაგრამ თავლაშქარს ასაბიად უფრო მოყვარე მისდევდა და ზედ-დასხმა მოყვარეთა მტერზე გალაშქრებასაც ნიშნავდა. ეხლაც შთაში ერთ გვარი მეორეს თავს ესხმება და ლაშქრობა საგვარეულო ბრძოლაა.

აღბულამ გადმოგვცა რამდენიმე სურათი ამ ლაშქრობისა. ათაბაგი იხსენიებს, მაგ., სახლსა ზედა დასხმას. ასეთს ზედ-დასხმას დიაცის წასაგვრელად მისდევდნენ. სამართალი ამბობს, ცოლის წაგვრას, სისხლს გარდა, „დასხმულობისა წესითა დასხმულობა დაუურვონო“ (მუხ. მს), და მაშასადამე დასხმას საგნად დიაცის მოტაცება ჰქონდა. და რომ ასე იყო, ზედ-დასხმის განმარტებისაგან სჩანს, — თუ მოკვლა არ მოხდეს, „დედა-წულთა აფარვისათვის“ და შე-

რცხვენისათვის საპატიოს კაცისა სისხლის ნახევარი დაუურვოს“ ზედ-დამსხმელმაო, ამას გარდა, თავისებური სასჯელიც კმოწმობს, რომ საათაბაგოში სახლზე ზედ-დასხმას დიაცის წასაგვრელად მისდევდნენ. სახლის პატრონი შეიძლება „კაცთა შუა შემოსვლითა“ ზედ-დამსხმელს ცოტას დასჯერდეს, საპატიო კაცის სისხლის ნახევარზე ნაკლები გამოართვას დამნაშავეს— „არც არა საკვირველი ესეაო“, მაგრამ თუ ნაწყენმა სისხლი არ ინდომა, მაშინ დამნაშავე „ნიფხვითა ოდენ გაშიშვლებულად ზოლოთა (სანებვე) შვიდთა ბიჯთა ჩათრიონ და მის კაცისა მებრემან სამი შოლტი ამოჰკრას... საჩინოდ ერისა უნდა ესეო“ (მუხ. იდ). ამ დიდად სამარცხვინო სასჯელს „ჩათრევა“ ეწოდებოდა და შესაფერი იყო დიაცის წაგვრისა, „დედა-წულთა აფარვისა და შერცხვენისა“. სხვაგანაც სამარცხვინო სასჯელს ჰხმარობდნენ ასეთის დანაშაულისთვის. საათაბაგოშიაც რომ სწორედ ასე იყო,

ამას „შვილის მოწყვეტა“ ასაბუ-
თებს — „თუ ზედა-დასხმასა შიგან დე-
დაკაცსა შვილი მოსწყდეს“, გვარსა
ზედა სრული სისხლი დაუურვონო
(მუხ. იე). საყურადღებოა, რომ ეხ-
ლაც მთაში სახლსა ზედა დასხმა
უფრო დიაცის წასაგვრელად იციან,
თუმცა „ჩათრევას“ და გამოლტას-კი
აღარ ჰხმარობენ.

სხვა დანაშაულია აგრედ წოდებ-
ული საჯდომისა სიახლოესა გლეხსა
ზედა დასხმა. ყველა ბატონს თა-
ვისი საჯდომი ჰქონდა და საჯდო-
მის ახლოს გლეხები ესახლა. თუ
გლეხები ისეთს სიახლოზე ესახლნენ,
რომ ბატონს „ხმა მისწყდებოდეს“,
გლეხის დარბევა ზედ-დასხმას შეა-
დგენდა და დამნაშავეს სისხლი ამ
დანაშაულის კვალობაზედ უნდა დაე-
ურვა, მით უფრო, რომ „საჯდომი-
სა სიახლოესა მისისა გლეხისასა“
ზედა-დამსხმელი ჰლაშობდა ალაფი*)

*) ალაფი — საფენელი და ჭურჭელი, ზა-
ტყვენავი, ს. ს. ორბელიანი, აღბუღას სამარა
თალში ალაფს უფრო ვრცელი მნიშვნელო-
ბა აქვს.

წაელო და ბატონისათვის ზარალი მიეცა (მუხ. ლს). საზოგადოდ ყოველ გვარი ზედ-დასხმა დიდ ბოროტებად სწამდათ და იგი ბოროტება ეხლაც მძიმე დანაშაულად მიაჩნიათ საქართველოში³²³). იმ დროსაც, როგორც ეხლაც, თავ-ლაშქრისა და მისის ლაშქრის სილაღესა და თავ-გასულოებას თითქო საზღვარი არ ჰქონია. თავ-ლაშქარი ჰლახვიდა ყოველ გვარ დაბრკოლებას, „ზღუდესა შიგნით“ ეჭრებოდა თავისს მსხვერპლს და „ზღუდეს გარეთ“ ხომ მოსვენებას არასოდეს არ აძლევდა, აღბუღასეთს ზედ-დასხმას კერძოდ ზღუდეს შიგნით ჩახდომას და ზღუდეს გარეთ მოაბუჯას უწოდებს და თითოეულს მათგანს საკუთარს სისხლს უჩენს (მუხ. რია, რიბ).

სასაოჯახოსა ზედა დასხმაც განსხვავებული დანაშაულია. ძველად ეჭროვაში ეს დანაშაული დიდ ბოროტე-

³²³) ეხლაც მთაში და კერძოდ სვანეთში სუხლში ჩახდომა დიდი დანაშაულია, Зак. и Об. на Кав., II. 33, 38.

ბად მიაჩნდათ. ცხადია, თუ რად სასაფლაო წინაპართა სავანე და სალოცავია, იგი წმიდათა წმიდაა. წინაპართა თაყვანის - ცემა (КУЛЬТЬ ПРЕДКОВЪ) ამ საღმრთო ადგილას ჰღალადებს, მსხვერპლიც აქ იწირვის. აქაა მიზეზი, რომ ინგლისელ-საქსონელები სასტიკად სჯიდნენ, ვინც სასაფლოსზედ-დაესხმოდა, — დამნაშავე საუკუნოდ უნდა განიძოს, მამული ჩამოერთვას და ყოვლად უმწეო შეიქმნესო. ფრანგები უსაზღვრო შურისძიებას უქადდნენ სასაფლაოს შემოღებულს. იმათი სამართალი ამბობდა, ისეთის დამნაშავის მოკვლის ნება ყველას მინიჭებული აქვსო³²⁴). საათაბაგოს სამართალიც ჯეროვანის პატივით ეპყრობოდა წინაპართა სააქაო სადგურსა და აღბუღამ დიდი სასჯელი გაუჩინა სასაფლაოს ზედ-დამსხმელს. ეს ზედ-დასხმა ორ გვარიაო: პირველი და უფრო

³²⁴) Совр. Об. и Др. Зак. II. 34, 130—2.

მძიმე ისაა, როცა ვინმე საფლავს გასთხრის, მკვდარს გაძარცვავს და ალაფს წაიღებსო. დამნაშავემ პატრონს „ორთა უთავადესთა“ სისხლი უნდა დაუურვოს, ე. ი. ორის საუკეთესო მკვდრისა, „რომელიცა მის სახლსა შიგ საჭირისუფლოდ სდებოდეს“ და ალაფიც დაუბრუნოსო. ხოლო თუ დამნაშავეს „საფლავს ხელი არ მიეყოს“, მაშინ ერთის „უთავადესის“ სისხლი ვარდახდესო. ხელის მიყოფას და აწა მიყოფას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. უკეთური და მაცდური მარჯვენა აორკეცებდა დანაშაულს. სხვაგანაც ასე ყოფილა და კერძოდ გერმანელები უფრო მეტს სასჯელს სდებდნენ სასაფლავს ხელის მიმყოფსა. რასაკვირველია, ზედ-დასხმის დროს დამნაშავეს შეეძლო „სასაფლავსა ეკლესიასა შერაცხებით მიჰყოს ხელი ანუ წარმართულად კართითა შეღეწითა, ანუ სხვაგნით რითმე შერღვევითა“. მაშინ საერო სამართალს მსჯავრის დადება არ ეკი-

თხოდა, დამნაშავე „მეცნიერთა და ქრისტეს სისხლის მცნებულთა“ განსაჯონო (მუხ. კვ.). საკუთრივ მოხსენებულია ეკკლესიასა ზედდასხმა: საუპატიოდ ხუთი ათასი თეთრი გარდახდეს ზედ-დამსხმელსაო (მუხ. რივ). როგორც სხვა აღმოსავლეთის ქვეყნებში, ისე საათაბაგოშიაც ქაჩაკანს იცოდნენ. უეჭველია, თავ-ლაშქარი ქარავანსაც დაესხმოდა ხოლმე. ღებუა ღამ ასეთი ბოროტება განსაკუთრებულ დანაშაულად სცნო და უწოდ-ქაჩაკანსა ქედდად თავსა ზედა დასხმას ჯლაფის შოვნა ჰსურდა ლაშქარსა როცა ქარავანს თავს ესხმოდა, და ათაბაგიც ამბობს, დამნაშავემ წანაღები და წახლომილი უზღოს პატრონსაო (მუხ. დვ). რასაკვირველია, სისხლის დაურვება კიდევ სხვიყო.

ზედ-დასხმას ალაფის საშოვნელოდაც მისდევდნენ, მაგრამ საალაფო ძარცვა, მტაცებლობა მაინც ცალკე დანაშაული იყო და სახელად მეკობრეობა ერქვა (მეკობრე — მტაცებელია, ს. ს. ორბელიანი). არსებითი გან-

სხვავება ზედ-დამსხმელსა და მეკობრეს შორის ისაა, რომ პირველს შეიძლება ალათის მოპოება აზრადაც არ ჰქონდა, მაგრამ მეკობრე მიუცილებლობად ალათს დაეძებდა და მტაცებლობა მიაჩნდა თავის ხელობად. რადგანაც ზოგჯერ ზედ-დამსხმელიც ალათის შესაძენად ვარჯიშობდა, ამიტომ იგი და მეკობრე ერთი-ერთმანეთსაც შიგვანდნენ. იურიდიულად იმათი სეხნია, თუ ასეთქმის, მპარავიც იყო. ეგრედ წოდებული წანალების შექცევასამსავე დამნაშავეს სავალდებულოდ ეწერა. სამართალი აწესებდა, ზედ-დამსხმელმა, მეკობრემ და მპარავმა ორ-კეცად უნდა დაუბრუნოს პატრონს წანალები (duplum). მაგრამ მაინც აღბულამ ჯეროვანი ზღვარი ვერ დაუდვა ზედ-დასხმას, მეკობრობას და პარვას, თუმცა-კი მკრთალად აღნიშნა მათი განსხვავება. ეს ნაკლი სხვა ძველს სამართალსაცა სჭრის. მაგ., რომის ძველ სამართალში მეკობრობა პარვის სახელით იხსენება (furtum). რაც უნდა

იყოს, საათაბაგოში მეკობრობა გან-
ცალკევებულს დანაშაულს შეადგენდა
და ცხადად მტაცებლობას ნიშნავდა,
ძველად ევროპაში, მაგ., რომსა და
საბერძნეთში, მეკობრობა სავაჟაკო
და საღმრთო საქმედ მიაჩნდათ, სა-
პატივცემო ხელობად ჰხადიდნენ³²⁵).
ჩვენი მთიელნი ეხლაც ამ აზრისანი
არიან. ხევსურნი ქება-დიდებით ამ-
კობენ სახელოვან მეკობრებს და
თავის საერო გმირებად ჰსახავენ.
იმათ ლექსებში ხშირად შეხვდებით—
ხატა ბრძანებს სამეკობროდ წადითო...
საათაბაგოში მეკობრობა თუმცა გა-
ხშირებული ყოფილა, მაგრამ ძვე-
ლებური დიდება და პატივი დაუკარ-
გავს. ოდესმე თაყვანცემული მე-
კობრე მძულვარე მძარცველად გარ-
დაქმნილა და, არა თუ ხატისა, სა-
მართალის წყალობაც-კი ხელიდგან
გამოსცლია, —ათაბაგი ამბობს, მეკო-
ბრე უნდა გარდიხვეწოს და სჯო-
გადოებას მოსწყდესო (მუხ. ღზ), მე-

³²⁵) P. Терингъ, 96—7, 101.

კობრის სისხლი არ არისო (მუხ. რლო).
იმ დროინდელ მეკობრობას ვაჟკაცო-
ბის უნარიც-კი აღარ ემჩნია. მართალია,
თითქმე ვაჟკაცობას ნიშნავდა — „თუ
კაცი კაცსა ომით მოერიოს, გამარჯვე-
ბა ეყოფის და თანა ნურას წაიტან-
სო“. მაგრამ საქმე ესაა, რომ გამარ-
ჯვებას არ სჯერდებოდნენ, გამარჯვე-
ბული ხშირად ჰძარცვიდა დამარცხე-
ბულს, აბჯარს ჰყრიდა, შესარცხვე-
ნად სახლში მიათრევდა, გლეხებს
ურბევდა (მუხ. კ). ეს კიდევ არაფე-
რი, თუ როგორ დაწვრილმანდა ძვე-
ლი რაინდული მეკობრობა, ამას
„ხელთა დარჩენილის“ ძარცვა ამტკი-
ცებს. აი ამ ძარცვის სურათიც: სტუ-
მარს ჯერ უმასპინძლდებოდნენ, აღ-
ხენდნენ, აქეიფებდნენ და მერე-კი
ძარცვავდნენ — თუ ვინმემ თავის გლე-
ხის სახლში და „რასა გინდა სახლსა
შიგან სატყუად ჰურა აჭამოს“, სისხლი
დაუურვოს და წანაღებიც მისცესო
(მუხ. კა). და საყურადღებოა, რომ
სტუმრობას და პურ-მარილს მაღალი
წოდებაც-კი პატივს აწა სცემდა. მე-

კობრობა იქამდე დაემხო და ვაჟკაცობის სახელი აეყარა, რომ სახლიდგან ხელად გამოთრევასაც არ თაკილობდნენ — „თუ გამოითრიოს და ხელად გაძარცვოს, სისხლის ნახევარი უზღოს და ალაფიცაო (მუხს რკდ). ყველა ეს ჰშუკარად ჰმოწმობს, რომ მეკობრობა უბრალო ძარცვად გარდაქცეულა და რაინდული ხასიათი დაუკარგავს. ერთის მხრით, ეს გარეგნობა მოქალაქეობის წარმატებას ამტკიცებს, მაგრამ ისიც ცხადია, რომ „ხელთა დარჩენილის“ და „გამოთრეულის“ ძარცვა-გლეჯა მეტყველებს დაცემულს ზნე-ჩვეულებას, — რაც უნდა იყოს, აწინდელი მთიელი მეკობრე იმდენად პატივს სდებს თავის ვაჟკაცობას, რომ სტუშარს არ გაძარცვავს, სახლიდგან არავის „გამოითრევს“... სითამამე და კადნიერება-კი არც საათაბაგოში აკლდა ძარცვას. მძარცვავი არაფერს ერიდებოდა, ზრც „დიდს სალაროს (ხაზინას) და არც ეკკლესიას. სამართალი ჰლაგმავდა ასეთს თავ-გასულობას და

მძარცავს თვალთა დაწვას უჩენდა (მუხ. რნგ), მაგრამ განა სასტიკს სასჯელს ძალ-უძს აღადგინოს დაცემული ზნე-ჩვეულება?!

ძარცვის საქმეც „ზემოქვემოებაზე“ იყო დამოკიდებული და დამნაშავეს გაძარცვულის ვინაობის მიხედვით უნდა დაეურვა სისხლი, — „მონოზანთა, ხუცესთა და დიაკონთა ნაძარცვი ორკეცია“, აგრეთვე ჯარის-კაცისა, „მეომრისაო“ (მუხ. რკგ, რფზ). ორ-კეცი ნაძარცვი გაჩენილი ჰქონდა „გზას მიმავალსა-ან მამავალსა ვაჭარსაც“ (მუხ. ჟჰ) და ეს იმიტომ-რომ ათაბაგი აღებ-მიცემობას და ვაჭრობის აღორძინებას დიდს მნიშვნელობას აწერდა. არც ყმა დაჩაგრული. პატრონს სასტიკად აკრძალული ჰქონდა ყმის გაძარცვა, — „თუ უსამართლოდ პატრონმა ყმა გაძარცოს, ხორმეტი გლეხი დაუურვოსო“ (მუხ. რმთ), ე. ი. თორმეტი გლეხის ფასიო. ეს ფასი შეიძლება და ორ-კეც ნაძარცვზედ მეტიც ყოფილიყო და ნაკლებიცა, მაგრამ, ყო-

ველ შემთხვევაში, მაინც დიდს გადასახადს შეადგენდა. სიტყვა „უსამართლოდ“ ძარცვის უაღრესობას აჩვენებს და დიდი ფასიც ამის შედეგია. რადგანაც ყმა პატრონის ხელქვეითი იყო, „პატრონსა მისსა გავლენა მართებდა“, ყმისთვის თითონ უნდა გადაეხდეინებინა ნაძარცვი, ხოლო „თუ არ შეაქცევინოს და არ გაუვლინოს“, პატრონმა გასცეს პასუხი გაძარცულსაო (მუხ. რლს). ასე ბჭობდა სამართალი საზოგადოდ პატრონის ყველა ხელქვეითზედაც: ცოცხლებს ვინ-ღა ინალვლიდა, სავალალო უფრო ის იყო, რომ საათხაგოში მძარცვავე მკვდრებსაც არ ასვენებდა. რასაკვირველია, მკვდრის გაძარცვა ცოცხლისაზედ უფრო მძიმე და დიდ დანაშაულად ითვლებოდა — „თუ მკვდარი გაცარცოს, თორმეტი ათასი სისხლსა ემატოსო“ (მუხ. რით). სჩანს, მართო ალაფის სიხარბით არ ხელმძღვანელობდა მკვდრის მძარცველი, — ხშირად პირადი მტრობაც აქეზებდა ამ უკეთურეს არსებას. მაგრამ

მტრობა დამნაშავეისათვის პატივსადე-
ბი მიზეზია და ამიტომ აღბულამ დააწე-
სა, თუ მძარცველმა ფიცოს, რომ
მკვდარი ნამტყრებიან, ხუთი ათასი
მართებს გარდასახდელიო (მუხ. რკ).

ჯოგის წასხმაც ძარცვაა. როცა
აღბულა თავის წინასიტყვაობაში მე-
კობრობას მოგვითხრობს, უნჯეთა *)
მტაცებლობასაც აღნიშნავს და ამ-
ბობს, საქონლისა და ცხენების წამსხმე-
ლნი უსასჯელოდ რჩებოდნენო (მუხ.
ფზ). ჯოგის წასხმას დიდი ზარალი
მოჰქონდა მეურნოებისათვის და ამი-
ტომ ათაბაგი სასტიკად მოეპყრო ჯო-
გის წამსხმელს—სასჯელად თვალთა
დაწვა გაუჩინა. ხოლო ეს სასჯელი
მარტო მძიმე დანაშაულისათვის იყო
დაწესებული, მაგ., დიდის სალაროს,
ეკკლესიის გაძარცვის, ღალატისა-
თვის. მეფესა და ათაბაგს გარდა,
თვალთა დაწვას დამნაშავეს ვერვინ
გაუჩინდა და თუ ჯოგის წამსხმელ-
საც გაუჩინეს (მუხ. რნგ), მაშ ცხა-

*) უნჯი—საქონელია, ს. ს. ორბელიანი.

დია, რომ ჯოგის წასხმაც დიდ
დანაშაულად იცნეს მაგრამ ჯოგ-
შიაც განსხვავებაა, — თვალებს მხო-
ლოდ იმას სწვავდნენ, ვინც მეფისა
და დიდებულის ჯოგს წაასხავდა
აშკარაა, თუ რისთვის: ჯერ ერთი,
რომ ამ ჯოგის წასხმა მეფისა და
დიდებულის (ათაბაგი, მაწყურე-
ლი) გაუპატიობაც იყო და „სპატი-
უო“ შესაფერი უნდა გადაეხადა და-
მნაშავეს. მეორედ, მეფესა და დიდე-
ბულს დიდი ჯოგი ჰყავდათ და სწო-
რედ ამიტომ იმათ ჯოგის წამსხმელს
სასჯელიც დიდი და სასტიკი და-
უწესეს. მართლაც-და, ვინც ერ-
თად დიდს ჯოგს იტაცებს, ძირსა და
ფესვს უთხრის ერის მეურნეობას, მე-
ტადრე თუ მეურნეობა უმეტესად პი-
რუტყვთა მოშენებაზეა დამყარებუ-
ლი. სხვაგანაც თითქმის ასე ბჭობ-
დნენ. საფრანგეთში, მაგ., სამართა-
ლი უფრო სასტიკად სჯიდა მთელის
ჯოგის წამსხმელს, ვიდრე იმას, ვინც
დიდის ჯოგიდგან რამდენსამე თავს
საქონელს წაასხავდა, თუნდაც ზოგ-

ჯერ ამ წასხმულ საქონლის რიცხვი პატარა ჯოგის ოდენაც ყოფილიყო³²⁶). დილა შთელის ჯოგის და მეტადრე დიდის ჯოგის წასხმას ყველგან შიძიმე დანაშაულად ჰხადიდა მეურნეობის მიმდევარი საზოგადოება!

ათაბაგო სხვა გარემოებასაც ყურადღებას აქცევს — „თუ ქუჩი^{*}) ჯოგი წასხმას შორს, თორმეტი გლეხი დაუურვონ მართლის სახსრითაო^{**}). შორს წასხმა ალბად საათაბაგოს საზღვარგარეთ წასხმას ნიშნავდა, რასაკვირველია, ამ შემთხვევაში პატრონს დი-

³²⁶) Бекко, 139.

*) სამს ხელ-ნაწერში, რომელსაც ჩვენ ვხმარობთ, ქუჩი სწერია. არ ვიცით-კი, რას ნიშნავს ეს სიტყვა. ს. ს. ორბელიანის ლექსიკონში იგი არაა მოხსენებული. რუსულად ნათარგმნია „табуны лошадей“, მაგრამ შეცდომით. ჯოგი ზოგადი სახელია და კერძოდ ცხენის ჯოგს რემა ეწოდება. იხ. ს. ს. ორბელიანის ლექსიკონი.

***) სახსარი — ცხოველთაწევარი, გინა ტყვედ გამოსახსნელი. ნაწეფარი სახსართ შედგმულობა, იქვე.

დი ჯათა და უსიამოვნობა მოსდიოდა ჯოგის საპოვნელად და დასაბრუნებლად. ამიტომ პატრონს სისხლიცა და საპატიჟოც მეტი უნდა რგებოდა — „პატიჟმან და სისხლმან ჰმატაო“ (მუხ. რიზ). აქ აღბუღას სახეში მაღალი წოდება ჰყავს: თორმეტს გლენს „მართლის სახსრით“ დაბალ კაცს არავენ აღირსებდა და საეჭვოცაა, რომ საამისო ჯოგი ყველა დაბალს კაცს ჰყოლოდა... არ უნდა დავივიწყოთ, რომ, თორმეტ გლენს გარდა, წამსხმელს ჯოგიც უნდა დაებრუნებინა. და რომ მართლა დაბალ წოდებისათვის საჯოგო საქმესხვა იყო, აი საბუთიც: ათაბაგი პატარა ჯოგს საკუთრივ იხსენიებს, — „თუ ჯოგი წაასხან, რაზომიცა სულისა იყოსო“... რაზომიცა სულისა იყოს პატარა ჯოგს ნიშნავდა და უმეტესად ასეთი ჯოგი მოეპოებოდა გლენკაცობას. ამიტომ წამსხმელს „საუპატიოდ“ ცოტა უნდა დაეურვა — მამაკაცს ორი ათასი დაუურვოს, დიაცს სამი ათასი თეთრიო და „უკლებლად“

ჯოგიც დაუბრუნოსო (მუხ. რმბ). ეს
ორი და სამი ათასი თეთრი დაშო-
რებით ნაკლებია თორმეტ გლეხის
ღირებულობაზედ და თუმცა მაინც
დიდი ჯარიმაა, მაგრამ ჯოგის წასხმა
საზოგადოდ მძიმე დანაშაული იყო
და დამნაშავეს გლეხისათვისაც დიდი
საუპატიო უნდა დაეურვა. როგორც
სჩანს, „ხელდახელ წასხმა“ კიდევ
სხვა ყოფილა. ეხლაც იციან, მწყემსს
ხელდახელ წაართმევენ ხოლმე საქო-
ნელს. ათაბაგის სიტყვით, „თუ ხელ-
დახელ წაუსხან, ნახევარი სისხლი
დაუჟრონ“, საუპატიოს გარდა.

XVIII

აღბულა ამბობს, ჩემს დროს ერთი
თავ-ლაშქარი, „დიდი მოავე კაცი“
იყო, ასაბიები ჰყავდა, ხშირად იზა-
რავდა, ჩვენ ვიწყინეთ და ესა-და-ეს
გავაჩინეთო. რა გააჩინეს? — „განაჩე-
ნი ძველსავე მივაყოლეთო“... მაგ-
რად ძველად პარვას რა ჰქონდა გა-
ჩენილი? თავდაპირველად, როცა სა-

გვარეულო ცხოვრება არსებობს, პარვას დანაშაულად მაშინ სთვლიან, თუ თავის გვარისეულს ჰპარვენ. სხვა გვარის კაცს რომ მოჰპარონ, დანაშაულად-კი არა, საქებურ და სავაჟ-კაცო საქმედ მიაჩნიათ. რადგანაც გვარის კაცის შურისძიებად აღება არ შეიძლება და ჩვეულებაც არ ჰყაბულობს, გვარისეულის მპარავი გვარს უნდა მოსწყდეს და გარდიხვეწოსო. ამ აზრს ადგნენ ინდოელები, კელტები და ბევრნი სხვანიც³²⁷). ამას გარდა, პირვანდელ დროს პარვა განკერძოებული დანაშაული როდია, პარვას ზოგადი მნიშვნელობა აქვს და რა გზითა და საშუალებითაც უნდა მოიპოვოს კაცმა სხვის სასაქონლო, მპარავია, მხოლოდ-კი მოპოება უსამართლო იყოსო. ამიტომ მპარავს უწოდებენ იმასაც, ვინც ძარცვით, ცეცხლის წაკიდებით და ამ ნაირ უსამართლო ღონისძიებით სხვის სარჩო-

³²⁷) Совр. Об. и Др. Зак. II. 160. Зак. и Об. на Кав. I. 41—2.

საბადებელს იძენს³²⁸). საათაბაგოს
საგვარეულო ხანა განვლილი ჰქონ-
და და სამართალი ყველა მპარავს
სჯიდა, სულ ერთია მპარავი თავის
გვარს მოჰპარავდა, თუ სხვისას. მაგ-
რამ პარვის „განაჩენს“ მაინც ძვე-
ლი ხასიათი შერჩა. ჯერ ესა, რომ
სამართალი ბძანებდა, ზოგჯერ მპა-
რავიც უნდა გარდიხვეწოს და ქვე-
ყანას მოშორდესო. მეორედ კი-
დევ, იგივე სამართალი ზღვარს
არა სდებდა პარვასა და სხვა დანა-
შაულს შორის; მპარავმა და მე-
კობრემ თანასწორად, ორკეცად გა-
დიხადონ წანალებიო (მუხ. 43),
ცხადად მპარავისა, მეკობრის და მე-
ჯურმუცეს სისხლი არ არის, იმათი
მოკვლა დაუსჯელად შეიძლებათ
(მუხ. რაე). თუმცა მპარავი, მეკო-
ბრე და მეჯურმუცე სხვა-და-სხვანი
არიან, მაგრამ სამართალი-კი მათში

³²⁸) Совр. Об. и Др. Зак. II. 156—
7. ხევსურეთსა და თუშეთში ეხლაც პარვას
განსხვავებული ხასიათი არა აქვს, Зак. и
Об. на Кав. II. 120.

განსხვავებას არა ჰხედავდა. შესანიშნავია, რომ საათაბაგოში პარვის განაჩენზე დიდი გავლენა იქონია რომაელებისა და ბიზანტიელების სამართალმა; აღბუღამ პარვის განაჩენი თითქმის სრულიად იმათ სჯულიდგან გადმოიღო. აი საბუთიც: ათაბაგი აღგენს — „ნაპარვეისა პირველი ასე განაჩენილა და ასე იქმნას აწცა, რომ თუ ცხენი და რაგინდარა კაცმან მოიპაროს“, ორკეცად უზღოს პატრონსაო (მუხ. ღგ). ასეთს გარდასახადს უჩენდა მპარავს რომაელებისა და ბერძნების სამართალიც³²⁹). სხვა აღგილას აღბუღა ამბობს — „კაცმან რაგინდარა მოიპაროს და გამოჩნდეს, ორნივე თვალნი დაეწვნენ ანუ ხელფეხნი დაეჭრასო“ (მუხ. რდს). ბიზანტიაშიაც ღამით მპარავს თვალებსა სთხრიდნენ და ხანდახან ხელებსაც სჭრიდნენ³³⁰). მართალია, აღბუღა არ ამბობს, ყველა მპარავს

³²⁹) Зак. и Об. на Кав. I. 130.

³³⁰) *ibid.*

თვალები დასწვან და ან ხელ-ფეხი დასკრანო, მაგრამ ეს ხომ არ შეიძლებოდა და არც ბიზანტიაში ყოფილა ეგრე განაჩენილი. თვალთა დაწვას და ხელ ფეხთა მოჭრას საათაბაგოშიც მხოლოდ ღამით მპარავს და მრავალ გზის ქურდს უწესებდა სამართალი, უბირს მპარავს-კი ორკეცად ახდევინებდა წანაღებსა. მხოლოდ მაჰმადიანთა სჯულთა დააწესა, ყოველ გვარ მპარავს ხელ-ფეხი დაეჭრასო ³³¹). მაგრამ საათაბაგოს სამართალსა საერთო არა ჰქონდა რა ამ სჯულთან და პარვის საქმე ისე დაადგინა, როგორც რომსა და ბიზანტიაში „პირველ გაჩენილ არს“...

ათაბაგი დასძენს, ღამე მპარავის მოკვლა შეიძლება დაუსჯელად, იგი მპარავი და მეკობრე სწორნი დამნაშავენი არიანო (მუხ. რდე). რომაელებისა და სხვა ძველ ევროპელების სამართალიც აწესებდა, პატრონს ნება აქვს მპარავი მოკლას, თუ პარვაზედ მია-

³³¹) Зак. и Об. на Кав. II. 285.

სწროვ³³²). ხოლო ბიზანტიის სამართალი ღამე მპარავს და მეკობრეს ერთიერთმანეთის სწორ. დამნაშავედ ჰხადიდა და ამბობდა, ორისავე მოკვლა შეუძლიან პატრონსაო³³³). და რადგანაც ათაბაგიც ასე ბჭობდა, მაშცხადია, პარვის განაჩენი რომაელებისა და ბერძნებისაგან შემოიღო. საყურადღებო კიდევ ისაა, რომ არც შემდეგ ასცდა ქართული პარვის საქმე უცხოელ სამართლის გავლენას. ვახტანგ სჯულ-მდებელმა მოსპო ნაპარვეის ორკეცად დაურვება, რაიცა რომაელების duplum-ს შეადგენდა, და გააჩინა, ქურდობისა „საზღაური შვიდეული არისო“ (მუხ. რნდ). მაგრამ ახლად გაჩენილი „შვიდეული საზღაური“ ქართული არასოდეს არა ყოფილა, იგი მოსეს სჯულის წესს შეადგენდა³³⁴) და ჩვენმა დიდებულ-

³³²) Совр. Об. и Др. Зак. II. 27—8, 157.

³³³) Зак. и Об. на Кав. I, 130.

³³⁴) *ibid.*, 157.

მა მეფემ ებრაელთა სჯულ-მდებელს მიჰბაძა. ერთის სიტყვით, არც საათაბაგოში და არც მთლად საქართველოში პარვის საქმეს თავისებურობა არა ჰქონია და იგი საქმე უცხოეთიდგან გადმოინერგა ქართულს ნიადაგზედ. ძნელი სათქმელია, თურად. მხოლოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ეხლაც ჩვენს მთაში პარვა იშვიათი მოვლენაა, ხევსურს პარვისა თითქმის არა გაეგება-რა და ადათიც ამ დანაშაულის საზღაურს არ აჩენს... (ხვაგან აგრე არ ყოფილა: ევროპაში ბევრი სამართალი საკუთარს საზღაურს ჰხმარობდა ნაპარევის გადასახდელად. მაგ., Русская Правда აჩენდა, საზღაური მრავალ გვარია, ხან მეტია და ხან ნაკლები სხვა-და-სხვა ნაპარევისათვისო³³⁵). ფრანგების Lex Salica და ბურგუნდელების სამართალიც ამ აზრისა იყო. ბურგუნდელები მეტად უდიერად და სასტიკად უფრო ქორის მპარავს ეპყრო-

³³⁵) Калачевъ, 153—8, 197 и слѣд.

ბოდნენ: დამნაშავემ ექვსი სოლიდი გადაიხადოს და თუ გადახდა არ შეუძლიან, მოპარულს ქორს გულ-მკერდი მიუშვიროს და ნისკარტით ამდენი და ამდენი ხორცი ამოაწიწკნინოსო³³⁶). საათაბაგოს მკვიდრნი კი ყველა ნაპარევისათვის ორკეცს საზღაურს ჰხმარობდნენ და ეს საზღაურიც იმათის ჩვეულების ნაყოფი არა ყოფილა. შესანიშნავია კიდევ, რომ საათაბაგოში არც მრავალ გვარი პარვა იცოდნენ. თვით აღბუღა პარვაში მაგრე რიგად განსხვავებას არ ჰპოვებს და მხოლოდ ცხადად მპარავს და ცხენის ქურდს აღიარებს დიდ დამნაშავედ³³⁷). სხვაფრივ იყო ევროპაში: იქ სამართალი პირდაპირ ამბობდა, პარვა მრავალ ნაირია და მრავალ გზით შესაძლოაო.

როცა ვისმე ხელქვეითი, მაგ., ყმა

³³⁶) Бего, 137, 139.

³³⁷) საქონლისა და ცხენის პარვა გერმანელებსაც დიდ დანაშაულად მიაჩნდათ, Совр. Об. и Др. Зак. II. 158.

სხვას რასმე მოჰპარავდა, „პატრონ-სა მისსა გავლენა მართებს, თუ არ შეაქცევინოს და არ გაუვლონოს“, პატრონმა ზღოსო, ამბობს ათაბაგი (მუხ. რლს. — ძარცვისათვისაც ასე იყო). ამ შემთხვევაშიაც საზღაური ორად უნდა შეეკეცა პატრონს. მაშასადამე, სამართალი მპარავ ყმასაც ლმობიერად ეპყრობოდა. სხვაგან ასე არ ყოფილა. ფრანგების Lex Salica მპარავ მონას დასაჭურისებას უჩენდა და მპარავ მონა-ქალზედ ამბობდა, გაწკეპლეთ, ას ორმოცი წკეპლა დაარტყითო ³³⁸).

დამნაშავედ ითვლებოდა, ვისაც ნაპარევი გამოაჩნდებოდა ³³⁹). ათაბაგის თქმით, თუ ნაპარევის მქონე ფიცით ვერ დაამტკიცებდა, მპარავი არ ვიცი და ჩემს ხელში იმის მეტი

³³⁸) Beко, 142.

³³⁹) Руская Правда აჩენდა, რომ ნაპარევის შენახვისათვის შემნახველს ჯარიმა გარდახდეს „კნიაზის“ სასარგებლოდაო, Ка-лачевъ, стр. 157.

არ მოსულა, რაც გამომაჩნდაო, მაშინ ორკეცად უზღოს პატრონს, რასაც ედავებო (მუხ. 58). ამ ნაწარკვეის ცნობას მიაგავდა მპარაობის რამე მაგერი საქმე. სამართალი აწესებდა, პატრონს დანაკარგი უნდა გამოუჩინონ და „მსგავსიერი საპოვნელო“ გამოართვანო. მაგრამ უკეთუ ვინმემ დაკარგული სასაქონლო დამალა და „უკანის-ლა გამოჩნდეს“, საპოვნელო არ ერგების, — „მპარაობის რამე მაგერი საქმე იქნებისო“. რასაკვირველია, შეიძლებოდა ნაპარევის მქონეს „პირუტყვი დაემჭლოს და გაეცუდოს“, ან არა-და, „თუ სასაქონლო იყოს, გაეცვითოს და გაექირაოს“. მაშინ? — პირუტყვისა და სასაქონლის გარდა, ზარალიც ზღოს დამნაშავებო. ამასთან სამართალი იმასაც აღგენდა, რომ ლაშქარში საპოვნელას აღება არ შეიძლება და „დამკარგავმან მრუდი არა დასწამოს-რაო“ (მუხ. 53).

საათაბაგოში დაწკაფ განცალკევებულს დანაშაულს შეადგენდა. პი-

რვანდელ დროს, როცა საგვარეულო წეს-წყობილება არსებობს, დაწვა ისეთივე დანაშაულია, როგორც ძარცვა, პარვა და სამსავე ერთ ნაირი სასჯელი სძევს, — დამწველმაც ზარალი უნდა გადუხადოს პატრონს და გარდინვეწოსო. ასე აწესებდა Русская Правда³⁴⁰). ეხლაც ამას აწესებს კავკასიონის მკვიდრთა ადათი³⁴¹). ათაბაგი დამწველს გაძევებას არ უჩენს და მხოლოდ საპატიჟოსა და ზარალის დაურვებას სდებს სავალდებულოდ. საათაბაგოს სამართალი ორ გვარ დაწვას იხსენიებს, — ერთი დაწვა შეეხება ეკკლესიას და იმის სამამულო - სასაქონლოს, მეორე — კერძო კაცის საქონებელსა. პირველი დაწვა მეორეზედ უფრო მძიმეა. ანგარება და მტრობა ჰბადავდა ეკკლესიის და იმის სამამულო - სასაქონლოს დაწვას. ამას თითონ აღბუღა ამბობს — „რომელმანცა კაცმან...

³⁴⁰) *ibid*, 176—7.

³⁴¹) Зак. и Об. на Кав. II. 300—1.

რასაგინდა ნიუთიანსა საქმისათვის (ანგარება, *корыстолюбие*), დამტყრებისათვის, სისხლისა და კაღისა გაწდასდისათვის“ დასწვას ეკლესია, „რაცა ამის ეკლესიისა დასაურვებელი ეწეროს და გაჩენილი იყოს, ორკეცი დაუურვოსო“ (მუხ. რძთ.) მაგრამ ორკეცი დასაურვებელი არ კმაროდა, „მცირე“ იყო და დამწველს წანაღები უნდა ეზლო და ამასთანავე „წმიდათა მოციქულთა და წმიდათა კრებათა კრულვა, წყევა და შეჩვენება“ ეზიდნა. ცხადია, რომ დაცემულმა ზნეჩვეულებამ შელახა თვით სარწმუნოებრივი გრძნობაც, რომელიც ოდესმე ძლიერი იყო საათაბაგოში. თუ რა ღრმად აღორძინდა ანგარება და სხვა უქვენაესი თვისება, ამას ამტკიცებს ის მოვლენა, რომ ეკლესიას მარტო „იდუმალ“-კი არა, ცხადადაც სწვავენენ, რიდი და შიშთ აღარ ჰქონდათ... სჩანს, თუ ყველა ეკლესიას არა, ზოგიერთს მაინც საკუთარი „დასაურვებელი პატივი ეწერა და გაჩენილი ჰქონდა“. იქ, სადაც „ზე-

მოქვემოება“ ცხოვრების ქვა-კუთხედი იყო, ეკლესიაც ვერ ასცდებოდა ღირსების მეტ-ნაკლებობას და საყურადღებოა, რომ ეხლაც ამ აზრისაა ქართველი კაცი: ერთი ეკლესია და ხატი უფრო მადლიანად მიაჩნია, ვიდრე მეორე, ზოგს ტაძარს დიდს პატივსა სცემს და ზოგს შცირეს. ასეთი აზრი ნაშთია იმ ძვილის დროისა, როცა ფეოდალობა ეკლესიის საძირკველს შეადგენდა. საათაბაგოშიაც ასევე იყო და ამიტომ აღბულა ამბობს, ვინც საყდრის საქონებელს, სენაკს, აგარას *), მარანსა და სხ. „ცეცხლი შეუდოს“, „კითაჩიტა ადგილი იყოს, სისხლი და პატივი გარდაიხადოს და დანაკლები უზღოსო“ (მუხ. რო). ნაჩვენები არაა, დამნაშავეს რამდენი სისხლი და პატივი უნდა გარდაეხადა — რაოდენობა ეკლესიის პატივსა და დიდებაზედ იყო დამოკიდებული. ამას გარდა, არც

*) აგარა — სადგური საზაფხულო, ს. ს. ორბელიანი.

ყველს ეკლესიას მოეპოვებოდა სენაკი, აგარა, მარანი... დიდი ნივთიერი შეძლება უფრო სახელოვანს ეკლესიას ჰქონდა და „დასაურვებელი პატიჟი“ შეძლებისა და დიდებისა და გვარად იყო გაჩენილი. ერთს აღგილას აღბუღა ამბობს, ჟინც „რასა გინდა საქმისა დამტერებისათვის საყდარსა და საყდრისა საქონელსა მალვით ანუ ცხადად ცეცხლი შეუღვას, დაწვას“, საყდარს პატიჟად ოც-და-თორმეტი თეთრი დაურჯოსო (მუხ. როა). აქ საპატიჟოს რაოდენობა პირდაპირ ნაჩვენებია და ეს გარემოება თითქოს არღვევს შემოდ დადგენილს მთავარს აზრს, მაგრამ საქმე ისაა, რომ ოც-და-თორმეტი ათასი თეთრი შეადგენდა საპატიჟოს მხოლოდ იმ ეკლესიისას, რომელსაც საკუთარი „დასაურვებელი პატიჟი არ ეწერა და გაჩენილი არა ჰქონდა“. ყოველს შემთხვევაში იგი საპატიჟო მაინც დიდი საზღაურია, — ღვთის მოსაღვს ათაბაღს ჰსურდა სასტიკის სასჯელით აღედგინა და-

ცემული სარწმუნოებრივი გრძნობა... ამიტომაც ათაბაგმა უმთავრესი ყურადღება ეკლესიის დაწვას მიაქცია და კაცის „მოსახმარებელთა“ დაწვა მოკლედ და ბუნდად გადმოგვცა. იქ, სადაც „საყდრისა“ საქონებელთა, სენაკთა, აგარათა“ და სხ. დაწვა სწერია, იმან მხოლოდ ორიოდე სიტყვა ჩაურთო... „სხვათა კაცისაჲ მოსახმარებელთა“ დაწვის აღსანიშნავად. დამნაშავეს, „რომლისაცა საქმისათვის ქნას იგი საქმე (დაწვა), გარდახდეს... დანაკლები უზღოსო“ (მუხ. რო). კაცის საქონებელის დამწველიც ხელმძღვანელობდა „სისხლის მტერობით, გულის ტკივილით და მოვალეებით“...

საათაბაგოს სამართალში ნაჩვენებია თითო-ორი ისეთი ბრალი, რომელიც ეხლაც იშვიათი არაა. იმ დროსაც სცოდნიათ „ცხადად ანუ იდუმალ“ სხვის ყანის გათიბა, ვენახისა და ნაყოფიერ ხეთა დაჭრა „სისხლისა გულის ტკივილისათვის“... (მუხ. რო). აღბუღა მარტო წყევი-

თა და კრულვით იხსენიებს ბრალ-
დებულს და სასჯელს არ უწერს,
მაგრამ რატომ?... სკოდნიათ აგრე-
ფვე პირუტყვის მოკვლა „ყანასა,
ვენახსა, ბოსტანსა და რასაგინდა სა-
ვანოსა შიგა“. თუ პატრონმა განგებ
შეუშვა პირუტყვი სხვის მამულში—
„განგებ ეყოსო“, — პირუტყვის მო-
კვლა ბრალად არ დაედება კაცსაო.
რად? — პირუტყვი განძრახ შეუშვა —
„მტრობით იქნების“ და დავა უნდა
გათავდესო. მაგრამ თუ „უმეცრად
შესრული მოკლას, ნაწყენმა (მამუ-
ლის პატრონმა) უზღოს შუათა და-
ხედვითაო“. ზღვევა აი როგორ იცო-
დნენ: „თუ ხორცი პირუტყვისა პა-
ტრონმა წაიღოს, ნახევარი უზღოს,
და თუ მამკვლელსა მისცენ, ერთო-
ბილი უზღოს, როგორაცა მეზობელთა
დაათვასონ“. შეიძლებოდა პირუტყვის
ხორცი საკმელად არ ვარგებულ-
ყო, „უხამსი ყოფილიყო“. მაშინ? —
ხორცს ნუ იანგარიშებთ — „არად
შემოიღებისო“ (მუხ. ნგ).

თავისებური დანაშაულია ნახჭო-

ბის სისხლის დაჭერა. დაჭერა იმას
ნიშნავდა, როცა ვინმე სისხლს არ
დაიურვებდა და ამით ბჭობას ძალა-
სა და მნიშვნელობას უკარგავდა.
ამ გვარი თვითნებლობა აზნაურების
საქმე ყოფილა, — აღბულა მარტო
აზნაურის საკუთრებად სთვლის ნა-
ბჭობის სისხლის დაჭერას: „თუ აზნა-
ურმან კაცმან აზნაურს ნაბჭობის სი-
სხლი დაუჭიროს, ათი ათასი თეთრი
კიდევ სხვა დაუურვოსო“ (მუხ. რმს).
თუ ნაბჭობის სისხლის დაჭერა საა-
ზნაურო დანაშაული იყო, ნიფხავ-პე-
რანგის მოხდა ცნობილია საყოველ-
თაო დანაშაულად. საათაბაგოში
ბრძოლის ველზედ მოკლულს კაცს,
აბჯარსა და ტანსაცმელს გარდა, ნი-
ფხავ-პერანგსაც გახდიდნენ ხოლმე,
აღბად თავიანთ სახმარებლად. აღბუ-
ლამ ეს ჩვეულება იწყინა და დაა-
დგინა, „ბრძოლათა შინა მოკლულს
ნიფხავ-პერანგს ნუ ვინ მოხდის“, თუ
მოხადა, იყავნ „კრულ და შეჩვენე-
ბულ ღვთისა პირითაო“ (მუხ. რად).
რაკი ყმა ბატონის საკუთრებას შეა-

დგენდა, უსამართლოდ ჰატრონისაგან
ემის წასვლაც სამართალს დანაშაუ-
ლად მიაჩნდა, — უსამართლოდ წა-
სულმა ყვამ თორმეტი გლეხი შეუ-
კაზმოს პატრონსაო, ამბობს ათაბაგი
(მუხ. რნ). არც ძალად მამულისაგან
გაძევება მოსწონდა სამართალს: მო-
ხდებოდა ხოლმე, რომ ვინმე ძმას ან
მეყვისს საერთო მამულისაგან გაა-
გდებდა. გაგდებულმა „რაგინდარა
გარეთით აწყინოს“ გამგდებელს, „არ
ეზღვების, არ მიეთვლების“, და როცა
მამულში დაბრუნდეს, წესიერი საუწყე-
სა მიიღოსო (მუხ. მთ). არა სჩანს,
რა იყო წესიერი საუწყესა და არც
ჩვენ ვიცით. რუსულად „беззачетie“-
ლ ნათარგმნია, მაგრამ ვერც ეს თარ-
გმანი ჰშველის ჯაგნის გაგებას.

XIX

ლაღბულამ მკრთალად და თითქო
უნებურადაც აღნიშნა თითო-ორო-
ლა ისეთი დანაშაული, რომელიც
სახელმწიფოს და მეფის წინააღმდეგ

შიმართულია (государственное преступление). თუ რად მოიქცა ასე აღბულა—მიზეზი ჟამთა ვითარებაშია; საათაბაგო დამოუკიდებლობის გზას აღდა და არც ფეოდალობა უწყობდა ხელს მეფისა და სახელმწიფოს უფლების აღორძინებას. საქართველოში, მეტადრე ძველად, მეფეს არასოდეს არა ჰქონია განუსაზღვრელი უფლება. მართალია, მეფე თავის ვასსალებზედ მალა იდგა, მაგრამ მათ შორის დიდი განსხვავება არ ყოფილა³⁴²). ევროპაშიც ეგრე იყო და ამიტომ კოროლის მკვლელი ისეთ დამნაშავედ მიაჩნდათ, როგორადაც სხვა მკვლელი: ინგლისელთა საქსონელებისა და ბავარელების სამართალი აწესებდა, კოროლის მკვლელმა ორკეცედ და ოთხკეცად დაიურვოს სისხლი და საქმე ამით გათავდესო³⁴³). ათაბაგი მეფის მოკვლას

³⁴²) იხ. „გუჯრები“ ა. ხახანაშვილისა, გამოცემა დეკ. დ. ლამბაშიძისა, 1891 წ. გვ. XV—XXIV.

³⁴³) Совр. Об. и Др. Зак. II. 127 примѣч.

არ იხსენიებს, მხოლოდ მეფის წინა-
შე „შეცოდებას“ აღწერს და ისიც
იმ „შეცოდებას“, რომელსაც მარ-
ტო სასულიერო კაცი სჩადიოდა, —
თუ ეპისკოპოზმა, მოძღვარმა და სხვა
სასულიერო კაცმა მეფეს „შესცო-
დოს“, დამნაშავის ხელთ შეპყრობა
არ შეიძლება, „შეკაზმა მართებს ეპი-
სკოპოზსა მეფისა“, „მიზეზსა უნდა
გამონახვა და გარდახდევას“ (მუხ.
რბ, რდ). როგორც „შეკაზმა“, ისე
„გარდახდევა“ ჩვეულებრივს სი-
სხლის დაურევებას ნიშნავდა. მაგ-
რამ სისხლის რაოდენობა ნაჩვე-
ნები არაა, თუმცა-კი ნამდვილია,
რომ მეფეს ყოველთვის მეტი სის-
ხლი სდიოდა, ვიდრე ამის ვასსა-
ლსა. მეფე განმარტოებით სუფევ-
და, უპირატესობით აღჭურვილი იყო
და საკუთარი „სჯულის საქმე“ ჰქონ-
და მინიჭებული — „თუ მეფე ეპისკო-
პოზს გაუწყრეს, გინდა უსამართლოდ,
გინდა სამართლითა... რაცა მეფესა
სჯულისა საქმე აქვს, აგრე შეიწყნარე-
ნა“ (მუხ. რგ). არც ეს „მეფის სჯუ-

ლის საქმეა“ განმარტებული. თუ არ დავივიწყებთ, რომ მეფეს ეპისკოპოსისა და სხვა სასულიერო კაცის ხელთ შეპყრობის ნება არა ჰქონდა, მაშინ ცხადი იქნება, რომ მეფის „სჯულის საქმე“ სრულიად არ მოასწავებდა იმის განუსაზღველს უფლებასა. ფეოდალურს სამთავროში მეფეს თითქმის ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ათაბაგსა. სხვათა შორის, ამის ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ დიდის დანაშაულისათვის თვალთა დაწვა მეფესაც შეეძლო გაეჩინა და ათაბაგსაც (მუხ. რნგ). იმათ გარდა, ამ სასჯელის ნებას სამართალი არავის აძლევდა.

რაკი ფეოდალობა სახელმწიფოს უფლების აღორძინებას აფერხებდა და წინ ეღობებოდა, უეჭველია, ფებს ვერ მოიკიდებდა ისეთი დანაშაული, რომელიც სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულია. აღბუღა არც განმარტებს, თუ რაა ეგეთი დანაშაული, რითი განირჩევა იგი სხვა დანაშაულისაგან. მოხსენებულია ლაღატი, და-

დის სალაროს ძარცვა. მაგრამ ამ ორ-
სავე დანაშაულს განკერძოებული ხა-
სიათი და თვისება არ ამჩნევია და
გვერდით უდგიათ ჯოგის წასხმა და
ეკლესიის ძარცვა (მუხ. რნგ). შეი-
ძლება მხოლოდ დავასკვნათ, რომ
საათაბაგოშიაც სახელმწიფოს წინა-
აღმდეგ დანაშაულად ისეთი ბორო-
ტი მოქმედება მიაჩნდათ, რომელიც
მთლად საზოგადოებას შეეხებოდა.
სხვაგანაც თავდაპირველად ასე ყოფი-
ლა. რომში, მაგ., ლალატს უწოდებ-
დნენ ყოველ გვარს დანაშაულს, რომ-
ელიც სამშობლოს წინააღმდეგ იყო
მიმართული და საზოგადო მტრობას
ნიშნავდა, თუნდა დანაშაულს კერ-
ძო ხასიათიც ჰქონოდა³⁴⁴). ამას
ვხედავთ საბერძნეთშიაც, სადაც მო-
ლალატეს სიკვდილით სჯიდნენ და
მამულს ართმევდნენ³⁴⁵). გერმანე-
ლებს მოლალატედ მიაჩნდათ ყველა,
ვინც მტერს მიემხრობოდა, და და-

³⁴⁴) Майнцъ, стр. 32.

³⁴⁵) Совр. Об. и Др. Зак. II. 128.

მნაშავეს ხეზედ არჩობდნენ. მხდალი მეომარიც მოღალატეაო, რომელიც ჭაობიანს ტაღახში უნდა ჩაჰფლანო³⁴⁶). საათაბაგოშიაც ღალატს ზოგადი და ფართო მნიშვნელობა ჰქონდა და სასჯელიც ამისდა გვარად გაუჩინეს — „რაცა ავი იქნების, ყველა უყოს პატრონმა შეზახებულთა კაცთაო“ (მუხ. მა). თუ პატრონი მოღალატეს შეუნდობდა, ან არა-და, მოღალატე თავს იმართლებდა, „რაცა კაცისაგან ავი საზიანო მოიგონების, ყოველთა მტერობასა ემართლების“ იმას, ვინც ღალატი დასწამაო... შეიძლებოდა კაცს ღალატი ჩაედინა კერძოდ თავის „პატრონის“ წინააღმდეგ. ასეთი ღალატიც მძიმე დანაშაულს შეადგენდა და როცა „ღალატის შესმენა“ — დაბეზლება, ეს-და-ეს მოღალატეაო, არ დამტკიცდებოდა, — „სრული სისხლი მართებს“ შემსმენელსაო. რადა? — „ამად, რომ მისით გამოიმეტაო“ (მუხ. რღგ). მაგრამ,

³⁴⁶) Бекго, 121.

უკეთუ „ღალატის შესმენა“ მართალი გამოდგებოდა, პატრონმა „რაცა ავი იქნების“, მიაგოს შეზახებულ კაცსაო...

ეკკლესია სახელმწიფო დაწესებულებად იქმნა აღიარებული და რა უპირატესობაც ჰქონდა მინიჭებული, თავის აღაგას ვუჩვენეთ. უეჭველია, ის დანაშაული, რომელიც ეკკლესიის წინააღმდეგ იყო მიმართული, სახელმწიფოს შეურაცხებასაც ნიშნავდა და დიდად უნდა დასჯილიყო. მაგრამ ყველა საეკკლესიო დანაშაულზედ ეს არ ითქმის, რადგანაც ზოგჯერ ეკკლესია კერძო პატრონისა და ბატონის საკუთრებას შეადგენდა და სისხლი ნაკლები სდიოდა. ამას გარდა, ყველა ეკკლესია თანასწორის ღირსებისა არა ყოფილა და თითოეულს მათგანს სისხლი „გვარსა ზედა“ ეურვებოდა. სისხლის რაოდენობა დამოკიდებული იყო, სხვათა შორის, სატის ვინაობაზე. როცა ხატი «სამცველოდ ქვეყნისა ესვენა» და მაშასადამე ეკკლესია სამთავროს საკუ-

თრებად ითვლებოდა, მაშინ ერთი და იგივე საეკლესიო დანაშაული განსხვავდებოდა იმისდა გვარად, თუ რომელს ხატს შეურაცხჰყოფდნენ. აღბუღა ამბობს, მაცხოვრის ხატი ყველა ხატზე მალთა სდგასო, «საუპიტიოდ» ოც-და-ათი გლეხი მართებს, ხოლო სხვა ხატს, მაგ., ღვთის-მშობლისას, ნათლის-მცემლისას, წმიდა გიორგისას — თორმეტი გლეხიო (მუხ. რკბ). რადგანაც ხატთა შორის «ზემო-ქვემოება» დაარსდა, ეკლესიასაც უნდა დაურვებოდა, «რაცა დაწესებული პატიჟი ეწეროს და გაჩენილ იყოს»... დაწესებული და გაჩენილი პატიჟი იმის მაჩვენებელია, რომ ზოგიერთს ეკლესიას საკუთარი სამართლის გუჯარი ჰქონდა ნაბოძები და სამართლის ქმნას განთვისებით აწარმოებდა. საყურადღებოა, რომ ასეთს მოვლენას, საათაბაგოს გარდა, საქართველოს სხვა სამთავროშიაც

ვხედავთ ³⁴⁷). მაგრამ ყველა ეკ-
კლესიაზე ეს არ ითქმის, — ზო-
გი მათგანი საათაბაგოს საერთო
სამართალს ექვემდებარებოდა. როცა
ეკკლესია ბატონს ეკუთვნოდა, მა-
შინ სისხლი თავის პატრონის «გვარსა
ზედა» ეურვებოდა — „თუ კაცმან კა-
ცი გვემოს (გალახოს) და ეკკლესია
გაუტეხოს, რაცა გვარისა იყოს, სრუ-
ლი სისხლი დაუურვოსო“ (მუხ. რი).
ეს კიდევ არაფერი. შეიძლებოდა
ეკკლესია სხვა-და-სხვა „მოზარის“
საკუთრება ყოფილიყო, ანუ, აღბუღას
თქმით, „იგი ეკკლესია სანახევრო
იყოს, ანუ სამესამედო, ანუ სამეოთ-
ხედო, ანუ სამრევლო“. მაშინ? —
„ანგარიში ქნან და აგრე დაუურვოს,
რაცა წილი იდვას, ვისითაცა მიზეზი-
თა დამართებოდესო“ (აქ ეკკლე-
სიის გატეხასა და დარბევაზეა ნათქვა-
მი), „მოზარენი“ გვერდით უნდა მო-

³⁴⁷) ა. ხახანაშვილი, „გუჯრები“, გვ.
122—37, სადაც ბიჭვინტის გუჯარია მო-
ყვანილი.

სდგომოდნენ დამნაშავეს, რომელიც ვერც ერთს მათგანს უარს ვერ ეტყვის დაურევბაზედაო. ერთის სიტყვით, ზოგი ეკლესია „ზემოდ“ იდგა და ზოგი „ქვემოდ“. პირველს თავისი „დასაურევბელი პატრიუი ეწერა და გაჩენილი ჰქონდა“ მეორეს-კი პატრონის „გვარსა ზედა“ სდრიოდა სისხლი. ყოველ შემთხვევაში, საეკლესიო დანაშაული დიდ ბოროტებად სწამდათ და, სისხლს გარდა, დამნაშავეს სხვა სასჯელსაც ახდევინებდნენ. ამას მკრეხკეულობა ამტკიცებს (მკრეხკეულობა — ეკლესიის სახმართ მძარცველობაა, ს. ს. ორბელიანი). აღბუღა ამბობს, თუ ეკლესია გაძარცვონ, ალაფი „შეუქციონ“ და „მეკობრე ხელთა მისცენ, რა გინდა უყონ, ნუ დაემდურებისო“ (მუხ. რიდ, რიე). გუჯრებში ხშირად შეხვდებით, რომ მკრეხველს მაინც სიკვდილით სჯიდნენ, თუნდა მცირე ეკლესიაც გაეტეხა და გაეძარცვა.

რამდენიმე სიტყვა სასჯელზედაც აღბუღას სამართალში უმთავრესი

ადგილი სისხლის დაურევებას უჭი-
რავს. მაგრამ აქა-იქ სხვა სასჯელიც
მოიპოვება. აი მაგალითები: როცა
ცოლიანი კაცი ქმრიანს დიაცს უნა-
მუსოდ გაჰხდიდა, დამნაშავეს ყელზედ
საბელს მოაბამდნენ და შიშველს უბან-
უბან ატარებდნენ (მუხ. კლ) ³⁴⁸). თი-
თქმისასეთივე სასჯელი მოელოდა ზედ-
დამსხმელს, რომელიც ჰლამობდა დია-
ცის წაგვრას, — შიშველს, ნიფხვის
ამარა, სანეხვეზე ათრევდნენ და ჰშოლ-
ტავდნენ (მუხ. იღ) ³⁴⁹). თვალთა
დაწვაც ხმარებაში იყო (მუხ. რნგ),
აგრეთვე ხელ-ფეხთა დაჭრა (მუხ.
რფს). თუმცა პირდაპირ მოხსენებუ-
ლი არაა, მაგრამ შეიძლება დავას-

³⁴⁸) ძველად გერმანიაში ასეთი სასჯელი
გაჩენილი ჰქონდა ქალსა და არა კაცს, Be-
ko, 121.

³⁴⁹) ცემით დასჯა რუსებმა მონღოლები-
საგან შემოიღესო. დ. ბაქრაძეს ჰგონია, ეს
სასჯელი საქართველოში არ იცოდნენ ვა-
ხტანგ სჯულ-მდებლამდე, თუმცა განსვენე-
ბულს მეცნიერს თითონაც არა სჯერა, რა-
საც ამბობს, Сн. Зак. Вахт. 71, прим. 1.

კვნათ, რომ საათაბაგოში ზოგიერთს დიდს დამნაშავეს სიკვდილითაც სჯიდნენ. ასეთი დამნაშავე იყო ათაბაგის მოღალატე (მუხ. მა) და მეკობრე, რომელსაც ეწერა: «ხელთა მისცენ, რაგინდა უყონ, ნუ დაემღურებისო»³⁵⁰). რაც უნდა იყოს, საათაბაგოში მაინც იშვიათად იცოდნენ სიკვდილით დასჯა და ისეთი სასჯელი, რომელიც სხეულს სტკენს (Тѣлесное наказаніе). შემდეგ ქართული სასჯელი მეტად სასტიკი შეიქმნა და იქამდე მიაღწია, რომ ეკლესიაც-კი ზოგჯერ მცირე დანაშაულისათვის სიკვდილითა სჯიდა.

³⁵⁰) შემდეგაც ეკლესია ასე სასტიკად ეპყრობოდა მეკობრეს, ა. ხახანაშვილის „გუჯრები“, გვ. 130—4.

34

უ 573

ფასი ათი შაური

238 კაბადონამდე ამ თხზულებისა დაიბეჭდა მე-
სხიევისა და პოლეტაევის სტამბაში, ხოლო დანარჩენი
მაქსიმე შარაძის სტამბაში.